

114 /  
1947/2

  
ქართული  
ნაციონალური  
ბიბლიოთეკა

# მნათობი

12

---

თბილისი

# ენათობი



საუნივერსიტეტო-საქართველოს საბჭოთა მწიგნობის  
კავშირის შოკვილთვიური სალიბრატორია  
სახელმწიფო და საზოგადოებრივ-საკვლიბრატორია  
შუკნალი

წილიწადი ოცდამეოთხე

12

13947  
7375



19

დოქტორი  
სახელმწიფო

47

საქართველო

## თავგადასავალი ბესიკ ბაბაშვილისა

რომანი \*

★

ვეტეხის გალავნის გოდოლი კლდის ქიმზე იყო ამართული და მთელ ქალაქს გადაჰყურებდა. გოდლის პატარა და ვიწრო სენაკში კუპრივით ბნელოდა. გარეთ მხოლოდ სათოფურებიდან შეიძლებოდა გახედვა. ბესიკმა ჯერ კიდევ დღისით დაათვალიერა თავისი სენაკი და სათითაოდ გაიხედა სათოფურებში. ერთიდან მტკვარი მოსჩანდა და სეიდაბადის შარავზა. მეორედან — თათრის მოედანი, მესამედან — მეფის სასახლე, ისევ მტკვარი და ჩუღურეთის რიყე. ახლა ზარტო სასახლე მოჩანდა, რომელიც ზღაპრულად იყო გაჩირაღდებული და მისი მოქარგული ფერადი ფანჯრები სურათებივით ეკიდნენ ღამის ხავერდზე. სასახლის პირდაპირ, მტკვარგალმა, რიყეზე მეცხვარეები ათევდნენ ღამეს. კოცონი დაენთოთ და მის გარშემო დამსხდარიყვნენ. გრძელბეწვიანი მაღალი ქუდებით, ნაბღებში ვახვეულნი, ხელში კომპლებით, უძრავად უსხდნენ ისინი კოცონს; გარშემო კი მათ ჩრდილებს ალქაჯებივით ფერხული გაემართათ; ხან მარჯვნივ დაიწყებდნენ ტორტმანს, ხან მარცხნივ, ცეკვავდნენ, ტრიალებდნენ, ხან მცირედებოდნენ, ხან კი უცნაურად იგრძელებდნენ ხელებს, რომ სიბნელეს მისწვდომოდნენ.

საკანის სათოფურზე მიკრული ბესიკი თვალს ვერ აშორებდა ამ სურათს. შურდა მწყემსების ბედი, რომელთაც თავისუფალი და ლალი ცხოვრება ჰქონდათ. ახლაც ავერ ისინი არხეინად ისხდნენ სასახლის პირდაპირ, არ ეშინოდათ არც დატუსაღების არც მეფის რისხვის, არც ვინმესაგან დაბეზღების და შურისძიების. სადაც უნდოდათ, წავიდოდნენ, სადაც დაულამდებოდათ იქ გაიგებდნენ ნაბადს, იყვნენ ასე ლალად და მღეროდნენ თავისთვის: „მე ვარ და ჩემი ნაბადი, გამთენებელი ღამისა, დაწვები, დარდი ჩამყვება სამი ღამაში ქალისა“.

ბესიკმა რაღა იზღეროს. საკანში საოცრად ბნელა, თვალს რული არ ეკიდება. ცივ მიწაზე თივაც კი არ უფენია, რომ დაწვეს მინც.

„სვედის ღამიანი შემოხიხდება,  
სურვილის ცეცხლი მომევიდება  
სულთქმა და ტირილი გამიხშირდება  
სიციცხლის ფრინველი გამიფრინდება“...

ბესიკი ხარბად უცქეროდა სასახლის განათებულ ფანჯრებს. სათითაოდ იცოდა, რომელი ფანჯარა რომელ ოთახს უკუთვნოდა. თითქმის ყველა განათებული იყო, იქნებ ანაც ასე, მიჰკროდა თავის ფანჯარას და უცქეროდა მეტეხს, უცქეროდა ცივსა და

ბნელს კოშკს, სადაც მისი კაბუჯი მიჯნური იყო დამწყვდეული.

„სად მიდრეკების შუე, სად უჩინარობს,  
სად სთოვს ნათელსა, სად მონარნარობს...“

სათოფურს მოცილდა. ცივ მიწაზე დაჯდა, სიბნელეს ვიაკტერდა და თვალნათლივ წარმოუდგა, გაბრწყინებული სამეფო დარბაზი, სტუმრებით სავსე, სუფრის თავში მოოქრული გუმბათის ქვეშ მეფე, იქვე ბატონიშვილი და დიდებული სტუმარი. ყველანი გარინდული შესცქერიან ბესიკს, ზომელსაც საზი მოუმართავს და აღმოსავლური ჩვეულების მიხედვით სახოტბო ლექსს სიმღერით ამბობს.

ათას აღზახებად ბრწყინავენ სანთლების შუქზე ბროლის მძივებით შემკული კანდელები.

ზარივით რეკავს და წყრიალებს ბესიკის ხმა. მღერის ბესიკი, მაგრამ სახოტბო ან სააშიკო ლექსის ნაცვლად სულ სხვა რამ გამოუღის.

„დაეკარგე სატრფო, ჩემი ცხოვრება  
დაეკარგე განცხრომა და გახარება  
დაეკარგე სამოთხე და უყვადვება  
დაეკარგე მთვარე — ვის ემთვარება?  
დაეკარგე მინერა, სიბრძნის დიდება“

სიცივემ კვლავ სინამდვილე მოაგონა. გაბრწყინებული დარბაზი გაპქრა და ისევ სიბნელე ჩამოწვა მის თვალწინ. შეაერჯოლა ფეხზე წამოდგა და ხელის ფათურით მონახა სათოფური. ხარბად მიაკტერდა სასახლეს, რომელიც უამრავი ანთებული თვალით უცქეროდა ბესიკს სიბნელიდან. უცქეროდა როგორც ზღაპრული ცეცხლოვანი ურჩხული, რომელიც თვალებს ჯარასავით ატრიალებდა და ცეცხლის ნაპერწკლებს აფრქვევდა, აცემინებდა და ცეცხლის ზოლებს სივლითა და შხუილით სტყორცნიდა ცაში. სხვა დროს ეს ბესიკისათვის

თვალის სასიერო გასართობი იყო და ის მუდამ აქებდა შემსრულებელს — ტატს შვაბ იაკობს, მაგრამ ცხელს ცაზე გადარკალული შემსრულნი შიშის ზარს ცემდა:

„გამოჩნდა კომეტა ქუფრ ბნდობისა  
გამოჩნდა სოფელი უბედობისა  
გამოჩნდა ჯალათი სულთმბდლობისა,  
განმამგლა ქვეყანა, ველად განმდგამა“

ნუთუ ანამ შეაპყრობინა მეფეს ბესიკი და ახლა იქნება სინანულით თითებს იცვენტს!

ან იქნებ კაბუჯამ დააბეზლა ზეფესთან.

ან დავით ციციშვილს წამოსცდა რამე ერეკლესთან.

არა. ეს აუცილებლად ანამ იძია შური და შთააგდებინა იგი დიდევში.

„მაღე შენს ცხედარს ვინახულებო“. სალომესავით ზომ არ სურს ეამბოროს ბესიკის მოკვეთილ თავს?

ციხის ეზოდან ხმაური მოისმა. რამდენიმე ხნის შემდეგ საკანის კარი გაიღო და გამოჩნდნენ მსაჯული თეიმურაზ ციციშვილი, მდივანი გოვპარ ბეგთაბეგიშვილი და იასაული დავით ხერხეულიძე, რომელთაც ორი ციხის დარაჯი მაშხალებით გზას უნათებდა. ბესიკი სამივეს კარგად იცნობდა, კიდევაც მეგობრობდა მათ და ახლა, დაინახა რა ისინი, იმედიანად გაუბრწყინდა სახე.

დარაჯებმა მაშხალები სათოფურებში დააბაგრეს და მეფის მოხელეებს მერხი დაუდგეს. სამივენი დასხდნენ. ბესიკს უნდოდა მისალმებოდა მათ, მაგრამ არცერთმა მათგანმა არ მისცა ამის საბაბი. ყველანი წარბებშეკრულნი უცქეროდნენ.

— აღსრულებათ მისი უმაღლესობის მეფე ერეკლეს ბრძანებისა, — დაიწყო თეიმურაზ მსაჯულმა, — უნდა ჩამოერთოს ჩვენება ბატონიშვილის ლეონის მეითარს ზაქარია მოძღვრის

შეილს ბესარიონ გაბონელს, სასახლე-ში და მგონობაში ბესიკად წოდებულს. იასაულს, დაიწყე.

— შენი სახელი? — ჰკითხა იასაულმა ბესიკს.

— ვითომ არც იცი, — მწარედ გაეცინა ბესიკს, — განა ყოველივე ჩაწერილი არა გაქვს.

— შენ გვიპასუხე, როდესაც გეკითხებიანი — მკაცრად შეუტია იასაულმა და თვალეზი დაუბრიალა.

ბესიკს უცბად გული მოუვიდა დამცინავი ღიმილით ზემოდან დახედა იასაულს.

— რომ არ გვიპასუხო?

— რომ არ მიპასუხო? — იასაულმა მოიხედა და კარებში გასძახა: — ჯალილ, მოდი!

საკანში წითელწვერა ჯალათი შემოვიდა. მას ხელში თავისი უცნაური იარაღები ეჭირა, რომელნიც იქვე კარის კუთხეში დაყარა და მეფის მოხელეებს მიაცქერდა ბრძანების მოლოდინში.

— ჯალილ, აბა ერთი შენებურად ალაპარაკე! — თვლით ანიშნა ტუსაღზე იასაულმა.

ჯალილმა დახედა თავის იარაღებს, ბოლოს ერთი დაგრეხილი ღვედი აარჩია, რომელსაც ბოლომდე ორი საგრეხი რიკი ჰქონდა გამობმული და ბესიკს მიუახლოვდა, ჩვეული ოსტატობით სტაცა მაჯაში ხელი, მოუგრიხა და მსაჯულების წინ დააჩოქა: ზაშინვე მეორე ხელიც მოიგდო ხელში, ზურგს უკან მოუგრიხა, მაგრად შეუკრა ღვედით, რომლის ბოლოები დაგრეხა და როგორც კი ბესიკის ბეჭების მოძრაობაზე მიხვდა, რომ ტყვილის ზღვარს მიაღწია, გრეხა შეაჩერა.

შეურაცხყოფის გრძობით შეპყრობილი ბესიკი ტუჩის კენჭით შესცქეროდა იასაულს. აქამდე რატომღაც მას ყოველივე ხუმრობად მიაჩნდა და

ევგონა, რომ მოხელენი განგვე შესცქეროდნენ ასე მოისხანედრკანედმეჩრე, დარწმუნდებოდნენ ანუ სწამს მესამე შეშინდათ, გულიანად გადებარხარე-ბინათ. ახლა კი მიხვდა, რომ ყოველივე ეს ხუმრობა არ იყო. დაინახა ისიც, რომ ეს დიდი თანამდებობის მოხელენი გუშინ თუ პირში მლიქვნელურად უცნოდნენ და თითოეულ მათგანს საამაყოდ მიაჩნდა ბესიკთან დამეგობრება, ახლა ასე აბუჩად იგდებდნენ და ისე ეჭირათ თავი, თითქოს არც კი იცნობდნენ.

— შენი სახელი? — გაუმეორა კითხვა იასაულმა და თან ჯალათს თავის ოდნავი მოძრაობით თვალი ჩაუკრა.

ბესიკმა უცბად ისეთი აუტანელი ტყვილი იგრძნო, რომ თუმცა გუნებაში გადაწყვეტილი ჰქონდა, როგორმე აეტანა ყოველივე და კრინტი არ დაეძრა, უნებურად ზმულის მავგარად დაიგმინა. შუბლი მაშინვე დაეცვარა სიმწრის ოფლით. თეიმურაზ მსაჯულს შეხედა და უბრალოდ ჰკითხა:

— რა გინდათ ჩემგან, ვამაგებინეთ. რისთვის ზაყენებთ ამ შეურაცყოფას? ნუთუ ისეთი რა დამიშაგებია, რომ ასე მომეპყრათ ვითარცა ავაზაკს.

— შენ ავაზაკზე უარესი ხარ, — უბასუხა მსაჯულის ნაცვლად იასაულმა. — რად არ პასუხობ რასაც გეკითხებიანი.

— ბესიკი მქვიან, მერე?

— ბესიკი. ვისი სახლისა ხარ?

— გაბაანთ სახლისა.

— გაბაანთ სახლისა. აბა, მამ ბატონის მსაჯულის და ბატონის მდივნის წინაშე მოგვახსენე, რაც დანაშაული მიგიძღვის მისი უმალღესობის საქართველოს მეფის ერეკლეს წინაშე.

— არავითარი.

— როგორ თუ არავითარი. მამ გზოდის, რომ ბატონს ტყუილუბრალოდ უბრძანებია შენი დატუსაღება. ერთი

ამას დამიხედეთ. ისლა გვაკლია, რომ ბატონს უსამართლოდ მოპყრობა დააბრალო.

— გეუბნები, არავითარი-მეთქი.

— ჯალილ!

კვლავ არაადამიანურმა ტყვილმა ჯერ ზმული და მერე თავაშვებული შემზარავი ღრიალი დააწყებინა ბესიკს, თვალბზე ცრემლები ზოასკდა, საფეთქლის ძარღვები დაებერა, შუბლზე წურწურით წამოუვიდა ოფლი.

— სიტქვი!—არ ეშვებოდა იასაულ-ლი.

— არავითარი მეთქი... ოჰ! ვიტყვი ყოველივეს ვიტყვი.

იასაულმა ხელი აუქნია ჯალათს. ბესიკმა სული მოითქვა.

— აბა რა უნდა გითხრათ, არც კი ვიცი... ჩემს თავს განგებ ხომ ვერას მოუფიგონებ: თქვენ თითონ მიბრძანეთ რაში მდებთ ბრალს და მე გეტყვით მართალია თუ არა.

— ჩვენ რა უნდა გითხრათ. საკუთარი ცოდვებისა განა შენ უკეთესად არ იცი? ბარემ სიტქვი და ზორჩი. ნურც ჩვენ გვაწვალებ და ნურც საკუთარ თავს, თორემ ხომ ხედავ, ყოველივეს მაინც გათქმევიანებთ.

ბესიკს უცბად მოაგონდა მეფის ვახტანგის კანონების ერთი მუხლი და თეიმურაზს მოუბრუნდა:

— მსაჯულო, რად მეპყრობით უკანონოდ?

— როგორ?

— როგორ და განა ვახტანგის კანონში არა სწერია, რომ უკეთუ მეფემან ბრძანოს ვისიზე ტანჯვა და განაპტიყება, აღმასრულებელი ვალდებულ არს დაყოვნოს ასრულება ოცდა ათი დღით; იქნება მეფემან შეინდოს და აპატიოს ბრალდებელსაო. მართალი არ არის?

— სწორია, — დაეთანხმა თეიმურაზი ბესიკს. — ეგ კი სულ აღარ გამხ-

სენებია. ეგ — როგორ მოგვივიდა. კარგი! — თეიმურაზი აღვა. ~~სენებნი უღუ-  
ნენ.~~ — ჯალილ, თავი დააწებე ტუსაღს. ხეალ დილით ბატონს მოვახსენებ და როგორც მიბრძანებს, ისე მოვიტყევით.

სამთავენი გავიდნენ სენაკიდან. ჯალილამაც შეუხსნა ხელები ბესიკს, აკრიფა თავის იარაღები და მიჰყვა დარაჯებს, რომელთაც მაშხალები აიღეს, რომ მსაჯულთათვის გზა გაენათებინათ.

სიკანში კვლავ კუპრით დაბნელდა, ტყვილებისაგან სასომიხდილი ბესიკი ცივ იატაკზე გაწვა და თვალგახელილი შესცქეროდა სიბნელეს. ციცი-ნათელებივით ანთებული წერტილები ნელა სცურავდნენ და ტრიალებდნენ, თვალბზეში თუ სიბნელეში, სცურავდნენ, ტრიალებდნენ, მოსვენებას არ აღუევდნენ. ბესიკმა თვალბზე დახუჭა, მაგრამ ისინი მაინც ტრიალებდნენ, ერთმანეთს მისდევდნენ, ჭრებოდნენ, ხელახლა ინთებოდნენ...

კარგახანს სიჩუმე სუფევდა, მოულოდნელად ბრაგუნი გაისმა, კარი გაიღო და სიკანში ციხის დარაჯი შემოვიდა მაშხალით ხელში.

— წავიდენ ი ღდინძალეები! — სიტქვა მან და ბესიკთან ჩაქუჩდა. — როგორა ხარ, ბესიკო, გტყივა?

— მტყივა მაშა. შენ რომელი ხარ, ვერ ვიციან.

— მართლა ველარ მიციან? — გაიკვირვა დარაჯმა. — ო მე მაგათი... ხედავ რა დლე დაუყრიათ, კაცს ველარა სცნობს. პური ხომ არ გშიან. გინდა ღვინო მოგიტანო, ხელად ღონეზე მოგიყვანს.

— არ გეშინიან?

— ეგჰ! რისა უნდა გეშინოდეს. მინბაში აქ არ არის, უზბაშიც ახლახან წავიდა, დანარჩენისა მე ვიცი. დაიცა, ახლავე მოვალ.

დარაჯი გაიქცა და თვალის დახამხა-

მებაში მოარბენინა დოქით ღვინო და პატარა გულა, რომელშიდაც ერთი ჯამი და ცოტაოდენი ხორავი ეწყო.

— აჰა დალიე, — დაუსხა ჯამზე ღვინო დარაჯმა და შიაწოდა, — რაო, ხელები ტკივია?! მოიცა, მე დაგავლევინებ.

ცალი ხელი მხრებში შეაგება, ოდნავ წამოაყენა და ღვინო დააღვეინა. მერე პური და ყველი შიაწოდა. ბესიკმა უარის ნიშნად თავი გაიქნია.

— არ მინდა. იქნებ ცოტაოდენი თივა მიშოვნო, ქვეშ დავიგო.

— ახლავე, თივას იმდენს მოვიტან, რომ ლეიბადაც გამოვადგეს და საბნადაც. ეჰ იგეთი ამბავია ქალაქში შესს შეპყრობაზე, რო... ქვეყანა ლაპარაკობს, ჩვენი მგოსანი შეუპყრიათო. სულ თავში იცემენ ხელსა. ჰამქრის უსტაბამებს გადაუწყვეტიათ, შეგესა სთხოვონ ეგ კაცო სიცოცხლის ეშხს გვაძლევდა და რაც უნდა დიდი დანაშაული მიუძღოდეს, ჩვენ გამოვიყიდოთ მაგის სისხლიო. ჩემამაშემ!

დარაჯი ისევ წავიდა, მთელი ბღუჯა თივა მოიტანა და კარში ძლივს შემოეტია; ძირს დასდო და ბესიკს დაწოლაზე მიეშველა, რომელიც ჩოქვით მიბობლდა თივადე და ზედ მიესვენა.

— ჰაი, დედასა. ვის რა დაუშავე ისეთი, რომ ასეთ დღეში ჩაგავდო. კაცი შენ არ მოგიკლავს, გაძარცვით არავინ გაგიძარცვავს და რას ვემართლებოდნენ. ალბათ — დაგაბეზლეს.

ბესიკს ისევ მოაგონდა ანა და მისი მუქარა: „შენს ცხედარს ვინახულე-ბო“. მოაგონდა ის საშინელი ტკივილი, რომელიც ჯალათმა მიაყენა, დახედა თავის გამბრუებულ მკლავებს, ახლა რომ მოწყვეტილებივით ეყარა იქეთაქეთ და საშინელმა ბოლმამ კინაღამ დაახრჩო. ვადასწყვიტა ბარათი მიეწე-რა ანასათვის.

— იცი რა, შენი სახელი?

— გიორგა ვარ, ნანიკაანთი, ველარ მოგაგონდი?

ერციხესული

— ჰო, გიორგა! — ებრჩმუნდა და შეიცნო, ვინც იყო იგი ბესიკმა, ნამდვილად კი სრულიად არ ახსოვდა. — გიორგა, ერთი სათხოვარი მაქვს.

— ზიბრძანე!

— ქალაღი და საწერკალამი უნდა მიშოვნო.

— ქალაღიო? აბა სად ვიშოვნო? — უმწეოდ მიმოიხედა გიორგამ.

— არა, გხლა არა. ხვალ ჩადი სიონის პირდაპირ, იასე მწიგნობართან მიდი, ჩემი სახელით უთხარი და გამოგატანს. მერე მე მომიტან. კარგი? ერთ აღამიანს ბარათი უნდა მიეწერო. ეს ტკივილი ალბათ ხვალამდე გამივლის და წერას შევიძლებ.

— კარგი. ეგ ადვილი საქმეა. ხათრიჯამი იყავ. სხვა ხომ არა გნებაეთ რა?

— არაფერი, ჩემო გიორგავ. ახლა წადი, არავინ შეგნიშნოს, ან მოგისწეროს, თორემ, ხომ იცის, თავს მოგკვეთენ! — უთხრა ბესიკმა დარაჯს, თივაზე თავი დასდო და ფიქრებში წასულს აღარც კი შეუშინებია, როგორ წაიღო მაშხალა დარაჯმა, კარები გადარაზა და საკანში კვლავ სიბნელე ჩამოწვა.



ანა გათენებამდე იჯდა ფანჯარასთან. სანთელი კარგა ხანია დაიღო და ბოლოს კიდევაც ჩაქრა, მაგრამ ანას ახალი არ აუნთებინებია. ბნელაში იჯდა და უცქეროდა მეტეხს, რომელიც პირქუშად ამართულიყო და ნაბდიანი აბრავივით დასცქეროდა მაღალი კლდიდან. ანა ნადიმის დამთავრებას ელოდა, რომ ერეკლეს ნახვა შესძლებოდა. დერეფანში სადარაჯოდ მოახლე ჰყავდა დაყენებული, რომელსაც მაშინვე უნდა ეცნობინებინა, როგორც კი დამ-

თავრდებოდა ნადიში და ერეკლე თავის ოთახისაკენ წაბრძანდებოდა.

სალამოს ანიკომ რამდენჯერმე მოირბინა და სულ ახალ ახალი ამბები მოჰქონდა. ლეონი ენახა და ეკითხა ბესიკი რისთვის დაიჭირეს ან შესძლებ თუ არა რომ დაიხსნათ. ლეონს ენუგეშებინა ანიკო, ისეთი არა ედებარა ბრალად, ვილაც ქვერივისთვის სატრფიალო ლექსი მიუწერია და აბა ამისთვის ეინ დასჯისო. ანას სხვაგვარად ენიშნა ეს ცნობა და უფრო მეტად დარწმუნდა, რომ აუცილებელი იყო თითონ ენახა თავისი ძმა და რადაც არ უნდა დაჯდომოდა, დაეხსნა ბესიკი. მას ეუვიც კი არ ეპარებოდა, რომ ქვერივი, ვისთვისაც ბესიკს ლექსი მიეძღვნა, თითონ ანა იყო.

უკვე თენდებოდა როდესაც მოახლემ აცნობა, სტუმრები უკვე აიშალენ და მეფე მოსასვენებლად წაბრძანდაო. ანა მაშინვე წამოიჭრა ფეხზე და ძმასთან გაემართა. დერეფანში ის ჰაბუა ორბელიანს შეეფთა. ანას უნდოდა მისთვის გვერდი აეგლო, მაგრამ ჰაბუამ შეაჩერა, დილა მშვიდობისა უსურვა და მუსაიფი გააბა.

— ბატონთან მსურს მივიდე. ახლა მარტო ბრძანდება, — უთხრა ჰაბუამ ანას, — ეს რა უნებებია, კათალიკოსისათვის დასტური ზიუცია, რაც საერო წიგნებია, ყველა ცეცხლს მიეცითო. აუტოდაფია უნდა გამართონ. ბესიკიც მისთვის შეუპყრიათ, ცდუნებების, მრუშობისა და სიძვის მჭადაგებელ ლექსებსა სწერსო. ეგ რასა ჰგავს. მე ჯერ არა მსმენია, რომ სააშიკო ლექსების წერისათვის რომელიმე ქვეყანაში მგოსანი შეეპყრათ. უნდა ვთხოვოთ გაათავისუფლოს

— ოჰ, რა კეთილ საქმეს გააკეთებთ, თქვენო ბრწყინვალეებავ! — ზედართ უთხრა ანამ ჰაბუას. — ბატონი თქვენ უცილობლად დაგიჯერებთ.

— მართალია. მე და ბესიკი ერთმანეთის მტრები ვიყავით, მაგრამ ეგ იმას არ ნიშნავს, რომ ამისათვის უნდა დასჯა გამახარებს. გარდა ამისა მარტო ბესიკისათვის არ ვიღწვი. ანტონს დიდ პატივსაც ვცემ, მაგრამ „ვეფხისტყაოსნის“ დაწვის უფლებას არ მივცემ.

— წავიდეთ, ჰაბუავ, მეც მასთან მივდივარ.

ერეკლე მათ თავის სამუშაო ოთახში დაუხვდათ. მარტო იყო და მთქნარებით ათვალეირებდა რაღაც ქალაღებს.

— ანავ, ასე ადრე რად შეწუხებულხარ? — გაუკვირდა ერეკლეს და თავის დას ახედ-დახედა. — მობრძანდით. ჰაბუავ, შენ ზე უკვე შინ მეგონერი შემიძლიან გემსახუროთ?

— მეფევ, ბესიკი გამოაშვებინე! — მიახალა უცბად ჰაბუამ ერეკლეს. — თუ ისეთი რამ დანაშაული არა აქვს, გთხოვ გამოაშვებინო, შენ შვილთან შეზრდილია, ძალზე ნიჭიერი, ბრძენი ჰაბუკია, ნუ წაახდენ ტყუილბრალად.

— ოჰო, შენი სულგრძელობა, ჩემთვის საკვირველი არ არის, მაგრამ არ მეგონა, თუ უსამართლობას დამწამებდი.

— მაპატიეთ, მეფევ, — ჰაბუა დაიბნა, არ ელოდა საუბრის ასე უცნაურად შეტრიალებას, — დმერთმა მაშოროს, უსამართლობა დაგწამოთ. მე ზინდოდა შეთქვა, თუ დიდი დანაშაული არ მიუძღვის-მეთქი.

— ნეტავ რად იცავ აგრე თავგამეტებით, ის ხომ შენი დაუძინებელი მტრია?..

— ასეთ მტრობას ხომ მტრობა არ ეთქმის, მეფევ, და გარდა ამისა — ზოგიერთთა ამბავი რომ ვიცი, იმის შეპყრობას მე დამაბრალებენ, სწორედ ამისთვის ებედავ მოგმართოთ თხოვნით, რომ გაუშვა.

ერეკლემ უარის ნიშნად თავი გაიქ-  
ნია.

— ტყუილად შეწუხებულხარ, ქა-  
ბუაე. ჯერ აღრეა.

— გაკადნიერდები და კიდევ გავი-  
მეორებ ჩემს ზუღარას. ანტონს უბრ-  
ძანებია საერო წიგნები ცეცხლს უნდა  
მივცეთო...

— ვიცი, რაც გინდა ბრძანო, თქვე-  
ნო ბრწყინვალეობაე,—სწრაფად შეაწყ-  
ვეტინა ერეკლემ,—ვიცი და გეთანხმე-  
ბი, რომ ყოვლად უგვანო, ქვეყნად არ-  
ნახული ბრძანებაა. არა მსმენია ინკვი-  
ზიტორთა შიერ გამართულ აუტოდა-  
ფეთა გარდა, რომ რომელიმე ქვეყანა-  
ში საერო წიგნები ცეცხლში დაეწ-  
ვათ. მაგრამ ერთი მითხარი, ჩემს აშ-  
ლილ და დარღვეულ ქვეყანაში ისღა  
შეჭირებდა, რომ ერთი ორიოდ და-  
ბეჭდილ წიგნისათვის ეკლესიაც მტრად  
მოვიკიდო და ავიშხედრო? კათალი-  
კოსს საწყობში ორიათასი თუმნის,  
თუ არა ვცდები, დაბეჭდილი საეკლე-  
სიო წიგნები დაუგროვდა. კაცი ხელს  
არა ჰკიდებს, ხოლო „ვეფხისტყაოსანს“  
ხელიდან სტაცებენ ერთმანეთს. „ვეფ-  
ხისტყაოსანი“, რა საკვირველია, როდესაც  
წამიჩემის ნაწერებსაც კი იხუბი-  
რებენ. რა ეჭვა, ქვეყნის კეთილდღეო-  
ბისათვის იძულებული ვარ ნება დავრ-  
თო კათალიკოსს—ასეთი უგვანი საქმე  
ჩაიღინოს. მით უმეტეს, რომ ერთი რამ

იცოდე, ქაბუაე: ზოგიერთი წიგნი უკვ-  
დავია. რამდენიც არ უნდა დასწვა,  
წყალში გადაყარო, დაგლიჯო, თუნ-  
დაც მთელი ლაშქარი მიუსიო, მას ვერ  
მოსობ და ვერ გაანადგურებ. რუსთა-  
ველის ნაწერს კათალიკოსი ვერას და-  
აკლებს და, მან თუნდაც შეაგროვოს  
ჩემის პაპის ვახტანგის მიერ დაბეჭდი-  
ლი „ვეფხისტყაოსანი“, შეაგროვოს და  
დასწვას, ამით რას დააკლებს იგი  
რუსთაველს. მხოლოდ თავს შეირცხ-

ვენს ისე, ვით ჰეროსტრატე, რომელ-  
მაც აფროდიტეს ტაძარი დაწვეს. უმე-  
რის, რომ სახელი გაგმტყნოს. ჩემს  
ველმა ათასი ასეთი დაწვა განიცადა,  
მაგრამ საუკუნოებს გაუძლო და ჩვე-  
ნამდღე მოვიდა. მე კი, ჩემო ქაბუა, უნ-  
და ზაპატიო, თუ ხანდახან ქვეყნის კე-  
თილდღეობისათვის ზოგიერთ ბორო-  
ტებაზე თვალს დაევუქვა. აღმადგენი-  
ნეთ ეს ქვეყანა და პარნასის მთას თა-  
ვის აპოლონიურთ საბერძნეთიდან აქ  
გადმოვიტან.

— ბესიკი, მეფეო?

— ბესიკს ვერ გავათავისუფლებ და  
მის შესახებ სიტყვას ნუ შემობრუ-  
ნებთ. ძილსა ნებისას გისურვებ, თავა-  
დო.

ქაბუამ მძიმედ დაუკრა თავი მეფეს  
და რთახიდან გავიდა. ერეკლემ თვალი  
გააყოლა მას და შემდეგ ანასკენ მიი-  
ხედა. ზისმა გამგმირავმა ცქერამ ერეკ-  
ლე უნებურად შეაკრთო და დააბნია.

— უჰ, დამქანცა ამ ნადიმმა,—ვი-  
თომ უღარდელად ჩილაპარაკა ერეკ-  
ლემ და დაამთქნარა,—მეძინება. შენ  
რა აღრე ამდგარხარ, თუ არ გეძინა  
წუხელ.

ანა უცბად მიუახლოვდა ერეკლეს  
და ისე მწარეთ ჩაავლო ხელი მკლავ-  
ში, თითქოს ლამობდა ზორცი ამოგ-  
ლიჯა:

— მითხარი, რისთვის შეიძყარ ბე-  
სიკი?

— შენი შეურაცხყოფისათვის. მას  
ლექსი მიუმღენია შენთვის.

— ჩემთვის!?—უკან დაიხია ანამ.

— ჰო, ვილაც ქვრივისათვისო, ასე  
სთქვა კათალიკოსმა. ზე მივხედო, რომ  
ეს ვილაც ქვრივი შენა ხარ. ვით გაბე-  
და გუშინდელმა ბაღმა დედის ტოლი  
ბაგრატიონთა გვარის ქალის შეურაც-  
ხყოფა. მე მას ხვალ თავს მოვეკეთ.

— ააჰ!—თვალეებზე ხელი აიფარა  
ანამ.—შენ მაგას ვერ გაბედავ. შენ მა-

გას ვერ გაბედავ, მეფევ. არ დაგავიწყდეს, რომ მე, მე ზიყვარს ის ჭაბუკი.

— რას ამბობ, ანავ!—ჩამქრალი ხნით წამოიძახა თავზარდაცემულმა ერეკლემ.—შენ გიყვარს ჭაბუკი, რომელიც მგონი შეიღწევილად შეგეფერება? შენ მე მიბედავ კიდევაც მაგის თქმას?

— მე შენი დაი ვარ მეფევ და თეიმურაზის ქალი.

— მესმის. მაიმიჩემის ზნე გამოგყვავა ავხორციობისა...

— ა... არა, მე ავხორცი არა ვარ, მე...

— დაიცა—შეუტია ერეკლემ ანას.—ჩუღად: კარგად ვიცი, რაცა ხარ.

— მე ქალი ვარ, რომელსაც დღის დასასრულს გამითენდა. მე მინდა ჩემი ცხოვრების უკანასკნელ საათს მიანიც დაეტყუებ მზის სინათლის ცქერით. ნუ ჩამიჭრობ ამ მზეს, ჩემო ძმაო და დიდებულო მებრძოლო რაინდო, დიდებულო მეფევ. გვედრებო, როგორც უბრალო ქვეშევრდომი... როგორც ქალი.

— ღმერთო დიდებულო, მიხსენ მე ცოდვათა ჩადენისაგან. წერას ხომ არ აუტანიხარ, ქალო, რაებს მეუბნები. საზეფო სახლის შეილს ვით შეშვენის ევედროს მეფეს მრუშობის დასტურით მომეციო. ქვეყნისთვის ზრუნვა უნდა იყოს დღედაღამ შენი საფიქრებელი.

— ააპ! ქვეყანა! ნუ მატყუებ, შევეშაბო შენა. ქვეყნის სახელით ამ ქვეყანას ჭამ და თავს გვამიღლი. ახლავე გაათავისუფლე ბესიკი, თორემ თავლებს ამოგაკაწრავ. შენ პაატა ბატონიშვილის სისხლიც გეყოფა.

— დედაკაცს სანამ ქმარი ჰყავს ამირანია, და როცა ზოუყვდება, ამირანთ-ამირანიაო. კარგად უთქვამთ,—ჩაიციონა ერეკლემ, ცოტა ნასვამი იყო მეფე და ასეთ დროს ერთი კარგი თეიმურაზი ჰქონდა, არასოდეს არ გაჯავრდე-

ბოდა.—დაწყნარდი, ჩემო ქალიშვილი, რა გემართება!


გინჯლიჩიშვილი

— ერთი და სპარსეთში დაჰქარგეთ, ვილაც ურჯულთა თათარს ზიოთხოვეთ, მე ბებერს და ბებრეც თავადს გამაყოლებთ, იმ იმედით, რომ ის ადრე გასკიშავს ფეხს და მისი მამულები ჩვენ დაგვრჩებაო. აჰა, მართლაც ასე მოხდა. წაილე ჩემი ყოველივე, რა ვინდა, არაფერი არა მჭურს, გინდა, რაც ძვირფასი ნივთები მაქვს, იმასაც შენს საღაროში მოვიტან, ოღონდ ეს თხოვნა შემიხრულე, ჩემო დიდებულო...

— ანავ, დაიცა, ყურ მიგდე,—მშვიდი ხნით უთხრა ერეკლემ,—მთელი ქვეყანა რომ მოვლო, ვერსად ვერ ნახავ მეფეს, რომელსაც თავის გაჩენის დღიდან სულ ომში და ლაშქრობაში ყოფნა წილად ხედომოდეს. მარტო შე გავუჩენივარ ღმერთს ასეთი. მთელი ქვეყანა რომ მოვლო, ვერსად ვერ ნახავ მეფეს, რომელიც ომში თითონ მიუძღოდეს ჯარს და ხმალამოწვდილი ბრძოდეს. ესეც ბედმა მარგუნა. სიკვდილს ათასჯერ ჩაუქროლია ჩემს გვერდით და, უნდა ვითხრა, ბევრჯერ მქონია საშუალება თავი ამერიდებინა ბრძოლისათვის, რადგან სიკვდილის ბადეს მხოლოდ სასწაულით თუ დავუძვრებოდი. ბევრჯერ მქონია საშუალება გამარჯვება სხვისი თავგანწირვით მომეპოებინა, მაგრამ არასოდეს ასეთი რამ არ მიკადრებია. რისთვის ჩავდივარ ამას, ნუთუ იზისთვის, რომ ქვეყანა შევქაბო...

— მაპატიე, ძმაო!—დაეცა მუხლებზე ანა.

— ... რომ შენი მამულები მივითვისო, რომ ჩემი განცხრომისათვის ვიზრუნო. მთელი ჩემი სიცოცხლე... ადექი, რად დაიხოქე... მთელი ჩემი სიცოცხლე სულ ველად გამიტარებია, ღია ცის ქვეშ, ხმელი პურითა და წყალით მისაზრდოვნია, წელიწადში სამ



დღეს არა მხედება ადამიანურად საწოლში დაძინება, და ალბათ ასევე ველზე მომისწრებს სადმე სიკვდილი. მე ვიცი, რომ მეფე ქვეყნის მსახურია, თორემ განა არ შეეძლო ისე მომეწყო ჩემი საქმე, რომ სულ განცხრომა-ფუფუნებაში გამეტარებინა დღენი? შენ კი მეუბნები, ვეშაპი ხარ და ქვეყანას სკამო. არ მეკადრება, ჩემო ანა, შენგან ასეთი სიტყვა. ადექი, არა მსურს აგრე გიკვირო.

ხელი მოხვია წამოაყენა და საეარძელზე დასვა. ანას ხელსახოცი აეფარებინა და უხზოდ ქვითინებდა.

— ამ ქვეყნიერ ცხოვრების მრავალსიამოვნებაზე ხელის აღებას თვით ქრისტე ღმერთი გვასწავლის, ხოლო ყველაზე მეტად ეს სამეფო სახლის წევრებს მოეთხოვებათ. არ დავაგიწყდეს, რომ ისეთ მადლობზე ვდგევართ, სადაც ყველა გვხედავს, ხოლო ჩვენ თითონ კი ვერავის ვერ ვამჩნევთ. ამიტომ ჩვენი ყოველი მოძრაობა, ყოფაქცევა თვალსაჩინოა და ყველასათვის შესამჩნევი. ჩვენი ცუდი მოქმედება ერთი ასად გამოჩნდება. ამისთვის ბევრ ისეთ რამეზე უნდა ავიღოთ ხელი, რაც უბრალო ერისკაცს სრულიად არ ეზრახვის. ჩვენთვის არც ჭამა შეიძლება ძლომამდე, არც სმა თრობამდე. ჩვენ ქვეყნის სამსხვერპლოდ განწირული ხალხი ვართ. ჯობია ვილოცოთ. ლოცვა გაგვამხნევეს და მრავალ გაჭირვებას ადვილად აგვატანინებს.

— შენ მართალი ხარ,—სთქვა ანამ ცრემლებს წმენდითა—ჩემთვის უბრალონი ვანველტო ამ ქვეყნიურ ცხოვრებას. მღვთის მონასტერში წავალ თქვენის ნებათვით.

— როგორც გენებოს. მე ძალას არ ვატან. მოიფიქრე ასწონ დასწონე და ისე გადასწყვიტე. ამ ზამთარს არსად გაგიშვებ. გაზაფხულზე როგორც გენებოს.

— მხოლოდ ერთი ვედრება უნდა მისმინო.

— რა?—ერეკლემ თვალეში შეხედა ანას და უცბად უსიტყვოდ მიხედა:—კარგი, კარგი. სიკვდილით არ დავსჯი.

ანა დაბრუნდა თავის პალატებში. მივიდა სარკესთან და დიდხანს უცქირა თავისთავს. თვალწინ წარმოუდგა შავებში შემოსილი სახელამქნარი მონაზონი იმ მშვენიერი მომხიბლავი ქალის ნაცვლად, რომელიც ახლა სარკიდან უცქეროდა. წარმოუდგა და ყოველივე უცბად აიძვრა, აირია, ბინდმა დაძვარა...

თვალი რომ გაახილა, ლოგინში იწვა. თავზე მოახლე ადგა, რომელიც თვალცრემლიანი ცდილობდა თავისი ქალბატონი გრძნობაზე მოეყვანა.

— ქალბატონო, შენ გენაცვალე, მადლობა უფალს, მეგონა, ვეღარ მოვბარუნებ-შეთქი.

— რა მოხდა...

— გული რამ შეგიღონა, ქალბატონო, ოთახში რომ შემოველ, და იატაკზე განახე.

— ძირს ვეგდე?

— უი, მე, კინალამ გავვიყდი.

— არაფერია, არაფერი. უძილობამ თუ მიყო. წადი, ჩაი მომიტანე. ახლარომელი საათია?

— სადაცაა შუადღემ მოატანა. ახლავე ჩაის მოგართმევე!—ფუსფუსით გამართა კარისაკენ მოახლე და მალე უკანვე მობრუნდა. მან თავის ქალბატონს პატარა ბარათი მოართვა.

ანამ ბარათი გაშალა.

— ვისგანაა? ვინ მოიტანა?

— ფარეშმა გადმომცა, ვილაც ბიჭმა მოიტანაო.

ბარათი არეული ხელით იყო დაწერილი და ძნელად იკითხებოდა.

„თქვენო ბრწყინვალეობა!  
ჩრისთვის შემწარნეს წყალობანი“

თქვენნი და გარდამექციენეს ყოველი-  
ვე ჯოჯოხეთად. თუ განწირულ ვარ,  
ვითარცა უძლური ცხოველი იგი, შთა-  
გდებული ლომთა სავლეჯად, გვედრი  
ამას, უბრწყინვალესო მშენო ჩემო, მაკ-  
მარე წამებანი და წარმომიგზავნე სა-  
წამლავე უებარი რათა უმალ განვევლ-  
ტო ამა ქვეყანას. სასსალა იგი აღმოხ-  
დილი გველთა ნესტრიდან მიჯობს მი-  
ვილო ხელთაგან თქვენთა, რომელმაც  
ნათელი მზისა დამიბნელა და სამოთხე  
ამქვეყნიური მიქცია ჯოჯოხეთად. სა-  
წამლავს მას მივიღებ როგორც უკანას-  
კნელ ამბორს. ჭეშმარიტად თქმულა,  
რომ საგზალი ცოდვილისა სიკვდილი  
არს, ხოლო ნიჭი ღვთისა ცხოვრება  
საუტუნო. ვევედროთ უფალს..." ბარა-  
თი დაუმთავრებელი იყო და აქ წყდე-  
ბოდა.

— ვევედროთ უფალს! — გადაისანა  
პირველარი ანამ და მერე ჩურჩულით  
ოდნავ გასაგონად თავისთვის ჩაილა-  
პარაკა:—განა ამ ბარათზე უფრო მწა-  
რე საწამლავე კიდევ არსებობს?



მთელ ქალაქს კათალიკოსის მანდა-  
ტურები მოედვენ და ყოველ მოსახ-  
ლეს წიგნებს უსინჯავენ. სადაც კი  
თვალს მოჰკრავდნენ ლექსებს ან საე-  
რო შინაარსის წიგნებს, ყველას ართ-  
მევდნენ და კათალიკოსის სამსჯავროში  
მიჰქონდათ. მოქალაქენი ჭირვეულობ-  
დნენ, უარზე იდგნენ წიგნებს არ ანე-  
ბებდნენ და ქალაქში ერთი ალიაქოთი  
ასტყდა. მანდატურნი მარტო ქართ-  
ველთა ოჯახებში დადიოდნენ, არც  
სომხებს, არც თათრებს, არც ებრაე-  
ლებს არ ეკარებოდნენ და ამიტომ ზო-  
გიერთი თაღამი მოქალაქე, რომელსაც  
კათალიკოსის წყევლის არ ეშინოდა,  
წიგნებს უტხო ტომის ოჯახში მიარბე-  
ნიებდა დასამალავად.

— ვაჰ, ეს რა ამბავია, მეორედ  
მოსვლა? — გოცებით უკრძალავდნენ  
გრძელწვერა ხელოსნებს და მსტატე-  
ბი.

— გაიგეთ, ხალხო იასე მწიგნობარი  
შეუპყრიათ და კათალიკოსის დილეგ-  
ში ჩაუტვლიათ.

— ეგ რაა, იმისი წიგნები—მთელი  
დღე ეზიდებოდნენ თურმე—სულ  
მტკვარში გადაუყრიათ.

— ბესიციე ხომ იზისთვის შეუპყ-  
რიათ, სააშიკო ლექსებს რადა სწერო.

— ეა, მაშ მღვდელი ხომ არ იყო,  
ლოცვები ეწერნა. ეგ რა მიუქარავთ!  
განა რუსთაველი თითონ არა ბრძანებს:  
მესამე ლექსი კარგი არს სანადიმოდ  
სამღერელად. სააშიკოდ, სალალბოდ,  
ამხანაგთა სათრეველად!

— შენც იტყვი რაღა, რუსთაველი  
ბრძანებს, მაგრამ თვით რუსთაველს რა  
დღეს აყრიან ხედავ? აგროვებენ რაც  
ეახტანვ მეფის სტამბაში ზისი წიგნი  
დაუბეჭდავთ და მტკვარში ჰყრიან.

— ჩემი ცოცხალი თავით არ დაეა-  
ნებებ.

— ისეთ დღეს დაგაყრიან, სულ  
ბოლი აგდიოდეს, კათალიკოსის ბრძა-  
ნებას წაუხვალ? ეკლესიაში აღარ შე-  
გირშვებენ.

— ნუ შემიშვებენ. ჭულთ რომ შე-  
მივდონ, შევალ? არ მინდა არც სიონი  
არც ანჩისხატი. ვანქში შევალ ან კი-  
დევ მისიონთა ტაძარში, მეჩეთში შე-  
ვალ, რა უნდათ ჩემგან?

— ღმერთს ნუ სცოდავ..

— ხალხო, არ ვარგა ასე, ამიღეთ  
ხმა!—დაიძახა კრივის ფალავანმა დარ-  
ჩია ფეიქარმა.—წამოღით მეფესთან  
მივიდეთ, ერთი სიტყვა გვიბრძანოს.  
ვაჰ, თურქობაა და ყაენობა? გვითხრას  
რაღა!

დარჩიამ ერთხელ დარაზმა ასე მო-  
ქალაქენი. მთელი ქალაქი აიყოლია და  
სასახლის მოედანზე მიიყვანა. ზაშინ

საქმე ახალ საგადსახადო დებულებას შეეხებოდა და ერთი დაძახება გახდა საჭირო, რომ მთელ ქალაქს მოეყარა თავი. დარჩიას ახლაც ასე ეგონა თუ მოხდებოდა, მაგრამ მოტყუვდა. გარეგნულად, მართალია, ყველა ეთანხმებოდა, ეს რა უსამართლობა ხდებოდა, მაგრამ ადვილიდან ფეხს არავენ იცვლიდა. მართო სამი თუ ოთხი კაცი მოაგროვებდა და ისინიც მალე შემოეცალენ—თავი დაგვანებე, შარის თავი ჩვენ არა გვაქვსო. გამწარებით გადაიქნია თავი და გულდაწყვეტილი ბაგრატას სამიციტროში წავიდა, რომ ჯავრიან გულზე ღვინით გაბრუებულიყო.

კათალიკოსის მანდატურები კი კვლავ დათარეშობდნენ ქალაქში და წიგნებს აგროვებდნენ. ზოგი მათგანი ისე გათამამდა, რომ დიდებულთა ოჯახებშიაც კი გაბედა შესვლა, თუმცა უშედეგოდ. დიდებულებმა გათავებებულ მანდატურები კინწისკერით გამოორეკეს თავიანთ სახლებიდან.

მალე სიონის ეზოში უკვე მთელი გორა წიგნები დაახვედეს. სტამბის წიგნების გარდა, რომელთა შორის მართო ვახტანგ მეფის მიერ დაბეჭდილი რვაასი ცალი „ვეფხისტყაოსანი“ იყო, აქ მრავლად ეყარა ძველი ქართული არაბული და სპარსული ხელნაწერები. მრავლად იყო აგრეთვე ფრანგული, იტალიური და რუსული წიგნები.

კათალიკოსმა ბრძანა, რომ მთელი ეს გროვა წიგნებისა დაეწვათ. მსახურნი მაშინვე შეუდგნენ ანტონის ბრძანების შესრულებას, მაგრამ ეს არც ისე ადვილი აღმოჩნდა, წიგნები ძალზე ძნელად იწვოდნენ. მთლიანად ცეცხლი არ ედებოდა, საჭირო იყო სათითაოდ დაფურცვლა და ამას ალბათ მთელი თვე დასჭირდებოდა. მაშინ კათალიკოსმა საქმის გასაადვილებლად ბრძანა, რომ წიგნები მტკვარში გადაეყარათ. ზორჩილებმა მოისურვეს

ზოგიერთი წიგნებისათვის ოქროთი მოვარაყებელი ყდები მარცხენა-ჯით, მაგრამ ანტონმა ამცხვამის უფლება მისცა.

— დაწყველილი წიგნის ყდაც კი წყველია. არავენ გაბედოს მათი შენახვა—ბრძანა ანტონმა და თავის პალატებს მიამურა.

სასახლის კარის ხუცესი ლუკა, განთქმული თავისი ოხუნჯობით და მოსწრებული სიტყვა-პასუხით სხვებთან ერთად აწყობდა წიგნებს ხურჯინებში, რომელნიც ზორჩილებს ხიდზე მიჰქონდათ და იქ პირდაპირ სელიდნენ მტკვარში. ლუკა ყოველ წიგნს, სანამ ხურჯინში ჩადებდა, გულდასმით სინჯავდა და თან სხვების გასაგონად ბუტბუტებდა:

— წიგნი ლათინთა, რომლის წაკითხვა მე არ ძალმიძს, შთავარდეს ჯოჯოხეთსა.

— წიგნი კვლავ ლათინთა, ან იქნებ რუსთა ან ფრანგთა, ღმერთმა უწყის რა ბიწიერებას დალაღებს იგი, ანუ რაოდენ სამეძაო საქმეთა აღგვიწერს იგი. შთავარდეს გეენასა მას...

— წიგნი უსჯულო სპარსთა, ანუ არაბთა, ანუ თურქთა კვლავ რომელთა წარკითხვა არ ძალმიძს მე უმეცარსა, მიეცეს ცეცხლსა, ანუ შთავარდეს მტკვარსა. წიგნი ქართული, წოდებული შაჰ-ნამე, აღწერს ამბავთა სპარსთა, შთავარდეს მტკვარსა.

— წიგნი კვლავ ქართული, წოდებული ბარამ გურიანად, შთავარდეს მტკვარსა.

— წიგნი ჰრომის კათოლიკეთა მიერთვას სომეხთ ეპისკოპოსს ფურცელ-ფურცელ დასაწეწ-დასაგლეჯად. (ღსახურებმა ჩაიხითხითეს). კვლავ წიგნი კათოლიკეთა მკრეხელობის მქადაგებელი, შთავარდეს—ჯოჯოხეთსა; ვეფხისტყაოსანი ვახტანგის სტამბაში დაბეჭდილი შთავარდეს ჯოჯოხეთსა (სწრა-

ფად პირვეარი გამოისახა და დასძინა; მეც მასთან ერთად ცოდილი მეც მასთან ერთად, ვინაიდან ჯოჯოხეთი იგი იქცევა სამოთხედ: კვლავ ვეფხის ტყაოსანი, ერთი, ორი, სამი, ოთხი, წიგნი არაბული... არა... დაიცა...

ლუკა დააკვირდა, უსათვალეზოდ კითხვა უქირდა და პატარა ლამაზად ნაწერი წიგნი შორს დაიჭირა, რომ წერილი ასოები ამოეკითხა. წიგნი არაბულ ხელნაწერს ჰგავდა, რადგან ყოველი ფურცელი მთლიანად ოქროთი იყო მოვარაყებული და კიდურები მოხატული ჰქონდა ხვეული ჩუქურთმებით.

— ეპა სოფელო, რაშიგან ხარ, — ამოკითხა გაჭირვებით ლუკამ, — ღმერთო ძლიერო, ესეც ვეფხის ტყაოსანი ყოფილა... თამარის დროისა...

სწრაფად გადაფურცლა და ბოლოში წიგნის გადაწერის თარიღი მოძებნა. ხვეული ასოებით ეწერა: „წიგნი ესე გარდაწერილ არს ეჟმსა დაეთ ნარიინის მეფობისა წელსა ჩსჲე (1245)“.

— ჰაი ღედასა, აბა მაშინ სცოდნიათ ხელოვნება წიგნის წერისა, — ამოიხვრით შეათვალა ლუკამ ხელნაწერი, რომლის მოოქრული ფურცლები მომაჯადოებლად ელავდნენ. — რატომ ახლა აღარ შეგვიძლია ასეთი წიგნების გაკეთება.

— გაკეთებას ვინლა დარდობს, — დასძინა, ერთერთმა წარბშეკრულმა მორჩილმა, რომელსაც ეტყობოდა არ სიამოვნებდა მთელი ეს ამბავი, — რაც დაუწერიათ, იმასაც წყალში ეყრით.

— ჩუმად, ღმერთს ნუ სცოდავ! — შეუტია ლუკამ, მორჩილს და ხელნაწერი ჯიბეში იკრა: — სს, ჩუმად, ფუი ეშმაკს, ვიჯმნი ეშმაკისაგან!

ლუკამ ფაცაფუციო. დაიწყო წიგნების ხურჯინში ჩაყრა. ოდნავ დახედავდა რომელიმე წიგნს და ყველას გასავონად იძახოდა, ფუი ეშმაკს, მომამო-

რეთ ეს ცოდვის წიგნიო. ამ ხეშმარა და მხიარული ბუნების ჩუქცეს-ვეგონა ამ ფუსფუსში და წაჭმულა მთთ-ვალთვალე წმინდა მამებს ზიავიწყდებოთ, ერთი წიგნი ჯიბეში რომ ჩავიდლო.

მოსტყუვდა ლუკა.

ერთმა გარეჯელმა დიაკენამა, რომელიც ოცი წლის განმავლობაში ელოდა მღვდელობას და ახლა ამის გული-სათუის კათალიკოსს ჩადგომოდა მსახურად, შეაძინა, ყოველივე, მაშინვე გაილაღა და კათალიკოსს წასჩურჩულა: ლუკამ რაღაც ცოდვის წიგნი ჩაიჯიბო.

ანტონი დილიდანვე ცუდ გუნებაზე ბრძანდებოდა. მართალია, ქალაქში მანდატურები დაგზავნა და როგორც წმიდა ტაძრის ერთგული მსახური, თითქმის გულშევიდად შეუდგა აკრძალულ წიგნების აღკვეცას, მაგრამ როდესაც ტაძრის ეზოში აუარება წიგნები დაახვეეს მოულოდნელად სინიდიისს ქენჯნა იგრძნო. ლამაზად და იშვიათი გულმოდგინებით ნაწერმა და აკრძალულმა წიგნებმა უნებურად პატივისცემის გრძნობით გაღსკვალეს კათალიკოსი. ანტონმა ისიც კარგად იცოდა, რომ ინკვიზიციის დროს საეკლესიო ყრილობათა დადგენილებით ერეტიკული წიგნების დაწვა დაგმობილი და განკიცხული იყო ისტორიის მიერ. ამიტომ უფრო მწვავედ განიცადა ეს თავისი მოქმედება. მართალია, სულ ცდილობდა გუნებაში ატეხილი სინიდიისს ქენჯნა ეშმასათვის დაებრალებინა და ლოცვით გადაეჭარებინა, მაგრამ თავი ზინც ვერ დაიმშვიდა. ამ გაბოროტების გრძნობას კიდევ ის უასკეცებდა, რომ ახლა შეუძლებელი იყო შეცდომის გამოსწორება. მოგროვილი წიგნები აუცილებლად უნდა დაეწვათ, ან წყალში გადაეყარათ. ანტონს აღარ შეეძლო თავისი დადგენილება შეეც-

ვალა. კრიკაშეკრული ახლა პირიქით ცდილობდა, რაც შეიძლება ადრე დაემთავრებინა დაწყებული საქმე და მსახურთ ამისთვის უბრძანა წიკნები წყალში გადაეყარათ. ანტონს უკვე მათი არსებობა აღარ აღევდა მოსვენებას და ამიტომ, როდესაც მორჩილმა მოახსენა, ლუკამ რალაც წიგნი ჩაიჯობაო, მაშინვე გაიჭრა ეზოში და საქმით ვართულ ხუცესს ჯაერთან კვლზე კვერთხი უთავაზა თავში.

— ამოიღე ჯიბიდან, რა წიგნიც ჩავიდექს!—უბრძანა მან მღვდელს.

დაფეთებულ ლუკას სიჩქარისაგან ანაფორის გრძელ ჯიბეში ხელი გაეხლართა და კარგა ხანს ეწვალა, სანამ წიგნს ამოიღებდა. თან შეშინებული უცქეროდა კათალიკოსს, მეორედ არ მრეხვის ჯობი თავშიო.

— პაი, შე ცოდვების გუდავ, ეს რა არის?—გამოვლოჯა ხელიდან წიგნი ანტონმა და გადაშალა: ლექსნი თქმულნი ბესიკისაგან. ღმერთო, შენ მიხსენ ყოველთა ცოდვათაგან. კიდევ რა წიგნი ჩავიდექს ჯიბეში?

ლუკა იძულებული იყო ისევ ჩაეყო ჯიბეში ხელი და ანტონს მეორე წიგნი გაუწოდა.

— ეს რაღაა? რუსთაველის ვეფხის ტყაოსანი, ოქროს ფურცლებზე ნაწერი. ოქრომ დაგაბრძანა?

— არა, თქვენი უწმინდესობავ, ეგ წიგნი ძველთაძველია და გამოაცა ძველებური წიგნების წერის ხელოვნებამ. იმისთვის ჩავიდე ჯიბეში.

— დავითნი უნდა გეპყრას ხელთ, ეამნი და ლოცვანი უნდა გეპყრას ხელთ და არა ეს ცოდვის წიგნები. ქეშმარიტად ღირსი ხარ აგხადო ყოველივე ხარისხი, ხელითა ჩემით, გვემულ გყო და სრულიად განგდევნო საყდრისაგან ჩემისა.

— შეშინდე, მზაო! — დაეცა მუხ-

ლებზე ლუკა და ანტონის წინ შუბლით მიწას შეეხო.

— ღმერთს შეევედრე, <sup>საქმის</sup> შეგნდოს შეცოდებანი შენნი. მართალი ყოფილა, რასაც შენს შესახებ მიაბობდნენ. უმჯობესი იქნება, გაგარიდო ქალაქსა და სასახლეს. წალკაში განმიწესებინა ღიაკენად, ხვალვე გაემართე, როგორც წმინდა მამათ შეჰფერით, ფეხშიშველი და საგზლად პურის გარდა ყოველივეს გიკრძალავ.

ანტონმა ორივე წიგნი გროვზე დააგდო და თავის პალატებში გაბრუნდა. ლუკა კი კარგახანს იყო დამხოზილი და გონს ვერ მოსულიყო. წალკაში სასიკვდილოდ განწირულებს გზავნიდნენ და ამ კუთხის უდაბნო მიდამო თავგანწირულ ბერებსაც კი შიშის ზარსა ჰკერიდა. მართალია, იქ დიდი ტაძარიც იყო და ეპისკოპოზიც იჯდა, რომელიც თრიალეთის სამწყსოს განაგებდა, მაგრამ წერილი შევილების პატრონი ლუკასათვის ეს განაჩენი თავზარდამცემი იყო. სასახლის კარზე მღვდელობაში შილებული ჯამაგირითაც ძლივს ინახავდა ცოლშვილს და აბა წალკაში, ისიც დიაკვნის თანამდებობაზე, რა უნდა მიელო იმდენი.

— ღმერთო დიდებულო, — აღო მალდა თავი ლუკამ და მიმოიხედა, — ვის შეეავდრო თავი ჩემი?

ლუკამ იცოდა, რომ მეფისთვის კიდევაც რომ შეეშრათა, არაფერი არ გამოვიდოდა, ერეკლე კათალიკოსის საქმეებში არ ჩაერეოდა. კიდევაც რომ დახმარებოდა ორ-სამ დღეზე ადრე ვერ მოახერხებდა ლუკა მეფის ნახვას, ხოლო კათალიკოსის ბრძანებით ის ხვალვე უნდა გადგომოდა გზას წალკისაკენ.

გადასწყვიტა ლეონისათვის მიემართა და მაშინვე გაეშურა სასახლისაკენ. ერთის ოხვრა-კენესით აიარა კიბეები და ლეონი მოძებნა.

— მიშველე, ბატონიშვილო, — ჩაუვარდა მუხლებში ლუკა, — მიხსენ გაჭირებებისაგან.

— რა მოხდა, ჩემო ლუკა. შინაურ მღვდელს შენდობა ვინდა მოგიბოვო? — ღიმილით ჰკითხა ლეონმა.

— კათალიკოსმა ექსორია მყო.

— რისთვის?

— ბესიკის ლექსების წიგნი ჩავიდე რაღაც უბედურად ჯიბეში.

— ბესიკის? — წარბები შექმუნდა ლეონმა. — მერე?

— ეს სამეძაო წიგნიაო და...

— ბესიკის? — გაიმეორა ლეონმა. ის უკვე აღარ უნძმუნდა ლუკას. — ბესიკის... თვით ბესიკი როგორ ვინხსნა არ ვიცი. ბატონს მამაჩემს მგონი მისი სიკვდილით დასჯა გადაუწყვეტია.

\*  
\*  
\*

დღეები, უფერული და მოსაწყენი დღეები ერთმანეთს გადაებნენ. დღეებს ახლა უძილო ღამეებიც მიემატა. ბესიკი თითქოს შტერსაც დაავიწყდა და მოყვარესაც. არავინ არ აკითხავდა. იყო მარტოდმარტო გამომწყვდეული ბნელ საკანში და სიცივისაგან ძაგძაგებდა. დღეში ერთხელ ციხის დარაჯი მოუტანდა ხმელ შოთს და პატარა დოქით წყალს. დოქს კარის ზღორუბლთან დადგამდა, ზედ შოთს დაადებდა და მაშინვე მიხურავდა კარებს. ბესიკის მფარველი გიორგა საღდაც წაიყვანეს ახლა სხვა დარაჯეები მორიგეობდნენ.

სიცივეს და შიშშილს შეუჩვეველი ბესიკი უცბად მოტყუდა. სანთელივით დაიწყო დნობა. პირველად პურს ხელს არ აკარებდა, მაგრამ მალე შიშშილმა თავისი გაიტანა და შოთს ერთ ჯერზე ათავებდა, შემდეგ იჯდა ფეხმორთბმული თივაზე და წყველიდა თავის გაჩენის დღეს. კისერზე ერთხელ თით-

ქოს რაღაცამ უჩხელიტა, ხელი მოისვია, მუწუკი ეგონა, ფრჩხილმ [მისხლდა] და შავი ჯლიბა დაიჭირა. *სამეძაო* სწყებურად მთელი ტანი აეკევა და კინალამ მთლად / შემოიგლიჯა ტანსაცმელი. ფეხზე წაბოჭრა და აწრიალდა. შეშინებული დასცქეროდა თივას, ველარ ბედავდა ზედ წამოწოლას. კარგა ხანს იწრიალა ასე, სანამ დაიღლებოდა ფეხზე დგომით. მერე ისევ მიწვა თივაზე და მწარე ფიქრებს მიეცა. შიშის ზარსა ჰგვრიდა იმის წარმოდგენა, რომ გაივლიდა ალბათ ოცდაათი დღე და კვლავ მოვიდოდნენ მსაჯულნი დასაკითხავად, კვლავ მოიყვანდნენ ავღანელ ჯალათს ჯალილას და დაუწყებდნენ წაშებას.

ან შეიძლება სულაც არ აწამებდნენ და არც კი დაელოდებოდნენ მთელი თვის გასვლას. იქნებ მანამდე მოუღებდნენ ბოლოს, გაიყვანდნენ კლდის ქიმზე, ჰკრავდნენ ხელს და მტკვარში გადააგდებდნენ. ეს ხომ ყველაზე დიდი ბედნიერება იქნებოდა ბესიკისათვის. ასცდებოდა საშინელ ტანჯვა-წამებას, რომელიც აუცილებლად მოელოდა ერთი თვის შემდეგ.

ყოველ ღამეს ასეთი მოლოდინით ათენებდა ბესიკი. შეეჩვია მისი დაძაბული ყურთასმენა ღამის ყოველგვარ ხმაურს, მტკვარის დუღუნს, შორეული თარის ხმებს, მამლების ყვილს, გარიყრაქზე ყვავების ყრანტალს, ძაღლების ყეფა-ღავდავს, ეკლესიის ზარების რეკვას და მუეძინის გაბმულ ყვირილს, ის მუდამ ელოდა, რომ გაიგონებდა ფეხის ხმას, მაგრამ დღე და ღამე ერთმანეთს მისდევდა და არავინ არ ჩანდა.

„ყველამ დამივიწყა, — იმეორებდა გუნებაში მწარე ფიქრებში წასული ბესიკი, — თვით ლეონზაც კი დამივიწყა. აღარავის აღარ ვახსოვარ. მგონი სიკვდილსაც დავავიწყდი, ნუთუ ანას არ“

მიუღია ჩემი ბარათი, იქნებ მან მაინც ზოილოს მოწყალება და გამომიგზავნოს ის უბნარი წამალი, რომელიც უცბად მოუღებს ბოლოს ჩემს ყოველგვარ წაებას“.

„ამაოება ამათა და ყოველივე ამო“, სთქვა ეკლესიასტე“.

„ნათესავი წავალს და ნათესავი მოვალს“...

მოულოდნელად კარი ახრავუნდა, გაიღო და საკანში ლეონი შემოვიდა.

— გამარჯვება, ხეკაქუნავ!

ბესიკი ფეხზე წამოიჭრა და მოულოდნელობისაგან დაბნეული ერთ ადგილზე გაშეშდა. მისალმებაც კი ვეღარ მოახერხა.

— როგორა ხარ, მუტრიბო? — ლეონმა მოიხედა. თავის მსლებლებს ხელით ანიშნა მოშორებით მდგარიყვენენ, კარი მოხურა და ისევ ბესიკს მოუბრუნდა.— როგორა ხარ? მორჩილად მოელი აღსასრულს? ყური მიგდე, შენი საქმე ცუდადაა. ანიკო დღედაღამ მოსვენებას არ მაძლევდა—ბესიკი იხსენიო. შენ ხომ იცი მაძიჩემის ამბავი, დანაშაულს არავის არ აპატიებს...

— ნეტავ ვიცოდე რა დანაშაული მიმიძღვის?

— ჩუმად, სულელო. ახლა ყოველივე გამოირკვა. ჩამოგითვალო? ცხინვალთან ტოტლებენს...

— აჰა, ღმერთო, მე ხომ..

— დაიცა ახლა. მე შენი თავისმართლება არა მჭირდება. რად არ მოახსენებ ბატონს ტოტლებენმა წერილი მოსწერა ახალციხის ფაშასო. დამნაშავე ხარ თუ არა? მორჩა. ეს ერთი. თბილისიდან რომ მიდიოდი, ალექსანდრე ამილახვარს შეგვედრიხარ. მართალია, მაშინ ყველას თავგზა აებნა, მაგრამ ვანა ძნელი იყო ისაული მოგენახა და ამილახვარი შეგვეპყრა? ვიცი, იტყვი— ეს რა საკადრისია ბეჩავი კაცი დავა-  
2. მნათობი, № 12.

ბეზლო და შევპყრობინო, მართალი ხარ, შენს ადვილას მეც მხოვეცეოდი, მაგრამ დანაშაულს ვაგებდი. ეს ორი. სპარსეთში რომ იყავ, იქ ბატონიშვილ ალექსანდრე ბაქარისძეს ერთგულებას ეფიცებოდი. ვიცი, ახლა იმასაც იტყვი, ის თქვენი სახლისკაცია, ბიძაშვილია, მაშ როგორ მოვექვეულოყავო... მაინც ესეც დანაშაულია. ეს სამი. კიდევ ვითხრა? მგონი ესეც საკმარისია, რომ თავი მოგვევითონ. აგრეც მოხდებოდა, რომ შენს მფარველს ლეონს არ ეზრუნა შენთვის. ყური მიგდე, მე ცხადად ვერ გაგათავისუფლებ, მაგრამ გაგაპარებ, შენ ვერც თბილისში და ვერც საერთოდ ქალაქში ვეღარ იცხოვრებ— ლეონს არ უთქვამს ბესიკისათვის, რომ ერეკლეს დასტურით უნდა გაებარებინა იგი თბილისიდან.

— მე სიყვდილით დასჯას ვირჩევ.

— დაიცა, სულელო. იმერეთს უნდა წახვიდე და იქ მე დაშელოლო. შენ ხომ ოცნებობდი ამერ-იმერის გაერთიანებაზე. სოლომონს აქამდე მოუღებდა მამაჩემი ბოლოს, მაგრამ თურქეთის გადაშტერება აღარ უნდა. საქმე ისე უნდა გავაკეთოთ, რომ არც თურქეთი გადავიშტეროთ და არც რუსეთი. იმერეთის ტახტზე შენი საყვარელი ლეონი დაჯდება და ეს ხომ მართლაც გაერთიანება იქნება ამერ-იმერისა. ხომ ხედავ, ბედს როგორ მიეყვარო. ჯერ ქართლი და კახეთი გაერთიანდა, პაპაჩემისა და მაძიჩემის ლეაწლით, თუმცა ვითომ ცალცალკე სამეფონი იყვნენ. ახლა ამერ-იმერი ერთიანდება.

ბესიკმა უცბად ძალღონის მოზღვავება იგრძნო და ახლა ის აღფრთოვანებული უცქეროდა ბატონიშვილს. მას ისიც კის დაეძინებოდა რომ სატურსლოში იჯდა და ჯერ კიდევ არაზღბნივე წუ-

123917  
2321

ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თის წინათ თავის ბედისწერას წყევლიდა.

— იმერეთს ახლავე უნდა წავიდე? — ჰკითხა ბესიკმა ლეონს.

— ახლავე არა. დაახლოებით ერთი თვის შემდეგ, როდესაც შენი საქმე და თითონ შენც ყველას მიაღწევდები. კაცი მოვა და ვაგაპარებს. ოღონდაც იცოდე, არცერთი დარაჯი ვაფრთხილებული არ იქნება და თუ თვალი მოგლანდეს ან, ქალაქში შეგნიშნეს, გესვრიან. ასე რომ — ძალზე ფრთხილად მოიქეც. ჩვენც ვაფიგებთ თუ არა, შენს გაქცევას, განგაშს ავტენტ, მღვერებს დაგადევნებთ და იმერეთში ჩვენს დესპანს დავავალებთ — სოლომონს სთხოვოს, შენ შეგიპყრას და უკანვე დაგაბრუნოს. ნუ გეშინია, სოლომონი არა თუ შეგიპყრობს, არამედ დიდი პატივით მიგიღებს, ისე, როგორც ჩვენ მისგან გამოქცეული გოგია აბაშიძე მივიღეთ, მაშინვე თანამდებობას ვიბოძებს და შინაურ კაცად ვაგიხდის. მისი გულის მესაიდუმლოე უნდა ვახდე, ჩვენზე რამდენიც გინდოდეს, სჭორე, მხოლოდ არ დავაფიწყდეს, რომ იქ იმერეთში შენ უჩინარი ლეონი ხარ.

— შესმის ყოველივე.

— ჩემთან კავშირს ფრანგი მისიონერის ფრანჩესკეს მეშვეობით დაიჭერ და, გარდა ამისა, შიკრიკად ქუთაისელი ვაჭარი სომეხი გარეგინა გეყოლებო. ის ხშირად მიდიმოდის, აქედან ქრელი ჩითები და სხვა რამ საქონელი მიაქვს. ეგ არის, სხვა რაღა ვითხრა?

— მეტი არაფერი. ყოველივე ცხადია ჩემთვის.

— მაშ ასე. მშვიდობით, ჩემო ბესიკ, იქნებ ბედმა კვლავ ერთად შეგყაროს და მაშინ ღმერთს მადლობას შეგწირავთ, მაგრამ იქნებ ორთავე ისე ჩავიდეთ სამარეში, ერთმანეთი ვეღარც კი ვნახათ. არაუშავს რა. ასეც

რომ მოხდეს, ეს მაინც ჩაგვეყება/ნუგეშად საფლავში, რეჟიონარული, შენცა და მეც ერთგულად ვაღწევთ ჩვენი ქვეყნის აღსადგენად.

— მშვიდობით ბატონიშვილო! — დაიჩოქა ბესიკმა და ლეონს მუხლზე ემთხვია. — შენმა სიტყვებმა მე მკვდრეთით აღმადგინეს. მართალია, ჩემი თბილისის საშუალოდ განზორებას სიკვდილი მიჩვენიან და როდესაც თვალწინ წარმომიდგება, რომ მე ვერასოდეს ვერ ვინახულე ამ ქალაქს, მეფეთა და დიდებულთა სასახლეებს, სადაც შინაურ კაცად ვიყავე მიღებული, ვეღარ ვიხილავ ამ ლურჯ ცას და ტურფა წალკოტებს, ვეღარ მოვისმენ ბულბულთა სტვენა-გალობას და ვერ ვიგრძნობ ვარდ-ყვავილთა საამო სურნელებას, სადა უნდა ვიყო, რომ თავი ცოცხლად ვიგულო. ერთადერთ იმედად, მანათობელ ვარსკვლავად შენ მეყოლები. ეგ რეა, თუ ჩვენ ბედიღგან მოწოდებული ვართ ქვეყნის მსახურად, მრავალ გაჭირვებასაც უნდა გავუძლოთ.

ბესიკი ადგა, თვალზე უნებურად მომღვარი ცრემლი მოიწურა და განაგრძო:

— შემინდე, ბატონიშვილო, ყოველივე. ცხოვრების სარბიელზე მე შენსავით მუხლმავარი ვერ გამოვდექ და მრავალჯერ წავიბოძიე, მაგრამ ღმერთმა ხომ უწყის გულწრფელად ერთგული ვიყავე ჩვენი მეფის და ჩვენი დიდებული ქვეყნისა. ჩემს გულს არაოდეს არ გაჰკარებია ანგარება და არც არაოდეს არ ვყოფილვარ დიდებისა და პატივმოყვარეობის მოტრფილვე. ჩემთვის ერთი ხელი ტანსაცმელი, ერთი ხელადა ღვინო და საწერკალამი საკმარისი იყო, რომ ასევე ვყოფილიყავ სიმდიდრით, ნეტარებით და ბედნიერებით, არც არასოდეს ღლირსებია ამაზე ბევრად მეტო, ხოლო სიმწარე კვლავ მეტიც მინახავს, მაგრამ რა ვქნათ. თუ კი ქრისტე ღმერთ-

თმა აღამიანთა მოღვმისათვის მძიმე ჯვარი საკუთარი ზურგით გოლგოთაზე აზიდა და ამ ჯვარზე მიღურსმულ იქნა, ხოლო ჯიღლოდ თავზე ეკლის ვვირგვინი მიიღო, მე როგორ გავკადნიერდები სამღურავი მოვახსენო ბედს, რომელმაც ქვეყნის საკეთილდღეოდ მებრძოლ რაინდთა გვერდით დამაყენა და ასეთი ტანჯული ცხოვრება განმიკლუთენა. მშვიდობით, ჩემო ბატონი-შვილო!

— მშვიდობით, ჩემო ბესიკ, ვეცადნეთ კვლავ ჩქარა ვნახოთ ერთმანეთი.

— ამინ!

ლეონი წაეიდა. მარტოდდარჩენილი ბესიკი კი ფიქრებს მიეცა და სულ დაავიწყდა, რომ საპარობილში იმყოფებოდა. მას ანლა თვალწინ წარმოუდგა, როგორ გაიპარებოდა ციხიდან, მოეულებოდა ცხენს და გაჰქუსლავდა იმერეთისაკენ თვალწინ წარმოუდგა ის მძიმე და ძნელი გზა, რომელიც მას უნდა გაეკლო, სანამ დასახულ მიზანს მიაღწევდა და ასეთი ფიქრებით შეპყრობილს არც კი უფრძენია, როგორ გაილია დღე. გაირბენდა ოცნებით ბოლომდე თავის ცხოვრების გზას და ახლა ისევ თავიდან დაიწყებდა ოცნებას, მხოლოდ ყოველი განმეორების შემდეგ თავის თავგადასავალს აუზჯობებსებდა. ციხიდან ახლა ის მთელი ამალით გარშემორტყმული მიიპარებოდა, ქალაქში ის მთელი ერთი თვე ფარულად ცხოვრობდა, სადაც მასთან რიგრიგობით მოდიოდნენ გამოსათხოვებლად ვარდნი, წარვიზნი და იანი. ალაბრემის შეუღლე გულნარა მას ოქროებით სავსე ქისებს უწყობდა ჯიბეში, ანა ორას შეიარაღებულ მეთამარს უწყობლობებდა ამაღად, ანიკო თავადობის სიგელს უწერდა და მთელ საერისთაოს პირლებოდა, ხოლო ვაჟურად გადაცული მათა, მასთან ერთად აპირებდა ვაპარებას. ქალაქიდანაც თავისებურად

მიიპარებოდა. უამრავი ამალით გარშემორტყმული. ის ალაყაფენ ქარში ალარ გადიოდა, არამედ პირდაპირ გადაევლებოდა თავისი ბედღურით ქალაქის გაღავანს და გაუყვებოდა იმერეთისაკენ. სოლომონ მეფე ლიხთან ეგებებოდა ბესიკს...

დღეები ერთმანეთს ზისდევდნენ და ბესიკიც ისე შეეჩვია თავის ოცნებებს, კიდევაც გადაავიწყდა, რომ მართლა უნდა გაპარულიყო. ამიტომ შობა ღამით, როდესაც კოშკის სხვენიდან ხმაური მოესმა და მალე თოკზე დაკიდული ვიღაც დაეშვა მასთან, გაოცებული წამოიჭრა ფეხზე.

— ბესიკ! — მოესმა ჩურჩულით დაძახილი.

— შენ ვინა ხარ? — ჰკითხა ასეთივე ჩურჩულით ლანდს ბესიკმა.

— გოგია ფატრელი ვარ, ხომ არ შეგეშინდა, აბა, შენ გენაცვალე, მარჯველი იყავი. თოკს შეგიძლია აყვე?

— არ ვიცი. ვცადოთ. აქ როგორ შემოიპარე?

— ვიჩქაროთ ჩემო ბესიკ. ბევრი ლაპარაკის დრო არა გვაქვს. სანამ კოშკის დარაჯები ეკლესიაში არიან, მანამდე უნდა მოვასწროთ.

ბესიკმა სცადა თოკს აპყლოდა, ტანი ვერ აიზიდა, გოგია ზიეშველა, ბავშვივით აიტაცა და მხრებზე შეიღდა. ბესიკი მისწვდა სხვენს, რის ვაივაგლახით ხერელში აძვრა და თავისუფლად ამოისუნთქა. თავზე ვარსკვლავებით მოქედილი ცა დაჰყურებდა. ოდნავ ჰყინავდა:

— დაწევი, რა ფეხზე დამდგარხარ? — ჩურჩულითვე შესძახა გოგია ბესიკს, როგორც კი ზერელიდან თავი ამოჰყო. — გინდა ნიშანში ამოგიღონ?

გოგიამ ფრთხილად გადაიხედა ციხის ეზოში, შემდეგ ბესიკს ანიშნა კოშკის ქონგურზე გამობმულ თოკს

ჩაყოლოდა, რომელიც მტკვრისკენ ეშვებოდა. ბესიკი ქონგურებს შორის გაძვრა, თოქს ხელი მოჰკიდა და ქალაქს გადახედა. ფანჯრები ყველგან განათებული იყო და მთელი ქალაქი გაჩირადნებულს ჰგავდა. აქა-იქ ისმოდა საწანაღარის ხმები. ქალაქის ბნელ ქუჩებში ხანდახან გაღონდებოდა ჩირაღდნით, ან ფარნით მოსიარულე. ნარიყალის აღმართზე მთელი მარაქა მიემართებოდა ხელში ჩირაღდნებით. ხიდის თავში ყარაულებს კოცონი დაენთათ.

ბესიკმა უცბად იგრძნო თავბრუდამხვევი სიმაღლე და ოდნავ ხელფეხი აუჯანკალდა, გული გაიმხნევა, თამამად მოკიდა ხელი თოქს და სივრცეში მოსხლეტით ჩაეკიდა. იდაყვები გადაეხეხა, მუხლი ლაბ ქეას მიარტყა, ხოლო ხელეხში ისეთი მწვავე ტკივილი იგრძნო, რომ შეეშინდა, ვაი თუ თავი ველარ შევიმაგრრო. სწრაფად დაიწყო დაშვება. ფეხი სადღაც კლდეს დაეხვიანა და ბესიკმა შვებით მოითქვა სული, შეისვენა, ქვემოთ გადაიხედა. სადღაც ჯურღმულში შხუოდა მტკვარი, ისევ დაიწყო დაშვება.

მოულოდნელად ციხის ეზოდან ყვირილი ჰოისმა და ზედიზედ ორჯერ დაიქუხა დამბაჩამ. თითქმის იმავე წუთს გოგია ფატრელი სწრაფად ჩამოსრილადა თოქზე და ბესიკს თითქმის თავზე დააჯდა.

— ჩქარა! — დაძახა მან ბესიკს.

ბესიკმა უნებურად მოასუსტა თითები და საოცარი სისწრაფით დასრილადა ქვემოთ, ხელები თითქოს ცხელი შანთისთვის წაეველოს, ისე დასწვა და გადაუტყავა თოქმა. მოსხლეტით დაასკდა თბილელის ქვაბის წინა ბილიკს და სანამ გაბრუებული და ტკივილისაგან ღონემიხილი გრძნობაზე მოვიდოდა, გოგია უკვე მხარებში ეზიდებოდა.

— ადე, ბესიკ, ჩქარა, თორემ დავილუბეთ.

კიდევ დაიქუხეს ზემოდან დამბაჩებმა და სიბ ქვაზე ასხლეტადა ტყეციბმა უცნაურად იწივლეს. გოგიამ წამოაყენა ბესიკი და ისე დაურიდებლად დაეშვა კლდეზე, რომ თითქოს მოწყვეტილი ჩაეარდა სიბნელეში. ბესიკი უნებურად მიჰყვა, დაცურდა, სადღაც ამობურცული ლიბი გულმოსულად დაეტაკა მკერდში, სადღაც ბასრმა კლდის ქაცვებმა მთლად დაუაწრა სახე, მერე თავი სულ ველარ შეიკავა, დაგორდა და ზღართანი მოადინა ცომივით რბილსილაზე. იქვე ყურთან ელურტულებდა წყალი. ბესიკს განძრევა აღარ შეეძლო. ძლივს ასწია თავი. მას არც კი გაუგონია, როგორ ეძახდა გოგია, მას მხოლოდ მტკვრის ყრუ ხმაური ესმოდა, ხიდ ქვეშ რომ ბრუნავდა, ტრიალებდა და დუღდა. ისევ დაუშვა თავი სილაზე და ლოყა წყალში ჩაჰყო. თავით ჩახნექილ სილაში უკვე წყალი ჩამდგაროყო.

— ბესიკ, რა მოგდის, — შეანჯღრია იგი გოგიამ, — ველარ იძერი?

დაავლო ხელი და ბავშვივით აიტაცა. დგაფუნით შევიდა წყალში და ბესიკს წინასწარ მომზადებულ ნავში ჩააგდო. ნავი გადაიხნიჭა და ნახევრად წყალთაივსო. გოგიას უკვე ნავში აღარ შეეძლო ჩაჯდომა. თუ წყალს არ ამოღვრიდა, ორივენი დაილუბებოდნენ. ფაქრის დრო აღარ იყო. ხიდზე უკვე მირბოდნენ ჩუბინები და შაშხანებს იმარჯვებდნენ. გოგია მძლავრად მიაწვა ნავს და მთელი ძალიონით მეორე ნაპირისაკენ გააცურა, თითონაც ნავს ცურვით მიჰყვა. წყალმა ისინი უცბად შეაბრუნა და კლდეს მოაფარა, ერთი წუთის შემდეგ უკვე დაბახანის წყლის შესართავთან იდგნენ. გოგიამ ამოიყვანა ბესიკი ნავიდან, მხარზე შეიგდო და ხიდის ქვეშ გვირაბში შექვრა. გათავისუფლებული ნავი კი ნაპირს მოშორდა, ისევ მდინარის შუაგულში შეცურდა



და მაშინვე ხილიდან მოისმა შაშხა-  
ნების ბათქაბუთქი. გოგიაშ უნებურად  
მოიხედა.

ციხის კოშკზე ჩირაღდნებიანი დარა-  
ჯები ვადმოძღვარიყვენენ და გზას  
უნათებდნენ ერთ მათგანს, რომელიც  
გაქცეულთა თოკით ფრთხილად ეშვე-  
ბოდა დაბლა.

გოგიაშ სიცილის ნაცვლად რაღაც  
თავისებურად მოუმატა ქშენას და ამით  
გამოხატა სიხარულიც და მღევართა  
მიმართ დაცინვაც. მერე მობრუნდა,  
მძიმე ტვირთის მიუხედავად ბილიკი  
მსუბუქად აირბინა და ვიწრო ბნელ  
შუქაში მიიშალა.



როდესაც ბესიკი გრძნობაზე მოვი-  
და, დიანახა, რომ პატარა დაბალქე-  
რიან ოთახში იწვა, რომელსაც ქრაქი  
ანათებდა. თავზე ორი მამაკაცი ადგა.  
ერთი ზათვანი გოგია ფატრელი იყო,  
ხოლო მეორე დოსტაქარი ივანე თურ-  
მანიძე.

— რა მოგივიდა, ბესიკ? — შობ-  
ლიური მზრუნველობით ჰკითხა გო-  
გიაშ, როგორც კი თვალი გაახილა მგო-  
სანში. — არა გრცხვენნიან, ვეკაცი არა  
ხარ!

— სადა ვარ?

— ნუ გეშინიან, სამშვიდობოსა  
ვართ. გტკივა რამე. აი ივანე მოვიყვა-  
ნე, ველარ იცან?

— ივანე?

— ჰო, ჩვენი ივანე.

— აბა ერთი ტანზე გავაძროთ, ვნა-  
ხო როგორაა, — შეაწყვეტინა ორთავეს  
საქმიანად ივანემ და მაშინვე თითონ  
შეუდგა ბესიკის ტანსაცმლის ღილი-  
ლოების შესწას.

— ნუ გეშინია, მოტეხილი არა გაქვს  
რა! — ანუგეშა ბესიკი ივანემ, როდეს-  
საც გულდასმით ვასინჯა და დაათვა-

ლიერა. — მარტო დაქვეყნებულია და  
ეს ხელეები გადაგიღლებს და მარტო  
უშავსრა. ჩემი მალამო ერთ კვირაში  
ყოველგვარ ქრილობას მოგაშუშებს.

სანამ ივანე მალამოს წასცხებდა და  
ქრილობებს არტახებით შეუხევედა,  
გოგიაშ დაწვრილებიო უამბო ბესიკს,  
რაც ზღებოდა ქალაქში.

— ყაენის შემოსევა გეგონება. ჩი-  
რაღდნებით დარბიან და ყოველ კუნ-  
ჭულს სწნრეკავენ. აგრე ამბობენ, ბა-  
ტონს უბრძანებია ას ოქროს ვაჩუქებ,  
ვინც გაქცეულ ბესიკს შეიპყრობსო.  
ბარემ ერთი ხუთმეტი კაცი შეუპყ-  
რიათ, ეუბნებიან ბესიკი ხართო. აბა  
ხუთმეტივე ზომ ბესიკი არ იქნება.  
სულ თავგზა აებნათ. ერთი ბორჩაღე-  
ლი ყურბანა შეუპყრიათ. აი შენ თავს  
იკატუნებ, თორემ სწორედ ისა ხარ და  
არ ამხელო. სანამ გათენდებოდეს, მგო-  
ნია, მღვდლებიც კი დაიჭირონ, გადაც-  
მული ბესიკი იქნებიო.

— შენ როგორ, ვანა თავისუფლად  
დადიხარ ქალაქში? — ჰკითხა ბესიკმა.

— მაშ როგორ, კაცო? ვინ რა იცის,  
რომ ეს საქმე მე მოვაწყვე. პირიქით,  
ყველაზე უფრო მე დავრბოდი და  
ვღრიალებდი, აქეთ ეციო, აქ უნდა  
იყოს, აი იქეთ ეციო, იქ არის მეთქი.  
მააშ! ის ყურბანაც მე დაევიტრე, ზარ-  
თალი თუ გინდა იცოდე.

— ახლა სად ვართ ეს მანც გამაგე-  
ბინე?

— ვანა სულ ერთი არ არის? ვერავინ  
ვერ მოგვაგნებს, მეტი რა გინდა. სეი-  
დაბაღში ვართ.

ივანე წავიდა. გოგიაშ თავისი ხელით  
აქამა ბესიკს საქმელი და ძილინებისა  
უსურვა.

ბესიკს ეგონა, რომ მეორე დღესვე  
ფეხზე ადგებოდა, მაგრამ მოსტყუვდა.  
მეორე დღეს ტკივილებმა უფრო შეა-  
წუხა, ხოლო მესამე დღეს სუნთქვა ისე  
შეეკრა, რომ ძლივს ფეთქავდა. ივანე

დღეში ორჯერ ნახულობდა დაეყვილ ბესიკს და კრილობებს უხვევდა.

მხოლოდ ათი დღის შემდეგ შესძლო ბესიკმა ფეხზე დადგომა. ამ ხნის განმავლობაში გოგია განუყრელად მასთან იყო. ახალი ამბები მოჰქონდა, ქალაქიდან გასაქცევად ამზადებდა. კარგახნის თათბირის შემდეგ საბოლოოდ გადასწყვიტეს თელეთის გზით შორიდან ზოველოთ, კოჯორში ასულიყვენ და იქედან კი უშიშრად გაუდგებოდნენ გზას იმერეთისაკენ. ქალაქში ბესიკის გაქცევის ამბავი უკვე მიჩუმდა და ყველა დარწმუნებული იყო, რომ ის უკვე გასული იყო თბილისიდან. ამიტომ გადაცმულ ბესიკისათვის უკვე ძნელი აღარ იყო შეუძინებლად გაპარვა.

მალე წასვლის დღეც დადგა. დილიდანვე კარგი ამინდი დაიჭირა. წყნარი მზიანი დღე იყო და ოდნავ ჰყინავდა. აბანობიდან ადენილი ორთქლი ოხშივარივით ადიოდა ქალაქს და მალა ატყორცნილ ნარიყალის ციხეს თითქოს ღრუბლებში ახვევდა. ისეოდა ქალაქის ჩვეულებრივი ხმაური. სამკედლოებში ჩაქუჩთა რაკარუკი, ურმების კრიალი, შოლტის ტყლაშუნი, ცხენთა ფეხისხმა და ქვეითად მავალთა ყაყანი.

ბორჩალოელ თათრის სამოსში მორთულმა ბესიკმა უკანასკნელად გადახედა ქალაქს და ცრემლმორეულმა კარის ზღრუბლთან დაიჩოქა.

— ჩემო სამშობლო მიწავ, თუმცა ბევრი მაწამე, ბოლოს მცემე და ისე გამაგდე, მაგრამ მაინც მიყვარხარ!

აკოცა მიწას.

ბერე ფეხზე წამოიჭრა, გრძელბეწვიანი მაღალი ქუდი მოიხადა უამრავ

ეკლესიათა გუმბათებს გახედა და პირჯვარი გადაისახა.

ერთ წუთს მის თვალწინ გაიელვა მთელმა მისმა წარსულმა.

მოაგონდა თვალწარმტაცი მომხიბლავი დედოფალი ანა, მისი აბრეშუმის კაბის შრიალი და ნარნარა ხმა.

მოაგონდა გაბრწყინებული სასახლის დარბაზი, სადაც მისი ხმა ზარით რეკდა, მოაგონდა ახალგაზრდა ტურფა ასულთა ტყრციალი, როდესაც ის მუნასიბად სამიჯნურო და სატრფილო შაირებს მოახსენებდა მათ.

მოაგონდა თავისი მეგობრები; ბატონიშვილი ლეონი, და სარდალი დავითი, რომელთანაც ის საქართველოს განდიდების გეგმებს აწყობდა.

მოაგონდა ყველაფერი ეს და უნებურად მუხლები მოეკვითა, სამუდამოდ დაღუპული იყო მისთვის ყოველივე დაბარბაცდა.

— რა მოგდის, ბესიკ? — შეაშველხელი გოგიაიმ.

— არაფერი, ჩემო გოგიავე. წამიყვანე აქედან!

თაბორის ვალაენის კართან დარაჯებს არც კი შეუხედნიათ ბესიკისათვის. წვერმოზრდილ და თათრულ ქუდ ჩამოფხატულ მგოსნის ცნობა შეუძლებელი იყო. ორთავემ მშვიდად გაიარეს ალაყაფი და გაატარეს ზურჯინებით დატვირთული თავიანთი ცხენები.

ჩუმად გასცდნენ ორთაქალას.

გზიდან კიდევ ერთხელ გამოჩნდა თბილისი. რაც უფრო მაღლა მიიწევდა ბესიკი, მით უფრო თითქოს იზრდებოდა და ფართოვდებოდა ხეობაში ჩაწოლილი ქალაქი, თანდათან ჩამოიშალენ მის გარშემო მთები, შორეული ტრამა-

ლები, ისევ მთები, ხოლო ეს თვალ-  
უწვდენელი ქვეყანა თითქოს შუაზე  
გაეყო ვერცხლისფრად ჩაკლავილ  
მტკვარს.

თბილისი კი კვლავ წარმტაცი იყო  
და მომხიბლავი კლდეთა შორის დუღა-  
ბით ჩაქედლილი ქალაქი, გალავანი რომ  
ვერცხლის ქამარივით შეშოერტყა, უც-  
ნაურად ბოლავდა კერპთაყვანისმცე-  
მელთა საკურთხეველივით, ბოლავდა

და ამ ლურჯსა და ბამბის ფთილებს  
მაგვარ ბოლს მზის ელვად ქაღვიფრ-  
ვილებზე ახვევდა.

აღმართი აილია. ბილიკმა შეენაბა-  
დისკენ გაუხვია და თბილისი ბესიკი-  
სათვის სამუდამოდ ზიფთარა თვალთა-  
გან.

წელი იყო ათასშვიდას სამოცდა  
ჩვიდმეტი, თვე იყო იანვარი.

(შორე წიგნის დასასრული).

გიორგი კაჭახიძე.

## მ რ ი ლ ე ქ ს ი



სოფლად სიკეთედ დამკვიდრებული

ჭადრების ჩრდილი მდინარეს ჰფარავს,  
მოხმურობენ ჩრდილში ტალღები  
და მდინარეზე, წისქვილის დარად,  
დგას ელსადგური ხალხის ნაგები.

მიმოუფანტავს ბოძები სოფლად,  
ყველგან გაუბამს მათეულთა ქსელი,  
დამკვიდრებულა სინათლის შშობლად  
გუგუნნი დღეთა სიმღერის მთქმელი.

ჭერმადალია, და მის მშენებელთ  
ახარებს მისი თვალების ელვა;  
კაცის გულივით გაუჩერებელს  
მოხიბლული ჰყავს ძალ-ღონით ყველა.  
კაცთა სიკეთის მადლად განცდილი  
გაჩენიდანვე არ არის შშეიდი;  
მდინარე მისგან ღონედაცლილი  
სოფლის ბოლომდე ბარბაცით მიდის.

სალამოს ბინდში მწუხრზე შემწყურალი  
დღის ღიმილია იგი ნამდვილი  
და ბრწყინავს, როგორც მზის ნაპერწკალი  
სოფლად გუგუნით ჩამოვარდნილი.



შხხვედრა ბატანა

მიქერის გუგუნით, ახმაურდა ფოლადის ხიდი,  
ფხიზელი თვალით გაუღიმა გუშაგის ქოხმა,  
მიაპყრეს წყლიდან კამეჩებმა თვალები მშვიდი  
და ისევ ერთად, უღარდელად განაგრძეს ცოხნა.

ქვეყნის დოვლათით დატვირთული გუგუნით მიქერის,  
გზადაგზა მამულს გულუხვობით სიხარულს ზოქვენს,  
გაშორდა ჰალებს და ხმაურით მოსტაცა ფიჭვი  
მწვანეში ჩამჯდარ, ჩინარებით დაბინდულ სოფელს.

გზას აედევნენ ალუჩები მწკრივად ჩარგული,  
წამოიშალენ ეზოებში წყნარი ოდები...  
მკრთალად გამოჩნდა ღელის იქით თეთრი სადგური  
შუბლდაფარული ხშირფოთლიან ვერხვის ტოტებით.

გრძნობს მღელვარებას მემანქანე და ღელის იქით  
გულის შუქს ხედავს შეთეთრებულ კედლების ნაცვლად;  
მაღალ ნიშანსევტს ორთქლშავალმა შეკყვირა რიხით,  
სვლა შეანელა და მხლებელი გრიგალი დაცხრა.

ბაქანზე უმაღ, ვით ყაყაჩო ლაღად გაზრდილი,  
წითელი ქუდით გამოვიდა ყმაწვილი ქალი,  
გულს უძგერებდა ჩუმი გრძნობა ტკბილად განცდილი  
და მოგუგუნე მატარებელს მიაპყრო თვალი.

უცებ ასწია ხელი მაღლა ფიჭვის წარმტაცი,  
მოვარდნილ ცეცხლით ლიანდაგმა იგრძნო ტკივილი,  
გადმოიხარა შემანქანე მკვირცხლი ვაჟაკი  
და გამოსტაცა წითელქუდას კვერთხი ღიმილით.

განაგრძო გზა და გააყოლა თვალი გზის კალთებს,  
უკან საცქერად ვერ გაბედა თვალის მოცდენა,  
ქალის თვალების შუქი გაპყვა გულის სინათლედ,  
ქალს კი ვაჟაკის წრფელი ღიმი ღარჩა ოცნებად.

დიდი ხანია მისი ღიმი ფიჭვად დაპყვება...  
ნუთუ ოდესმე გადმოხედავს ვაჟი გულდიდად?!  
ფიჭვი ნუ გაქვსო, გადმოსწყვიელეს მერცხლის ბარტყებმა  
მყუდრო სადგურის თეთრ კედელზე მიკრულ ბუდიდან.

ქონსკანონი გამსახურლი

## ლავით აღმავნებელი

★

ბრილოზია

კარი მორაი\*

XXVI

«Deus le volt»...

„როგორც კი მოაღწია იმ ეამმა, რომლის გამო უფალი ვოველ-  
დღითად აღწევდა მორწმუნეთა, განსაკუთრებით საბარებაში.  
სადაც იტყოდა: „ვისაც სწავდა ჩემს შემდგომად მოსვლა, უარ-  
პყოს მან თავი თვისი, და აღილოს ჯვარი და თან მომყვეს მე“,  
აგრეც მოხდა და გალთა საუფლოში შეიქმნა ძერა დიდი, ასე  
რომ ყველა, ვისაც სპეტაკი ჰქონდა სული, ვისაც წრფელად ეწა-  
და უფლის ნაკვალევს მიჰყოლოდა და სურდა ერთგულად ეტ-  
რებინა ჯვარი მის შემდგომად, არ აყოვნებდა დასდგომოდა წმინ-  
და საფლავისაკენ მიმავალ გზას“.

### Gesta Francorum et aliorum Hierosolimitanorum.

სელჯუქიანთა დიდი სასულტანო  
შინააშლილობას განიცდიდა, მიუხე-  
დავად ამისა, წინა აზიაში თურქებს  
არაფინ ჰყავდა მოქიშპე. ბოსფორის  
გადაღმა, მცირე აზიის ნაპირზე ოდეს-  
დაც დიდი იმპერიის მცირე ნაშთი კი-  
დეც იყო დარჩენილი ალექსი კომნენ-  
ნის ხელში, სახელდობრ ბითინია.

ერთ მშვენიერ დღეს, თურქებმა  
დაუბრკოლებლად გადმოლაბეს მდი-  
ნარე ზაუგარი და ააოხრეს ნიკომე-  
დია.

ალექსი კომნენი ბალკანეთში ატე-  
ხილ აჯანყების ჩასაჭირობად იყო წა-

სული. მიბრუნდა ნიკომედიაში და გა-  
ნიზრახა ნიკომედიის ციხის გარშემო  
შემოვლებული ბოსქინები და მგლის  
ორმოები შეეკეთებინა და ჯებირები  
გაემაგრებინა.

სწორედ ამ ხანებში შეიქმნა დასავ-  
ლეთში „ძერა დიდი“ თურქების გულ-  
მხეცობის დასაოკებლად. ალექსი  
კომნენის მრავალგზისმა ეპისტოლეებ-  
მა, რომელთაც იგი უგზავნიდა ხოლმე  
რომის პაპს, საფრანგეთის, გერმანიის  
და ინგლისის მეფეებს, მთავრებსა  
და ჰერცოგებს, ერთგვარი ნაყოფი  
გამოიღეს.

ევროპის პაპები, ეპისკოპოსები,  
აბატები და მისიონერები წარამარა

\* ი. თურ. „მნათობი“ № 9, 17.

ახსენებდნენ თავიანთ ქადაგებებში მართლმორწმუნე კათოლიკეებს, საქრისტიანოს განსაცდელი მოელის თურქებისაგან, სელჯუქიანებმა იერუსალიმი ააოხრეს და „თორმეტი ლეგიონი ანგელოსებისა რომ არ იცავდნენ ქრისტეს სამარხს“, მასაც შეაგინებენო თურქნი.

ჯერ კიდევ ბიზანტიის იმპერატორის კონსტანტინე დიდის დროიდან იერუსალიმი იყო ქრისტიანთა ოცნების სამყარო. მეშვიდე საუკუნეში სპარსეთის მეფემ ხოსრომ აიღო იერუსალიმი და ებრაელების დახმარებით გასწყვიტა ქრისტიანული მოსახლეობა. ირანელებმა სისხლის აბანოდ აქციეს იერუსალიმი, ხატები და ჯვრები ფეხებით დათელეს, უწყალოდ გაეღიტეს მოხეტენი და ყრმანი.

მერმე ის იყო, იმპერატორმა ჰერაკლიუსმა აიღო იერუსალიმი, მხარზე გაიღო უზარმაზარი ხის ჯვარი და გოლგოთაზე აიტანა საესებით ფეხშიშველმა.

არაბთა ხალიფამ ომარმა, გადასწვა იერუსალიმი, ზოგზოგი ეკლესიები მიწგითებად აქცია, მაგრამ მისი მემკვიდრე ომაიადი ხალიფები თმენას იჩენდნენ ქრისტიანეთა მიმართ.

არა მარტო ქრისტიანებსა და ისრაელიტებს, მუსულმანებსაც „წმიდა ქალაქად“ ჰქონდათ მიჩნეული იერუსალიმი. არაბნი „ალ-კულს“, ანუ აღმუჯადას უწოდებდნენ მას.

მაჰმადი ასწავლიდა მუსლიმთა: „ალ-კულს ასპარეზია აღდგომისა და აქ თავს მოიყრიან მკედრეთით აღმდგარნი“.

იერუსალიმი იყო სადავო ვაშლი როგორც ებრაელებსა და ქრისტიანებს, ისე ქრისტიანებსა და მუსლიმთა, ბოლოს ეგვიპტის ხალიფებისა და სელჯუქიანთა სულტანებს შორის.

კარლოს დიდმა ელჩები გაუგზავნა თავის დროზე ხალიფას პარუნ აღ-

რაშიდს და ამ უკანასკნელმა ნება დართო რომის იმპერატორს ექვსჯერ საპატიო პატრონაჲი ემსახურებოდა.

დიდძალი ოქრო და ვერცხლი, საეკლესიო იარაღები მიღიოდა დასავლეთიდან იერუსალიმის ეკლესიების შესამკობად. გერმანიის იმპერატორს ლუდვიგ დერ ფრომეს ხელახლა დაუმოწმა ხალიფა აღ-მამუნმა ამ პატრონაჲის უფლება.

გავიდა ხანი. იძალა მეომარმა სულმა მუსლიმთა წრეში, მეცხრე საუკუნეში ერთგვარი წმიდა ომი „ღმთიად“ გამოაცხადეს ხალიფებმა, იერუსალიმელ ქრისტიანებს არას ერჩოდნენ, სამაგიეროდ ხმელთა შუა ზღვის მონაპირე ხალხებს შეუტეეს და ქრისტიანთა ძარცვისთვის „სამოთხის ნეტარება“ აღუთქვეს თავიანთ მეომარებს.

სიცილიიდან ქვემო იტალიაში გადმოსხეს მარბიელი ლაშქარი, რომელმაც რომს უწია და წმ. პეტრეს ეკლესია იავარძყო.

ამ წლებში მუსულმანთა წინააღმდეგ ატეხილ ბრძოლებში ჩაისახა ჯვაროსნული ომების დერიტა.

მეთექვსმეტე საუკუნის მიწურულიდან სელჯუქიანთა წინა აზიაში შემოჭრამდის იერუსალიმს საღარიბოდ დადიოდნენ როგორც ქართველი მეფეები, ისე დედოფლები და ბიზანტიის იმპერატორები, იოან ციმისხიამ და ნიკიფორე ფოკამ აიღეს კიდევაც იერუსალიმი, მაგრამ მალე დაჰკარგეს კვლავ.

ეგვიპტელმა ხალიფამ აღ-ჰაქიმმა კვლავ განაახლა ქრისტიანთა დევნა, მან გადასწვა ეკლესიები, ებრაელებსა და ქრისტიანებს მოსთხოვა, ან რჯული შეეცვალათ, ან იერუსალიმიდან წასულიყვნენ. ვინც ქალაქში ისურვებდა დარჩენას, მას ხუთგირვანი ჯვარი, ან ხმოს თავის ოდენა ხის

ბურთულები უნდა დაეკიდა ჭედზე და ისე ეარნა, ხოლო თავზე შავი ჩაღმა უნდა დაეხურა.

გაუჩინარდა თუ არა ეს გადარეული ხალიფა, მისმა შემყვიდრებ კვლავ ნება დართო ეკლესიები შეეკმით ქრისტიან მბრძანებლებს. ამ ხანებში დიდძალი შეწირულებანი გაიღეს იერუსალიმის ტაძრებისათვის, როგორც ბიზანტიის იმპერატორებმა, ისე ევროპის მეფეებმა, საქართველოს მეფემ გიორგი პირველმა, ბაგრატ IV და დედა მისმა მარიამ დედოფალმა, რომელიც თავათ წავიდა მუნ სალოცავად. გადმოცემით ვახტანგ გორგასლანიც ყოფილა მოსალოცად იერუსალიმში. ქართველებს რამდენიმე მონასტერი ჰქონდათ მანდ: ჯვარისა, გოლგოთის, დედათა და ლაზთა მონასტერი.

ასევე მშვიდობიანად იმგზავრეს ერთი წლის მანძილზე იერუსალიმადის გერმანიის იმპერატორის ოტტოს რძალმა და მისივე ძმის ჰაინრიხის ქერივმა, მხოლოს კლდეკარის ერისთავმა ლიპარიტ დიდმა, მას შემდეგ, რაც საქართველოდან გააძევა ბაგრატ IV-ემ იგი.

ბიზანტიის დედოფალი თეოდორა დაეინებით მოითხოვდა ბერძენი მხედრები მდგარიყვნენ დღე და ღამ ქრისტეს სამარხთან, აგრეთვე აღქვეთა ხალიფას მლოცველების დაბეჯერა, მაგრამ ეს მხოლოდ სურვილად დარჩა. სულთანმა ტუტუშ ბენ ალფარსლანმა იერუსალიმი გადასცა თავის სიმეს ნეჯამ-ედდინ ილღაზისა და ძმას მისას, სუკმან ბენ ორტოკს.

როგორც კი სელჯუკიანებმა მესოპოტამია აიღეს, მათ იერუსალიმში შესვლის ბეგარა არ აკმარეს მლოცველებს. კონსტანტინოპოლიდან სალოცავად იერუსალიმს მიმავალ ქრისტიანებს ხან ნიკეის სულტანი ქილირჯ არსლანი ძარცვავდა, ხან ბაღდადის

მბრძანებელი სულტან ტუტუშში, ხან ანტიოხიელი იაგი სიანამ, ხან გეგუპტელი ნეჯამ ედდინ ილღაზი, ხოლო იერუსალიმში ჩასულთ ხარკს თავისთავად ახდევინებდნენ ხოლმე.

სელჯუკიანთა მიერ სირიის ალების შემდეგ დასავლეთელი მლოცველები იხემიდან ტერფამდის შეჭურვილნი მიემგზავრებოდნენ იერუსალიმს.

1064 წელს ევროპელ ოთხ ეპისკოპოსს და ოცდაოთხ დიდ აზნაურს კონსტანტინოპოლიდან პალესტინამდის თან ახლდათ 7.000 შეჭურვილი მხლებელი.

ეს მლოცველები დასძრა მეორედ მოსვლის შიშმა, ასე რომ ესენი იმად გაემგზავრნენ იერუსალიმს, რათა ქრისტეს ხელმეორედ მოსვლა და განკითხვის დღე იერუსალიმში წამოსწრებოდათ.

ჯერ კიდევ ბიზანტიის იმპერატორის მიხაილ VII დუკას დროს, რომის პაპმა გრეგორ მეშვიდემ აუწყა გერმანიის იმპერატორს ჰაინრიხს, აღმოსავლეთის ქრისტიანენი დიდ შეჭირვებას განიცდიან თურქთაგან და შევლას ითხოვენო „ქრისტეს მოსაყდრისაგან“.

ცნობილია, გრეგორ მეშვიდე ოცნებობდა მთელი იმჟამინდელი ქრისტიანულ სამყაროს კათოლიკურ უნიაში გაერთიანებისათვის და ლამობდა აღმოსავლეთის ეკლესიების შემოერთებას. თანაც იგიც აუწყა იმპერატორს პაპმა, კონსტანტინოპოლისა და სომხეთის პატრიარქებიც დახმარებას გვეაჯებიან, ამჟამად 50.000 ქრისტიანი რაინდი სურვილს აცხადებსო ქრისტეს საფლავის განსათავისუფლებლად წასვლას.

პაპსა და გერმანიის იმპერატორს შორის ჩამოვარდნილმა შფოთმა ჩაშალა ევროპის როგორც სასულიერო, ისე საერო ხელისუფლებათა მთლიანი შეტევის დაწყების განზრახვა.

რომის პაპის მიერ უნივერსალური, ერთგვარი civitas dei-ს — ღვთის სახელმწიფოს დამყარებას წინ ელობებოდა, დასავლეთში გერმანიის იმპერია, ხოლო აღმოსავლეთში სელჯუკიანთა სასულტანო, ორივენი „მიწიერი სამყაროს“ — civitas mundi — ორღესული მახვილი.

მოკვდა პაპი გრეგორ VII და ვატიკანის ტახტზე ავიდა ოტო დე ლაგნიურბან მეორის სახელწოდებით. იგი, როგორც ვატიკანელი ლეგატი, გრეგორ მეშვიდის თანამზრახველი იყო. დიდგვაროვან ფრანგის აზნაურს, დიდი ზეგავლენა ჰქონდა ციხოვან რაინდებისა და ეპისკოპოსთა შორის.

გერმანიის იმპერატორი ჰაინრიხ IV დაიჯაბნა მან და შეაჩვენა, ხოლო საფრანგეთის მეფე კარლ ანჟუს, რომელიც იმ წელს გაეყარა თავის კანონიერ მეუღლეს ბერტას და თავისი ხარჭა შეირთო, გრაფის მეუღლე დე ბერტრადა, ეპიტიმის მოელოდა გულის ცახცახით.

1095 წლის მარტში, პაპმა მოიწვია დიდი საეკლესიო ყრილობა ქალაქ პიავენცაში. 4.000 ფრანგი, იტალიელი, გერმანელი, ინგლისელი მთავარეპისკოპოსი, ეპისკოპოსი, აბატი და მისიონერი მოგროვდა, 30.000 რაინდი და მოქალაქე.

ელჩები გამოგზავნა ალექსი კეისარმა და დაუმოწმა პაპს ბერძნული ეკლესიის პაპის უნიამი შესვლის სურვილი და კვლავ ეაჯა ქრისტეს მოსაყდრეს: დაეხსნა მაცხოვრის საფლავი და აღმოსავლეთის ქრისტიანნი სელჯუკიანთა გულმხეცობისაგან.

პიავენცადან გადავიდა პაპი თავის კარდინალებისა და ეპისკოპოსთა დიდის ამალით კლერმონში, — აქ მას მუნღმოყრილი დაუხვდა გერმანიის იმპერატორის ჰაინრიხ IV-ის ვაჟი — კონრადი, რომელმაც ქრისტეს მოსაყდრის ყმადნაფიცად აღვიარა თავი.

შემდგომ ამისა, ურბან მეორე ეწვია მილანოს, კომის, ვალენტიანე და კსიტის, საფრანგეთის მხარეთმცოდნეობის სწირა და იქადაგა და კლერმონს ჩავიდა.

კლერმონში მას დაუხვდნენ საფრანგეთისა და გერმანიის ეპისკოპოსები, მთელი ლაშქარი ეპისკოპოსთა, აბატები, ბერები და რაც უმთავრესია, კენტრბერიის მთავარეპისკოპოსის ელჩები.

ვიდრე კლერმონის საეკლესიო კრება დიწყებოდა, ურბანმა ეკლესიიდან განკვეთა საფრანგეთის მეფე, კარლ ანჟუ. გრაფის ცოლყოფილის, ბერტრადას ცოლად შერთვის გამო. . . .



მეორე დღეს წარუდგნენ ქრისტეს მოსაყდრეს იერუსალიმიდან გამოქცეული მლოცველები, რომელთაც მოახსენეს მას იმ წამების გამო, რაც მათ გადაზდათ პალესტინას საღარიბოდ გამგზავრების დროს თურქთა მიერ მიყენებულ წამებათა გამო.

მათვე მიართვეს იერუსალიმის პატრიარქისა და სხვა ღირსეულ ქრისტეანთაგან მოწერილი ეპისტოლენი, სადაც წვრილად აღნუსხული იყო სელჯუკიანთა ბარბაროსობისა და ქრისტიანთა გვემის ამბები.



ნოემბრის 7-ს, რაკი მოზღვაებულნი ხალხის დასატყევი შენობა არ აღმოჩნდა, საეკლესიო კრება მინდვრად მოაწყვეს.

ურბან მეორე დიდი და ზეადმტაციონიტორი იყო...

ჯერ შეეხო იგი აღმოსავლეთის ქრისტიანთა გამუდმებულ დევნას და შეჭირვებას სელჯუკიანთა მიერ, გულისწყრომა განაცხადა მუსლიმთაგან ეკლესიების მიზგითებად ქცევის, და-

წარჩენთა გამუდმებულ ძარცვისა და ნგრევის გამო, შეეხო ანტიობიში გადაბუგულ ღვთისმშობლის ტაძრის იავარყოფას და სთქვა:

„ვის ხელშია ღვთისმშობლის მიძინების ეკლესია, სადაც მარიამის ნეშტი დაფლულია სამარადქამოდ? ვინ, წავიბილწა სოლომონისეული ტაძარი?“

ქრისტეს საფლავზე აგებულ ტაძარში, იერუსალიმში, ყაჩაღი თურქები ქრისტეანთა მიერ მიტანილ შეწირულებათა მიტაცებით არიან ვართულნი.

მოიგონეთ ფსალმუნის ლექსი: „წარმართნი დაეპატრონენ მამეულს შენსას“. ქრისტეანენო ისმინეთ ფსალმუნის ლექსი: „შეიბ მახვილი“!

ჩემო პრელატებო, ბრძანა ურბანმა, გადაისროლეთ მთელს საქრისტიანოში ჩემი ნაბრძანა: „შეიბ მახვილი...“!



ასეულებმა ათასეულებს გადასცეს პაპის შეძახილი: „შეიბ მახვილი“, ათასებმა, ათიათასს გაუზიარეს და დაიქტა უზარმაზარ მინდორზე თავმოყრილმა ბრბომ: „Deus le volt“.<sup>1</sup>

„დეუს ლე ვოლტ“ ყვიროდნენ პრელატები, ეპისკოპოსები, აბატები, თავადები, რაინდები, ციხოვანი და უციხოვნო აზნაურები, დედაკაცები, ბავშვები, ქალები, გლეხები, ვაჟრები.

კარდინალები და პრელატები შეკრთნენ, რადგან გაცოფებული ბრბო: „დეუს ლე ვოლტის“ ყვირით მიიწევდა პაპის მარჯვენის საამბოროდ, თორაბჯარში ჩამჯდარი რაინდები გამოეყენენ ხალხს და ცოცხალი კედელი შექმნეს, რათა აღტყინებულ ბრბოს არ გადაეჭლა პაპი.

ფეჭქვეშ უვარდებოდნენ „ქრისტეს მოსაყდრეს“ რაინდები, გრაფები, დიაცები, ჰკოცნიდნენ ხელებზე, მუხ-

ლებზე, ანაფორის კალთებზე, სტიროდნენ და ყვიროდნენ: „დეუს ლე ვოლტ!“

მოატანინეს ხავერდის გორგალი, იქვე დაჰკურეს და სახელდახელოდ გამოჭრილი წითელი ჯვრები დაიკერეს მარჯვენა მხარზე, რადგან პაპმა ბრძანა: ყოველმა, ქრისტეს მიერ მხედარმა თვალსაჩინოდ ატაროსო ჯვარი. გაიკეთეს ჯვრები და კიდევ ერთხელ დაიქტხეს:

„დეუს ლე ვოლტ“.



კლერმონშივე ამცნო პაპის პრელატმა თანადამწერეთ, რომ ქრისტეს მოსაყდრის ბრძანებისამებრ ყოველ ქრისტიანს შეუძლია მოირიეცხოს ნებსით თუ უნებლიეთ ჩადენილი შეცოდებანი თურქების სისხლით, მკვლელებსა და მტაცებლებს, ქურდებსა და მევახშეებს, მეძაებებსა და ცრუმოწმეებს, მემკვიდრეობის მიმტაცებლებს, ხანძრის გამჩენებს და მოქლონების დამმსხვრევლებს, ყველას, ყველას, ვისაც რაიმე ცოდო ჩაუდენია ოდესმე.

ხოლო იმათ, ვინც ხმელეთზე, ან ზღვაზე, ან ბრძოლის ველებზე დაიღუპებოდა, ყველას შერაცხდა კათოლიკური ეკლესია წმიდა მოწამელ.

კარდინალებს, პრელატებს, ეპისკოპოსებს და ეკლესიის მოწესეთა ავალებდა პაპი, თურქების წინააღმდეგ ომში წასულთა ოჯახებისთვის პატრონობა გაეწიათ.



მეორე დღეს, პაპს წარუდგა ტულუზის გრაფის, რაიმონის ელჩი, რომელმაც აღუწა მას: გრაფი რაიმონ დე ტულუზ იკისრებს ქრისტეს ჯვარს და თავის რაინდებითურთ მიემგზავრებაო

<sup>1</sup> ლმერთს აგრე სწადაა.

ქრისტეს საფლავის სელჯუქიანთა ხელ-  
ლიდან გამოსავლევად.



ყრილობის დასასრულს ჯვაროსანთა  
ლაშქრის წინამდგომ პრელატად არ-  
ჩეულ იქმნა პუეს ებისკოპოსი ადემარ,  
რომელმაც იმ დღეს პირველმა გამო-  
ართვა ურბან მეორეს ჯვარი. მომავალ  
ომს უნდა შერქმეოდა ჯვაროსნული  
ომი.



პირველი ათასეულის მიწურულიდან  
მთელი დასავლეთის საქრისტიანო შე-  
პყრობილი ჰყავდა იმ ხანებში მოძალე-  
ბულ მიწისძვრების შიშს. ბერები და  
ქლავად დაეარდნილები არწმუნებდ-  
ნენ ხალხს: სადაცაა განირღვევა მიწა  
და მეორედ მოსვლა დაიწყებაო.

1095 წელს რამდენიმეჯერმე დაბ-  
ნელდა მზე ევროპაში, უცნაური კომე-  
ტები ჩნდებოდნენ, მეტეორიტები  
სცვივოდნენ ციდან, ჩრდილოს ნათება  
ჩნდებოდა, ბოსფორიდან ჰერკულესის  
ბჭეებამდის და ჰიბრალტარამდის. საფ-  
რანგეთსა, გერმანიასა და ნიდერლან-  
დში ეამი მძვინვარებდა, მომრავლდა  
თვითმკვლელობა, „დაცალიერდნენ ჭა-  
ლაქნი და დაბანი, სასაფლაოებს შეე-  
მატათ და მომრავლდნენ მკვლები“,  
„შომშილი მოედო ინგლისის, საფრან-  
გეთის და გერმანიის უნაყოფიერესს  
მხარეებს.

ათ სექტემბერს მთელს ევროპაში  
ძლიერმა ქარბორბალამ გადაიარა, რამ-  
დენიმე საათს ირყეოდა მიწა.

და მთელი წელიწადი, როგორც მე-  
მატიანე ამბობს, „ციდან ვარსკვლავნი  
ცვივოდნენ და იყო ძრწოლა ფრიადი  
და წამყოფა ზეციდან“.

ყოველივე ამას ზედ დაერთო გვალ-  
ვები, უმოსავლობა და ხშირი მერეხი,  
დუნაიმ, სენამ, შპრეემ და რონამ რამ-

დენჯერმე გადალახეს ნაპირები. მო-  
სავალი ხან გვალვამ დაიწყო, ხან  
დიდროაიმ წაიღო.

ატყდა ეამი და ყვავილი, მრავალი  
ათასი სოფელი ევროპის მოსახლეობი-  
სა იმსხვერპლა სენმა.

დაიწყო სიმშილი, რომელსაც მოჰყ-  
ვა მტაცებლობა, ძარცვა, ხანძრის გა-  
ჩენა. გერმანიასა და საფრანგეთის  
„ნუშტის უფლება“ სუფევდა.

ერთადერთი შეძლებული ფენა ეს  
იყო სამღვდლეობა. იეზუიტებისა და  
ბენედიქტენების ორდენებს დიდძალი  
მამულები ჰქონდათ მონასტრებში,  
დამშეული გლეხობა აწყდებოდა მო-  
ნასტრების კარებს, ყველას ეს ეწადა,  
ზურგი ექცია სვედამწარებულ მიწე-  
ცხოვრებისთვის და მდიდარი მონასტ-  
რების საოსტიგნოებში მოეთქვათ  
სული.

პაპის კურია სასტიკ სასჯელს ადებ-  
და „ცოდვილებს“, მთელს ევროპაში  
იმართებოდა მონანიებულთა პროცე-  
სიები.

მეფეებს, თავადებს, აზნაურებს, რა-  
ინდებს, გლეხებს, ქალსა და კაცს,  
ყრმასა და მოზუცს ყველას ადებდნენ  
ეპიტიმისს, ატარებინებდნენ ჯვალის  
პერანგებს, ან ჯაჰვის პერანგს ტიტველ  
სხეულზე, აიძულებდნენ შიშველ მი-  
წაზე წოლას, ეკლესიების მალალ სამ-  
რეკლოებზე ჩოქვით ასვლას.

მომზრებული იყო ჭინკების პრო-  
ცესები, ებრაელთა აწიოკება და შავი  
მაგიის მოძღვრება ზენიტზე იღვა.

„იერუსალიმისაკენ“  
შემოვსმათ ურბან II-ის ასკეტური,  
მკაცრი ხმა.

უპოვარებმა, ლატაკებმა, მძარცვე-  
ლებმა, კაცისმკვლელებმა, მწვალე-  
ლობასა და ჩხიბვაში შენიშნულებმა  
დაიყვირეს „იერუსალიმისაკენ“.

„იერუსალიმისაკენ“, იმაზოდნენ ღი-  
ლეგებიდან გაქცეულები, დიდი თემ-  
შარის აეაზაკები, „იერუსალიმისაკენ“

იძახოდნენ მეძავეები, რომელთაც მარიამ მაგდალინელის მაგალითი ეკერათ პირზე.

საფრანგეთში, ესპანეთში, გერმანიაში და იტალიაში დილოვადნენ მოარული ბერები და მემღვიმენი, უქადაგებდნენ ხალხს, ანტიქრისტიე მოსულია და სადაცაა დაგიკაუნებთო კარებზე.

ურჩევდნენ ხალხს ზორცის დაშრეტას, ცოდვათა მონანიებას, პაპის მორჩილებას და დუმილს.

კლერმონის კონცილის შემდეგ ერთ კვირასაც არ გაუვლია და ურბან მეორემ მოუწოდა მთელს საქრისტიანოს სინანულის დღეები და მარბვის კვირეები დაენიშნათ.

ჯვარი ეტარებნათ მარჯვენა მხრებზე და ჯვარის სახე შანთით ამოეწვათ მკერდზე.

ათეული ათასებმა ჯვრით დაიდაღეს ამ მოწოდების შემდეგ სხეული.

მრავალმა ათასმა გლეხმა მიატოვა სახნავე-სათესი, ორბორბალაზე შესვეს ცოლშვილი და გაუდგნენ გზას, მოაღწევდნენ რომელიმე ეკლესიამდის და აქ ბაღლები კითხულობდნენ: ხომ მოვედითო იერუსალიმში?

ღიაცებმა და ბერებმა გადაიცივეს ჯაშვის პერანგები, მუხარადები დაიხურეს. ამ აბორგებულ ბრბოებს აღტყინების ცეცხლი შეუგზნო ერთმა მემღვიმე ბერმა, პიერ დ'ამიენმა.

ეს იყო ერთი სავესებით დაუძლურებული ჩია კაცი, გრძელ წვერს ატარებდა მგლისფერს, და მგლისფერივე, ანთებული, ასკეტური თვალები ჰქონდა, დიდი რიტორი და ქოსატყუილა, თავისი ქადაგებებით აცოფებდა ქალსა და კაცს.

მრავალ წელს ნაშიმშილარს ხან ღეთისმშობელი ელანდებოდა, რომელიც ევედრებოდა თითქოს დაიხსენიო ჩემი საფლავი, ხან ქრისტე ეჩვენებოდა აგრეთვე თავისი სამარხის განთავისუფლებასათვის მავედრალი.

ვირზე ვადამჯდარმა მრავალგზის გადაიარა ალაგები, ხან საფრანგულში ექადაგებდა, ხან რაინის მხარეში ეჩვენებდა მსმენელებს: იერუსალიმში ჩავედი უჩუმრად, მანდაური პატრიარქი ენახე თურქების მიერ მრავალგზის გვემული, შემომევედრა გამეცნოთ, რომ ქრისტეს საფლავი შეგვიგინეს თურქებმა და ამიტომაც უნდა იტვირთოთო მაცხოვრის ჯვარი. ზოგნიც ამტკიცებენ, პიერ დ'ამიენ ნამყოფი მართლაც იყოო, მესოპოტამიაში სადაც თურქებმა სცემეს და უკან გამობრუნდო.

არც პურს სქამდა, არც ზორცს, არც მწვანილს, თევზსა და ღვინოს ეტანებოდა. ბოლოს თავისი მჭევრმეტყველებით ისე გაითქვა სახელი, სავესებით ვაპუტეს მისი სახედარი, რადგან ვირის ბეწვები ავეგაროზებდად შემოინახეს ღიაცებმა.

მოედნებზე თავმოყრილ ხალხს აჩვენებდა ვითომდაც ქრისტეს მიერ მოწერილ ბარათს.

დიღხანს იქადაგა ორლუანში, მერმე პარიზში ჩამოეხეტა. აქ მას შეუერთდა სხვა მოქადაგენი: გოტფრიდ ბურელ, ვალტერ დე პუასისი და მისი ძმისწული ვინმე ვალტერი, თავის სილატაქის გამო „ვალტერ სანსაფუარად“ მოდებულნი.

ამ ჯვაროსნებმა 15.000 კაცსა და ქალს მოუყარეს თავი და ფეხით ჩავიდნენ რაინის მხარეში.

•  
•

მეწინავე ლაშქარს წარუძღვა ვალტერ სანსაფუარ და ჰუნგრეთს უწიეს, ჰუნგრეთის მეფემ კოლომანიმ არ დართო ჯვაროსნებს ზორაგის შეძენის ნება, ჯვაროსნებმა მიტაცებას მიჰყვეს ხელი, აღშფოთებული მოსახლეობა შეესია მომწვედურებს, ნაწილმა ერთ

1 სანსაფუარ — მკოდვანი, არარაის მქონე, უმოვარი.

ველსიას შეაფარა თავი, ცეცხლი შე-  
შოაგზნეს საყდარს და დასწევს მოძა-  
ლადენი.

კონსტანტინოპოლის თავადი ციხის  
გალავანთან რა მოაღწიეს, აქ ალექსი  
კომენემა იქვის თვალთ შეხედა ამ და-  
ბებკილ ძველმანებში გამოხვეულ  
ბრბოს, რომელსაც მხოლოდ რამდენი-  
მე შექურცილი რაინდი მოუძღოდა  
წინ და ურჩია: პიერ ღამიენის ლაშქ-  
რის მოსვლამდის მოიცადეთო.

პიერ ღამიენის 12.000 მოლაშქრემ  
ავსტრიაში მოაღწია, აქ ჯვაროსნები  
თავს დაესხნენ მშვიდობიან ებრაე-  
ლებს, მრავალი დაარბიეს, დახოცეს და  
ზოგიც აიძულეს ქრისტეს შჯული ეც-  
ნოთ.

პიერის ლაშქარს გაასწრეს ლოტ-  
რინგელი გრაფის ემიხოს, აბატის გოტ-  
შალკის და ფულშერ დორლეანის მე-  
თაურობით მომავალ ჯვაროსანთა.

უნგრეთში კოლომან მეფემ არც მათ  
მისცა ზორავის შეძენის, ებრაელების  
დარბევის და მცხოვრებთა ქონების მი-  
ტაცების ნება, ნამდვილი ომი გაუმარ-  
თა ჯვაროსნებს.



საფრანგეთიდან დაიძრა ვიკონტ დე  
მელუნ, სისხლისმიერი ნათესავი ან-  
ჟუს დინასტიისა, რომელსაც თავისი  
უნკეულო ღონისა და სიახმახის მეო-  
ხებით „შერპანტიე“ — ერქვა, ხოლო  
იგი დიდის პატივით ატარებდა „იოსებ  
დურგალის“ სახელწოდებას.

რაინის მხარეში შემოვიდა თუ არა  
ვიკონტ დე მელუნ გლეხებისაგან შემ-  
დგარი ბრბოებითურთ, მყისვე მოსთ-  
ხოვა ებრაელებს: რაკი მაცხოვარი ჩე-  
ნი იესო ქრისტე თქვენ აწამეთ, გაქ-  
რისტიანდითო. ვინც შჯული არ შეიც-  
ვალა, ამოხოცეს.

ებრაელებმა ამოდ შეაფარეს თავი

მანდაური ეპისკოპოსის ციხე-დარბაზს.  
ამ ამბავს მოუსწრო ლაინენგერის ვრა-  
ფის ემიხოს წინადგომით წამოსულ  
ჯვაროსანთა ბრბოებმა. ახლა სინაგო-  
გებს შეაფარეს თავი ებრაელებმა.

შეესიენ ჯვაროსნები სინაგოგებს და  
ბალებიანად დასწევს ისინი. ცეცხლი-  
თა და მახვილით გაიარეს ჯვაროსნებმა  
მთელი გერმანია და სადაც კი ებრაელ  
მოსახლეობას გადააწყდნენ, დაარბიეს  
და გაუქვეს.

ასე განუითხავად ზოცავდნენ დიდ-  
სა და მცირეს ებრაელთაგანს, ჩარჩებ-  
სა და ვაჭრებს, ბავშვებსა და ქალებს,  
სინაგოგებისა და ებრაული ხანაგების  
კარებთან დაცუტქულ მათხოვრებსა და  
ხეიბარებს ჯვაროსნები და იძახოდ-  
ნენ: „დეუს ლე ვოლტ“.

ჰუნგრეთის მეფემ კოლომანმა ნამდ-  
ვილი ომი გამოუცხადა ამ ბრბოებს,  
რადგან მათ ციხეები და კოშკები აი-  
ლეს და მოსახლეობის საბადებელის  
მიტაცებას მიჰყვეს ხელი. ძარცვად-  
ნენ და კლავდნენ ქრისტიან ჰუნგრე-  
ლებს და სლავებს, იძახოდნენ „დეუს  
ლე ვოლტ“.

მრავალი ჯვაროსანი დაიღუპა ამ  
ციხეების აღებისას, ბევრი ჭოობებში  
ჩაიხრჩო, მხოლოდ მეთაურებმა და  
რამდენიმე ათასმა რაინდმა თავს უშ-  
ველა, უბელო ცხენებზე შეხტომა  
ვინც მოასწრო.

ახლა მოაღწიეს „სკლავინიის“,  
სლავების ქვეყანაში.

უარესი დღე დაადგა მათ ბელგრა-  
დის მმართველის ნიკიტას ჯარებისა-  
გან.



როცა პიერ ღამიენმა ბელგრადამ-  
დის მოაღწია და დაინახა ქალაქის  
პირველ ციხეზე ვალტერ სანსაეუა-  
რისა და მისთა თანამებრძოლთა ჯაჭვ-  
აბჯარი, გაშარჯვედნის ალაფად დაკი-

დებულები, უბრძანა თავის ჯარს იერი-  
ში მიეტანათ ციხეზე.

ჯვაროსნებმა აიღეს ციხე, რამდენ-  
იმე ათასი ჰუნგრელი მდინარეში  
გადაშტა და მრავალი დაიხრჩო.

დამშეული ბრბოები შეესიენ ქა-  
ლაქს და გაძარცვეს.

როცა ბულგარეთში შემოვიდა პიერ  
დ'ამიენის ლაშქარი, კვლავ ომი გაუ-  
მართეს ჯვაროსნებს, ასე რომ პიერ  
დ'ამიენი და მისი ლაშქარი „ოტებულ  
იქმნა, როგორც ცხვრები, მგელთაგან  
დევნილნი“.

ალექსი კომნენმა პიერ დ'ამიენის  
ლაშქარი რა დაინახა, შეუყოყმანდა, არ  
უნდოდა კონსტანტინოპოლში შემო-  
ეშვა იგი, რადგან პიერ დ'ამიენის  
ბრბოებმა არამც თუ დაძარცვეს, ქა-  
ლაქის შემოგარენის მკვიდრნი, ეკლე-  
სიების სახურავებს აძრობდნენ ოქ-  
როს, თითბერსა და ტყვიას და ჩალის-  
ფასად ჰყიდდნენ.

მაშინ გადასწყვეტა კეისარმა, რაც  
შეიძლება მალე მოეშორებინა ეს სა-  
ეჭვო „მოკავშირენი“. აგვისტოს  
შვიდს, ბიზანტიის ფლოტის დრუნგა-  
რის ბრძანებით, ფლოტით გადასხეს  
ჯვაროსანთა ბრბოები ნიკომედიაში,  
აწინდელ იზმიდში, ქალაქიდან მკვიდ-  
რნი გაქცეულ იყვნენ უკვე, ასე რომ  
ისევ ძარცვას მიჰყვეს ჯვაროსნებმა  
ხელი.



ალექსი კომნენ კარგად იცნობდა  
როგორც პიერ დ'ამიენის ლაშქრის  
შესაძლებლობათ, ისე ქილირჯ-არს-  
ლანის საომარ ძალებს, და ბითინიას  
და ნიკეას სანახებში ბრძოლის წარ-  
მოების სიძნელეთაც, ამიტომაც სურ-  
სათი გამოუგზავნა ჯვაროსნებს და  
გჰაფრთხილა: სანამდის მაცხოვრის  
საფლავისთვის მებრძოლ რაინდთა  
სხვა კოპორტები არ მოსულან, ბანაკს

ნუ დასტოვებთ და ნუ შეებმითო თუ-  
რქებს.

კეისარი აფრთხილებდა ჯვაროს-  
ნებს თანაც ურჩევდა: მიტაცებისა, და  
ძარცვისაგან შეიკავეთო თავი.

არც პიერ დ'ამიენი იზიარებდა იმათ  
აზრს, ვინც მოითხოვდა დაუყოვნებ-  
ლივ შეეუტიოთო ქილირჯ-არსლანს.

ქუქნარობისაგან გაზულუქებულნი  
ჭაბუკნი და ყრმანი ფრანკთაგანნი  
მოუთმენლად ეძებდნენ თურქებთან  
შებმის შემთხვევას, აღარ უსმინეს  
არც პიერ დ'ამიენის და არც სხვა  
უზუცესთა თათბირს, მოასხდნენ თა-  
ვიანთ ცხენებს და ნიკეასკენ მიმავალ  
გზას მიჰყვნენ.

გზა და გზა მობოქეს მინდვრებში  
გაფანტული ხვასტაგი თურქებისა და  
ბერძნებისა, უამრავი ხარები, ძროხე-  
ბი, ცხვრები და თხები მოლალეს ბა-  
ნაკში და დააცხრნენ ბერძნულად შემ-  
წვარ მწყვადებს.

როცა ჭარმაგმა ჯვაროსნებმა და  
რაინდებმა დაინახეს ნაალაფარით შინ  
შობრუნებულნი ჭაბუკნი, ბამბუკის  
კოლოკებზე წამოაცვეს პორფირის  
დროშები, მძიმედ შეჭურვილმა რაინ-  
დებმა თან იახლეს ორიოდე ათასი  
ქვეითი მონასპა, უწიეს თვით ნიკეას  
ციხე ქალაქის გალავანამდის.

დაძარცვეს მიმდგომნი დაბანი და  
სოფლნი, წამოასხეს აურაცხელი  
ძროხა და ფარები ცხვრისა, ლეკულო-  
სეული ღრეობა გამართეს ბანაკში, და  
რაც ზედმეტად მოეჩვენათ, იმპერა-  
ტორის მეზღვაურებს ჩალისფასად  
მიჰყიდეს.

ფრანკების მიერ დიდი ალაფით ბა-  
ნაკში მობრუნებამ შური აღუძრა  
გერმანელ ჯვაროსნებს, ორასმა მძი-  
მედ შეჭურვილმა რაინდმა აიყოლია  
სამი ათასი ქვეითი ჯვაროსანი.

მათაც აღმართეს პორფირის ფერი  
დროშები და ჯერიანი ხორეუგები,  
ვალალახეს მთიანი შემოგარენი, ტყი-

ანი ველები დაუბრკოლებლად გადაიარეს და უწიეს ქსერიგორდონის ციხეს და მის მიმდგომ სოფლებს.

ამ სანახებში მცხოვრები ბერძნები და თურქები, ჯვაროსანთა მოახლოების შემცნობნი, ნიკეაში გაქცეულნი აღმოჩნდნენ, მათ დაატყვევეს ქსერიგორდონის მეციხოვნენი, თურქთაგანთ ბორკილები შეასხეს, ხოლო ბერძენნი შინ გაუშვეს.

ქილირჯ-არსლანი დიდძალი ლაშქრით გამოვიდა ნიკეას თავადი ციხიდან, და ქსერიგორდონთან შას დაუხვდნენ გერმანელთა მედროშენი და მეწინავენი და საშინელი ყიყინი მორთეს თურქების დანახვისას: „დეუს ლე ვოლტ“ და იშიშველეს ქრისტიანებმა მახვილი.

გამწკრივდნენ თურქები, თავათაც დაიღრიალეს: „აღლაჰ“, გადმოიღეს მშვილდები და მერეხივით მიუშვეს ისრები გერმანელთა მეწინავე ჯარზე.

შედრკნენ გერმანელი ჯვაროსნები და ქსერიგორდონის ბლისკინებისკენ უკუიქცენ.

მაშინ მოაყენა ქილირჯ-არსლანმა მძიმე ლოდსატყორცნები ჯვაროსნებს. გერმანელებმა დასტოვეს ორმოები და ბლისკინები, ციხეს შეათარეს თავი, გოდოლების კარები დახშეს და სამზერებიდან დაუშინეს ისრები თურქებს.

თურქებმა მოხიდეს დიდძალი შეშა მახლობელ ტყეებიდან, გარს შემოაწყვეს ციხეს და შეუგზვნეს ცეცხლი და გარემოიცივეს იგი.

რაკი ქსერიგორდონის სარდაფებში ნაპოვნი ღვინის სმით გართულმა გერმანელებმა წყლის თანგირები ვერ შეაკეთეს, წყალი არ აღმოაჩნდათ ციხეში.

დღითიღლე ხურდებოდა ციხის კედლები, ცეცხლი წაეკიდა გოდოლების კარიბჭეებს. საშინელი წყურვილი აღძრა გარემოცულთ.

ხოცადნენ საკუთარ ცხენებსა და სახედრებს, ხანაც ძარღვებს უხსნიდნენ მათ და ეწაფებოდნენ მათ გვირად სისხლს.

რაკი პირუტყვი უკმარი ჰყავდათ, ბოლოს საკუთარი შარდის სმა დაიწყეს მეციხოვნეთა.

ამასობაში თურქებს მოჰქონდათ და მოჰქონდათ ტყეებიდან შეშა, ძლიერდებოდა ციხის გარშემო დანთებული ხანძარი.

რამდენიმე დღეს გაუძლეს ჯვაროსნებმა თურქებისა და ცეცხლის გარემოცვას, ერთმა ნაწილმა ციხის სამზერებიდან გადახტომა და ზღვაში დაღუპვა არჩია, ხოლო ზოგნი ციხეშივე აკეპეს თურქებმა ხმლით.

ქირმაგებს მოლესილ მახვილებზე ახტუნებდნენ, ჰაბუკთა შორის პირლამაზნი შეარჩიეს, და ნიკეას, ანტიოხიის და ბაღდადის ბაზრებზე გასამყიდად წარგზავნეს.

როცა ეს ამბავი მოხდა ქსერიგორდონის ციხეში, პიერ დ'ამიენ იმპერატორთან იყო წასული კონსტანტინოპოლში.

ჯვაროსანთა ბანაკში აურზაური დაიწყო. გულფიცხი და ქედმაღალნი მოითხოვდნენ: დაუყოვნებლივ აეყარათ ბანაკი და შებმოდნენ ქილირჯ-არსლანს, მღვდელთაგანნი და ჰარმაგნი ურჩევდნენ მათ: მოეუცადოთ პიერ დ'ამიენს.

გულფიცხმა ჰაბუკებმა აიყოლიეს ეს ბრბო და მოსთხოვეს ვალტერ სანსაფუარს: ქრისტიანების სისხლი ავილოთო ახლავე.

ჯვაროსანთა ბანაკი ორად გაიბო, ფიცხელი ომის მომხრენი თავს დაესხნენ დაყოვნების მოსურნეთ და უშვერად ლანძღეს უკანასკნელნი, „ძაბუნნი რაინდები“ უწოდეს მათ და სხვაც ბევრი რამ აკადრეს უშვერი ვალტერ სანსაფუარს და ზოგიერთ წინამდგომს სხეთაც.

მესამე დღეს ვალტერ სანსაგუარმა შესხდომა უბრძანა მძიმედ შეჭურვილ რაინდებს, აპყარა ქვეითნი მემომარნი, დედაკაცთაგანნი ჯანსაღნი ცხენებს შემოასხდნენ, ზოლო ავადმყოფნი, მოხუცი და სავსებით ყრმანი ბანაკში დასტოვეს.

ისევ აღმართეს პორფირისფერი ჯვრებით შემკული დროშები და აღტყინებული გალობით გაუდგნენ ნიკეასკენ მიმავალ გზებსა და ბილიკებს.

ექვსი საომარი ხაზის სიგრძეზე გამწყრივებულნი, გაშლილი დროშებითა და ხორეუგებით მიადწიეს ჯვაროსნებმა გემლიკის ბოლოზამდის. სწორედ აქ შემოეყარათ მათ ჯვაროსნების ბანაკში მომავალი ქილირჯ-არსლანი ლაშქართურთ.

როცა სულტანს შემოესმა ჯვაროსნების ჩოჩქოლი, მან უბრძანა თავის ლაშქარს, ორივე მხარეს გაეწია ფრთები.

შექურვილი რაინდები უკვე გამოსულნი იყვნენ ტყიდან, უღარდელი გალობითა და ყიფინით მიჰყვებოდნენ ველს.

ომებში მრავალნაცადმა სულტანმა დაუყონებლივ შეუტია ცხენოსან ფრანკებს, მაკრატელივით მოაკეცინა ლაშქარს მარცხენა და მარჯვენა ფრთა, ჯერ მოსწყვიტა ცხენოსანი რაინდების მეწინავენი ტყე-ტყე მომავალ მთავარ ლაშქარს, უწინარეს ყოვლისა ცხენები დაუხოცა მათ, მერმე მიჰყვნენ ქვეითად გაქცეულებს და ხმლით აეკბეს თორიანი რაინდები.

მერმე შესდგნენ თურქები, აცალეს ლაშქარს ტყიდან გამოსვლა, დაერივნ ცხენოსანი თურქები ქვეით ლაშქარს და გაჟუჟეს.

შვიდი ისარი აიტანა ვალტერ სანსაგუარის თორმა და მერვემ უწია გულამდის. აქვე თავი დასდევს რაინალდ დებრეიმ, ფულშერ დორღუან-

მა, ფოლკერ დორღუმა, ვალტერ ფონ ტეკმა.

ბოლოს პიერ დ'ამიენის <sup>გარკინული</sup> ბანაკში მიაღწია თურქის მარბიელმა.

ხმალომწვედილი ცხენოსნები ყიფინით შესცვიდნენ ბანაკში. აეუწეს მოხუცები, ფეხმძიმე ქალები, პირლამაზი მონაზნები, ვაჟები და ქალწულები შეარჩიეს და მონების ბაზრებისკენ წარგზავნეს, ზოგიც ქილირჯ-არსლანს მიაართვეს საკუთარი პარამხანისათვის.

დიდძალი ოქრო-ვერცხლი წაიდეს ალაფად.

ზღვისპირად ერთი მიტოვებული ბერძნული ციხე იდგა, ბანაკის მახლობლად. ვინც გაქცევა შესძლო, ამ ციხეს შეაფარა თავი. ციხეს არც ბლოსკინები გააჩნდა, არც კარიბჭეები და არც სახურავი. ჯვაროსნებმა ლოდებითა და ჯირკვებით დაგმანეს კარიბჭეები.

თურქებმა ლოდსატყორცნები დაუშინეს პირლია ციხეს და დიდძალი მემომარი ქვით ამოქოლეს.

ერთმა ბერძენმა ლამით ნავი იპოვნა ერთი, იმპერატორს აცნობა ეს ყოვემეღვივე.

ალექსი კომნენმა მყისვე გამოგზავნა კონსტანტინე ვეფორეგენოს, რამდენიმე ხელანდაზე დასეა ორიოდეათასი მსუბუქად შეჭურვილი მონასპა, ალყა შემოართყეს ციხის გარემომცველთ და აოტნა თურქნი.

ასე რომ პიერ დ'ამიენის ლაშქრიდან ვინც ცოცხალი გადაჩნა, მათ კეისრის მეზღვაურებს მიჰყიდეს თავიანთი საჭურველნი.

• •

არავინ იცის, რად მიჰყიდა და დაუგირავა თავისი მამულები ლოთრინგის ჰერცოგმა\* გოდფრუა დე ბუაონმა თავის უმრწემესს ძმებს ბალდვინსა

და ევსტახს, ან რად იტვირთა ჯგარი ბედისაგან ეგზომ განებვიერებულმა რაინდმა.

აიყოლია ორივე ძმა, აგრეთვე გრაფი ბალდვინ დე მონს, ვერნერ დე გრემის, რაინალდ დე ტულო, ძმა მისი პიერ, დოდო დე კონც-ზაარბრაფუკენ, ორი ძმა: ჰაინრიხ და გოტფრიდ ფონ ვშ. 70.000 ლანდსკენხტი და ათი ათასი რაინდი თან ახლდა მათ.

ჰუნგრეთს რა მიეახლა, გოდფრუამ ელჩები გაუგზავნა კოლომან მეფეს და მშვიდობის გზა სთხოვა. თანაც შეეკითხა ელჩების პირით; რად ინებეთო ჩვენზე ადრე გზადგამოვილილ ჯვაროსნების ამოხოცვა და წარტყვევნა?

ელჩები თავაზიანად მიიღო კოლომან მეფემ და ამცნო: მიმტაცებელთა და კაცის მკვლელთ მეც ძალადობით ეუბასუხეო.

წიგნი გამოატანა ელჩებს და ამცნო ჰერცოგს ოედენბურგში გიციდო.

გოდფრუა დე ბუაიონმა აიყოლია თორმეტი შეჭურვილი რაინდი, ლაშქარის სარდლობა თავის ძმას მიანდო ბალდვინს და ოედენბურგის ზიდის თავზე შეხედნენ ურთიერთს მეფე და ჰერცოგი.

ბოლოს ორივენი შეთანხმდნენ: გოდფრუას მძევლებად უნდა დაეტოვებინა თავისი ძმა გრაფ ბალდვინი და მისი მეუღლე, სამაგიეროდ მეფე კოლომანი დაჰპირდა მშვიდობის გზას და ზორაგის შეძენის ნებას. ბიზანტიის საზღვარზე შესდგა გოდფრუა დე ბუაიონ თავისი ლაშქრითურთ, რადგან გზადაგზა გაიგო ალექსი კომნენს ტყვედ შეუპყროაო ჯვაროსანთა წინამდგომი გრაფ ჰუგო ვერმანდუა.

ჰუგო დე ვერმანდუა საფრანგეთის მეფის უმცროსი ძმა იყო, მეფეს გუ-

ლით ეწადა ჯვაროსნულ ომში წილის დადება, მაგრამ პაპის მტკიცე მოქმედებულს ამის უფლება არა შეიძლება.

ჰუგომ ფრიად თავაზიანი ეპისტოლე გაუგზავნა ალექსი კომნენს და სთხოვა მას იმპერიის მიწა-წყალზე გადავლის ნება.

შემდგომ ამისა წავიდა რომს, ვატიკანიდან მიიღო მოოქროვილი ხორუგვები და დროშები, ვილქელმ შერპანტიე და ვინმე ბერძენი ელიას დესპანებად მიუგზავნა იმპერატორს.

ბოლოს აიყოლია ტანკრედის ძმა ვილქელმი და ხელანდებში ჩასხა ჯარი და დურაცოსკენ გაემგზავრა. სასტიკმა დელვამ გზა აურია ჯვაროსნებს, ხელანდები ზღვამ გაიტაცა, ბოლოს ჰუგომ პატარა ნავით მოაღწია დურაცომდის.

აქ მას ფლოტის დრუნგარი ნიკოლას მავროკატაკონ დაახვედრა ალექსი კომნენმა. ბერძნული თავაზიანობითა და პურმარილით მოხიბლეს ჰუგო დე ვერმანდუა და იგი იძულებული გახდა იმპერატორის ყმანდამეციობა ეკისრნა. მიუხედავად ამისა იმპერატორმა დაატყვევა ჰუგო დე ვერმანდუა.

გოდფრუა დე ბუაიონ რა მიეახლა ბიზანტიის საზღვრებს, მის მიერვე კონსტანტინოპოლს წარგზავნილა მსტოფარები მობრუნდნენ და მოახსენეს გრაფს, ჰუგო დე ვერმანდუა, თიღი მეფის ძმა ტყვედა ჰყავსო კეისარს.

განრისხდა ჰერცოგი გოდფრუა დე ბუაიონ და უბრძანა თავის სპას: რვა დღის მანძილზე ემარცვათ გზადაგზა საკეისროს დაბანი და სოფელნი.

იმპერატორი ამის გამო იძულებული გახდა თავის დესპანები წარმოეგზავნა და ამცნო ჰერცოგს ჰუგო დე ვერ-

მანდუას ტყვეობიდან განთავისუფლების ამბავი.

დესპანების მოსვლის შემდეგ გოდფრუამ აპყარა ლაშქარი და კონსტანტინოპოლის თავადი ციხის მახლობლად დაადგმევინა კარვები.

ალექსი კომნენი იქვით შესცქეროდა თავმოთნე ჰერცოგს: კვლავ მოუგზავნა დესპანები მას და ურჩია: რაკი იმ ადგილას სადაც თქვენი კარვებია, აუტანელი ქარი ჭრის, ოქროს რქის დასაველეთი ნაპირისაკენ დასწიეთო ბანაკი.

ეს შეუთვალა და ხორაგეულის ყიდვის უფლებაც აღუთქვა თანაც. გოდფრუამ შეუსრულა იმპერატორს წადილი.

ისევ წარმოგზავნა ალექსი კომნენმა ელჩები და ბუკოლეონის სასახლეში აწვია ჰერცოგ გოდფრუა ამალითურთ. პუგოს დატყვევებისაგან გაფრთხილებულმა გოდფრუამ თავაზიანი უარი შეუთვალა კეისარს.

პურმარლის უარყოფისთვის, ალექსი კეისარმა ტურკოპულები<sup>1</sup> და პაქანიეები ჩასხა ზელანდებში ზღვა-ზღვა მიეპარნენ ჰერცოგის ბანაკს ღამით და დაუშინეს ქეიბურები მის ჯარს.

გოდფრუამ აპყარა ლაშქარი, კონსტანტინოპოლის შემოგარენი იეარპყო და თავადი ციხის დასაველეთის გალავანთან დაადგმევინა კარვები.

ახლა კეისარმა ეპისტოლა გაუგზავნა ჰერცოგს და სასახლეში მობრძანებდა სთხოვა და თავისი ვაჟი კალოიონე მძევლად შეაძლია.

ბოლოს ბუკოლეონის სასახლეში დაუხვდა გოდფრუას და მის ამალას და პურმარლი შესთავაზა. როცა გრაფ გოდფრუა დე ბუფონ მიეახლა ტახტზე მჯდომარე კეისარს, ალექსი კომნენი წამოიწია ტახტიდან და ეამბორა რაინდს.

ბერძნული ნადიმის შემდეგ ჰერცოგმა და მისმა ამალამ უმჯობესობის სიგელი მიართვეს იმპერატორს და აღუთქვეს ყველა, მათ მიერ აღებული, თურქებისაგან წართმეული ციხენი და ქალაქნი იმპერატორისთვის დაებრუნებინათ კვლავ.

ალექსიმ იშვილა გოდფრუა დე ბუფონ და მისი ამალა დაასახუჭრა, ხოლო გრაფის ბანაკში 10 გულა ტარტარონი<sup>2</sup> დაარბევინა. უმცველი ფიცით დასთქვეს: რამდენიმე დღეში იმპერატორის ფლოტს ნიკეაში გადაესხა გოდფრუას ლაშქარი.



ჯვაროსნული მოძრაობა სამხრეთ იტალიაშიც ძლიერი იყო, მის სათავეში იღვა ჰერცოგის რობერტ გვისკარდის ვაჟი, ბოჰემუნდ და-ტარენტო, რომელიც აპულიაში ატეხილ ომის დროს ეხმარებოდა მამა მისს და უწყალოდ მუსრავდა ბიზანტიელების კოპორტებს.

ბოჰემუნდი ხარჭისნაშობი იყო, ამიტომაც რობერტ გვისკარდმა უმცროსს ვაჟს, როჯერს უანდერძა სიცილია, კალაბრია და აპულია. რის გამო ბოჰემუნდსა და როჯერს შორის ხანგრძლივი ომი იყო ატეხილი. ბოლოს პაპი ჩაერია ძმათა სისხლის ღვრაში და ბოჰემუნდი „ილ პრინჩიპეს“ — თავადის წოდებითა და ტარენტოს პროვინციით შეაჯერეს.

ამიტომაც, ალექსანდრე მაკედონელის მაგალითს იგონებდა ილ პრინჩიპე ბოჰემუნდ და ამბობდა: იწროდ მეჩვენებაო ჩემი სამშობლო.

ბოჰემუნდი უზარმაზარი დევკაცი იყო, რომლის მხარბუქს არც ერთი მისი თანამედროვე რაინდის თორი ვერ

<sup>1</sup> ტურკოპულები — ბიზანტიის კეისარის ქირის ჯარის მოწამა.

<sup>2</sup> ტარტარონი — ბიზანტ. მონეტა, სხუნისა.

გასწვდებოდა, „ხარისებრ დიდრონ თვალებიდაი ცეცხლს აცვესებდა“<sup>1</sup>.

ერთხელ ზღვის პირად სეირნობის დროს, ოტრანტოში მან შენიშნა ხორუგვეებით დატვირთული ბრბო, რომელიც ყვიროდა „დეუს ლე ვოლტ“, ბოჰემუნდ აღიტაცა ამ ძაბილმა, გაიხადა თავისი პორფირის ტოგა, მიუვლო ბრბოს, რომელმაც ნაკუწებად აქცია იგი და ჯვრებად დაიკერეს ჯვაროსნებმა მხრებზე.

ბოჰემუნდმა აიყოლია თავისი ძმისწული ტანკრედი, ვილჰელმ პრინციპატუს ვაჟები: რიკარდო და რაინულფი, რაინდები: რობერტ ფონ ჰანზა, ჰერმან დე კანნი, რობერტ დე სურდევალ, გრაფ დე რუსინდოლ, ალბერტ და კანო და სხვანი.

თავისი ლაშქარი ჩასხა ხელანდებში და აულონში გავიდა ხმელეთზე.

ალექსი კეისარი დაფრთხა, რა გაიგო, რობერტ გვისკარდის ვაჟი დიდძალი ჯარით გამოემართათ ბიზანტიონში. ბოჰემუნდის ლაშქარი გზადაგზა ძარცვავდა ქალაქებსა და სოფლებს.

ციხისთავეები გამოდიოდნენ გოდოლებიდან, „კირიე ელეოსონის“<sup>2</sup> ძაბილით ეგებებოდნენ მოძალადე ჯვაროსნებს, წინ აგებებდნენ ჯვრებს, ხოლო ჯვაროსნები მათ მიუგებდნენ: „დეუს ლე ვოლტ“.

როცა კონსტანტინოპოლს მოუახლოვდნენ ბოჰემუნდი და მისი ნორმანელი რაინდები, იმპერატორმა ელჩები შეაგება და სთხოვა ამალითურთ მობრძანება ილ პრინციპეს, ბოჰემუნდს. სტუმრებს წმიდა კოშმას მონასტერში მიუჩინეს ბინა.

მეორე დღეს ალექსი კომნენა იდუმალი დარბაზობა მოუწყო ბოჰემუნდს, ნადიმს დაესწრნენ ჰერცოგ გოდფრუა და ძმა მისი ბალდვინი.

ბოჰემუნდიც მოხიბლა ალექსი კომნენის ბერძნულმა თავაზიანობამ ღმერთებისა, ყმად ნაფიცობა მკინრს კეისარისა, სამაგიეროდ კეისარი დაჰპირდა ლაშქრისთვის ხორაგსა და ხელანდებს.

ტანკრედმა და რიკარდო დაპრინციპატუმ არ ისურვეს არც კეისარის პურმარლის, არც ყმად ნაფიცობის კისრება, გლახაკურად გადაიცივეს და ბოჰემუნდის ლაშქარი ბითონიაში გადასხეს.



იმ დღეებში კონსტანტინოპოლს უწია გრაფ რაიმონ დე ტულუზმა. რაიმონი წინაწლებში საღარიბოდ ყოფილა იერუსალიმს წასული. როცა მაცხოვრის საფლავის მოსალოცად შედიოდა ტაძრის ეზოში, კარიბჭის დარაჯებმა ხარკი მოსთხოვეს, რაიმონდმა არ ისურვა რამდენიმე დიპრემის გადახდა. სცემა დარაჯებს, სამაგიეროდ თურქებმა ცალი თვალი დაუხვეს რაიმონს.

გაბოროტებულმა რაიმონმა, როგორც ვიცით, პირველმა იკისრა ჯვარი, თავისი მამულები დაჰყიდა და გაასახიქრა, თან წამოიყვანა თავისი მეუღლე ელვირა და ჩვილი ვაჟი და გამოემგზავრა. მას თან ახლდნენ ადემარ, პუჟს ეპისკოპოსი.

პროვანსელებმა გადმოიარეს ზემოიტალია, კროაცია, და სალონიკი. გრაფ დე ტულუზის ლაშქარის მოსვლას რა შეისმენდნენ, დაბასოფელთა მკვიდრნი, აიყრებოდნენ და უღრან ტყეებს შეეხიზნებოდნენ. პროვანსალების ლაშქარიც ყვიროდა „დეუს ლე ვოლტ“, ძარცვავდნენ ხალხს. იარაღის ძალით იხვეჭდნენ სანოვავეს.

იმპერატორი დესპანებს მიაგებებდა გზადაგზა, არწმუნებდა: თავაზიანად დაგიხვდებითო, დამლამობით კი, მისივე ბრძანებით, ტურკოპოლებისა და

<sup>1</sup> იხ. The Alexiad of Princes Anna Comnena.

<sup>2</sup> კირიე ელეოსონ — ბერძნ. უფალი შეგვიწყალო.

პაჭანიკების ბრბოები თავს ესხმოდნენ ჯვაროსნებს, ხოლო დღისით მეციხოვნენი და ათასის თავები „კირიე ელვისონის“ ძახილით აგებებდნენ ჯვრებსა და დროშებს.

„ღეუს ლე ვოლტ“, მიუგებდნენ ჯვაროსნები, მუსრავდნენ ტურკობულებსა და პაჭანიკებს, ძარცვავდნენ მცხოვრებლებს და მოიკაფავდნენ კონსტანტინოპოლისაკენ გზას.

დაბა „რუსკოის“ მახლობლად, ნამდვილი ომით შეეგებნენ სლავები ჯვაროსნებს. მალე მოაღწია იმპერატორის დესპანმა, რომელმაც სატახტო ქალაქში მიიპატიჟა რაიმონი და მისი ამალა.

რაიმონი დიდის პატივით მიიღო ალექსი კომნენმა და წინა ღამეს მის ბანაკს თავს დაესხნენ ბერძნები და ორიოდე ათასი ჯვაროსანი ამოსწყვიტეს.

რაიმონმა როგორც კი გაიგო ეს ყოველივე, საყვედურები აკადრა იმპერატორს, მაგრამ პერცოვ გოდფრუამ, რომბერტ ფლანდრელმა დააშოშმინეს გრაფი და იგიც იძულებული გახდა ყმადნაფიცობა ეკისრნა.

ერთი კვირის შემდეგ მცირე აზი-

ში გადასხეს რაიმონ დე ტულუსის ლაშქარიც.

ტულუსის  
ერეკონსული  
გენერალი

ყველაზე გვიან მოაღწიეს კონსტანტინოპოლს ნორმანდიის გრაფმა რობერტმა და სტეფან დე ბლუამ.

რობერტ ნორმანდელი იყო ვეფი რომბერტ წითელისა, ამ გრაფმა ნორმანდიის საუფლო 10.000 ოქროდ დაუჯარავა თავის ძმას, ვილჰელმს, ინგლისის მეფეს. გზაში მათ შემოუერთდა ცნობილი „იერუსალიმელის“ რომბერტ დე ფრიზოს ვეფი.

მათ სულ სხვა გზები აირჩიეს. საფრანგეთიდან ალპები გადაიარეს, ლუკაში ურბან მეორის კურთხევა მიიღეს, რომს ჩავიდნენ და წ. პეტრეს ეკლესიის წინ აღლუმი გამართეს თემიდან ტერფამდის შექურვილმა რაინდებმა.

მათ ლაშქარსაც უგუნებოდ შეეგებნენ ბერძნები, ნება დართეს დღეშათიოდე კაცი შემოსულიყო ქალაქში.

სამაგიეროდ ამ რაინდებსაც დიდო ნადიმები გაუმართა კეისარმა ბუკოლეონის სასახლეში და რამდენიმე დღის შემდეგ ლაშქართურთ გადასხა ისინი ბიზანტიის ფლოტმა ნიკეაში.

## XXVII

### „თაყვების ხაზინა“

„ჰოა მხედარო, შესდექ და ამცნე ოკლის ტომთა ნაშეირებს შემდეგი წემს მიერ შეთვლილი: თქვენთაგანი თავის შემუღლის სისხლს არ აიღებს, მას უჯოზს დიაცის ნაწმერთული ჩიიცვას, ფერუშარილით სახე შეითხუპნოს, თავისი ხელშები გააცილოს ბაზარში, ბრძოლის კიდევან დარჩენილმან, ხელშების საფასით, თითოსტარი შეიძინოს და იგი აიღოს ხელთ“.

ი ბ ნ კ ა მ ლ უ ნ .

„მხოლოდ ერთი თვის შემდეგ, რაც პატრონის ბრძანება მივიღეთ, ძლივს ჩავაღწიეთ მე და არშარუნიმ ჰამადანს, იუწყებოდა სარწმუნო კაცი მეფისა, ჯოჯიკი.

აღარბაგანში ჟამი მძვინვარებდა და ქარავენებს შეწყვეტილი ჰქონდათ მითოსვლა.

დაბეჯითებით გავიგეთ: ტუტუსის მიერ სულტან ბარქიაროკის დამარც-

ზება მართალი ყოფილა. ამ ამბავმა მთელი ჰამადანი შესძრა.

ტურკან ხათუნი და ძე მისი მაჰმუდი ჯერბადეკანში ცხოვრობდნენ ერთ პატარა კოშკში.

ტურკან ხათუნმა ბარქიაროკის დამარცხება რა შეიტყო, მყისვე წიგნი მისწერა თავის მახლს, ტაჯ ელდაულამ ტუტუშს და ცოლობა აღუთქვა. სულთან ტუტუშში აიყარა ბაღდადიდან და ჰამადანისკენ გამოსწია სპიანად.

ტურკან ხათუნმა უსარდლა თავის ლაშქარს, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ათათასი მონასპიდან შესდგებოდა და გაემართა საქმროს შესახედრად.

ეს მოხდა თვესა რამადანს.

წასვლის წინ მიზგითაში ილოცა და თავისი ვაჟი მაჰმუდი ჩააბარა თავის ერთგულ ამირებს ონარსა და სერვეტს.

მესამე დღეს, ჯერ კიდევ ჰამადანამდის არ იყო მისული და უეცრად გარდაიცვალა ტურკან ხათუნი. აგრე უბნობენ ზოგნი: ბარქიაროკის მემხრეთ მოაწამლენენო იგი.

ბარქიაროკი ამ დროს ნისიბში იყო, როგორც კი ამცნეს მას ტუტუშის წამოსვლა, მან მოსულს ქვემოდ გადალახა ტიგროსი და დაადგა არბილს გზას.

ათოდე ფარასანგზე მიეახლნენ ურთიერთს ბარქიაროკი და ტუტუშში, სწორედ ამ დროს, გამოეყო ტუტუშის ლაშქარს თავის სპიანად ორტოკის ძე, ამირ იაკუბი და თავს დაესხა ბარქიაროკს.

სულტანი გაიჭტა, მისი კარები და საბარგულნი ზელში ჩაუფარდა ამირ იაკუბს.

ამ ბრძოლის შემდეგ სამიოდე ამირი: ბორსოკი, კუმუჩტეკინ ელჯანდარ და ალიაროკი შერჩა ბარქიაროკს, ლაშქრიდან მხოლოდ ერთი ათასი მონასპა.

თავისი დედინაცვლის სიკვდილი რა

შეიცნო ბარქიაროკმა, ისპაჰანს მიაშურა, ეგებ შემოწყალონ მამამული, უმცროსმა ძმამ.

ქალაქის კარიბჭებამდის რა მიაღწია, აქ მაჰმუდის ამირები დაუხვდნენ და არ შეუშვეს იგი ისპაჰანში. ასე რომ სამი კვირის მანძილზე ისპაჰანის შემოგარენში მინდვრად ბინადრობდა სულტანი სპიანად.

მოციქულები მიუგზავნა ბარქიაროკმა მაჰმუდს, ქალაქში შემოშვიო, ეაჯა.

ისპაჰანიდან გამოვიდა მაჰმუდი, ძმები ცხენდაცხენ შეხვდნენ ურთიერთს და ძირს ჩამოუსვლეულად გადაეხვიენ ერთმანეთს.

მერმე ის იყო, ამირები თვალების დათხრას უპირებდნენ ბარქიაროკს, მაგრამ მისდა ბედად, ცხერის ჭირი შეეყარა მაჰმუდს და აქიშმა ეტტელმიშმა ეს უთხრა ამირებს:

„როგორც გატყობთ, თქვენ არა გსურთ ისპაჰანის ტახტი დაუთმოთ სულტანს, ტაჯ ელდაულამ ტუტუშს, ამიტომაც ნუ ჩქარობთ სულტან ბარქიაროკის დაბრუნებას, თქვენ ვეცდრეთ ალაჰს, მართმორწმუნეთა თანამდგომს, და ჩემის მხრით მე ვეცდები განკურნო მაჰმუდი. უკეთუ იგი განიკურნა, მაშინ დასთხარეთ ბარქიაროკს თვალები“.

როგორც გვიან გავიგეთ ჰამადანში, აქიში ეტტელმიშ ბარქიაროკის მემხრე ყოფილა და ამიტომაც სიკვდილს მიაწება მაჰმუდი.

იგი მოკვდა თვესა შევალს.

ბარქიაროკმა დიდის ზეიმით დაასაფლავა თავისი ნახევარი ძმა.

სამი დღეც არ გასულა და ჭირი შეეყარა ბარქიაროკსაც, მაგრამ საეილალოდ ჩვენდა, აქიშმა ეტტელმიშმა რალაც მანქანებით განკურნა იგი.

თქვენი ჭირი წაიღო ბარქიაროკის ეახირმა იზ-ალ-მულკმა. მისი უფროსი ძმა, მუეიდ ალ-მულკი, რომელიც

აქამდის მაჰმუდის სამსახურში იყო, ბარქიაროკის ვაზირი გახდა.

მუეიდ ალ-მულკმა მალემსობოლნი აფრინა ერაყისა და ხორასნის ამირებთან და ეაჯა მათ: სულტან ბარქიაროკს მიმზრობოდნენ.

ეს ამირები ტუტუშს გადაუდგნენ და ბარქიაროკის მომზრენი გახდნენ, რადგან თავისი მამის, იმ წაწყმედილი ალფ-არსლანის დარად მეშულლე და სისხლმოწყურებული იყო ტაჯ-ედლაულაჰ ტუტუშში.

ათასზე მეტი კაცი საკუთარი მშვილდის საბელით ჰყავდა მას მოშთობილი, ხოლო მის მიერ წაჭრილ თავებს ვარსკვლავთ მრიცხველნიც ვერ დაითვლიანო, აგრე უზნობენ ჰამადანში.

მსტოვარებმა გვიან ამცნეს ტუტუშს: ისპაჰანში ავად გახდაო ბარქიაროკი. მანაც ისპაჰანს გასწია სპიანად.

ამირ-აზორი ეაჯა სულტანს: ჯერბადეკანს წავალ, მანდაურ ციხეს შემოვაწყობ სპას და შენს მობრძანებამდის ავიღებო კიდევაც.

ჯერბადეკანის ნაცელად ისპაჰანს ჩავიდა ამირ-აზორი და სულტან ტუტუშის მოახლოება აუწყა ბარქიაროკს.

ბარქიაროკის ავადმყოფობის დროს აღარბაგანის ამირებმა ტუტუშის მეგზრედ გამოაცხადეს თავი. განიკურნა თუ არა ბარქიაროკი, მათ პირი უმტყუნეს ტუტუშს და ამცნეს:

გაგვასწოროსო ხმალმა.

ერთი დღის სავალი გზა უკლდა ტუტუშს, ისე აიყარა ისპაჰანიდან სულტან ბარქიაროკი სპიანად და რეისკენ გაემართა.

სწორედ რეის მახლობლად შეეყარნენ ურთიერთს ბიძა და ძმისწული.

ოშის დაწყებამდის სულტან ტუტუშმა უბრძანა თავის ლაშქარს: ბარქიაროკის სპანი არ დაატყვევოთ,

ხმლით აეკეთ იგინი, თოკებს ნუ დახარჯავთ, მე დამჭირდება თქვენი მარცხი თქვენთვის, თუ გავიმარჯვე ბარქიაროკის ამირები უნდა მოვაშთო ამ თოკებითა.

ამ სიტყვებმა შეაძრწუნა მისი ამირები და ათასეულთა წინამდგომი. მათ აგრე იუარაუდეს: თუ დავმარცხდით, ჩვენც მოგვაშთობსო სულტანი, ამიტომაც, ბრძოლის დაწყებამდის მსტოვარნი მიუგზავნეს ბარქიაროკს და ამანი<sup>1</sup> სთხოვეს წინასწარ.

ამანი მოსცა ბარქიაროკმა მათ.

ამირ ბეკჯურ ეახლა სულტან ბარქიაროკს და მოახსენა:

„ბიძა შენმა ჩემს თვალწინ ხმლით აეკა ჩემი სამივე ვაჟი, შარშან, ნება მიბოძე, მახელითვე ავიღო ჩემთა ძეთა სისხლი ახლავე“.

დაიწყო თუ არა ომი, ამირ ბეკჯურმა და მის თანამდგომთა, გაარღვიეს გულის ლაშქარი, რომელსაც თავთ სარდლობდა ტუტუშში, მიეჭრენ ცხენდაცხენ სულტანს და ის იყო ამირბეკჯურმა ხმლით განგმირა თორიანად ტუტუშში.

გადავარდა თუ არა იგი ცხენიდან, ამირ სონკორჯი მიეჭრა ცხედარს, თავი წაჭრა და მიართვა ბარქიაროკს.

ტუტუშის ოტებულ ლაშქარს გამოუდგნენ ბარქიაროკის სპანი, მაგრამ უკან გამოაბრუნა ბარქიაროკმა ისინი და ამანი უწყალობა ტუტუშის მეგზრეთა.

ტაჯ ედლაულაჰ ტუტუშში მისივე ცხენის ძეაზე მიაბეს და ათრია იგი გაქენებულმა ცხენმა ველდაველ.

•  
•

მე და არამაის არშარუნი ჰამადანიდან ბაღდადს წავედით, რადგან მანდ ველოდით დიდთა ამბავთა ხილვას.

<sup>1</sup> ამანი — მშვილობა, შეწყნარება.



ერთი კვირის შემდეგ ბაღდადში ჩამოათრეეს ტუტუშის ცხედარი, აქაც ათრეეს იგი ცხენის ძუაზე გამობმული დიდ მოედნებზე, ხოლო მისი თავი თავების ხაზინის წინ დაავდეს.

მე და არამის არშარუნი წავვიყვანა იმ ღამეს ამ თავების ხაზინის სანახავად ერთმა ბაღდადეღმა სომეხმა. სამი დიპრემი ვახუშეთ მეკარეს და ენახეთ სათხრობად უცნაური და სახილველად ამაზრუნენი რამ...

თავების ხაზინა იმყოფება ბაღდადის უდიდესი ჯამეშს გასწვრივ, რომელიც რაგორც ამბობენ, ხალიფას აუგია, ომარს.

ეს სახლი სასახლე ყოფილა ოდესდაც, რომელიც ამირისა, იგი საეუთარ სახლში მოაკვლევინა თურმე ტუტუშის მამამ აღფ-არსლანმა და მისი თავი აივანზე გამოჰკიდეს.

ეზოში ჩხრიალებენ შადრევანები უზარმაზარ კვიპაროსებს შორის. შავნაყოფიანი, რაღაც უცნაური ყვავილები ხარობენ ბაღში.

აგრე გვიამბო ჩვენმა მეგზურმა სომეხმა არტაშმა:

ადამიანის სისხლითაა თურმე ეს ბალი მორწყული, ამიტომაც შხამიან ნაყოფს ისხამენ ეს ყვავილები და სულტნები ურჩი ამირების მოსაწამლაოდ ხმარობენ მას.

ამ ბალიდან ერთი ბილიკი მიღის სახრჩობელების ეზოში, სადაც იმ დღესაც ეკიდა ათიოდე კაცი, ქარი აქანავებდა ცხედრებს.

ფეხშიშველა ბიჭები წაბლს ყიდიდნენ, მოსეირნენი ღეჭავდნენ წაბლს და ათვალეურბდნენ მოშობილ ვაზირებს.

მეორე ბილიკი მიემართება შავი მარმარილოს სვეტებიან დაბახსნი სადაც ლომები, ვეფხები და სხვაობა დაბმული, აქ ისინი მოჰყავთ, ვისაც ვეფხის მიერ ვაგლეჯა, ან საბილოს მიერ გადაიჭრა აქეთ მისჯილი, შუბოსანი ზანგები გუშავობენ მათ.

წერაქველურიანი ზანგები დგანან თავების ხაზინის კარიბჭესთან. როცა ჩვენ ამ სასახლის ეზოში შევედით, ლომების დვრინვა შემოგვესმა, კიბეზე ავედით თუ არა, ადამიანთა ცხედრის სუნნი გვეცა, ასე რომ მე დავებარბაციდი და უთუოდ წავიქცეოდი, არამისს რომ არ წიველო ხელი.

როცა ადამიანთა ლეში შემოაკლდებათ, ეს ლომები ისეთ დვრინვას მორთავენ ღამამობით, მთელი ბაღდადის მოსახლეობას ძილი უკრთება თურმე.



ბოლოს მივალწიეთ თავების ხაზინის მთავარ დაბახს. აქაც შავი სვეტებია მარმარილოსი და მარმარისავე თეთრი თაროები.

წვერწაზრდილი, კბილებდარჯენილი და თვალეგამოკარკლული თავები შემოგვეცქერიან თაროებიდან.

საითყენაც არ უნდა მიბრუნდე, შემოგვეცქერის ათასი ღია დარჩენილი თვალი, მრავალი ათასი დარჩენილი კბილი და ასე გგონია ერთობლივ კბილთა ღრჭენა შემოგვესმის.

მარმარის თაროებზე გამწკრივებულ თავებს თმები ისე აქოჩილი აქვთ, ხელით ნათრევე თავებს გაბშეკილი დარჩენიით ბალანი, ასე გგონია შიშისაგან ყალბზე შემდგარნი აგრევე გაბევებულანო, რაგორიც იყენენ ისინი მოკვინების წუთებში.

ეს თავები მესობოტამიის ამირებისა, გვიჩურჩულებდა ჩვენი მეგზური, ის თავისქალები, რომელთაც უკვე შემოქნობით კანი და თვალები დაე-

1 არაბ. „ხაზინატ არატოს“ Chizanat arrous. იმყოფებოდა იმ ქალად ბაღდადში. ახ. დეფერმტო.

სებით სავსებით, ასასინების, იზმავ-ლიტებისაა, ისპაჰანს გამგზავრების წინ აქლემებმა მოიტანეს ისინი მოსულიდან.

„ორ დიპრემსაც თუ გვიწყალობებთ, ამაზე უარესს რაიმეს გიჩვენებთ“, გვიჩურჩულა ჩვენმა მეგზურმა.

შივეციტ ორი დიპრემი და ახლა სარდაფებში ჩაგვიყვანა მან. აქაც წერაქეცულიანი ზანგები იღვნენ გუშაგებად.

როგორც დახერხილი შეშა თადარიგის პატრონის მიერ დალაგებული, მწკრივ-მწკრივად ელაგნენ უზარმაზარ სარდაფში იზმავლიტების, მსტოვარების, განდგომილი ზოგების, ყადების, ამირების ჩონჩხები, ბარძაყის ძელები, მკლავები—ცალკერძ, ცალკერძ თავები, რომელნიც სამსამ თვეს გამოფენილი ყოფილან ზემო სართულზე ბაღდადის მოსახლეობის სანახავად, და როცა უკანასკნელი შეთქმულება ჩაახშო ტაჯ-ედდაულამ ტუტუშმა, ესენი ძირს ჩაგზავნა და მათი ადგილი ახალმა თავებმა დაიკავეს.

როცა ამ საშინელ სახლიდან გამოვედით, ჩვენმა მეგზურმა სომეხმა არტაშმა მიგვიყვანა გზისპირად გამოდებულ თავთან, მას ჯერაც მწვანე ტურბანი არა ჰქონდა მოხსნილი, რადგან ასეთ ტურბანში ჰქონდათ ნანახი ბაღდადელებს ტაჯ ედდაულამ ტუტუშ.

არტაშ, ჩვენი მეგზური მივიდა და ჩაანერწყვა სულტანს ტუჩპირში. ათი-ათასნი ბრბო დაძრწოდა მთელი ღამე ბაღდადის ქუჩებში, რიგ-რიგობით მიდიოდნენ ბაღდადელები თავების ხაზინის წინ გამოდებულ ჩაღმთან თავთან, წყევლიდნენ და ანერწყვავდნენ მას სახეში.

ბარქიაროკის ლაშქარი მოადგა თუ არა ბაღდადის ციხის გოდოლებს, მიზგითაზე ავიდა თავათ ხალიფა, ხუტბა

ალავლინა ანალი სულტნის სახელზე. სულტან ტუტუშს დააჩუქებდა ვაჟი, ორი მათგანი რიღქუანი და დეკაქ პალაბისა და დამასკის მბრძანებელნი იყვნენ.

დეკაქმა მოციქულნი აახლა ბაღდადში ჩამოსვლისთანავე ბარქიაროკს და ყმაღნაფიცობა შესთავაზა.

ბარქიაროკმა ამირ ტოგტეკინი გაუგზავნა მას. ამ უკანასკნელმა დედა მოსტაცა დეკაქს, თავის პარამხანაში დაამწყვდია და დამასკს დაეუფლა.

თვესა რამადანს, სულტან ბარქიაროკს თავს დაესხა მისივე ქოლგისმტვითველი სეჯისტანელი მონა და მკლავში დასჭრა იგი.

ბევრი აწამეს შეპყრობილი, მაინც არ გამოტყდა იგი. ბოლოს სპილოს ჩაუგდეს ფერხთით.

იყვირა მონამ: ოლონდ სპილოს ნუ გადაათქერიანებთ ჩემს სხეულს და გამოგტყდებიო.


გამოირკვა: ასასინებს—ისმალიტებს ათი დიპრემი მიუციით მისთვის სულტნის მოკვლის საფასად.

ამჟამად ბაღდადში ვართ და ამიერიდან რასაც გავიგონებთ, ან ჩვენის თვლით ვნახავთ, ყოველივეს გაუწყებთ წერილად, სწერდა ჯოჯიკი გიორგი ჭყონდიდელს.

ნიანია ბაკურიანის პიტაკი უკვე მიღებული ჰქონდა კონსტანტინოპოლიდან მეფეს, ასე რომ მან უკვე იცოდა ჯეაროსანთა ლაშქრის ჩამოსვლის ამბავი.

როცა ჯოჯიკის მიერ მოწერილი წიგნი წაუკითხა გიორგი ჭყონდიდელმა ბატრონს, იგი მცირე ხანს სდუმდა. ბერმე მის გვერდით მდგომს ფარჯანის მთებრუნდა, მუხათ გვერდის ციხისთავს, და უბრძანა:

„ხელიდანვე შეუდექით სამზადისს. წარგზავნეთ შეიდი სარწმუნო კაცი



შარლანს, ოთხი ერისკაცი, სამი მღვდელთაგანნი, ათ-ათი კარვის მცველი და მეჭინბე ეახლოს მათ.

დაუყოვნებლივ იხმეთ გუარამ ბეჰის ციხის პატრონი, იგი წარუძღვეს ამ დესპანებს. თან გაატანეთ სამი ათასი ბოტინატი, ცხენები და ჯორები. წარმოსადგენი, ომახიანი კაცნი შეარჩიეთ.

ერისკაცთ ჩოხანჲ ჩაიცივნ სამღვდელთაჲც.

კარავისმცველთა და მეკარეთებრძანოს ჯუბაჩების ქვეშ ატარონ როგორც თორნი, ისე საჭურველი.



გიორგი ჭყონდიდელმა და ფარჯანანმა შარლანს წარსაზღავენად დესპანებად შეარჩიეს გუარამ ბეჰის ციხის პატრონი, ახალგაზრდა ერისთავნი ხურციხე და ბუკაისძე, და სომეხნი სთვდაგარი არშარუნი, მეფის სარწმუნო კაცის, არამაისის ძმა, რომელმაც ჩინებულად იცოდა როგორც ბერძნული, ისე აღანურიც, რადგან მას ხშირად უვლია კავკასიის გადაღმა ცხენების შესასყიდად.

მტბეგარი ეპისკოპოსი, მამაი სერაპიონი, ანჩელი პროტოდიაკონი სევასტი, აგრეთვე ბერძნულის მცოდნე, შავშეთელი ეპისკოპოსი—მამაი იოანე, ფრიად დარბაისელი რიტორი ბიზანტიაში ნავალი კაცი, რომელმაც ბერძნულიც იცოდა და არაბულიცა.

ცხუმის და ანაკოფიის ციხისთავებს მისწერეს: თანადგომა აღმოეჩინათ მათთვის და თორმეტი მონასპაც თან გაეყოლებინათ მათთვის კავკასს გადაღმა ნავალნი.

XXVIII

„მრისტმსაული ხელშუბნი“.

ზღვამ არ შეუსრულა იოანე მაგისტრს უკანასკნელი აჯა. სამ დღეს ათრია მისი ცხედარი და ბოლოს გა-

მორიყა იგი სწორედ იქ სადაც ორი მარშალილოს გოდოლი *ფრანკოფონი* პროპოტიდის პირად. *გინგლინიქიქი*

მარიამ დედოფალი შეთქმულთა გასამართლების მეორე დღესვე ლოგინად ჩავარდა.

ბერძენთა შორის არც ერისკაცი და არც სამღვდელთა ახლოს არ გაეკარნენ მიცვალებულს. ზოგს იმპერატორის ეშინოდა, ზოგსაც კონსტანტინოპოლის პატრიარქის რიდი ჰქონდა.

ქართველი ეპისკოპოსებიც შეყოყმანდნენ. ასე რომ ნიანია ბაკურიანმა და ჯონდი ერისთავმა იკისრეს ცხედრის ჭირისუფლობა.

იოანეს დაღუპვამ ფრიად შეაშფოთა ბერი ათანასე. თუ აჭამდის იგი მუდამ პირაღმა იწეა გულზე ხელდაკრეფილი, ხანაც ფსალმუნის ლექსების დილინით და თუთიყუშთან ლაყბობით ირთობდა თავს, ახლა წამოდგა, ყავარჯენი მოატანინა, დაფათურობდა იოანესეულ სასახლეში და განკარგულებებს იძლეოდა.

რა შეიძინო: ნაკურთხ მიწაში იოანეს დამარხვის ნებას არ იძლევაო კონსტანტინოპოლის ეპარქი, შეშფოთდა უსინათლო ბერი.

ეაჯა ქართველ ეპისკოპოსებს: თან წაჰყოლოდნენ კონსტანტინოპოლის პატრიარქთან. თვით მამაცი კირიონ მანგლელიც შეკრთა და გადაჭრით უარი სთქვა.

გაბრაზდა ათანასე ბერი, იყოლია დედოფალყოფილის რუსუდანის დიაკვნები: ხახუტაი და ხახარე და ეახლა პატრიარქს.

ამ უკანასკნელს მარიამ დედოფლისაგან ჰქონდა განაგონი: წმიდა კეცილო ბერი ათანასე, თავაზიანად მოუსმინა მას, მაგრამ იოანეს ცხედრის ნაკურთხ მიწაში დამარხვაზე მტკიცე უარი სთქვა.

დაუსაბუთა კიდევაც მვედრალხს: ორმაგი ცოდო მიუძღვისო განხვეწე-

ბულს: იმპერატორის ღალატი და თვითმკვლელობა.

ამ ამბავმა უარესად გააშმაგა უსინათლო ბერი. უცნაური მზნობით აღიჭურვა მიხრწნილებაში გადამდგარი მოხუცი.

კაცის სიმაღლე ხის ჯვარი გააყეთებინა, ფსალმუნის გალობით წარუძღვა წინ კონსტანტინოპოლელ ქართველთაგან შემდგარ პროცესიას.

თავით მიჰქონდა ხის ჯვარი, თავში ხელს იცემდა და გალობდა თანაც.

და პროპონტიდის ნაპირას, სწორედ იქ სადაც ამ ცხოვრებიდან გასასვლელად უკანასკნელად ჩაჯდა ნაუში იოანე მაგისტრი, იქვე დამარხეს იგი.

ამით არ დასრულებულა ათანასეს ღვაწლი იოანეს ცხედრის წინაშე. მარიამ დედოფალს, დედოფალყოფილ რუსუდანს და იოანეს ზოგიერთ თანამებრძოლს ბერძენთაგან ჩამოუარა ათანასემ, ათასიოდე ოქრო მოაგროვა იოანეს აკლდამის მოსაწყობად.

შავი ბაზალტის უზარმაზარ ლოდზე წააწერიდა გრძელი, უთავებოდ შედგენილი ქართული ლექსი, რომლის პირველ სიტყვათაგან ასეთი ეპიტაფიის ამოკითხვა შეგვეძლოთ:

„ლოდსა: ამსა: ქვეშ: განისვენებს: ქართველი: აზნაური: თანე: მაგისტრი: რომელმაც: ბიზანტიის: ომებში: მიღებული:

მრავალი: ჭრილობა: თან წარიღო: ამ საწუთროდან და: ნაცვლად: ამისა: სამი აღლი: მიწა: დაამადლეს: მას ბერძენთა:

წაკითხველო:

გვედრი:

შენდობას“.

ათანასე ბერს ჯერაც მოთავებული არა ჰქონდა იოანეს საფლავის შექმნა, სავარდეს მოწყობას აპირებდა მანდ და სწორედ იმ დღეებში მოაღწიეს ჯვაროსანთა პირველმა ბრძოლებმა.

მთელი კონსტანტინოპოლი შესძრა „ქრისტეს ლაშქრის“ მარხვით. ჩამოსვლამ. აელრიალდნენ კონსტანტინოპოლის მრავალი ათასი ეკლესიის ზარები. ერისკაცთაგანნი: რაინდნი და აზნაურნი ალექსი კომნენის იქვენულად შეყრილ წარბებს შესცქეროდნენ, სამაგიეროდ ბერებსა და მონაზვნებს ველარ აოკებდნენ მონასტერთა წინამდგომნი და ეპისკოპოსნი.

სენაკებიდან გამობოდნენ უწვერულნი მორჩილნი, იღუმალად უერთდებოდნენ იერუსალიმისკენ მიმავალ „ქრისტეს ლაშქარს“.

ამეტყველდნენ ბერთა შორის დაღუპებულნი, მღვიმეებიდან გამოძვრნენ დაყუდებულნი და ესენიც შეუერთდნენ ერთობლივ ძაბილს: „იერუსალიმისკენ“.

უსინათლო ბერი ათანასეც შესძრა ამ ამბებმა.

იოანე მაგისტრის დაღუპვით აღძრული სიმძიმელი დაჩრდილა მის გულში ქრისტეს საფლავის განთავისუფლებისთვის ოცნებამ.

ათანასე დღედაღამ აღტაცებული გალობდა ფსალმუნის ლექსებს და თავის გუნებაში ემზადებოდა იერუსალიმს წასასვლელად.

ამას ყოველივეს ერთი ამბავიც ზედ დაერთო:

დიაკონყოფილმა ხახუტაიმ ერთი აცინგანის ღიაცი მოჰგვარა ათანასეს მკითხავი, მჩხიბავი და რამლის ჩხრეკაში დახცოვნებული.

ამ აცინგანმა გაუჩხრეკა უსინათლოს რამლი და უმარჩიელა ბერს: როგორც კი იერუსალიმს ჩახვალ, მანდ ლეთიშობლის მიძინების ეკლესიის მახლობლად ერთი კლდეა, იმ კლდიდან ქრისტეს ცრემლების წყარო გადმოჰქუხს, ამ ცრემლებით თუ თვალებს ამოიბან, უთუოდ აგვიხილებათ თვალნი.

ამ მარჩიელობამ იქმარა, ათანასემ



გადასწყვიტა დედოფალყოფილ რუსულანისთვის ეთხოვა დიაკონი ხახუტაი დაეთმო მისთვის.

ხახუტაი თავათ მაინც და მაინც არ მიიღებოდა ქრისტეს საფლავის მოსალოცველად წასვლას, იგი აღაპების შემოსავლის მითვისების გამო განპატრებული პროტორდიაკონი იყო, გეგუთიდან მოვლნიებული როგორც მეკარე და ჯორების მომვლელი.

ოქროს სოლიდები არ სძულდა ხახუტაის და ამიტომაც დაეთანხმა ათანასე ბერს, თუ დედოფალყოფილ რუსულანი ნებას დამართავს, იერუსალიმს კი არა, თუნდაც საიქიოს ჩაგიყვანო.

იოანეს შესუდრული ცხდარი ჯერ კიდევ შინ ესვენა, მისმა მსახურებმა, სტუმრების სხვაგანყოფნით იდროვეს და მთელი სასახლე გაძარცვეს, ნიგარის ფასად გაჰყიდეს ძვირფასი თვლებით მოოქვილი ოქროს ხატები, ნოხები, ვერცხლის ჯამჭურჭელი და ბალკანეთში გადაიხეყნენ თავათაც.

მხოლოდ რუსულანი უწყევდა პატრონობას მარტოდ დაშთენილ უსინათლო ბერს.

დედოფალყოფილი თავათ ემსახურებოდა მოხუცს, ქრისტეს მაგალითის წამბაძველი, საყუთარი ხელით ჰბანდა მას თავსა და ფეხს. საქმელს უმზადებდა ბრმას.

უჯდა სასთუმალთან და საღვთო წერილს უკითხავდა ნიადაგ, როცა თავათ მოუცლელი იყო, ან ავად გაზღებოდა, ხახუტაის უგზავნიდა ათანასეს.

ახმაზი ხახუტაი კნუტივით დაათრევდა ამ ჩია კაცს კონსტანტინოპოლის ქუჩებში.

ერთ დღეს ხახუტაი მოვიდა და ამცნო ათანასეს თავათ რუსულანი მიბრძანდებოდა ამ დღეებში იერუსალიმს.

არ კი ამხელდა, მაგრამ გაბარებულ იყო, ხახუტაი, რადგან განაგონი

ჰქონდა: ჯვაროსნები ქრისტე ეხმარებას სახლობას გზადაგზავნიდა მოვახლოვო რაიმე.

რუსულანის იერუსალიმს გამგზავრების ამბავმა მთლად აფორიაქა უსინათლო ბერი. მას არ უნდოდა ბერძნულ მონასტერში შესვლა, რადგან იოანეს სიკვდილის შემდეგ ქირის დღესავით შესძახდა ბერძნები, გარდა ამისა, ბერძნულ მონასტრებში მხოლოდ ჯანსაღთა და გამრჯელთათვის იყო გზა ხსნილი.

უკეთუ ერთადერთი მისი პატრონი იერუსალიმს წავიდოდა, რა უნდა ექნა მარტოხელ ბრმას?

თუ აქამდის მარიამ დედოფალი თავათ მრავალგზის გარჯილა რუსულანის იერუსალიმს წარსაგზავნად, ახლა იგი წინააღმდეგა დედოფალყოფილის იერუსალიმს გამგზავრებას.

„რა დროს წასვლაა გეთაყვანე, ეუბნებოდა იგი რუსულანს, რაკი ამოდენა ხანი გიცდია, მოიცადევი მცირედი კიდევ, მალე ქრისტეს ლაშქარი იერუსალიმს აიღებს ღვითი, თურქი ავაზაკებისგან გასწმენდნენ ნიკეა-ანტიოხიის გზებს, ხახუტაის გაგატან და წაბრძანდები გეთაყვანე“.

გაჯიქდა დედოფალყოფილი.

რაკი მარიამ დედოფალი მრავალგზისი შეგონებით ვერას გახდა, ახლა მან გადასწყვიტა სხვა გზით მოეარნა ამ საქმისათვის:

მარიამმა კარგად იცოდა: უსინათლო ბერს, ათანასეს ერწმუნებოდა რუსულანი. მარიამმა იხმო ნიანია ბაკურიანი და ჯონდი ერისთავი და სთხოვა: მისულოყენენ ათანასესთან და მის მაგივრად ეთხოვათ, რათა ათანასეს შემოქმედება მოეხდინა დედოფალყოფილზე.

თანაც იგიც ემცნოთ, რომ მარიამ დედოფალი საყუთარის ხარჯით წარგზავნიდა ათანასეს საქართველოში, ძმასთან, რომელიც მგელციხის ციხისთავად ჰყავდა დავით მეფეს.

აგრე ვარაუდობდა მარიამი: როცა ათანასეს ხელიდან გამოვაცლი რუსუდანს, შესაძლოა გადასდოსო როგორმე იერუსალიმს წასვლა.

მიმწუხრისას, იოანეს სასახლეში შესვლის უმაღლესი ხმა მაღალი გალობა და ლაღადისი შემოვსმათ ნიანიას და ჯონდის.

ბნელ ოთახში პირაღმა იწვა ბერი ათანასე და გალობდა:

„განათლი, განათლი  
ახალო იერუსალიმ“.

სტუმრების ფეხის ხმაზე შესწყვიტა და რომელი ხარო, იკითხა ბერძნულად.

მისაღმებისა და მოკითხვის შემდეგ, ასეთი რამ ჰკითხა ათანასემ ახალმოსულთ:

„სასახლის კიბეზე ხომ არავეინ შემოგყრიათ შვილნო?“

არავეინო მიუგეს მათ.

„ამ წუთში გავიდა იმ კარიდან იგი“.

ვინაო?

შევეკითხნენ ორივენი ერთხმად.

„წმინდა მოციქული ანდრია“.

ორივეს გაეცინათ, ალბათ შერყეულაო საწყალობელი ათანასე.

ჯონდი იცინოდა და ნიანია ეუბნებდა ღიმილმორეული:

„რააა ბრძანებ მამაო ათანასე, ანდრია მოციქული გეწვიათ თავათ?“

„თავათ მობრძანდა წმინდანი“.

„როგორ?“

„როგორ და მე ვთვლემდი. თუთიყუში აწრიალდა ერთბაშად. დაეტუქსე ის ვერანა, იყუჩე მეთქი. როგორც იქნა დაეადღუმე თუთიყუში და კარი გაიღო.“

ბერძნულად შევეკითხე მასაც: რომელი ხარ მეთქი?

ანდრია ვარო, მოციქულთა სწორო.

მერმე მოუახლოვდა ჩემს სარეცელს და რაღაც ცივი ბასრი საგანი მომაკარა ხელზე.

„რა მოგიტანია მეთქი, მოციქულთა სწორო?“

ხელშუბიო, მრქვა.

რა ხელშუბი მეთქი?

ეგ ის ხელშუბიო, რომლითაც ქრისტე განგმირეს ჰერიათა მცხოვარი ჩვენი“.

„რად ვაქნევ მეთქი, მე უსინათლო, გლაზაკი, ხელშუბსა მას“.

„ბრმა იგია, ვინც ვერ იხილავს მკვდრეთით აღმდგარ მაცხოვარს“.

ათანასე დადუმდა, ხოლო ნიანია დაჰკითხავდა კიდევ:

„კიდევ რა გითხრა მოციქულმა ანდრია, მამაო ათანასე?“

მერმე უფროვე მოეახლა სარეცელს ჩემსას წმინდანი იგი და მრქვა:

„აღიდე ხელშუბი ესე მაცხოვრისა ჩვენისა, წადი იერუსალიმს, განიხუნებინ ციხენი და გოდოლნი აგარიანთანი გზადაგზა, თან გააყევი ქრისტეს ლაშქარს, ქრისტეს საფლავის დასახსნელად იერუსალიმს მიმავალს, ჩახვალ თუ არა, აღიდე თიხაა, ნერწყვე თიხასა მას, ამოისვი თვალში და იხილავ ვაბრწყინებულ იერუსალიმს, უსინათლო ბერო“.

„მერმე, მერმე?“

ეკითხება ჯონდი.

„მერმე ვგონებ კუთხეში მიიყუდა ხელშუბი და გაუჩინარდა. წამოვდექი, ბევრი ვაფათურე ხელფეხი, და აღარსად გამოჩნდა ხელშუბი. მიდიო და მოსჩხრიკეთ შვილნო ჩემნო“.

სოქვა ათანასემ.

ამოდ ეძიეს ნიანიამ და ჯონდიმ და ველარსად იპოვნეს ქრისტესეული ხელშუბი. ათანასე დაეჭვდა: „ვინ იცის ეგებ აღარ მენდო ბოლომდის და თან წაიღოვო წმინდანმა ხელშუბი იგი“.

ნიანია და ჯონდი მიხედნენ, ისე აღტყინებული იყო უსინათლო ბერი, ამოდ დაშვრებოდნენ ხელახალი შეგონებებით.

რაკი დარწმუნდა მარიამი, შეგონებებით ვერას გახდებოდა, თავათვე შეუდგა რუსუდანის გამგზავრებისათვის ზრუნვას.

შობის დღესასწაულზე მარიამიც დაესწრო ალექსი კომნენის სასახლეში იმ ნადიმს, რომელიც გაუმართა იმპერატორმა დასავლეთელ რაინდებს ბუკოლონის სასახლეში.

სწორედ ამ ნადიმზე წარუდგინეს მარიამ დედოფალს გოდფრუა დე ბუაონ.

ნავაზშქვეს დედოფალმა სთხოვა ჰერცოგს მფარველობა გაეწია დედოფალყოფილ რუსუდანისათვის და თავის ლაშქრის მიმყოფლთა და მეკარვეთა დასტაში მგზავრობის ნება დაერთო რუსუდანისა და მისი ამაღლისათვის.

გოდფრუა დე ბუაონმა იქვი გამოსთქვა: ჩემი ლაშქარი ალბათ მეწინავე იქნება და ვაჲ, თუ დედოფალსა და მის ამაღას გაუჭირდესო კვალდაკვალ მოგესდიოს გზადაგზა.

ამ საუბარს ყური მოჰკრა ალექსი კომნენმა და თავათაც შესთავაზა მარიამ დედოფალს: ჰერცოგ დე ბუაონის ლაშქარს თან მიჰყევება ჩემი კოპორტები ტატიკის წინამძღოლობით, მე უბრძანებ სარდალს და იგი ჩაიყვანს დედოფალყოფილს იერუსალიმში.

მრავალგზისი ზრუნვა დააწვა ნავადმყოფარ მარიამს გაჭირვებულბული რუსუდანის კონსტანტინოპოლიდან გასამგზავრებლად. დედოფალყოფილს საქართველოდან თან მოჰყვა სამი მღვდელი, ოთხი მონაზონი და ორი დიაკონი, ხუთი მეკარვე-მეჯინიბე. ათი მონასპაც მცველად მიუჩინეს მას იმპერატორის ბრძანებისამებრ.

მარიამ დედოფალს ეს ლა აწუხებდა: გზაში არ გაცივებულყო რუსუდანი როგორმე, სხვა მხრივ იგი წინასწარ დარწმუნებული იყო ლაშქარი ქრისტესმიერი ნიკეადან იერუსალიმდის ერთის გასეირნებით გადარეკავდა სელჯუკიანებს და ჯვაროსანთა მიმყოფ ქარავენებს, მლოცველებს, დიაკებს, მონაზონებსა და ბერებს უხიფათოდ ჩაიყვანდნენ იერუსალიმს. მაინც სთხოვა ნიანია ბაკურიანსა და ჯონდი ერისთავს, ხლებოდნენ დედოფალყოფილს.

ნიანიას სწორედ წინა დღეს მიეღო დავით მეფისაგან წიგნი. ნიანია ერთი თვის შემდეგ უნდა გაბრუნებულყო ნაჰარმაგვეს, ხოლო ჯონდი ერისთავს უბრძანებდა პატრონი: ბერძნულ კოპორტებში ემსახურნა ერთ წელს, ახალ საომარ გამოცდილებათა მოსახვეჭად, თანაც ცნობები მოეწვდინა დასავლეთში აღძრულ მოვლენათა გამო.

ჯონდი ერისთავს ჰაბუტური სისხლი უღუღდა, ამიტომაც თავათ ეწადა ამ ლაშქრობაში წილი დაედო. საამისოდ საჭირო იყო ბერძნული რომელიმე ათასეულის წინამდგომად მიევილინა იგი კეისარს.

სწორედ მარიამ დედოფლის მეშვეობით აპირებდა ამის მოხერხებას, მაგრამ ვერ გადაუხვია მარიამის წადილს და ალობა მოახსენა დედოფალს.

როგორც კი მოთავდა ჯვაროსან რაინდებისა და მათი მარქაფა ჭვეითა ლაშქრის ბოსფორს გადაღმა გადასხმა, ერთი ხელანდი შეაკავშინა კეისარმა.

ამ ხელანდით უნდა გაემგზავრებინათ ნიკეაში დედოფალყოფილი, მისი

ამლა, მეკარვენი, ცხენები, ჯორები, სამი ეტლი და ერთი ცხენშებმული ურემი.

რუსუდანის გამგზავრების დღეს მარიამ დედოფალი ამალითურთ მიბრძანდა წ. თებრონეს მონასტერში. აქ დაუხვდა მას კონსტანტინოპოლის მთელი ქართველობა, ბიზანტიის ლაშქარში მყოფი ქართველი მხედრები, ვაჰრები, ზელოსნები და სამღვდლონი, დაეით კუროპალატისა და ბაგრატ IV-ის დროს მანდ ჩასულთა შვილის-შვილის შვილთაგანნი.

მონასტრის იღუმენია, სამი ეპისკოპოსი და სამასიოდე მონაზონი ერთობლივად გალობდნენ:

„განათლი, განათლი

ახალო იერუსალიმ“.

მუხლომყრილ ლოცულობდა მონაზონი რიფსიმე, რუსუდანყოფილი, მის გვერდით დამოქილიყო უსინათლო ბერი ათანასე აგურის იატაკზე სცემდა შუბლს, იგიც სტიროდა და დღინებდა, თანაც ხელს არ უშვებდა ბაგრატივანთა საომარ ჯვარს.

და ეს ჯვარი იპყრობდა საყოველთაო ყურადღებას. თუმცა მონაზონს რიფსიმეს საერთო სიყვარული დაემსახურებინა მონასტერში ყოფნის ვაჟს, მაგრამ მიუხედავად ამისა, იმ დღეს რუსუდანის იერუსალიმს გამგზავრება როდი იყო მთავარი, არამედ ყველას, ყველას პირზე ეკერა: ბაგრატივანთა საომარი ჯვარი და მას თან მიჰყავსო უსინათლო ბერი ათანასე და დედოფალყოფილი, მონაზონი რიფსიმე.

ქართველთა შორის იჭვიც არავის ეპარებოდა რომ ეს საომარი ჯვარი, რომელმაც არა ერთხელ გაამარჯვებინა თურქებთან ბრძოლაში ბაგრატ IV და გიორგი II-ს, წარუძღვებოდა ჯვაროსანთა ლაშქარსაც და მშვიდობით ჩაიყვანდა როგორც რუსუდანს, ისე უსინათლო ბერს.

სამმა ეპისკოპოსმა სამჯერ შეასვენა ეს ჯვარი საკუროთხევამის ნუსხით და ფსალმუნი ლექსებით ვალოზინა და ალოეს კმევით კვლავ გამოასვენებდნენ, შლოცველები პირქვე ემხვებოდნენ, სტიროდნენ და გალობდნენ.

ბოლოს მონასტრიდან გამოიყვანა უსინათლო ბერმა, (დიაკონი ხახუტი თაფისი მძღავრი მკლავით ეშველებოდა მას) და ჩაასვენა მარიამ დედოფლის მიერ საგანგებოდ მირთმეულ ბრწყინვალე ფაეტონში, რომელსაც სპილოს ძელისაგან ნაკეთები კოფო ჰქონდა, აგრეთვე კილოზანიც, ოთხივე ცხენს ვერცხლის სამკერდენი და საქუნენი, მოოჭროვილი ბუზმენტები და ვერცხლის ეყენები ამშვენებდა.

ამ ეტლში ჩასხდნენ მარიამ დედოფალი, დედოფალყოფილი რუსუდანი, მათ წინაშე იჯდა უსინათლო ბერი და ლუსკუმისაგან ამოღებული ბაგრატივანთა საომარი ჯვარი ეყრა მას ხელში.

შემდეგ ეტლში ეპისკოპოსნი ჩასხდნენ, ხოლო კონსტანტინოპოლელი ქართველები, მონაზონები, ბერები, მეკარვენი, მეჯორენი მეჯინიბენი და მოსეირეთა ბრბოები ფეხდაფეხ მისდევდნენ მათ უკან.

საომარი ჯვარი იერუსალიმს მიემგზავრებოდა!

ეს ამბავი ლანდის უსწრაფესად მოედო მახლობელ უბნებს, გაივლიდნენ მეხატეების, შეავეჯეების, მჭედლეების, ხარატების, მეხამლეების, ღურგლების ჭონების, უბნებს, შეგირდები სამუშაოს სტოვებდნენ კვალდაკვალ მისდევდნენ ამ პროცესისა.

მთელი კონსტანტინოპოლი იცნობდა დეთითმშენიერ იმპერატრისას, მოეშურებოდნენ მისი ახლოს ხილვას მონატრულნი, მარჩიელები, მათხოვრები და მოსეირენი.

ფეხშიშველა მონაზვნები გალობდნენ:



„უფალი მალალ არს და საშინელ,  
და მუფუფე დიდ, ყოველსა ქვეყანასა  
ზედა

დაგვაგვიჩინა ჩვენ ერნი წარ-  
მართნი

ქუეშე ფერხთა ჩუენთა“.

მზე დანათოდა ბოსფორს.

ნიანია ბაკურიათი იღვა დაფიქრე-  
ბული ბრბოში და ერთ წუთს მან  
თვალიდან დაჰკარგა მარიამ დედოფა-  
ლი. დიდხანს ეძება იგიცა და მისი  
მზღებელნიც, მოზღვევებულ ხალხში  
გზა გაიკვლია მაჯაგანით და ხედაეს:  
უმშვენიერესი უმახინჯესს გადახვე-  
ვოდა.

მარიამ, დედოფალი კოცნიდა დე-  
დოფალყოფილის ბუსუსებთან, უსია-  
მოდ დამანჯულ სახეს. სტიროდა მო-  
ნაზონი რიფსიმე, იგი მარიამის მხრის-  
კენ მიიწევედა, არ ანებებდა მარიამი,  
შუბლზე, დაწვებზე ჰკოცნიდა თავის  
რძალყოფილს და სტიროდა.

„ჯვარი პატიოსანი გიწინამძღვ-  
რებს, მაცხოვარი ჩვენი იყოს შენი  
მფარველი. გზა მშვიდობისა გეთა-  
ყვანე“...

ჭეითინებდა მარიამი.

გადაეხვიენ ურთიერთს თოროსანი  
რაინდებიც, ნიანია და ჯონდი.

„შენ იცი ჯონდი, მარტო ხარ მაგ-  
რამ ვიცი ლომის ბოკვერი ხარ, არ  
შეარცხებინო ქართული ხმლის პატი-  
ოსნება“.

უთხრა ნიანია ბაკურიანმა ჯონდის  
და კიდევ აკოცა ყვრიმალში მეგობ-  
ბარს.

როცა ბერძნულმა ხელანდამ, თა-  
ვისი წამახული ჭეინტი ჰკრა სმარაგ-  
დისებრ ტალღებს ბოსფორისას და  
გაბუშტულ აფრებს მხრებში შეუღდა  
კეთილი ქარი, არა მარტო ფეხშიშვე-  
ლა მონაზონები, უამრავი ხალხი, საო-  
მარი ჯერის გასაცილებლად თავმო-  
ყრილი, ერთობლივად გალობდა:

„განათდი, განათდი

ახლო იერუსალიმ“.

მარიამ დედოფალმა არ ისურვა  
ეტლით მიბრუნება თავის სასახლეში,  
ნიანია ბაკურიანს უბრძანა: გამაცი-  
ლეო შინ.

მიდიოდა ნელა, გზა და გზა იმშრა-  
ლებდა ნამტირალეებ თვალებს. მო-  
ლაშლაშებდა უამრავი ხალხი ზღვი-  
დან ქალაქისკენ მიმავალ ქუჩაზე,  
ბერძნები, სერბები, ვალახები, ბულ-  
გარელები, ვარინგები, აქა იქ ელავდა  
ჩამორჩენილ ჯვაროსანთა თორი, ხა-  
ნაც მარჯვენა მხარეზე წაქერებული  
წითელი ჯვარი იქცევედა გამეღელთა  
გულისყურს.

ქალი და კაცი, მღვდელმთავარი და  
ბერი, რაინდი და მონასა, არაეინ ისე  
არ ჩაუვლიდა თოროსან რაინდის  
გვერდით მომავალ მარიამს, რომ არ  
შემდგარიყო, ან ირიბად ნასროლი  
მხერა არ შეეგლო მისთვის.

ახალგაზრდანი მათ შორის, ანაზ-  
დად იცვლიდნენ სვლის გეზს და მოყ-  
ვებოდნენ უკან ამ „ხორცშესხმულ  
იმშეროსისთვის“ შორიდან მაინც ეჭვ-  
რიტათ.

მარიამი ამას ამჩნევდა, ცდილობდა  
წარბეზამდის ჩამოეფხატა მანდილი,  
მაგრამ სვლის დროს ისევე ეხდებოდა  
კაშემირის თავსაბურავი და ასეთ  
დროს იგი გრძნობდა ათასი თვალის  
მომწუსხველ მხერას და ებლანდებო-  
და ფეხი.

გაუთლელი, ხეპრე ჯვაროსანი რა-  
ინდები, დეზემბის ელრაილით ჩაუვ-  
ლიდნენ გვერდს, მერე ზედ შუა გზა-  
ზე შესდგებოდნენ მოურიღებლად  
უჭვრეტდნენ მანდილოსანს.

რაინდთაგანი ზოგნი ზედ შარავზა-  
ზე დგებოდნენ მარიამის დანახვამე,  
ერთი მთვრალი ჯაჰქვის კურტაკიანი  
ფრანკი პირდაპირ მიეჭრა დედოფალს  
და იყვირა: charmant!.

1 მომხიბლავია.

ნიანიამ თავაზიანად დაავლო ორივე ხელი გაღვიშის, წეასწია და ავეჯივით გადადგა იგი გზიდან.

ბერძენი მათხოვრები ცნობილობდნენ გულშოწყალე „ბასილისსას“, ფეხდაფეხ მოსდევდნენ და სამადლოსთვის იღროჯებოდნენ.

ნიანია ბაკურიანი იღებდა ჯიბიდან ტარტარონებს და ამ საფასით ყიდულობდა თავისუფალ გზას.

ახლა დაკონკილ გლაზაკების ახალი ბრბოები მოდიოდნენ, მოსდევდნენ დედოფალს და ყვიროდნენ „ბასილისსა, ბასილისსა“.

„მთელი კონსტანტინოპოლის გლაზაკები მიცნობენ, როგორც არ უნდა გადავიცვა, მაინც შეცნობილობენ ეს ბელშაენი“.

სთქვა მარიამმა...

„შენ ვინ არ გიცნობს ავგუსტა“.

ჩაილაპარაკა ნიანია ბაკურიანი და მოკრძალებულად წაავლო მკლავში ხელი დედოფალს, რადგან აქ აგურით მოკირწყლული ქუჩა გათავდა და პაწია რუ მიჩანჩხარებდა ქუჩაზე.

უახლოვდებოდნენ თოჯინების მოედანს.

ნიანიას არა ჰქონდა ეს მოედანი ნახული.

კონსტანტინოპოლელ ხელოსნებს აქაც გამოეჩინათ თავისებური სიმახვილე გონებისა... ხისგან გამოკვეთილ კაცის მატყუარები დაქონდათ.

ტიარინი „ბასილევს“ გვირგვინოსანი „ბასილისსა“<sup>1</sup> თოროსანი რაინდი, სეფე ქალები, კუროპალატები, დომესტიკები, სარდლები, დიდვაქარნი, შენაეენი და მჭედელნი, მხატვარნი და მეჩანგენი, მეზამლენი, ყველანი, ყველანი აქ იყვნენ ხისგან გამოძერწილნი.

თითო ტარტარონი ღირდა როგორც

კეისარი, ისე მჭედელი. ერთი სიტყვით მთელი კონსტანტინოპოლის იყო ამ ბაზარზე წარმოდგენილი, ღირის მომგვრელ ანაგობაში გამოსახული.

საასპარეზოდ გამოდის იმპერატორი ალექსიოს კომენონიოს—მას ვითომც და მოოჭროვილი ჯაჭვი აცვია და მუზარადი ახურავს მოოჭროვილი. გარს ესევინ მას პაჭანეკი და ყიფჩაღნი.

ყიფჩაღებს ბარბაროსული, ბეწვინი ქლდი ახურავთ, გრძელი საყურეები აქვთ ბიბილოებზე შებმული, მგლის ტყავები აცვიათ ფეხშიშველებს.

გამართავს ხელშუბს იმპერატორი და ლაშდარენილი ყიფჩაღნი ველური ყიფინით გარბიან.

აჰა, გამოდის გოდფრუა დე ბუაონ, უზარმაზარი დეეკაცი, ნაცრისფერი თორი აცვია ვითომდაც ფოლადისა, უსაქურველო ჯვაროსანს დათვი დაღერებია, რაინდი გოდფრუა მიეჭრება დათვს.

შეიბმებიან ჰერცოგი და დათვი, დიდხანს ერკინებიან ურთიერთს, მერმე ცხერისთავის ოდენა მუშტს ჩაჩრის გოდფრუა დაღერენილ ლაშებში დათვს, დათვი დატორავს გოდფრუას, მაგრამ იგი სარმას გამოპკრავს მხეცს, წამოაქცევს, ხელებს წაავლებს ყბებში და გახლიჩავს.

გამოჩნდა პაპის ლეგატი, პუას ეპისკოპოსი ადემარ, მას გრძელი წვერი აქვს ჰალარა, ჯვარი ჰქილია მკერდზე ერთი წყრთის სიგრძე, ლათინურად დაიყვირებს: „დეუს ლე ვოლტ“ და გაიძრობს ფრანკულ მახვილს ეპისკოპოსი.

მერმე მაყურებელთ განეცხადება ვილქელმ შერპანტიე „იოსებ დურგალი“ მას და ნასხვისალივით ადგია პოლოტიკნი, სამხრენი, სამკერდენი, საბარკულუნნი.

ეს ახმაზი რაინდი ისეთი მოუხეშა-

<sup>1</sup> ბერძნ. ბასილევს — მეფე, ბასილისსა — დედოფალი.

ვია, თითქოს ხისგან იყოს გამოჩორგევი.

„დეუს ლე ვოლტ“ დაიქუხებს „ოსებ დურგალი“.

ჩხრიალებს მისი თორი და საშინელ ღრიალს ამოუშვებს ხახიდან.

ეგეც ბალდვინი თავაწყვეტილი ნორმანელი ვიკინგი, ჩხრიალებენ მისი დეზები, გაიეღვებს ბასრი ხმალი მის ხელში და ტანკრედი შემოეყრება მას და ფარიკაობენ ბალდვინი და ტანკრედი, კვესავენ შეიქნწლავებულთა ხმლები.

მობაჯუაჯებს დევკაცი, თოროსანი რანდი ბოჰემუნდ, მწითური კულულები გადმოდგრა მუზარადიდან, მის მუზარადზე ურთერთთან მორკინე მგლების სახეა გამობატული, თავისი ტლანჭი მარჯვენით ჩაუბღუჯავს ხმლის ვადა და ღრიალებს: „დეუს ლე ვოლტ“.

აჰა, მოადწია, ვალტერ სანსაეუარმა, მას გლეხური ქალამნები აცვია ფეხზე, დახეულ, ჭუჭყიან პერანგზე რანდული თორი გადაუცვამს, ვითომ და, თავზე მუზარადი არ ახურავს.

აქოჩრილი თმები აქვს, გაბურძგვნილი და ბინძური. ხანდახან ილიაში ხელს იყოფს, გამოჰყავს იქიდან ტილები, ცერსა და ცერს შორის მოაქცევს, მუსრავს მკებნარებს და იძხის: „დეუს ლე ვოლტ“.

ბოლოს გამოჩაქჩაქდება ვირზე გადამჯდარი პიერ დამიენ, მას მგლისებრ უელავს თვალები, მგლისფერი წვერი გადაჰფენია მის სამკერდულს, ვითომდაც ფოლადისას. საწყალობელი ჯაგლაგა ცხოველია მისი გაბატული ვირი.

ხმალს გაიძრობს ჩია კაცი დაფეხვილ სახედარზე მჯდარი, ყვირის „დეუს ლე ვოლოლტ“, ხოლო მსახიობი, რომელიც ვირის როლს ასრულებს, საშინელ ღრიალს ამოუშვებს შორბიდან.

ნიანია ბაკურიანმა ბევრი იცნა ამ ყროყინის გამო. მარიამ დედოფალმაც ოდნავ გაიღიმა და უნაწილად ინდს:

„ღმერთის მიბაძევა გეთაყვანე ძნელი, თორემ სახედრის წაბაძევა ყოველთვის მოახერხებს კაცი“.

დედოფალი მარიამი ხელიდან ართმევედა ოსტატებს თავიდან ნახლოვნებს, არჩევდა ზოგ-ზოგთა, ეუბნებოდა შერჩეულის პატრონს: სასახლეში გამომიგზავნეთო. შუედნის შუაგულზე წრის გარშემო ისხდნენ მოლხნილი ხელოსანნი და ღვინოს სეამდნენ.

შუაგულში ცეკვავდა წითელ-ყვითლებში მორთული პირლამაზი ვალახი გოგონა, რომელსაც ვერცხლის მონეტებით ჰქონდა დაშვენებული წითელი ხავერდის ქუდი, ასეთივე მონეტებში უხვად ეკერა ძუძუების გარშემო.

ხელში დაირა ეჭირა, გამალებული ცეკვავდა, ღრიალებდნენ ვერცხლის მონეტები, დაირის დისკოს გარშემო მბზინავნი.

„აი ეგ ქალია ჭეშმარიტად ბედნიერი, უთხრა მარიამმა ნიანია ბაკურიანს. ამის თქმა მოასწრო დედოფალმან და გოგონამ ცეკვა მიატოვა, ბერძენი ხელოსნების წრე გაარღვია, მარიამ დედოფლისაკენ გამოეჭანა, შემკრთალი შევლივით შესდგა, დაირიანი ხელი შეაღმართა და იყვირა:

„უბედნიერესო ბასილისსა!“

მარიამი არ მოელოდა ასეთ აღტაცებას მოცეკვავისას, ნაბიჯი შეანელა.

„უშვენიერესო ბასილისსა!“

იყვირა კვლავ ვალახელმა გოგონამ, დაიწყებდა ვერცხლის მონეტები როგორც ხავერდის ქუდიდან, ისე გულმკერდიდან და ბრესავით გადააყარა მარიამს.

დედოფალი აიძვრა და გაწითლდა. „რატომ გგონია რომ მე უბედნიერესი ვიყო თითქოს, ქალო?“

წაიბუტბუტა ბერძნულად და თვალი გააყოლა ვერცხლის მონეტებს, რომელნიც მის მხრებიდან ძირს ჩამოცვივდნენ ბრზრიალით, ისინი მიგორავდნენ, მიგორავდნენ და ცვივოდნენ ტალახში.

„შენი სილამაზე და სიკეთე რომ მოეცა ჩემთვის ღმერთს, ბასილისსა, მთელს ქვეყანას დავიპყრობდი იცოდელ“.

მარიამმა ალერსიანად მიუგო:

„რად დააბნეე ლამაზო, ეს მონეტები, აგრე უსაშზნოდ“.

„შენ ალბათ არც კი გახსოვს აგუსტა, ვალახელი მთავრის შემაღოვკას პატარა ქალი, მიხეილ ტარონიტის ქორწილში ვიცეკვე ერთხელ და ერთი ქისა ოქრო გადმომეყარე თავზე. მარიამს მოაგონდა ეს ამბავი, მაგრამ არ კი გაუმხელია მას.“

„მერმე მე გავუბედურდი ბასილისსა, ქმარი მომიკლეს და ხედავ სანამდის შივედი. თოჯინების მოედანზე მცეკვაე“!

როცა მარიამის თავიდან მანდილი გადასცურდა, გაოცებული მიაშტერდა ვალახელი მოცეკვავე მარიამის ნამტირალე თვალებს.

„შენც გიტრნია ბასილისსა! მე კი მეგონა, არასოდეს ცრემლი არ დაგდენია მეთქი მაგ ღვთისმშვენიერ თვალთაგან“.

როცა ბაზრიდან გავიდნენ მარიამმა უთხრა ნიანიას:

„ამ ვალახელ მოცეკვავესაც მთელი ქვეყნის დაპყრობა ეოცნებება. ასეთი უძლებია გული კაცისა. მაგ ბედშავმა არ იცის როგორი უბედურნი ხდებიან საბოლოოდ ქვეყნის დაპყრობნი!“

ყველაზე უფრო ძნელი დასაპყრობია კაცთათვის საკუთარი გული და ვინც მას ზედმიწევნით შესძლებს, იგია უბედნიერესი ამ ქვეყნად.

შენ კარგად იცი, მე არ მიყვარდა

საქართველოში, რუსულად ჩემი რძალ-ყოფილი, მაგრამ რაც უფრო მეტად მონასტერში მოვიდა, ნაცრველთათვის სიყვარულით შევიმოსა იგი და მეც შემეყვარა თავი.

როგორი ფაქიზი და მშვენიერი სულის ჭურჭელია მისი მახინჯი სხეული.

როგორის დიდის თმენით შეეგუეს უბედური ქალი თავის სევს, როგორის სათნოებით ექცეოდა იგი არამარტო იღუმენისს, ყოველ მორჩილს, ყოველ მათხოვარს.

თუნდაც ეგ მოვიგონოთ, როგორის მზრუნველობით ეკიდებოდა იმ საწყალობელ უსინათლოს, ბერს ათანასეს.

ჩემი თვალით მინახავს ათანასეს ძველმანებს როგორ კონკაედა ან როგორ ჰხანდა უსინათლოს ფეხს... შენ ხომ გაიგონე, ნიანია, მაგ ვალახელი მოცეკვავის სიტყვები, აგრე მეგონა არასოდეს გიტრნიაო.

როცა ჯერ კიდევ იმპერატორის მიხაილ დუკას ცოლი ვიყავი, რამდენჯერ მოვსულვარ სეფეპალებიანად ამ თოჯინების მოედანზე და მიყიდნია მჭედლის თოჯინა. ჩემს გულში ვამბობდი: ეს მჭედელი ქმარია მეთქი ჩემი. ხომ ხედავ, მე დიდი და ძლიერი იმპერატორის თანამეცხედრე ვიყავ და მჭედლის ცოლობა შენატრებოდა.

შენ გეტყვი ნიანია, ჭეშმარიტად ჩვენ ყველანი თოჯინები ვართ. ვილაც ვეთამაშებს და ჩვენ აგრე გვგონია თვითონ ვეთამაშობთო.

სთქვა დედოფალმა.

ნიანიამ გაიღიმა და მიუგო:

„ახლა თქვენ დაითვალეთ აგუსტა, რამდენი მჭედლის ცოლს ენატრება დედოფლობა!“

„ხომ გეუბნები ნიანია, თოჯინები ვართ მეთქი“.

როცა მანგანის სასახლემდე მიიღწი-

ეს, მარიამ დედოფალმა ეს უთხრა ნინია ბაქურიანს:

„ქეშმარიტად ბედნიერია დედოფალყოფილი რუსუდანი, ნეტავი მეც მღირსებოდეს იერუსალიმში სიკვდილი“.

ბოლოს შეიპატიეა იგი სასახლეში,

მაგრამ ნინიამ შეუძლოდყოფნა მოიმიზეზა, ხელზე ეამბოროტ დედოფალს და როცა ისევ ქუჩაში გზავნიდა მისი გაიფიქრა: „ნეტავ რად მონატრებია სიკვდილი ამ დეთიფმშვენიერ არსებას!“

XXX

როგორ გაემგზავრა იერუსალიმს ბაბრატოვანთა სა მხარი ჯვარი

„ჩვენ არსად დავგრა დასავსენებელი ალავი სირიაში, კიდევან საკუთარი ფეხმარდი ცხენების გავისა.

რამდენი სისხლი დაინთბა უკვე!

რამდენ ლამაზმანს დასკირდა ხელის გულებით დაფარვა სარცხვილეული სიწითლისა!“

მოსტასერ აღივერდი.  
„ლექსი გლოვისა“.

როცა ჯვაროსანთა ლაშქარი ორიოდე საათის საეალზე მიუახლოვდა, ნიკეას, ბერძნული ჯარის სარდლის, ტატიკუსის ბრძანებით მიმყოლნი და მეკარვენი ერთ ტყეში დასტოვეს, დაწინაურდა ტატიკუს, რადგან ჯვაროსანთა თავადებზე უკეთ მან იცოდა ციხე-ქალაქის ნიკეას მისადგომები.

ჯონდი ერისთავი უგუნებოდ გახდა. ნაღვლობდა ნეტავ მეც დაუყოვნებლივ ვეხმე დავით მეფეს და ამ დიაცთა და ხეიბართა ბანაკში არ მოვხვედრილიყავო.

• •

ჰერკოგ გოდფრუა დე ბუაონმა, ტანკრედმა, რობერტ ფლანდრელმა და ჰუგო დე ვერმანდლამ ტატიკუსს ჯარს თან გააყოლეს 3000 მხედარი, რომელთაც გზები უნდა გაეშინდათ თურქთა ბრბოებისაგან და ხის ჯვრებით აღენიშნათ განვლილი თემზარები.

მარბიელი ლაშქარი გზაში გადააწყდა პიერ დ'ამიენის ბრბოების ნამუსრევს.

ნიკეას დასავლეთით ერთი ტბაა საკმაოდ ვრცელი, ამიტომ მარბიელმა მხოლოდ აღმოსავლეთიდან და ჩრდილოეთიდან დაჰკეტა ნიკეას ციხე-ქალაქის მისასვლელები.

ნიკეას გარს ერტყა სამასი საომარი გოდოლი.

მეორე დღესვე შიმშილი ატყდა ჯვაროსან რაინდთა ბანაკებში. ბოლოს მოაღწია ბოჰემუნდის ლაშქარმა და იმპერატორის მიერ გამოგზავნილი სურსათი მოიტანა.

გოდფრუა დე ბუაონმა ბრძანა და გოდოლებისა და ქალაქს გალაენებისკენ შისწიეს ლოდსატყუარცნები და ვერძები.

ჯვაროსნები შეუდგნენ გალაენების ქვეშ გვირაბების თხრას.

სულტანმა ჭილირჯ-არსლანმა ვერ გაბედა ქალაქიდან გამოსვლა, დააგმანენა კარიბჭეები და ლაშქრითურთ ჩაიკეტა ქალაქში.

მალე მოაღწია იკონიის სულტანის, სოლიმან II მაშველმა ცხენოსანთა ჯარმა.

გრაფ ბოქემუნდ შეეგება მას, დაამარცხა და აოტნა თურქნი.

ბოქემუნდმა წაართვა მათ რამდენიმე ასეული ჯორი, თოკებითა და ბაგირებით დატვირთულნი ეს ყოველივე ქრისტიან ტყვეების შესაკოვავად თან მოჰქონდა თურმე სოლიმანს.

ბოქემუნდმა მოიტანა ნიკეაში მრავალი ათასი წაჭრილი თავი, ქოლოკებზე წამოაცვეს ზოგნი, ქილირჯ-არსლანის მეციხოვნეთა საჩვენებლად, ზოგნიც ვაშყარნებში ჩაყარეს და ალექსი კომნენს ვაუგზავნეს გემით, მესამე დღეს უამრავი სურსათი მოუვიდათ კეისრისაგან ჯვაროსნებს.

ჩრდილოეთიდან ციხე-ქალაქს უტყუდნენ ნორმანები ბოქემუნდისა და ტანკრედის სარდლობით. აღმოსავლეთიდან ციხეს შემოეწყო პერციოგ გოდფრუა დე ბუჟონ და გრაფ რობერტ დე ნორმანდი და ეტიენ დე ბლუა.

სამხრეთის კარიბჭის მახლობლად დაბანაკდნენ ჰუმს ებსკოპოსი ადემარი და გრაფი სენცილი თავთავიანთი ლაშქრითურთ.

გრაფ რაიმონ მიაღმა ერთერთ უძლიერეს გოდოლს და ლოდსატორცნები დაუშინა. საღამომდის გრძელდებოდა ეს კანონადა, გაარღვევდა ჯვაროსნების ლოდსატორცნი გოდოლის კედელს, შიგნიდან ლოდებს გააკვეტებდნენ მეციხოვნე თურქნი.

ნორმანელი გრაფის ტანკრედის კარვებიდან გამოვიდა ერთი თოროსანი რაინდი.

გადაეელო ბლისკინებსა და ორმოებს. დაუშინეს ლოდები და ქეიბურები გოდოლიდან თურქებმა. უშიშარი რაინდი იფარებდა ფარს და დაუცხრომლად მიიწევდა წინ, რათა ქვები და ჯებირები ხელთ გამოეღო და მოიერიშეთათვის გაეხსნა გზა.

ქრისტიანები არ შეეშველენ რაინდს, ბოლოს მარჯვედ გატყორცნილმა წამახულმა ქვები დაეჭრა რაინდიანად წააწყვიტა თოროსანს.

ჩაიჩოქა რაინდმა

თურქებმა ჭანგები ჩამოუშვეს გოდოლიდან, მოსდევს მოკლულის ჯაჭვის პერანგს, აიტანეს გოდოლის ზეთაზე და გადმოჰკიდეს ციხიდან.

ბოლოს წაიქცა გოდოლი, მაგრამ იმდენი ლოდებით და ჯებირებით დახერგეს გარემოცულთა გზა ასე, რომ ქრისტიანები ვერ შევიდნენ ციხეში.

ჯვაროსანთა სარდლები მიხვდნენ ხმელეთიდან ვერას დააკლებდნენ ციხე-ქალაქს, ვიდრე ტბისკენ მიმავალ გზებს არ დაუკეტავდნენ ქილირჯ-არსლანს.

ამიტომაც მალე მსრბოლნი აფრინეს კეისართან, რომელიც ნიკეას მახლობლად, პელიკანუში იდგა სპიანად.

იმპერატორმა ტურკოპულებს უბრძანა ხელანდებს ბაგირები შეასხეს და ხარებით მოათრიეს იგი ნიკეამდის.


ბერძენთა ლაშქარმა ტატიკის სარდლობით ახლა ტბიდან შემოტყის თურქებს.

ხმელეთიდან გრაფ რაიმონმა წაიყვანა იერიშზე ფრანკები და ამგვარად გახსნეს ქალაქთან მისასვლელი გზები. დაუყონებლივ წარმოგზავნა ალექსი კომნენმა თავისი სარწმუნო კაცი ბუტუმიტეს და ქილირჯ-არსლანს შესთავაზა მეციხოვნე ჯარის უკუტყვევის ნება, თუ უბრძოლველად დასთმობდა ქალაქს.

სულტანმა გახსნა ჩრდილოს გოდოლის კარიბჭენი ტატიკუსმა უბრძანა ტურკოპულებს: დაუყონებლივ განეახლებინათ იერიშები.

ბერძენნი პირველნი შეიჭრენ ქალაქში, ბუტუმიტეს მყისვე ავარდა გალავანზე, ბერძენული დროშები აღმართა და იყვირა „კირიე ელვისონ“.

ალექსი კომნენი გამოაცხადა ქალა-



ქის პატრონად. ქილირჯ-არსლანის მეუღლე კონსტანტინოპოლს წაიყვანეს გემით, ხოლო სულტნის საგანძურნი ბუტუმიტესმა ჩაიბარა.

მოსახლეობის ერთი ნაწილი შეპყრობილი მიჰგვარეს ალექსი კომნენს პელეკანუმში, მრავალსაც ნება დართეს კონსტანტინოპოლს წასულიყვნენ.

ზოგ ზოგი თურქი ამირი, იმპერატორის ლაშქარში შევიდა.

ალექსი კომნენი ვერცხლის მოყვარულებად სთვლიდა ჯვაროსნებს, ამიტომაც აღუთქვა მათ: ნიკეაში მოხვეჭილ საჭურველთაგან გიზიარებთო ნალაფარს.

ჯვაროსნებმა თავადებმა მთელი ლაშქარი ჩააბარეს გრაფ რაიმონს, სენტ-ჟილსა და ეტიენ დე ბლუას, ხოლო თავათ ეახლნენ პელეკანუმში იმპერატორს.

გაჯიქდა ტანკრედი, ნორმანდელი გრაფი.

მან საქვეყნოდ განაცხადა: მხოლოდ ჩემს ძმას ვემორჩილებო, ბოჰემუნდს, სხვა პატრონი არა მყავსო ამ ქვეყნად. ტულუზის გრაფმა რაიმონმაც და მისმა აზნაურებმა არ ისურვეს კედისრის ყმადნაფიცობის მიღება.

სამაგიეროდ ნიკეას ციხე-ქალაქი ტატიკუსმა და მისმა სამხ ჩაიგდო ხელში, ჯვაროსნებს ნება დართო კეისარმა ათ-ათი კაციდან შემდგარი ჯგუფები შეედგინათ და ასე შესულიყვნენ ქალაქში, ეკლესიების დასათვალიერებლად.

ჯვაროსნები დაღონდნენ რადგან კეისარმა არც ქალაქის ძარცვის ნება დართო მათ, არც ნიკეას საგანძურთაგან არგუნა მათ აღუქმული წილი, მხოლოდ ის თავადები დასახუქრა ვინც სათაყვანოდ ეახლნენ პელეკანუმში მას.

ეროვნული

ალექსი კომნენი წინააღმდეგული ზერფრიად. მან კარგად იცოდა: ეგვიპტელი ხალიფას დიდი ვაზირი მალიქ-აფდალ სელჯუკთანა მოსისხარი იყო, ბუტუმიტესმა კაცნი სარწმუნონი გაგზავნა ქაიროში და ნიადავი მოასინჯვნა.

მალიქ-აფდალის ელჩებმა თავათ შემოსთავაზეს კავშირი ბერძნებს, იმპერატორის დესპანები მისწვლნენ სომეხთა მთავარს თოროზსაც ედესსაში, სომეხები მზად იყვნენ სურსათი დაეხვედრებინათ კილიკიის გზით, ანტიოხიისაკენ მიმავალ ჯვაროსანთა ლაშქრისთვის.

• •

ნიკეიდან დაიძრა სამასი ათასიანი „ლაშქარი ქრისტისი“. მარბიელად წინ გაუშვეს „სულწასული“ ნორმანდელი თავადები ტანკრედი და რობერტი.

მათ მიჰყვნენ გოდფრუა დე ბუაონ, გრაფ ჰუგო დე ვერმანდუა, ფლანდრიელი გრაფი რობერტი, ტულუზელი—რაიმონ, პუას ეპისკოპოსი ადემარი.

ორი დღის შეუსვენებელი მარშის შემდეგ ბოჰემუნდის სპის მეწინაეებმა უწიეს დორილეუმს; აწინდელ „ესკი შეერს“. როგორც ანა კომნენ იტყოდა:

„პერი, ტას ტუ დორილეო“.

ვიღრე მეკარეენი კარეების დადგმას მოასწრებდნენ, თურქების მრავალრიცხოვანი ლაშქარი ეკვეთა ჯვაროსნებს.

თურქებმა გასთიშეს ქვეითა ლაშქრისაგან ცხენოსანი ჯარი რაინდებისა, იშიშვლეს იატაკანები და ასტეხეს ღრიალი: „ალაჰ“.

გაარღვიეს ალყა რაინდებმა, მორი-

თეს ქვეითნი კვლავ, გამართეს შუბები და მიუგეს „დეუს ლე ვოლტ“.

მოახტნენ ცხენებს თორიანი დედაკაცები და იგინიც ეკვეთნენ თურქებს. მალემსრბოლნი აფრინეს ჯვაროსნებმა გოდფრუა დე ბუაონთან, ქენებით მოვარდნენ ჰერცოგ გოდფრუა, ადემარ პუას ეპისკოპოსი და რაიმონ ტულუზელი გრაფი.

მარცხენა ფრთას უსარდლეს ნორმანდელმა გრაფებმა ბოჰემუნდმა და ტანკრედმა, მათ მხარს უმშვენიებდნენ რობერტ დე ანზა; რიკარდო დელ პრინჩიპატუ, რობერტ დე ნორმან, რაიმონ დე ტულუზ.

მარჯვენას უსარდლეს გოდფრუა დე ბუაონმა და ჰუგო დე ვერმანდუამ. ადემარ დე პუა ერთბაშად გამოვიდა წრიდან, ხმალი გააშიშვლა ეპისკოპოსმა და თავს დაუარა თურქების მარჯვენა ფლანგს.

შედრკენ თურქები და უკუიქცენენ, ღამეშდის სდიეს და ჩეხეს თურქი ცხენოსნები ქრისტიანებმა. ჯვაროსნებმა დიდძალი ალაფა აიღეს, ცხენების, აქლემების, სახედრების რემები, აურაცხელი ფარები ცხერისა მოლალეს ბანაკში.

ოთხი დღე-ღამე გარბოდნენ შიშისაგან შეძრული თურქები, მხოლოდ სოლიმან მეორის ჯარებმა შესძლეს მათი შეყენება.

• • •

დაწინაურდნენ ცხენოსანი რაინდები, მათ მოჰყენენ ქვეითნი, ამ უკანასკნელთ დიაკების, მოხუცების, ხეიბარების ბანაკები, საქონლის ჯოგები, მეკარვენი და მეჯინიბენი, ყველაზე ბოლოს დედოფალყოფილი რუსუდანი და მისი ამალა.

ჯონდი ერისთავმა დიაკნებიც აღჭურვა ხელშუბებით, რამდენიმე გაჭეულ თურქს წამოეწია ერთ სალა-

მოს, თავები დააყრევინა და მათი ჯაჭვის პერანგები დაუტოვა მესხედრებებს, მეკარვეებსა და მძიმეკენებს.

არ დადგა საშველი ხახუტაის მოსარგებ თორის გამოძენას. ხახუტაი ხშირად ჩამოდიოდა ცხენიდან, გახდიდა გზის პირად ვდებულ დაკოდილ თურქს ზკინის პერანგს, მოიზომებდა, არ მოადგებოდა, ჯიბეებს უსინჯავდა ცხედრებს.

ბოლოს რომელიღაც დაკოდილ ამირას გადააწყდა ხიდისთავში ვდებულს ხელშუბი ჩასჩარა პირში, დამასტის ჩალმა მოხსნა, წელზე შემოიხვია.

გაიხარა მისი თორი და მუნარადიც რომ მოერგო.

ველები,

ველები,

უწყლო სტეპები, მიტოვებულსოფლებში ჰკიოდნენ ტურები. დაცალიერებელი, გაძარცვული, ნათურქაღი დაბანი რჩებოდნენ უკან.

მისჭირდა წყლის შოვნა, იხოცებოდა ხალხი, იხოცებოდნენ ცხენები.

რაინდთაგანნი მრავალნი უცხენოდ დარჩნენ.


ხახუტაიმ გზადაგზა მთელი რემა დააგროვა ცხენებისა, ოციოდე უპატრონო ჯორი მოაგროვა მინდერებში გაფანტული. შედიოდა სოფლებში დაითრევდა ბატებსა და ქათმებს.

უძლომელი იყო ხახუტაი, ამიტომაც ათიოდე ქათამი დაბორკა, მანდიკურად მიიყრა კეხზე.

თვით დედოფალყოფილი რუსუდანი ვერ იკავებდა ღიმოლს ამ ქათმებით დატვირთულ ჯორზე აღმხედრებულ მექათმე „რაინდს“ რომ უქვერტდა, ფოლადის თორში ჩამუჯდარა, იჯდა უნაგირზე და სთვლემდა ხახუტაი.

გამოჩნდებოდა თუ არა ეკლესია, თვალებს დასჭყეტდა: „ეს ხომ არაა იერუსალიმი, ჯონდი ბატონო“?

რაც უფრო წინ მიიწევდნენ, მატუ-



ლობდა წყურვილი, წააწყდებოდნენ საღმე გუბეს, რაინდები მოიხდიდნენ მუზარადებს და დააცხრებოდნენ წყალს.

მრავალ ჯვაროსანს ხურვება შეეყარა.

ლაშქარს საგზალი შემოელია, უარესად მისჭირდა სურსათის შოვნა. ხახუტაის ხუთი ცხენი და სამი ჯორი მოუყვდა. სარდლები მოითხოვდნენ დასვენებას, ტანკრედი კვლავ მოუთმენლად მიერეკებოდა მეწინავე ჯარს.

ბოლოს უწია ჰერაკლეს, აწინდელ ერეგლის და აქ შეეხეზნენ თურქებს. ტანკრედს არ დასჭირდა მთავარი ლაშქრის ლოდინი, მირეჯგვა ისინი და ჰერაკლეა აიღო.

ტანკრედს გადაასწრო ბალდვინმა და მიიღწია ტარზუსს. ტარზუსელი მეციხოვნენი დაატყვევა და მათი მშველი ჯარი აოტნა. ტანკრედმა ვერ მოასწრო ქალაქის კარიბჭესთან კარვების დადგმა, გრაფ ბალდვინი მიეჭრა და განუცხადა: ჩემიო ქალაქი.

მოალწიეს სომეხმა რაინდებმა და სთხოვეს ტანკრედს დაპატრონებოდა ქალაქს. ბალდვინი გაჯიქდა, მოსთხოვა ტანკრედს ერთად გავძარცვოთო ციხე-ქალაქი.

ტანკრედმა შეატყო: უფრო მრავალრიცხოვანი სპა ჰყავდა ბალდვინს, ამიტომაც დასთმო ტარზუს და ადანასკენ გაემართა სპიანად.

ტარზუსის დაუფლებაც ვერ მოასწრო ბალდვინმა, გამოეცხადნენ მას ფლანდრიიდან, ანტვერპენიდან და ფრიზლანდიდან ჩამოსულნი შეზღვაურნი და მათი წინამდგომი ვინაერდე ბულონ.

ესენი გამოუტყდნენ ჯვაროსანებს, ჩვენ მეკობრენი ვართ ევროპიდან ზღვა-ზღვა წამოსულნი, გზა და გზა ვძარცვავდით მონაპირე ხალხებს და ასე ვაპირებდითო იერუსალიმამდის სვლას.

ბალდვინმა ეს მეკობრენი დაასაჩუქრა, ტარზუსის მეციხოვნენ ჯარს მიუმატა მათნი სპანი, დაგაჰმადნებდა ქალაქი და მამისტრასკენ გასწია სპიანად.

მამისტრაში პრიამის ხიდისთავთან დაბანაკდა ბალდვინი და სურსათი მიზიარეო, შეუთვალა ტანკრედს. ამ უკანასკნელმა მისცა სურსათი ბალდვინს, მაგრამ ხორავის გაყოფისას წაიკიდნენ ბალდვინისა და ტანკრედის სპანი და ამ ჩხუბში მოისრენ მრავალნი.

ბალდვინმა აპყარა ბანაკი და აღმოსაფლეთისკენ მიმავალ გზას დაადგა ტანკრედიც უკან მიჰყვა მას და მთიანეთში რამდენიმე სომხური ციხე აიღო.

ბალდვინს გზაზე შემოეყარა სომეხთა მთავარი „პაკრათი“.



წინა აზიაში თურქების შემოჭრამდის ანისის მბრძანებელთა სომხეთი დაშლილი იყო უკვე. ვასპურაკანის მეფეს არწრუნის გვარისას, სენაქერიმს ბიზანტიის იმპერატორმა დასილი მეორემ გამოსძალა თავისი საუფლო ყმადნაფიცობა აკისრებინა და კაზადოკიის ქალაქი სიბასტი მიუბოძა სამაგიეროდ.

იმავე არწრუნიანთა დინასტიის ნაშიერს—აბელლარიმს მიანიჭა კონსტანტინე მონომახმა კილიკიის ტარზუსი. ბოლოს მონომახმა თავის სასახლეში აწვია ანისელი ბაგრატიდი გაგიკ მეორე, ცრუფიცით გამოსტყუადიდი სომხეთის მიწა-წყლის ნაშთები და გადასცა ქალაქები გალონზევად და ბიზუ, ცეზარეის მახლობლად.

მეორე ბაგრატიდს, გაგიკს ციხე-ქალაქი კარი და მისნი მიმდგომი დაბანი ჰქონდა საუფლოდ. ბოლოს იგიც აიძულა იმპერატორმა კონსტანტინე დუკამ თავისი საბრძანისი დაეთმო

და ამის სანაცვლოდ მიუვლო ძაგტა-  
ვი და ტურქუს.

ციხე ქალაქის, მაირიატს ჯურკის  
ზრძანებელი ოსხინი, თურქთა მიერ  
შევიწროებული, იძულებული გახდა  
ალექსი კომნენის ყმადნაფიცობა ეკი-  
სრნა.

კილიკიისა და კაპადოკიის სანახეებ-  
ში გაბატონდნენ რუბენი და მისნი  
ნ. შიერნი რუბენიანნი.

სწორედ იმ წანებში, როცა ჯვარო-  
სნები კილიკიაში შეიჭრნენ ციხე  
ლამპრონის პატრონი ოსხინი და ტარ-  
ზუსის ციხისთავი პაცუნი და რუბენის  
ძე კონსტანტინე, ენერგიულად შეე-  
ლოდნენ ჯვაროსნებს, როგორც ბრძო-  
ლებში, ისე სურსათითაც.

სომეხთა თავადმა პაკრატმა რა შე-  
იცნო, დედოფალყოფილი რუსუდანი  
და მისი ამაღა უკან მოკვებდო ჯვარო-  
სანთა ლაშქარს, თავისი ნათესავნი მი-  
უგზაუნა მას, ეაჯა გზა შეეწყვიტა და  
დაყოვნებულიყო მის ციხე-ქალაქში.

არა ქნა დედოფალყოფილმა და მიპ-  
ყვა ხალღების ლაშქარს, რომელსაც  
ტატიკუსი და მისი სპა კვალდაკვალ  
მიჰყვებოდა.

სომეხებს უკვე გაერეკათ თავიანთ  
ციხეებიდან თურქნი. ბალღვინი მაინც  
დაეპატრონა დელ-ბაშერის ციხეს და  
პაკრატს გადასცა იგი...

პაკრატმა თავის ვაჟს მიუბოძა ციხე  
და ბალღვინის სპანი არ შეუშვა შიგ.  
ბალღვინი განრისხდა, ტაჯგანაგე-  
ბით აცემინა პაკრატი და როგორც  
დელბაშერს, ისე სხვა სომხურ ციხეებ-  
საც დაეპატრონა.

როცა ედესას მიეახლა ბალღვინი,  
მას წინ შემოეყარა სომეხთა მთავარი  
თოროზი, უძეო მოხეცი, ედესისელი  
ეპისკოპოსი და ქალაქის უხუცესნი.

თოროზმა იშვილა ბალღვინი. იმ-  
ყამინდელ წესისამებრ ბალღვინი და  
მისი მეუღლე გააშიშვლეს და მამო-  
ბილმა აიყვანა ისინი სათითაოდ ხელ-  
ში.

ფსალმუნები იგალობეს ანთებულ  
კანდელაბრების წინაშე, როგორც მა-  
მობილმა, ისე შეილობილებმა.

როცა გამარჯვებული ბალღვინი ევ-  
ფრატს მიადგა, მზვერავეებმა ამცნეს  
20.000 თურქის მოახლოება. ბალღ-  
ვინს ეცოტავა თავისი სპა, ისევე ედეს-  
საში გაბრუნდა.

გზა და გზა სომეხები პურ-მარილს  
ახვედრებდნენ ჯვაროსნებს, გახარე-  
ბული ხალხი ფსალმუნს გალობდა და  
აღვრილებდა დროშებს...

ბალღვინი გზა და გზა ანთავისუფ-  
ლებდა თურქების მიერ დაპყრობილ  
სომეხთა ციხე ქალაქებს და მიჰყვე-  
ბოდა ანტიოხიისაკენ მიმავალს გზას.

ბალღვინის ლაშქარმა მიიღწია „რკი-  
ნის ხიდს“, ანტიოხიის მახლობლად,  
ამასობაში გრაფ ბოქემუნდს და მის  
ლაშქარს წ. პავლეს კარიბჭეთა გა-  
წვრივ დაედგათ უკვე კარები.

რუსუდანი გზაში ავად გახდა. უსი-  
ნათლო ბერმა ათანასემ გაახსნევეინა  
თავისი კარაბადინები ხახუტაის. მო-  
ნოზნები გზადაგზა აგროვებდნენ სამ-  
კურნალო ბალახებს, ხარშავდნენ და  
ასმევდნენ ავადმყოფს.

რუსუდანმა და მისმა ამაღამ დელ  
ბაშერამდის მშვიდობიანად იმგზავრა.

როგორც ტატიკი, ისე ბლდვინი არ აკლებდნენ მათ მფარველობას გზადაგზა.

მხოლოდ როცა მიადწიეს ანტი-ტავრის ქედამდის, სწორედ იმ მთებში, რომელთაც „ეშმაკის კლდეები“ ჰქვია, მეკარვენი ჩამორჩნენ ეტლებს. ლამდებოდა.

ტურების კივილი ისმოდა ხევში.

ჯონდომ აიყოლია სამი ბერძენი მხედარი და ცხენებით გაემართა მეკარვეთა დასაჩქარებლად.

როცა უკან გამობრუნდა, ნახევრად ბნელში შეინშნა, სწორედ რუსუდანის ეტლს ვარს მისდგომოდა რამდენიმე მხედარი, ჯონდის შემოესმა რურქული ჯაჯღანი და მათრახების ტლაშენი.

დაინახა: მხედრები უწყალოდ სცემდნენ მეეტლეს. ჯონდი ერისთავმა ხმალი გააშინშელა და დასძრა ცხენი.

ამასობაში მეჯინიბენი აღეპურვა ხახუტაის, შუბით დარეოდა იგი თურქებს.

უყვილა ჯონდომ და ზურგიდან თავს დაესხა მომხდღერებს, ერთს ცხენი აძგერა მკერდულით, ხრამში გადაავლო ცხენიანად მხედარი, დაჩეხა, მეორეს ხმლით წააცალა თავი, გამოუღდგენ მესამეს ჯონდი და ხახუტაი.

ცხენოსანმა ხევიდან მხარმარცხნივ გაუხვია და ყიფინით წამოეწია ცხენ-შებმულ ორბორბალას, რომელიც ხევის წყალზე გადებულ ხის ბოჯირს უახლოვდებოდა.

ცხენების თქართქურზე დაფრთხა ორბორბალაში შებმული ცხენი, ორბორბალა გადააყირავა, ორმა ცხენოსანმა თურქმა თავიანთი თვისტომის დანახვაზე მიატოვეს ორბორბალა და სამივემ მოუსვენს ბნელ ხეობაში.

გადმოაბრუნებინა ორბორბალა ჯონდომ და ხედავს ნაძარცვ ხორავით

საესე ტომრებს ქვეშ კენესოდა მოსუ-  
ცებული კაცი, რომელსაც წვეთელი  
ჯვარი ჰქონდა მარჯვენა ხელში.

იგი აღმოჩნდა ვინმე პროვანსელი რაინდის ვილპელმის მონასპა—პეტრუს ბარტლომეუს.

პეტრუს ხურვებით ყოფილა სნეული. იგი თავის ორბორბალით სწორედ ანტი-ტავრის გადასავალზე მოსულა და აქ ბლდვინის შიშით გაქცეული მეციხოვნე ხუთი თურქი წამოსწეოდა, უცემითა ტაჯგანაგებით და ტყვედ წამოუყვანიათ.

გზადაგზა ხეებში იმალებოდნენ ეს თურქები, ძარცვავდნენ ქრისტიანთა საბარგულებსა და მეკარვეებს. აგროვებდნენ ხმლებს, მუზარადებსა და აბჯარს.

ამ ორბორბალაზე იპოვნა ჯონდი ერისთავმა ათიოდე პერანგი ჯაქვისა, სამი დამასკური მახვილი და ერთი ცფოლადის ხელშუბი, რომელიც, როგორც ქვემოთ დაინახავს ჩემი მკითხველი, დიად მოვლენათა პირველმხეზი გახდა.

ანტიოხიის ციხის მისადგომებში ერთი პაწია, ივარქმნილი სამლოცველო აიჩნია სადგომად ჯონდი ერისთავმა. ნოხებით მორთეს მისი სენაკები.

ჯონდი ერისთავი ტუჩებს იკვნეტდა ბრანისგან ახლა ახალი საზრუნავი მოემატა მას. არ აპირებდა გამოკეთებას მოხუცებული პეტრუს. მთელი ღამე აბოდებდა ხურვება მოძალბულს.

მამაი ათანასე გვერდით უჯდა ავადმყოფს ცივ ტლევებს ადებდა, ამარიტელობას უწევდა თავის გუნებაში ავადმყოფს. დამძობილდნენ ათანასე და პეტრუს.

ყოველ დღით კითხულობდნენ: რა მანძილიაო იერუსალიმამდის კიდევ?

ჯონდი ერისთავს მოსვენება არა ჰქონდა ღამითაც. როცა გალობით და

ფსალმუნების დღინით გულს იჯერებდნენ მოხუცი, ახლა შეუდგებოდნენ წინა ღამით ნანახი სიზმრების ახსნას. დაბადებას ფურცლადნენ და მარჩილობდნენ, წინასწარ ტებებოდნენ განთავისუფლებულ იერუსალიმში მოსალოდნელი ზემით.



ქალაქი ანტიოხია უძველესი სატაბ-ტო იყო სელევკიდების დინასტიისა მესამე საუკუნეში სელუკუს ნიკატორს დაუარსებია იგი თავისი მამის ანტიოხის სახსოვრად.

ჯერ კიდევ რომის წარმართ იმპერატორებს დიდი ღვაწლი მიუძღვით მისი ციტადელების აგებასა და ქალაქის დამშენებაში.

ლუგენდის მიხედვით ვითომ თავით წ. პეტრე ყოფილა ამ ქალაქის ეპისკოპოსად მრავალ წელს. მრავალჯერ დააქცია ეს ქალაქი მიწისძვრამ, მაგრამ ქრისტიანი მამების ღვაწლით არაერთხელ შეუმკიათ კვლავ.

მე VII ს. მუსლიმებმა წაართვეს იგი ბერძნებს. ორი საუკუნის შემდეგ იმპერატორმა ნიკიფორე ფოკამ წაგლიჯა ანტიოხია ავარიანებს. 1086 წელს იკონიის სულტანმა სულეიმან იბნ კუტულუმისმა აიღო ანტიოხია.

როცა ჯვაროსნები მიადგნენ ანტიოხიას, მისი გამგებელი იყო ამირ იაგი სიამ, არსლანის ნაშიერი.

ანტიოხია მდებარეობს მდინარე ორონტის ნაპირად, სამხრეთიდან აღმოსავლეთით ოთხი მაღალი ქედია, ერთ მათგანზე აგებულია უზარმაზარი თავადი-ციხე ანტიოხისისა. ამ ციხეს გარს არტყია ვრცელი ვალაენი, რომელსაც 360 გოდოლი აქვს დატანებული. ეს ვალაენი ისე განიერი, ოთხცხენიანი ფაეტონი თამამად გაივლის ზედ.

სამხრეთით ხიდის კარია, აგრეთვე

გოდოლიანი და მას ეწოდება დღესაც „ქარნი ორივე დისანე“<sup>ქრისტიანული</sup> ჩრდილოეთით „ქარნი ჰერცოგისანი“. „ქარნი ძაღლისანი“.

„ქარნი წყლისანი“, უნდა გაეარა სამხრეთიდან ქალაქში მომავალ მდინარეს.

როცა ჯვაროსანმა თავადებმა ანტიოხიის მისასვლელებთან დასცეს ბანაკი, უმცირესი ჩქამიც არ ისმოდა ციხე-ქალაქიდან. აგრე ეგონათ: ვაკრეფილანო როგორც მკვიდრნი, ისე მეციხოვნენი.

ბოჰემუნდი თავის ნორმანული ლაშქრითურთ წ. პავლეს გოდოლის გასწვრივ დაბანაკდა რათა დაეკეტა როგორც ქარნი ძაღლისანი, ისე ქარნი ჰერცოგისანი.

ხოლო დასავლეთის კარნი, რომელნიც ზედ ორონტის ხიდის თავს იცავდა, ძალთა დაქსაქსვის შიშით, ღია დასტოვეს ჯვაროსნებმა.

ბოჰემუნდის ჯარებს დიდძალი სურსათი დაუზღდათ.

სირიელი და სომეხი ქრისტიანები შეელოდნენ მათ, მიჰქონდათ მარცვლეული და ღვინო, საკლავი და ხილი.

ესენი ანტიოხიიდან გაეძევებინათ თურქებს, მათი ოჯახები მძევლად დაეტოვებინათ ციხეში, ასე რომ სირიელები და სომეხები გზად გადადიოდნენ გოდფრუა დე ბუაონის ბანაკის მახლობლად გაკეთებულ ბორანზე, ამარაგებდნენ თავიანთ ოჯახებს.

გვიან გაიგეს ჯვაროსნებმა: ანტიოხიის ციხისთავი მათ დილეგში აგდებდა და გამოჰკითხავდა ჯვაროსანთა საომარ მზადებათა და ლაშქრის რაოდენობის გამო.

ამიტომაც ერთი კვირაც არ გასულა. ისე დაიწყეს თურქის მეციხოვნეებმა იერიშები, გამოდიოდნენ ციხიდან, შეეკენწეულავებოდნენ ჯვაროსნებს, უკუიქცეოდნენ და დაზზვდნენ კარებს.

ძალის კარიდან მომავალი გზა გადიოდა ერთ ხიდზე, რომლის ქვეშ გაუვალი ჭაობი იყო.

ჯვაროსნები უშენდნენ ლოდსატყორცნებსა და ბერძნულ ცეცხლს ამ „ძალის კარს“, მაგრამ ვერ ამოჰქოლეს იგი.

ბოლოს როგორც იქნა, ლოდებით დახერგეს და ყარაულები მიუჩინეს თანაც.

ანტიოხიის მახლობლად იმყოფებოდა ბოლოზი წ. სიმეონისა. აქედან მოჰქონდათ ჯვაროსნებს სურსათი. ამ გზას უნდა გაეარნა ბორანზე და სწორედ ამ ადგილას გამოცვივდებოდნენ თურქი მეციხოვნენი გოდოლებიდან, ზოცავდნენ ჯვაროსნებს, ზოგსაც გიბრატებდნენ, ვალავანზე გაიყვანდნენ თავიანთ თვისტომთა თვალწინ თავებს დააყრევინებდნენ.

აქ ჩაუსაფრდა მათ ტანკრედი ნორმანელი რაინდებიტურთ, შეება თურქებთ, აოტნა, მაგრამ დიდძალი ცხენები დაუხოცეს ჯვაროსნებს.

„რკინის ზილიდან“ სამი საათის სავალზე იმყოფებოდა „ჰარემის ციხე“, რომელიც იცავდა ანტიოხია-ჰალაბის თემშარას.

ამ ციხეშიაც თურქი მეციხოვნენი ისხდნენ.

ბოქემუნდმა წარგზავნა მცირე რაზმეული, თავათ აქანთებში მიიშალა სპიანად, გამოიტყუა მეციხოვნენი, ბოლოს თავათ გამოენთო, შეიპყრა ათასიოდე თურქი და წ. პავლეს კართა სიახლოეს ზმლით ააკეპინა ისინი, ანტიოხიის მეციხოვნეთა თვალწინ.

ანტიოხიის მეციხოვნეთა გახშირებული თავდასხმების აღსაკვეთად ჯვაროსანთა სარდლობამ გადასწყვიტა ბოქემუნდის ბანაკის მახლობლად, კასიუსის გორაკზე, გოდოლი აეგოთ ერთი.

მალე დაიწყო ჯვაროსანთა ბანაკებში შიმშილი. ბოქემუნდი ჰალაბინ-

კენ გაემართა 20.000 მონასპით, რათა სურსათი მოეტანა ბანაკში. მოულოდნელად სომხები და სირიელები შემოეყარათ მათ გზაზე და ამცნეს: მუსულმანები დიდძალი სპით მოემართებო ანტიოხიისაკენ.

რადგან მსტოვარნი დაბეჯითებდნენ ამტიცებდნენ: რამდენიმე ასეული ათასი მონასპა მოჰყავთო მუსულმან ამირებს, ბოქემუნდმა უკუშეცევა და ანტიოხიის ციხის სანახებში ბრძოლის გადახდა არჩია.



მალაქ-შაჰის მემკვიდრე სულტნები და ამირები ჯერაც არ იყვნენ ურთიერთშორის მორიგებული, მაგრამ ჯვაროსანთა ლაშქრის მცირე აზიასა და სირიაში შემოჭრამ აიძულა ისინი კვლავ გაერთიანებულიყვნენ დროებით.

თურქებმა დაჰკარგეს არა მარტო ნიკეა, ისინი იძულებული გახდნენ დაცვალათ კაპადოკია, კილიკია და ევფრატესა. ბალდვინმა აიღო ედესისა და მესოპოტამია.

იმპერატორი ალექსი კომნენი ნიკეას დაეუფლა და უკვე ლამობდა თავისი ქირის ჯარით მცირე აზიაში განავარდებას. ეს ბრძოლა დაწყებულია ჰქონდა უკვე.

შორსმჭვრეტელმა კეისარმა კარგად იცოდა რომ ეგვიპტელი ხალიფები და სელჯუკიდები ებრძოდნენ წინა აზიაში ჰეგემონიისათვის ურთიერთს, ახლა მან მარჯვე დრო იხელთა და ჯერ კიდევ ნიკეის აღების მეორე დღესვე კავშირი შესთავაზა ეგვიპტის ხალიფას.

ალ-აფდალმა თავისი სარწმუნო კაცი აახლა იმპერატორს და თანხმობა აუწყა კიდევაც ხელშეკრულება დაედო კეისართან, და სელჯუკიდების წინააღმდეგ ომში თანადგომა გაეწია.

გამარჯვების შემთხვევაში ალ-ფდალ მზად იყო იერუსალიმი და მისი შემოგარენი ქრისტიანთათვის გადაეცა, მაგრამ სამაგიეროდ დანარჩენი მიწები პალესტინისა ეგვიპტელებს ჰრგებოდა.

ჯვაროსანთა სარდლობა იქნეულად შესცქეროდა ბერძნებისა და ეგვიპტელების შესაძლებელ შეკავშირებას, რადგან კარგად იცოდნენ ციხური კეისარი არც ისე გახარებული იყო მათი წარმატებებითა.

სულტან ბარქიაროკი ჯერ კიდევ ტუტუშის მემკრეთა დასჯით იყო გართული, მაგრამ როგორც კი ანტიოხიას შემოეწყვენენ ჯვაროსნები და ბალდვინი მოსულს მიუახლოვდა, ბარქიაროკმა უბრძანა ამირ ქერბოვას, რომელიც უკვე მისი ყმადნაფიცი იყო, უქანასკნელი ძალები მოეკრიფა და შეეჩერებინა ქრისტიანთა წინსვლა.

წინა აზიის მთელი სამუსლიმანო ფეხზე დააყენა ამირ ქერბოვამ და 600.000 მონასპას მოუყარა თავი. ეს ლაშქარი სამგზის აღემატებოდა ჯვაროსანთა ჯარს, მაგარი ის იყო, ქრისტიანებს ცხენები გაუწყდათ გზადაგზა, ხოლო ქერბოვას მეტწილად ცხენოსანი სპანი მოჰყავდა.

ქერბოვას სარდლობას ემორჩილებოდნენ ამირები: რიღქუან, დამასკელი დეკაკ და ტოგტეკინ, იერუსალიმის მბრძანებელი ნეჯამ ედდინ ილ-ლაზი და ძმაი მისი სუკმან, ემესისის ამირა ჯანად ედდაულაჰ მუჰამედ ბენ ვეტტაბ და მისი არაბი ბედუინები.

ქერბოვა ვერ მიხვდა დროზე, მთავარი ძალები ანტიოხიის გარშემო დაბანაკებულ ჯვაროსნების წინააღმდეგ მიემართა.

თავდაპირველად მან ყური არ ათხოვა იაგი სიამის აჯას, მისთვის დაუყოვნებლივ ჯარის მიშეელების ნაცვლად, ბალდვინს დაეძგერა და ედესისის თავადი ციხის გარემოცვას შერჩა.

მხოლოდ როცა შესამეჯერ ეაჯა კენ ცეცხლოვანს.

მას იაგი სიამი, ქერბოვამ ეფრატი გადალახა და ანტიოხიეჩყვენს უკაყო-მართა. . . . .

როცა ბოჰემუნდი ანტიოხიაში მიბრუნდა, ბანაკში შიშშილი მძევინვარებდა. ქრისტიანები შედრკენენ. სომეხმა და სირიელმა ლტოლვილებმა მოიტანეს ამბავი: დიდძალი ლაშქრით მოახლოვდნენო ათაბაგი ქერბოვა და სხვა ამირები.

სულმოკლენი გაპარვას დაადგნენ. სილაშით ისარგებლებდნენ, სადმე ტყეში დასთქვამდნენ თავშოსაყრელადილს და გარბოდნენ. ზოგნი ისევ ნიკეასკენ, ზოგნიც წმინდა სვიმეონის პორტისკენ რათა პირატების ზღაწდებით ევროპაში მიბრუნებულყვენენ როგორმე.

სომხებს ნიადაგ მიჰქონდათ სურსათი ბანაკში, მაგრამ უკმარი იყო ეს ყოველივე. ამ სიამეს ზედ დაერთოს უცნაური ჩვენებანი ვარსკვლავეთისა.

დასავლეთისკენ გამოჩნდა წითელი ცდომილი, რომელსაც აღმოსავლეთისკენ გაწვდილი კული ჰქონდა აგრეთვე წითელი . . . . .

„Vidimus in coelo unum ruborem mirabilem, insuper sensimus terrae motum magnum. Multi etiam tunc viderunt quaddan signum in modum crucis figuratum colore alburneum versus orientem recto inciendens tramite“<sup>1</sup>.

დიდი სისხლისღვრის მაცნეაო ეს ცთომილი, ამტიციებდნენ იღუმალის მიმთხრობნი

მიწა იძრა სამგზის.

<sup>1</sup> ეხედავით ცაში წითელსა საოცრებამს რასმეს, ვარდა ამისა, განვიცდით დიდსა შერყევას მიწისას. მრავალნი ზედადნენ ჯერის სახის ჩვენებას ალბურის (მუქლურჯი) ფერისას და იგი შექს იწვდიდა აღმოსავლეთის-

პუტს ეპისკოპოსმა აღმარმა მეორე დღესვე შეჰყარა აბატები, ხუცები, მონაზვნები და ბერები, დანიშნა „ლაშქრის დასალოცად“ პარაკლსები და მარხვა. აჰყარა მთელი ბანაკი, დროშები და ხორეუტები აიღეს და ფსალმუნების გალობით შემოუარეს ბანაკებს.

მიწისძვრამ და ავზნიანი ცთომილების გამოჩენამ მთლად გააცოფა ათანასე ბერი. თავის სიბერისა და უსინათლობის გარდა ახალი უბედობა შენიშნა მას ჯონდი ერისთავმა.

იგი მთვარეული აღმოჩნდა.

ეს ბრმა კაცი ღამღამობით სამლოცველოს გუმბათზე აღიოდა. ასე რომ ჯონდისა და ხახუტაის ახალი საზრუნავი შეემატათ. ისინი მორიგეობდნენ ღამღამობით და ხშირად ჩამოჰყავდათ სამლოცველოს გუმბათიდან მთვარეული, უსინათლო ბერი:

მოსხუცი პეტრუს დააფრთხო ცდომილებმა და მიწისძვრამ, იგი გაოგნებული იყო, ჰამაც აღიკვეთა და ლაპარაკიკა.

სამაგიეროდ როცა ენას დაძრავდა წინასწარმეტყველებდა ყოველივე სიავეს და დაბეჯითებით არწმუნებდა ჯონდი ერისთავს და ათანასე ბერს: მეორედ მოსვლა ანტიოხიაში გვიწევსო.

ამას ყოველივეს უამბობდა უსინათლო ბერს და ათანასეც ღელავდა, დრტვინავდა, სწუხდა რომ მეორეთ მოსვლის დღეს ანტიოხიაში უნდა ეწია და ქრისტეს საფლავის ხილვას რომ ვერ ეღირსებოდა.

ასე რომ ამ ამბებისგან თავმობეზრებული ჯონდი ერისთავი ნატრობდა

რაც შეიძლება მალე დაწყებულიყო მეორედ მოსვლა ან მოსვლა ანტიოხიაში ზოგას ლაშქარი და ბოლო მოღებოდა ამ წამებას.

თანაც ტატიკუსს ეაჯებოდა: ასეულის ან ათასეულის უფროსად აეყვანა იგი.

ტატიკუსს ჰპირდებოდა, მაგრამ რატომღაც აყოვნებდა ამ წადილის შესრულებას.

ქრისტიანთა ბანაკში იძალა შიმშილმა, ავადობამ და შიშმა, ერთ დამეს გაიქცნენ ვილქელმ შერპანტიე და პიერ დამიენ. ტანკრედი გამოუდგა ლტოლვილებს, შეიპყრო ისინი და ისევ მოათრია ბანაკში.

შეერთა ბერძნული ჯარის სარდალი ტატიკუსიც. მან ჩუმად გაპარვა არ იყადრა, სამაგიეროდ შეეთათობრა ბოქმუნდს. დაპაირდა ბიზანტიელი ფლოტს გამოეგზავნიაო წ. სვიმეონის ბოლოში. აღუთქვა საომარ ცხენებს გამოვატანო მეზღვაურებს.

მძევლად დასტოვა ხუთასიოდე კაცი, თავისნი მსახურნი და კარვები. ამ ხუთასი ბერძენი მონასპის წინადგომა მიანდო ტატიკუსმა ჯონდი ერისთავს: ჯვაროსანთა სარდლობა მაინც და მაინც არ ნაღვლობდა ამ მერყევი მოკავშირის ხელიდან გამოცლას, ავის მჩხრეკეელნი იმასაც ამბობდნენ: შესაძლოა მეგვიპეტელებთან კავშირი გაეხას ალექსი კომნენუს და მან უკუიხმოვო თავისი სარდალი.

ყოველ შემთხვევაში ტატიკუსისა და ბერძენთა მონასპათა წასილას მიბაძველებიც გამოუჩნდნენ მყისვე.

ჯვაროსანთა მთელი რაზმელები აიყრებოდნენ ღამღამობით უიარაღოდ და გარბოდნენ. თურქები იქედნენ მათ ტყეებსა და ღრეებში, ზოგს ხო-

ცადენენ, ზოგთაც მონათა ბაზარზე აგზავნიდნენ .

ტატარუსის წასვლის მეორე დღესვე დედოფალყოფილმა რუსულანმა განუცხადა ჯონდი ერისთავს; ჩვენი ერთმორწმუნე ბერძენნი წავიდნენ, ჩვენ რად ვიცადოთ აქ, იერუსალიმამდის არც ისე დიდი მანძილია, დაეადგეთო ანტიოხია იერუსალიმის გზას, ბაგრატოვანთა საომარი ჯვარი ისედაც მიგვიყვანსო პალესტინაში მშვიდობით.

ჯონდი ერისთავს გული ერჩოდა თურქებთან საბრძოლველად. ამიტომაც გააზვიადა იერუსალიმს უსპოდ წასვლის საფრთხე და როგორც იქნა დაათათბირა დედოფალყოფილი და მანაც გადასწყვიტა ანტიოხიის აღებამდის მოცდა .

იაგი სიაში მოუთმენლად ღელავდა; მან თავისი ვაჟი შემს ედღაულაპ წარგზავნა დამასკოს მბრძანებელ დეკათან, ხოლო მეორე ვაჟი ქერბოვას მიუგზავნა მოსულის ამირს, მისივე ელჩები ეახლნენ ნეჯამ ედინ-ილაზისა და ძმას მისას სუკმანს, იერუსალიმის მბრძანებელთ, შემს ედღაულაპს და არაბთა უმთავრესს ვატტაბ ბენ მაჰმულს .

ჯვაროსანთა სარდლობას ახალი ამბავიც აუწყეს მსტოვარებმა: ანტიოხიაში გარემოცული თურქული ლაშქარის საშველად მოემართებოთ ამირ რიდჰუან ჰალაბელი. ბოჰემუნდმა ურჩია თავკაცებს: ქვეითნი მონასპანი ანტიოხიაში დაეტოვოთ, რაინდებში

ცხენდაცხენ შევეგებოთო ამირ რიდჰუანის ლაშქარს.

ლამით გაიყვანა ბრძეშუნდმა ცხენოსანი რაინდები ანტიოხიიდან, მოსძებნა იწროები მდინარე ორონტსა და ანტიოხიის ტბას შორის, იწროებში დახვედრა ამჯობინა, რათა ალყის შემორტყმის საშუალება არ მიეცა მტრისთვის.

ბოლოს მოაღწია მსტოვარმა და ამცნო: მოახლოვდით მტერი. ბოჰემუნდმა ბრძანა და ექვს დასტად გაიყვინჯვაროსნები. ხუთი დასტა გვერდი-გვერდს მიუყენა ურთიერთს, ხოლო მეექვსეს, მათ უკან მდგომს თავათ დაუდგა წინ.

საშინელის ყიყინითა და „ალაპ“-ს ძახილით წამოვიდნენ ხმალამოწყდილნი თურქნი, ეკვეთნენ ჯვაროსნებს.

„დეუს ლე ვოლტ“ იყვირეს ქრისტიანებმა, გამართეს შუბები და შეუტრეს მტერს.

ჯვაროსნებმა უკუაქციეს მეწინავენი, მაგრამ წამოვიდა თურქთა ლაშქარის გული და ქრისტიანთა მწყრივებმა დაიხიეს უკან.

ბოჰემუნდმა წარგზავნა თავისი კონენტაბლი<sup>1</sup> ერთი რაზმეულით.

შემოსრეს ივიცა.

ბოლოს თავათ დანძრა ცხენი ბოჰემუნდმა, საშინელის ყიყინით გაამხნევა თავისი სპანი და გააქცია თურქნი.

ოტებულნი მიბრუნდნენ ბანაკში, ცეცხლი წაუკიდეს თავიანთ კარგებს. აქ მათ ჩასაფრულნი დაუხვდნენ სომხები და სირიელი ქრისტიანები, და დაუშინეს ქებბურები მტერს.

ბოჰემუნდი გამოუდგა ოტებულთ, დიდძალი სურსათი და საჰურგელი დაატოვებინა მათ, მათსავე ცხენონებსა და ვირებს აჰკიდა თურქების წაქრილი თავები, ანტიოხიაში მოაზიდინა. აქ ხელშუბებზე წამოაცეეს ეს

<sup>1</sup> კონენტაბლი — მეჯინიბეთხუცესი.

თავები ბოქმუნდის სპათა და ხელ-  
მარჯვენი ისროდნენ მათ ციხე ქალა-  
ქის გალავანს გაღალმა . . . . .



მორე დღეს ბოქმუნდმა მიიღო ქა-  
ნროდან ჩამოსულნი, ეგვიპტელი ხა-  
ლიფას, ალ-მუსტალის და მისი პირვე-  
ლი ვაზირის, მალიქ-ალ-აფდალის მიერ  
წარმოგზავნილი ქრისტიანი ელჩები,  
რომელთაც ამცნეს ჯვაროსნებს: სელ-  
ჯუქიანთა წინააღმდეგ კავშირი შეე-  
კრათო.



ამასობაში გაბოროტებულმა იაგი  
სიამმა კიდევ ერთხელ წარგზავნა დეს-  
პანები ამირ ქერბოვასთან მოსულში  
და სხვა ამირებსაც შეელა სთხოვასას-  
წრაფო.

ღამ ღამობით იღებოდნენ „კარნი  
ძალისანი“, და „კარნი ჰერცოვისა-  
ნი“, თურქი თოროსნები გამოდიოდ-  
ნენ იღუმალ, ეპარებოდნენ ქრისტიან-  
თა ბანაკს იატაკანებით გამოშავნა-  
დნენ გუშავებს და მუსრს გაველებდ-  
ნენ მძინარე სპათა.

ბოლოს ჯვაროსანთა სარდლობამ  
გადასწყვიტა მოეთავებინათ ანტიო-  
ხიის ციხის გარემოცვა.

„ხიდის კარის“ მახლობლად მიზგი-  
თა იღვა ერთი, ხოლო მის გარშემო  
მუსლიმთა საგოდებელი. მოიწადინეს  
ამ მიზგითას გოდოლად ქცევა.

ბოქმუნდი და გრაფ რაიმონი  
წ. სვიმონის ბოლოზისაკენ გაემგზავ-  
რნენ მცირე სპით რათა ეგვიპტელთა  
ელჩები ზღვით გაეგზავნათ შინ და  
თანაც ახლად ჩამოსული გენუელი ხე-  
ლოსნები ჩამოეყვანათ გოდოლის ასა-  
გებად.

„ხიდის კარიდან“ გამოცვიდნენ  
თურქნი შებოსანნი, თავს დაესხნენ

რაინდებს და აოტნეს. მაგრამ გოდ-  
ფრუა დე ბუდონ შეეება <sup>მეფის</sup> <sup>მეფის</sup> <sup>მეფის</sup> <sup>მეფის</sup>  
ორონტში გადასჩეხა, <sup>ზრგვსაც</sup> <sup>ქელსე</sup>  
დაატოვებინა თავები.

ბოლოს ეს თავები სელჯუქიანთა  
ჯორებს აკიდეს ჯვაროსნებმა და  
ეგვიპტელ ხალიფასთან თან გაატანეს  
ელჩებს.

გენუელმა ოსტატებმა აკრიფეს  
თურქების სასაფლაოდან ლოდები და  
საომარ გოდოლად, გადააკეთეს მიზ-  
გითა.



სხვა კარიბჭეთა წინ მგლის ორმოე-  
ბი მოაწყვეს ჯვაროსნებმა. დარჩა  
„კარნი წ. გიორგისანი“, ამ კარის გა-  
საუქმებლად მუნ მდგარი მონასტერიც  
ციხედ აქციეს, ასე რომ ციხე ქალაქ  
ანტიოხიაში მომწყვედეულ თურქის  
მეციხოვნეებს არც მოაღყეთა თავდა-  
სხმა შეეძლოთ, არც სანოვავის შეტა-  
ნა ციხეში.

ერთ საღამოს ტანკრედმა შეიპყრო  
რამდენიმე სომეხი, რომელთაც სურ-  
სათით დატვირთული აქლემების ქა-  
რავანი მიჰყავდათ ციხე-ქალაქში.

დიდძალი ღვინო, ზეთი და ხორბალი  
მიზიდა თავის ბანაკში ტანკრედმა.

ქრისტიანთა სარდლობა არც კი ოც-  
ნებობდა იარაღის ძალით ციხის აღე-  
ბისათვის.

შომშილმა თავისი ჭანგი მოუჭირა  
გარემოცულთა. ახლა იაგი სიამის  
სპანი თოკის კიბეებით გადმოდიოდ-  
ნენ ციხის გალავნებიდან, მრანთელას  
თხოულობდნენ მუსლიმანნი, ოლონდ  
სიცოცხლე შეენარჩუნებინათ რო-  
გორმე.

ერთმა სირიელმა ციხიდან თოკის  
კიბით გადმოპარულმა იღუმალი ბარა-  
თი მოართვა ერთ საღამოს ბოქმუნდს.  
იწერებოდა გამუსლიმებული სომეხი,  
ამირ ფირუზი: ქრისტიანული წესით

მონათვლას თხოულობდა იგი, სამაგიეროდ ჰპირდებოდა ბოჰემუნდს: ანტიოხიის ციხე-ქალაქს აგაღებინებთ და ჩემს საგანძურებსაც გადავცემო ჯვაროსნებს.

ბოჰემუნდმა სირიელი უკანვე შეგზავნა ციხეში და თანხმობა აღუწყო ამირ ფირუზს, იმავე ღამეს შეჰყარა ჯვაროსანთა თავკაცნი და აღუწყო: თუ ქალაქ ანტიოხიას მე დამითმობთ საუფლოდ, სამ დღეში ავიღებო ციხე-ქალაქს.

ბევრი იდავეს და ითათბირეს ჯვაროსნებმა და ბოლოს ამცნეს ბოჰემუნდს:

ჩვენ თანაბრად ვიბრძოდით ამ ციხის აღებისათვის და ნადავლიც უნდა ვაიყუთოთ თანაბრად.

მეორე დღეს, მოვიდა მსტოვარი და ამცნო ქრისტიანთა სარდლობას, ათაბაგმა ჭერბოგამ და მისმა თანამდგომმა ამირებმა გადმოლახესო ევფრაცი.

ამ ამბავმა გააერთიანა ჯვაროსანთა თავკაცნი. თანხმობა მისცეს ბოჰემუნდს.

ნაშუალამევს მსტოვარი შეგზავნა ბოჰემუნდმა ციხეში და მძევალი მოსთხოვა ამირ ფირუზს.

ფირუზმა თავისი ვაჟი წარმოგზავნა მძველად და შემოთვალა: იაგი სიამის თვალის ასახვევად დღისით გაიყვანეთო ანტიოხიის შემოგარენიდან ლაშქარი და თანაც სთხოვდა ბოჰემუნდს: შელამდება თუ არა სამხრეთის გოდოლთან უცადეო ჩემგან მოცემულ ნიშანს.

ქრისტიანთა ბანაკებში სასიხარულო ამბავი გავრცელდა: ამაღამ იწყებო ანტიოხიის ციხის ასაღები იერიშები. ჯონდი ერისთავმა პეტრუს და ერთი ბერძენი მონასპათა წინამდგომი მიუ-

გზავნა ბოჰემუნდს, სთხოვა ხელთას ბერძენ მეომარს გაეფრთხილებო ანტიოხიის ციხის იერიშებს და მასთან ერთად წილი. ბოჰემუნდმა იმყოფონდი ერისთავი. მოეწონა ახოვანი, პირმშვენიერი ქაბუჯი.

თავდაპირველად გაეხარდა ეს ამბავი ბოჰემუნდს, მაგრამ როცა ლათინურად შეეცითხა პეტრუს, რა რწმენისათვის ეგ ქაბუჯი და პასუხი მიიღო ბერძენი-კათოლიკეაო, თავი დააქნია იჭენეულად, ტყბილად გაუღიმა ჯონდის და უარი უთხრა ამ სათხოვარზე.

ბოჰემუნდს თავათ ეწაღა ციხის დაუფლება და არ ინდომა ბერძენთათვის დაედო ამ საქმეში წილი.

განწბილებული ჯონდი ერისთავი გაბრუნდა სამლოცველოში უკან, გულშემოყრილი იყო შემცნობი იმისა, რომ ამაღამ იერიში უნდა დაწყებულყო და მას დავით მეფის სარდალს მონაზვნებთან და დიაკვნებთან ერთად მხოლოდ სეირის ყურება ეკმარნა.

ბოჰემუნდმა ამცნო გოდოლთან დე ბუაონს, პუას ეპისკოპოსს ადემარს, ფლანდრიისა და ტულუზის გრაფებს, ამაღამ ავიღებო ანტიოხიას. თანაც მოითხოვა ერთი ნაწილი ლაშქრისა, როგორც ცხენოსანი რაინდები, ისე ქვეითი სპანი ანტიოხიის მისადგომებიდან გაეყვანათ, ხოლო შელამებისას, სამხრეთის გოდოლთან თავი მოეყარა ლაშქარს.

სარდლებმა დღისით, ზნისით გალობითა და დაფდაფების ცემით გაიყვანეს ანტიოხიის შემოგარენიდან ლაშქარი, ცხენოსანი რაინდები მთას გადაღმა გადამალეს, ხოლო ქვეითნი ორონტს დაჰყვენენ და კარგ მანძილზე მოშორდნენ ანტიოხიას, შელამდა თუ არა, საღამოს ამირ ფირუზის გოდოლთან მოიყარეს თავი და აქ დაუხვდა



ბოქმუნდს ბაგირის კიბე, რომელიც გოდოლის ქონგურებზე იყო მიბმული. ასიოდე მხედარი აგზავნა ამ კიბით ბოქმუნდმა გოდოლის ზეთავზე, რაკი ფირუზმა ბოქმუნდი ვეღარ ნახა, შედრკა და მოითხოვა, მომგვარეთო თქვენი წინამდგომი.

როცა ბოქმუნდი გოდოლის ზეთავს მოექცა, ყოყინით შეეგებნენ მისნი სპანი: „დეუს ლე ვოლტ“.

„დეუს ლე ვოლტ“, დაიქუხეს კიბის ქვეშოდ მდგარმა რაინდებმა და ამოსცვიდნენ სასწრაფოდ ფირუზის გოდოლში და თურქთაგანნი ვინც შემოეყარათ, აქექეს ხმლებით და მათ შორის ფირუზის ძმაც. ბაგირის კიბემ ვერ გაუძლო ბოქმუნდის სპათა სიმრავლეს, გაწყდა და რამდენიმე კაცი დაასქდა მიწას.

ამასობაში შემოლენწეს ჯვაროსნებმა გოდოლების კარნი, შემოცვიდნენ ხმალამოწყვილინი, უწყალოდ ჩეხეს თურქი მონასპანი და იყვირეს: „დეუს ლე ვოლტ“.

მთელი ღამე ისმოდა აბჯრის ეღარუნი, ხმლების წკრიალი, ფარების ეღრიალი ანტიოხიის ციხეში, შემზარავი ყოყინი: „ალაჰ“ და შეძახილი: „დეუს ლე ვოლტ“, დიაცები კივოდნენ, ცხენები ჭიხენებდნენ.

გენუაში, ნეპოლში, ვენაში, ტრიერში, ფარერაში, ანტვერპენში, ლონდონში, პარიზში ნაწრთობი ხმლები, ხელშუბები და ქებიურები ვრკინებოდნენ ბნელში, დამასკის, პალაბის, მოსულის, ბაღდადის, ისპაჰანის ოსტატების ნახელოვნებ იარაღს და კვნესოდა ფოლადი, კვენესოდა ადამიანი, წყალივით იღვრებოდა სისხლი იწვოდნენ ცეცხლშემოგზნებული მიზგიოთები და სახლები.

უთენია ბოქმუნდი ავიდა გალავანზე და კარნი ძაღლისანი დაამშენა თავისი დროშით, რომელიც სისხლზე

უფრო წითელი იყო. იაგი სიამი ათასი თოროსანის ამალითურთ შექმენეს ხიდან.

ჯონდი ერისთავს მთელი ღამე არ ეძინა, ანტიოხიის ციხიდან ყოყინი რა შემოესმა, სამლოცველოს წინ გააშკრივა ბერძენი მონასპანი და ჯვაროსან სარდლობის უკითხავად უნდოდა ციხისაკენ წასვლა.

სწორედ ამ დროს საცნაურ ჰყოცხენების თქარათქურო. სასწრაფოდ გაშალა მან გზის სიგანეზე ხელშუბებით აღჭურვილინი ბერძენთა სპანი, თავთ წინ წარუძღვა, თორგადაცმული დიაკონი ხახუტაი უკან მოსდევდა მას დამასკური, გოლიათური ხმლით აღჭურვილი.

როცა ოტებული იაგი სიამი მიეახლა ჩასაფრებულთ, შეაყენა ლამქარი, დაქვეითება უბრძანა ცხენოსნებს, მაგრამ თავათ არ ინება ძირს ჩამოსვლა. ცხენები დაწვინეს თურქებმა და დაუშინეს ქებიურები ჯონდი ერისთავის რაზმეულს.

ჯონდი ერისთავმა ორასიოდე შებოსანით გადალახა გადაღმა ჩასაფრულთა მწყრივები; მიეჭრა იაგი სიამს და ხელშუბით გაჰგმირა იგი.

იაგი სიამი უნაგირიდან გადმოვარდა, დიაკონი ხახუტაი ზედ წამოაჯდა ამირს და ღორივით დაჰკლა იგი.

როცა ჯონდი ერისთავმა ანტიოხიის ციხეში მიართვა ბოქმუნდს იაგი სიამის თავი, ნორმანელმა რაინდმა გადაჰკოცნა ქრისტიანი „ბერძენი“, ნორმანული ხმალი უბოძა მას თავისი, რომელზედაც ეხატა მგლის თათი.

მერმე გაუღიმა უცნობ რაინდს და ეს უთხრა:

„დეუს ლე ვოლტ“  
(შემდეგ • ქნება).

პირველი ნაკვეთი

## ფერილს ლიმონები



მახინჯაურის მშვენიერ ზღაპრში  
მწიფე ლიმონებს ჰკრეფდი, ფერილდე.  
ხეც გაფრთხილებდა შრიალით მაშინ:  
სიმძიმით დახრილ შტოს მოერიდე!

ზღვა იყო წუნარი და ისევე წმინდა,  
როგორც აქარის ცის ლაქვარდია.  
ქალო, სამშობლოს დიდება გინდა,  
ღისი ზურმუხტის ქება გწადია.

რა მომხიბლავი მთა და მდელია,  
სადაც ნარინჯი ციმციმებს მზეზე.  
ეს ჩვენი ტურფა საქართველოა,  
აქ ახლა ოქრო ასხია ხეზე.

ნაყოფს ეხები ნაზად, ფაქიზად,  
ფოთლებს არხევენ ბროლის თითები.  
ხესთან მიდიხარ გულის ნარგიზად:  
დაბლა ჩამოგაქვს მარგალიტები.

ქვეყნებს მოივლის ეს ლიმონები,  
ნახავს მხარეებს კავკასის იქით.  
ბელადის მამულს მოიგონებენ  
და დალოცავენ ავსებულ ჭიქით.

მწვანე წალკოტში დგახარ ფერილდე,  
გესმის შავი ზღვის ჩუმი ხმაური.  
ხმაურობს ზღვა და მინდა მღეროდე:  
ბაღის ბაღია მახინჯაური!

ლალ ავალიანი

## მერგოლური

★

ნოველა

★

რა ხერხს არ მიმართა ვალიკომ... სულ ზეშთა სიტყვებით შეამყო მაროს გარეგნობა, გარჯა. გუშინ ბოძებული ჯილდოც არ დაუვიწყა... თქმა ვერ გაბედა, უსიტყვოდ მიახვედრა დანარჩენს: არ დაგაეიწყედესო... სულ მალე იქნებ, მეც დაგვირდეთო.. მაგრამ... ამაოდ. მერგოლური მაინც თავისას გაიძახოდა, რაკი ერთხელ ამხილა თავისი იდუმალი ზრახვა—სწორედ ამაღამ უნდა წავიდეთ, სიტყვას არ გადავიდა. ვალიკო თუმც არ იმჩნევდა, მაგრამ უზომოდ სწყინდა მაროს უადგილო გაჯიქება, უგბილობად ჩამოართვა გუნებაში. სხვა დროს, მაროზე უპატივეცემულესსაც არ შეაწყალებდა ასე თავს, ხვეწნას არ დაუწყებდა, მაგრამ ახლა — გუშინდელი ბედნიერი დღე, მთავრობისაგან ჯილდოს მიღება, საზეიმო განწყობილება არ ეწადა უსიამოვნებით დაებოლოვებინა. ყველა საექვო მიზეზი, რასაც სოფელში დასაბრუნებლად აგულიანება შეეძლო, ვალიკოს ფიქრით არა ემაროდა, უცაბედად ატეხილ მერგოლურის საქციელის გასაძარტლებლად.

— ქალო! თბილისში ყოფნას რამე სჯობია?! — მარომ არაფერი უპასუხა, მისკენ არც მიიხედა. სასტუმროს ფართო ფანჯრიდან რუსთაველის პროსპექტს გადასცქეროდა, თუმცა ქუჩაში მოფუსფუსე ხალხი და ავტოთა ქროლვა

საკუთარი ფიქრებით გართულ მერგოლურის თვალს ახლა არც ისე იტაცებდა.

ვალიკო, აქამდე რომ შეუსვენებლად სცემდა ბოლთას, უცებ მაროს ზურგს უკან შესდგა, გულდაწყვეტილის კილოთი შენიშნა:

— ხეალ „დაისი“ უნდა დავსწრებოდით...

რაკი მარომ არც ახლა მიაქცია ყურადღება აგრონომმა ნათქვამს უფრო მწყურალად დაუმატა:

— ზეგ რუსთაველში... „ოტელოა.“

მარო მობრუნდა, თვალი დამნაშავესავეთ შეავლო აგრონომს. იგი ისე გამოიყურებოდა, რომ მერგოლურს ცალყბად გაელიმა.

— ვალიკო!, — ალერსით მოუხმო მან, — „დაისიც“ კარგია, „ოტელოც“, მაგრამ... ნუ გეწყინება და ახლა, ჩემთვის მაინც ასე სჯობია... უეჭველად უნდა გავბრუნდე... სწორედ ამაღამ!

— ამაღამ! — წყენით წამოისროლა ვალიკომ, — რა დაგემართა, რა მოგეჩენა?! — მაროს ზურგი შეაქცია, მაგრამ იმავე წამს მობრუნდა, ნაძალადევად გაიღიმა, მოლბა, — რას მეუბნები!.. მავას მაინც ვერ დაგიჯერებ, რომ...

მარომ თავი ასწია გამოძწვევად მიაჩერდა აგრონომს.

— რას ვერ დამიჯერებ?! —

— ვერ დაგიჯერებ, რომ... „დაისის“ მოსმენას, მთელი დამე მატარებლის რახრახით ყურების გამოკედვა სჯობდეს!

ზარო ერთხანს ჩაფიქრებული იდგა.

— შენ და ალექსი, თუ გინდათ... დარჩით, მე კი...

— შე ქალო, სადგურზე ხომ უნდა გაგაცილოთ... სულ ერთი არ არის?... მაშინ ჩვენი წამოვალთ და ის იქნება!

— მე თქვენ არ გაძალებთ.

— არა! ეს პირველი და უკანასკნელია, — ვადაჭრით სთქვა აგრონომმა, — კვლავ შენთან არსად წამომსვლელი არა ვარ!... რაღაც ჩემი რჩევა არა სჭრის, შენს სურვილს ახლავე... ალექსის მოვახსენებ!... შენ იცი და იმან...

ვალეკო ჩქარი ნაბიჯით გაემართა კარისაკენ, ერთხელაც აღარ მოუხედავს უკან. მარო უსიტყვოდ, ფეხაკრეფით მიჰყვა კარებამდე. აგრონომმა ისე გაიჯახუნა კარი, რომ მარო უნებლიედ შეკრთა. ერთ წუთს გარინდებული იდგა; არა სჯეროდა, თუ ვალეკოს ასე იოლად გადაურჩებოდა. ახალი შემოტყვის მოლოდინში გულის გამაგრება სცადა. გონებაში ყველაფერი თავიდან ასწონ-დასწონა, ივარაუდა და, რახან თავისი განზრახვის სისწორეში ერთხელ კიდევ დარწმუნდა, გადასწყვიტა: არც ალექსისათვის დაეთმო, თუმცა იგი ვალეკოზე უფრო ძნელი დასარწმუნებელი და მოსაგერიებელი იყო.

...

ალექსიმ გაუფრთხილებლად შემოალო კარი და რიხიანად შემოაბიჯა.

— რაო, მართალია?! — შესძახა მან ოთახში შესვლისთანავე, ფანჯრის კუთხეში, გამსჭვირვალე ფარდის უკან მოფარებულ მაროს. კოლმეურნეობის თავმჯდომარეს იმედი ჰქონდა, უცარი შეტევა საქციელს უძალევე წაუხდენდა მერგოლურს, გადაწყვეტილებაზე ხელს ააღებინებდა, მაგრამ... გაუსწორა თუ

არა თვალი, მისმა მშვიდმა, თანაც მტკიცე გამომეტყველებამ დააფიქრებინა, თურმე არც ისე ნებნისტი მალაყოფილა მარო, როგორც ალექსის წარმოდგინა; გაკვირებული თავმჯდომარე მოწიწებით მიუახლოვდა თავის მერგოლურს, მაჯაში ხელი ჩასჭიდა. თანაგრძნობით, ცნობისმოყვარეობით ჰკითხა:

— მოხდა რამე?!..

თავმჯდომარის კილომ მაროს გული მოუღბო. ღიმილი მოერია.

— აა!... მივხვდი, მივხვდი...

მარომ უმალ შუბლი შეიკრა, გაცეხით შეავლო თვალი ალექსის.

— რა დაგაბარა?... თბილისში გაჩერების ნება არ დაურთავს, თუ... რამ ავაწრიალა?!

მარო თავმჯდომარის სიტყვების აზრს ჯერ კიდევ რიგიანად ვერ მიძხვდარიყო, მაგრამ ბევრიც აღარ უქლდა. იგრძნო რარიგ წამოწითლდა სახეზე.

— მიგიხვდი?... დამაცალოს... ერთი, დავბრუნდეთ!.. მაინც რა ძალა ჰქონია იმ...

— ვის ეშუქრები, ალექსი?! ჩემთვის არც არავის უბრძანებია რამე და... ვერც ზიბრძანებს!

— ასეა საქმე?! ჰო, არა... შენც კარვი ეშმაკი ხარ...

— რა გეშმაკე, ალექსი?!

— რას ამბობ! — ალექსიმ პაპიროსს მოუყიდა, ერთი, ორჯერ ნებიერად გააპოლა, — სიყვარული რომ... სირცხვილი იყოს..., — ხმას უცებ დაუკლო, თითქმის წაიჩურჩულა, — დავიანებული სიყვარული მაინც ნა-მე-ტანი ყოფილა!

მარო თუმცა აღარ წამოწითლებულა, მაგრამ ღიმილი მაინც ვერ დაფარა.

— კარგი, ამ ლაპარაკს თავი დავანებოთ, — განაგრძო ალექსიმ, — დღეს, ხვალ და... ზეგაც დედაქალაქის სტუმრები ვართ... ნუ გავაწბილებთ ძვირ-

ფას მასპინძელს! რასაც შემოგვთავაზებს, მოწიწებით ჩამოვართვით, მადლობა გადაუხადოთ!.. ზეგ კი შინ ექსპრესით წავარჩინებ!...

აქამდე მორჩილად განაბულმა მარომ ბოლო სიტყვებზე ალექსის შეშფოთებით შეავლო თვალი, მერე თავი ნელა დახარა და წაიბუტბუტა:

— ჩემთვის აჯობებს, თუ... დღეს გამიშვებთ!... თქვენ ზეგ და...

— აჰ!—ხელების გასაქავეებით შეიცხადა ალექსიმ.

— რა ექნა, — შეფიქრიანდა ქალი, თითი მიაშიტად ტუჩზე მიიღო.

— დამიჯერე... აჯობებს, — ისე მხნედ და დამაჯერებლად წარმოსთქვა ალექსიმ, მართლა დარწმუნდებოდა, რომ აგრე სჯობდა, — სოფელში რადიოს გატაცებით რომ უსმენ, ახლა... ასეთ შეშთხვევას კაცი ხელიდან გაუშვებს?! — ალექსიმ ირიბად გადახედა თავჩაღუნულ მაროს, — აქამდე თუ მიჯერებდი, მოიგე კიდევ!.. ახლაც დამიჯერე..

— რაც ჰკუთს არ მიჯდება, ვერ დავიჯერებ!... რა ექნა...

ალექსიმ გაკვირვებით გადახედა მერგოლურს, გუნებაში გაიფიქრა: „ძალიან გაუთამამებია მიღებულ ჯილდოს!“

ერთ-ორ წუთს კიდევ იდავეს. ალექსი გაოცებული იყო ამ შემთხვევით. ბართალია, დიდად იწყინა მაროს ასეთი, ერთი შეხედვით უმიზეზო გაჯიუტება, მაგრამ არ აგრძნობინა. პატივი სცა თავისთავსაც, მერგოლურსაც და რაკი შეატყო, შემდგომი სჯა და რჩევა ფუქი იყო, მის სურვილს დაჰყვა.

— რახან არ იშლი... რა ხან ასე აუცილებელია, მოემზადე... ღამის მატარებელს გავყვით!..

განზრახ დინჯად, მოწყენით ლაპარაკობდა ალექსი და თან იმედს არა ჰკარგავდა—აი ახლა შემაწყვეტინებს სიტყვას, აი ახლაო... ამ ბედნიერ დღეებს არ

წავგამწარებსო, მაგრამ არ გაუმართლა იმედი კოლმეურნეობის თეგმულმანქანს გათამამებულმა მერგოლურმა...

იმედგადაწყვეტილი თავმჯდომარე, ოთახიდან ვასელის წინ გაკვირვებით ჩააცქერდა თვალბში ფარული სიხარულით სახეგანათებულ მერგოლურს, ვაუღიმა. ქალმა იგრძნო, რომ ალექსი მას ისე არ ემდუროდა, როგორც იმ „მიზეზს“, რომლის შესახებაც წელან ორაზროვნად ელაპარაკებოდა.

— ცხრა საათზე დავირეკავ, ვახშამზე ჩამოდი.

— კარგი!

ამ საღამოს პირველად დაეთანხმა მარო ალექსის. კარებამდე ფეხაკრეფით და გულის ძვრით მიჰყვა, კიდევ არა სჯეროდა რომ... მასაც გაუმკლავდა.

გასასვლელთან ერთხელ კიდევ შემობრუნდა ალექსი.

— თამარსაც შეატყობინე, რომ... ამალამ მივდივარ.

— კარგი, — სიხარულისაგან ხმაც დაკარგოდა მერგოლურს, ჩურჩულით დაადევნა პასუხი კიბესთან მისულ ალექსის და კარი მოიხურა. ოთახის შუაგულამდე სიხარულისაგან თავბრუდახვეულმა ბარბაციტ გაიბრინა, უცებ თითქოს წინ რამე გადაელობაო, მსუბუქად შეჰკივლა, სარკეში თავის გამოსახულებას მოჰკრა თვალი, ბავშვით გაუღიმა. შესრულებულ წადილს იგი ახლა მართლაც ბავშვად ექცია.

•  
•

თენდებოდა.

მარომ აქაც იჩქარა — პირველი თვითონ გადმოვიდა ბაქანთან წუთით შეჩერებულ მატარებლიდან.

ალექსიმ ნაცნობ მიდამოებს ნამძინარევი თვალი მოავლო, კმაყოფილებით შენიშნა:

— მართალი გითხრათ, ახლა კი მად-

ლობელი ვარ ჩვენი მაროსი. აქაურობას რა სჯობია!.. სიცოცხლეა, სიცოცხლე.

შორეული მთაგრეხილი წითლად ვარვარებდა. ჯერ ისევ ბინდაკრულ თვალუწყდენ ველს მდინარის ნაპირებ-მონახული ვერცხლისფერი ზოლი ორად ჰყოფდა.

გზაზე შეუმჩნეველად შემოათენდათ. გზის პირას ტანდაბალ ხეთა ნორჩი ფოთლები თითქოს ჩიტების გამაყრუებელ ჟივილ-ხივილისაგან თრთოდნენ.

— კი, მაგრამ... ასე ჩემად რომ შევილალოთ სოფელში, რას იფიქრებენ... რატომ არ შემოგვითვალეთ ჩამოსვლის დღეო არ გვუთხავენ?.. რა ვუპასუხოთ? — იკითხა ვალიკოზ, რომელიც აქამდე კრინტს არა სძრავდა.

— რა უშავს... ჩვენ თავმდაბლობას მიაწერენ! — დაამშვიდა ალექსიმ აგრონომი.

— სასულე ორკესტრს არც მაშინ დაგვახედრებდნენ... კიდევაც რომ შემოგვეთვალა, — შენიშნა თამარმა.

— მართალია, გმირობა არ მოუციათ, მაგრამ... სირცხვილი მაინც არ გვიჭამია!.. აგრე არ არის?

ყველა დაეთანხმა კოლმეურნეობის თავმჯდომარეს.

— გმირობას, — განაგრძო ალექსიმ, — ამ შემოდგომაზე ზარო მიიღებს და მაშინ ნახეთ დახვედრას!

ალექსის შენიშვნაზე ყველამ მაროს-კენ იბრუნა პირი, მაგრამ მარო...

— რა იქნა?!

წამოიძახა ალექსიმ და გაციებით გაღახედა დანარჩენებს.

— ალბათ... დაგვეწვია, — ყოყმანით შენიშნა თამარმა და ალექსის ორ-აზროვნად გაუღიმა.

ნელი ნაბიჯით განაგრძეს გზა. ალექსი წამდაუწყუმ უკან იხედებოდა.

— რას ეშმაკობს?!.. ჩვენზე აღრე ხომ არ იფიქრა სოფელში მისვლა? — ეპვიით სთქვა ვალიკომ.

ალექსიც დაფიქრდა.

— თამარ, ერთი გასწვრივ მამაკობრა-კიდან...

თამარმა გორაკზე აირბინა, შუბლზე ხელ მოჩრდილებულმა დაკვირვებით მოათვალა იგრა ხნულები.

დანარჩენებსაც ვეღარ გაუძლო გულმა. ყველანი გორაკზე ავიდნენ.

— ეგერ!, — მოულოდნელად წამოიძახა ვალიკომ. მარტო მისმა გამჭრიახმა თვალმა გამოარჩია ხნულთან შეხამებული მაროს ტანსაცმელი და ყაყაოსავით მოკიაფე წითელი ბერგტი.

— იქით სად მიდის, კაცო! მაქვთ არც ზაგის სახლია და არც...

— პაემანი ხომ არ დაუნიშნავს იმ პიკისათვის?

— დაიცათ, მე ვაგივებ ზაგის... — სიტყვა აღარ დაასრულა ალექსიმ, თავქვე დაეშვა, ხნულებს შორის ვიწრო კვალს გაჰყვა.

•  
•

საგარეო, მაღალქუსლიანი ფეხსაცმელებით ხნულებში სიარულმა მალე მოქანცა მერგოლური, ზაგრამ ის მაინც ისეთი გულისძგერით ისწრაფოდა წინ, რომ ფეხსაცმელების გასახლედაც ვერ მოეცალა, ერთი წუთით შეჩერება, ერთი წუთის დაკარგვაც ეძნელებოდა. უცებ ღონივრად ჩაბუქნა და ისე მოეჩვენა თითქოს დაკოჭლდაო, აღმა-დაღმა იწყო სვლა; ახლა არც ამ გარემობას ჰქონდა მისთვის მნიშვნელობა, საითაც ისწრაფოდა, ოღონდ იქამდე სული მიეტანებინა, დანარჩენს აღარაფერს ნაღვლობდა. ჯერ კიდევ შორიდან ორი, სოკოსავით ხე რომ შენიშნა და თავისი ნაკვეთიც იცნო, მუხლები მოეკვეთა. თუმც დრო ძვირად უღირდა, მეტი ვეღარ შესძლო, სულის მოსათქმელად წამით მაინც შესდგა, როცა ხელახლა

ნაბიჯის გადადგმა დააპირა: იგრძნო რომ ცალი ხელი უკანალებდა, სიარულს უშლიდა. უკანასკნელი ძალღონე მოიკრიბა; თავშალის სწორებით და გამახსნევებელ სიტყვების ბუბუბუტით განაგრძო ხნულებში აღმა-დაღმა სიარული. ნაკვეთს ახლა ერთის წამითაც თვალს ვერ აშორებდა, თუმც გარკვევით ვერას არჩევდა. ის ორი აოკოსავით ხეც, ნაკვეთიც ხან სულ ქრებოდა ხანაც ბუნდოვნად ესახებოდა; გაკვირვებით ებაასებოდა, გუნებაში დასცინოდა თავისთავს მერგოლური, ასე რომ ღელავდა, მაგრამ ვერც ეს ხერხი ამშვიდებდა. როცა იმ ორ ხეს გაუსწორდა, ერთი ნაბიჯი კიდევ გადასდგა და უმალ ორივე მუხლზე წამოიჩოქა, თითქოს მიწას თაყვანი უნდა სცესო... წინწახრილმა ხელები მიწის ზედაპირზე მოაფათურა... უცებ მარჯვენა ხელიგულზე ერთი ციდა რბილი ღეროს მოლიტინება იგრძნო და... მყის ხელის გულში მოიმწყვდია იგი... შემდეგ ნელა, დიდის სიფრთხილით ააყოლა ღეროს ორი თითი... ციურმა ცვარმა თითი დაუსველა, ცრემლმა დაწვი. „ამოსულა!...“ წამოიძახა მერგოლურმა და, ისე მოეჩვენა,

თითქოს ახლა მასთან ერთად, ახლად გაღვიძებული მთა და ბარეც მხოლოდ ამ სიტყვას იმეორებდა... ფრთხილად ალში, ჩიტების ქვივლში, ნიავის ქროლვაში მარტო ეს სასიხარულო ძახილი ისმოდა...

მარო მუხლმოკეცილი იჯდა ნაკვეთის პიოას, წამოწითლებულ სახეზე ოფლს იწმენდა ახალი ცხვირსახოცით, თვალს ველარ აშორებდა, ღიმილით გადასცქეროდა ერთი ციდა, ნაზმწვანე ღეროებით გადაფარულ ნაკვეთს. ფეხსაცმელები რომ გაიხადა, ახლა-ლა შენიშნა, ცალი ქუსლი ხნულში ჩაუტოვებია. გაეცინა. ფაჩუნზე უკან მიიხედა. ალექსის დანახვის უმალ მსუბუქად შეჰკივლა, ცალ მუხლზე წამოწეული კაბის ნაპირი გაისწორა და წამოდგომაც დააპირა, მაგრამ მან დაასწრო, კერძით მოუჭდა და მკლავი ფრთხილად მოჰხვია ბეჭზე. ერთხანს ასე, გარინდებული გასცქეროდნენ კოლმეურნეობის თავმჯდომარე და მერგოლური მწვანე ღერებით გადაფარულ ნაკვეთს. თავმჯდომარეს ვერც მღელვარება დაეცხრო, და ვერც შესაფერი სიტყვები მოენახა მერგოლურის შესაქებად.

## პ ო რ ზ რ ე ზ ე ბ ი



### ვაჟა-ფშაველა მიმოგრიბთან

ვიგას სარდაფი განთქმულია, — მიღებაც ზრდილი,  
 ზეგობართა წრე ვაყას ხშირად აქ მიტომ ელის,  
 პატრონიც მუდამ გულლიაა, ვით მასპინძელი:  
 ვაყას თაყვანს სცემს, უყვარს ნიკო სულხანიშვილი.

ნაპოლეონი—გულმაგარი, შიო—გულჩვილი,  
 ვაჟა, ნიკო და ათეისტი მოხევე მღვდელი  
 სხედან. საუბარს ხშირად სცვლის სიმღერა ნელი...  
 სმენად ქცეულა უწვერული ფაშალიშვილი.

ვაჟა კითხულობს ახალ ლექსებს გულანთებული,  
 თითქოს ცა გრგვინავს და ზედიზედ ანათებს ელვა;  
 ყველას დაეტყო უცნაური ჟრგოლა და ღელვა  
 და ერთის გრძნობით გაიმსქვალა მთელი კრებული...  
 —„გამოდგებისა?..“ თაემდაბლურად იკითხავს ვაჟა  
 და... საპასუხოდ ახლაც ისმის ზხურვალე ვაშა.



### მამია ბურიელი

მას შთაგონებას უწამლავდა ნადველის შხამი.  
 მაგრამ ნაპერწკლებს გულის ცეცხლი როცა ისროდა,  
 ვით ოქროპირი, თავის ლექსით ის ხალხს იპყრობდა  
 და ჭირსებია უდიდესი ზემის წამი.

განცდის ტალღათა ქაღალდს მხოლოდ აზნია ნამი,  
 მაგრამ ყველა გრძნობს მღელვარება რარიგად ჰქონდა, —  
 რა დიდ სიყვარულს ატარებდა, რარიგ დაღონდა.  
 როგორ ეწოდა ცხარე ცრემლით თვალთა წაწმამი.

ის დასტიროდა სამშობლოს ბედს, — რომ ისე წახდა,  
 წერდა: „ალავერდს“ — იმედიანს, „ფიცს“, „ადამიანს“;  
 „არა რა არსო უსაშველო!“ მიინც იძახდა.

თუმც ვაეგმირა მისი მკერდი ისარს შხამიანს,  
 ელოდა მიანც აყვავებას კოლხეთის ბაღთა;  
 ეტრფოდა მამულს, შშობელ კერას, ბალახს ნამიანს.

მორბეი ჯიბლაძე

## ოქტომბრის რევოლუცია და ქართული თეატრი \*

★

ამხანაგებო! წინასწარ ბოდიში მინდა მოვიხადო საქართველოს თეატრალური საზოგადოების ავტორიტეტული პლენუმის წინაშე, რომ მე არც დრო, არც საშუალება არ მქონდა ფართოდ გამეშუქებია ესოდენ რთული საკითხი და ყოველმხრივ მეჩვენებინა, თუ რა მისცა დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ ქართულ თეატრს. ამიტომ ჩემი მოხსენება, უკეთეს შემთხვევაში, გაშლილი თეზისები უფრო იქნება ვიდრე გათვალისწინებული თემის დაწვრილებითი ანალიზი. ყოველშემთხვევაში, შევეცდები ზოგადად მაინც აღვნიშნო ქართული თეატრის განვითარების ის ძირითადი ნიშანსვეტები, რომელთა კარკვევაც ჩემს მოხსენებაში სავალდებულოდ მიმაჩნია.

თუ რევოლუცია, როგორც მარქსი შენიშნავს, ისტორიის ლოკომოტივს წარმოადგენს, მაშინ ისტორიას არასოდეს არა ჰყოლია ისეთი უნივერსალური ლოკომოტივი, როგორიც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია იყო. კრეისერ „აერორას“ ზარბაზნების გრიადმა კაცობრიობას აცნობა ახალი ერის დასაწყისი, ახალი სამყაროს დაბადება, განახლების გრიადლის ქროლევა, მშრომელი მასების

გამარჯვება, რომლის შემომქმედი და გენიალური ორგანიზატორები არიან ლენინი და სტალინი. ოქტომბრის რევოლუციამ ჩვენი ქვეყნის ხალხები გაათავისუფლა ექსპლოატაციისაგან, ბოლო მოუღო ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრას, დაამხო კაპიტალიზმი, მონობის ხუნდები აყარა მილიონობით მშრომელებს, გადაშალა ახალი ფურცელი პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში. მისი საერთაშორისო მნიშვნელობა ერთბაშად საცნაური გახდა, ვინაიდან მთელი მსოფლიოს მშრომელებს მან პირველმა მისცა სოციალისტური წყობის ნიმუში, მან პირველმა გააკვალა გზა კომუნისმის ნათელი მწვერვალებისაკენ. მან შექმნა მსოფლიოში პირველი სოციალისტური დემოკრატია, პირველად მიიყვანა მუშები და გლეხები ხელისუფლების სათავეში სამუდამოდ; პირველად ჩამოაყალიბა ხალხის ინტერესების გამოხატველი და ხალხისადმი უანგარო სამსახურით გამსჭვალული მთავრობა, რომელიც ანხორციელებს მთელი მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე, დემოკრატიული ხალხების ყველაზე სანუკვარ ოცნებას—კომუნისმს. და არსად, მსოფლიოში არსად არ არის ისეთი დემოკრატიული მთავრობა, როგორც ჩვენს დიდ სოციალისტურ სამშობლოშია. „დამისა-

\* მოხსენება საქართველოს თეატრალური საზოგადოების გამგეობის პლენუმზე 1947 წლის 10 ნოემბერს.

ხელთ ისეთი ქვეყანა, — ამბობს ამხანაგი სტალინი, — სადაც მთავრობა მხარს უჭერდეს არა კაპიტალისტებსა და მემამულეებს, არა კულაკებსა და სხვა მდიდრებს, არამედ მშრომელ გლეხებს. დედამიწის ზურგზე არ არის და არ ყოფილა ასეთი ქვეყანა. მხოლოდ ჩვენში, საბჭოთა ქვეყანაში არსებობს მთავრობა, რომელიც თავგამოდებით იცავს მუშებნა და კოლმეურნე გლეხებს, ქალაქისა და სოფლის ყველა მშრომელს, ყველა მდიდრისა და ექსპლოატატორის წინააღმდეგ“.

ოქტომბრის დიდმა სოციალისტურმა რევოლუციამ, რომლის სახელოვანი XXX წლისთავი სამი დღის წინათ აღნიშნეს ჩვენი ქვეყნის ხალხებმა, მთელი მსოფლიოს მშრომელებმა, არა მარტო დააძხო ძველი სამყარო, არამედ შექმნა ახალი, წინად არნახული და უმაგალითოდ ძლიერი; შექმნა ისეთი სახელმწიფო, რომელმაც შესძლო დიდ სამამულო ომში დაემსხვრია მთელი ევროპის სამხედრო ჯაგშანი ფაშისტური ვერაგობით ასე განმტკიცებული ჩვენი ქვეყნის შესამუსრავად. რევოლუციამ ამავე დროს უდიდესი კულტურული სიკეთე მიანიჭა საბჭოთა ხალხებს. გაიხსენეთ ლენინის ისტორიული სიტყვები: „წინად ადამიანის მთელი გონება, მთელი მისი გენია მხოლოდ იმისათვის ჰქმნიდა, რომ ზოგისათვის მიეცა ტექნიკისა და კულტურის ყველა სიკეთე, სხვებისათვის კი წაერთმია ყველაზე აუცილებელი რაღ-განათლება და განვითარება. ახლა კი ტექნიკის ყველა სასწაული, კულტურის ყველა მონაპოვარი მთელი ხალხის კუთვნილება გახდება და ამერიდან ადამიანის გონება და გენია არასოდეს აღარ გადაიქცევა ძალადობის საშუალებად, ექსპლოატაციის საშუალებად“. მარტო ის რაღა ღირს, რომ რევოლუციის წლებში ჩვე-

ნი ქვეყნის ორმოცზე მეტმა უეროვნებამ თავისი დამწერლობით შექმნილი უპრაიანაში, ბელორუსიანში, უკრაინულში, აზერბაიჯანში, სომხეთში, უზბეკეთში, ყაზახეთში, ესტონეთში, ლატვიაში, ლიტვაში შექმნილია მეცნიერებათა აკადემიები, ხოლო ყირგიზეთში, ტაჯიკეთსა, და თურქმენეთში საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ფილიალები.

უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის მოვლენად უნდა ჩაითვალოს რევოლუციის საკეთილდღეო გავლენა კულტურის, კერძოდ თეატრის განვითარებაზე. მოვიგონოთ წარსულის რამდენიმე ფაქტი. ცნობილია, რომ რევოლუციის შემდეგ რუსეთში დარჩა არაერთი ძველი თეატრი. ისინი ძველი იყო კადრებითაც და რეპერტუარითაც. მისი შემქმნელები და დიდი წარმომადგენლებიც კი რევოლუციას მოუშვადებულნი შეხედნენ. ძველი თეატრის ისეთი გამოჩენილი ადამიანები, როგორიც არიან მოსკვინი და ნემიროვიჩ-დანჩენკო, მაშინ გაურკვეველი იყვნენ რევოლუციის უდიდეს კულტურულ მიზნებში. მათ ეგონათ რევოლუცია განდევნიდა ყველა და ყოველგვარ თეატრს. 1918 წელს პროლეტკულტელები გამოცხადდნენ ლენინთან და მოითხოვეს ალექსანდრინის თეატრის დახურვა. ისინი აბტყიყებდნენ, ეს თეატრი „რეაქციური ხელოვნების ბუდე“ არისო. ლენინმა გაილაშქრა ამ მოთხოვნის წინააღმდეგ, ვინაიდან ღრმად იყო დაარწმუნებული, რომ ძველი თეატრები რევოლუციის შემდეგ დროინდელ პირობებში ახალის ზეგავლენით აუცილებლად შეიცვლიდნენ მიმართულებას. ლუნჩარსკი მოგვითხრობს: „მე ვუთხარი ვლადიმერ ილიჩს, რომ ვფიქრობ მივიღო ყველა ღონისძიება იმისათვის, რომ შევიწარმოო რუსეთის ყველა საუკეთესო თეატრი. ამას მე დავუმატე: „ჯერჯერობით,

რასაკვირველია, მათი რეპერტუარი ძველია, მაგრამ ყოველგვარი ტალახისაგან ჩვენ მას ახლავე გავწმინდავთ. საზოგადოება, და სახელდობრ პროლეტარული, იქ დადის ხალისით; როგორც ეს საზოგადოება, ისე თვით დრო კონსერვატიულ თეატრებსაც კი აიძულებენ თანდათან შეიცვალონ“..... ვლადიმერ ილიჩმა ყურადღებით მომისმინა და მიპასუხა, რომ დაეადგა სწორედ ამ გზას, მხოლოდ არ დამევიწყებია, რომ მხარი დამეჭირა იმ ახლისათვის, რომელიც იბადება რევოლუციის გავლენით. დე ეს იყოს პირველად სუსტი, აქ არ შეიძლება გამოყენებულ იქნას მხოლოდ ესთეტიკური მსჯელობანი.“ ყოველივე ეს ერთხელ კიდევ გეიხვენებს, თუ როგორი სიღრმით წყვეტდა ლენინი საკითხს საზოგადოებრივი ყოფიერებისა და საზოგადოებრივი ცნობიერების ურთიერთდამოკიდებულების შესახებ. ლენინისათვის იმთავითვე ნათელი იყო, რომ რევოლუცია გამოიწვევდა ცვლილებას იდეოლოგიის სფეროში, ახალი სინამდვილე წარმოშობდა ახალ თეატრსაც, მხოლოდ საჭირო იყო ამ ახლისათვის ხელის შეწყობა და დახმარება. ოპტომბრის რევოლუცია, რომელმაც შრომელთა მილიონები გაათავისუფლა ექსპლოატაციის მიძე უღლისაგან, აუცილებლად წარმოშობდა ახალ გენიოსებს კულტურული საქმიანობის ყველა დარგში. ლუნაჩარსკი ამბობს, რომ ლენინმა იცოდა რევოლუცია აბადებს ახალ გენიოსებს ხალხიდან, რომ ისინი შექმნიან სახალხო ხელოვნებას, რომელსაც უნარი ექნება შექმნას სილამაზე, განუსაზღვრელად უპირატესი ყველაზე, რის შესახებაც მხოლოდ ფიჭვი შეიძლოთ წარსულში“. ლენინის ეს წინასწარხედვა ხორცშესხმულ რეალობად იქცა სოციალიზმის ქვეყანაში, სადაც ნამდვილად გაიფურჩქნა

თავისი მიზნებით ხალხთან განკერძოვალ \* დაკავშირებული სექციონები ლოვენება. გინგულირთქა

თავისი ხანგრძლივი არსებობის განძილზე ხელოვნებას არასოდეს არა ჰქონია ისეთი დიდი ფუნქცია, როგორც ოპტომბრის რევოლუციის, შემდეგდროინდელს სინამდვილეში. საბჭოთა ხელისუფლებამ თეატრს თავიდანვე განუსაზღვრა მოქმედების გეზი და ყველა ზომა მიიღო ახალი სინამდვილისათვის მისი ქვეშაირიტი სამსახურის უზრუნველსაყოფად: ოპტომბრის რევოლუციის მეორე დღესვე, 1917 წლის 9 ნოემბერს, საბჭოთა მთავრობამ, რომელსაც მაშინ არსებობის სულ ორი დღის ისტორია ჰქონდა, გამოსცა დეკრეტი, სადაც აღნიშნული იყო, რომ იქმნება განათლების ჯაზით სახელმწიფო კომისია, რომელსაც ევალება რუსეთის მთელი კულტურული ცხოვრების ხელმძღვანელობა. კომისიას ექნება ხელოვნების განყოფილება იმ მიზნით, რომ საერთო ხელმძღვანელობა გაუწიოს თეატრებსაც. შემდეგ, 1918 წლის იანვარში, განათლების სახალხო კომისარიატი სცემს განკარგულებას, რომლითაც მოსკოვის თეატრები გადადიან მოსკოვის საბჭოთა სამხატვრო-საგანმანათლებლო განყოფილების გამგებლობაში. პროვინციული თეატრების საკითხიც მალე სასურველ გადაწყვეტას პოულობს — ისინი შედიან ადგილობრივი საბჭოების ხელმძღვანელობაში. ყოველივე ეს თეატრებს აყენებს ახალ გზაზე, რევოლუციის სასიცოცხლო ინტერესები გავლენას ახდენენ შემოქმედებითს კოლექტივებზე და იწყება ბრძოლა მეშინური, ბურჟუაზიულ-მემამულური გემოვნებისა და ყალბი მხატვრულობის წინააღმდეგ. უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ლენინის ხელმოწერით საბჭოთა მთავრობის 1919 წლის 26 აგვისტოს ისტორიულ დეკ-

რეტს „თეატრალური საქმის გაერთიანების შესახებ“, რომელმაც არსებითად წითლბოვა „სრული და მთლიანი ფორმით“ გატარებულიყო ცხოვრებაში მარქსიზმ-ლენინიზმის ესთეტიკური პრინციპები, თეატრი ჩამდგარიყო ახალი საზოგადოების, საბჭოთა სახელმწიფოს, მშრომელი ხალხის ინტერესების სამსახურში. ამით საფუძველი ჩაეყარა საბჭოთა თეატრის საერთო-სახელმწიფოებრივ, საერთო სახალხო საქმედ გადაქცევას, წინააღმდეგ კასტური პერსონალიზმისა და ინდივიდუალიზმისა, წინააღმდეგ მისი განუყენებისა პოლიტიკური ბრძოლის არენიდან. ხელოვნების პარტიულობის ლენინური პრინციპი მთლიანად ეხებოდა თეატრსაც, როგორც მის პლიურალურ ფორმას, რომელსაც შეეძლო მრავალმხრივ განვითარება მასები და მიეცა მათთვის კულტურული ყოფის ყველა სიკეთე, ესთეტიკური სიამოვნება და ჯანსაღი ოპტიმიზმი. ამ პრინციპს ზოგჯერ ხელოვნებასთან ერთად თეატრი გამოჰყავდა იდეური დაცემულობისა და პესიმიზმის არტახებისაგან, მიჰყავდა იგი მკეთრი იდეურობისა და მაღალი მხატვრულობისაკენ, უნათებდა წინსვლისა და განახლების დიდ გზას, რაც მანამდე უცნობი იყო ხელოვნების მთელს ისტორიაში. ზაგრამ ეს არ იყო არც ფორმალიზმი, არც მოდერნიზმი, იგი იყო სოციალისტური რეალიზმი და რევოლუციური რომანტიზმი — ახალი დიდი ხელოვნების ქეშმარიტი შექმნელებითი მეთოდი, რომელიც წარმოადგენდა წარსულის კრიტიკულ გადასწავლებას, მისი პროგრესული ელემენტების გამოყენებას, პირველყოველისა შემდგომ განვითარებას რევოლუციური სინამდვილის შესაბამისად და ამ საფუძველზე სრულიად ახალი, ორიგინალური ხელოვნების შექმნას.

მინც რა მისცა ოქტომბრის რევოლუციამ საერთოდ თეატრს? თეატრის მსახურში მისცა თეატრს?

ამ კითხვას თავის დროზე სწორი პასუხი გასცა ცნობილმა რეჟისორმა კოტე მარჯანიშვილმა. ერთ-ერთ წერილში მან მიუთითა, რომ „რუსეთის დიდმა რევოლუციამ და ახალმა სულმა, რომლითაც მან მოიცვა ქვეყნიერება, თეატრი დაუბრუნეს თავის ნაძღვრულ გზებს. ახალი პულისი სცემს თეატრის ცხოვრებაში, ის სწორდება და არა დღეს-ხვალ დადგება მტკიცედ ორივე ფეხზე. ჩვენ ვუცდიდით ამას, ეს ჩვენ წინასწარ გვახარებს. ჩვენ სცენიდან განვდევნეთ ყოველგვარი ფილისტერები და მხარს ვუჭერთ ხალისიანი და დიდებული სინთეტიკური თეატრის შექმნას“. რევოლუციამ თეატრი მართლაც დაუბრუნა თავის ნამდვილ გზებს-ეს იყო გამირული რეალისტურ-რომანტიკული თეატრის შექმნა, სინთეტიკური თეატრის შექმნა, რომელსაც შეეძლებოდა წარმოესახა სინამდვილე მის დინამიურ განვითარებაში, მის წინსვლაში, წარმოესახა არა გარეგნული აფექტებით არამედ შინაარსის წინა პლანზე წამოწევით, მთავარისათვის, ქეშმარიტად აღამიანურისა და გამირულისათვის. ხალისიანი და დიდებული სახე. მარჯანიშვილმა სწორედ ასეთი თეატრის დროშა აღმართა და რევოლუციამდე მთელი მისი ცეცხლოვანი ძიებანი თეატრის სფეროში, მთელი მისი მგზნებარე ექსპერიმენტები და დაუცხრომელი გონების შემართებანი, მწარე შეცდომების გამოკლებით, დაწყებული ძველი ვიკტიდან, ნეზლობინის თეატრიდან რიგაში, შემდეგ მოსკოვის საზხატერო თეატრის კედლებიდან, თუნდაც „თავისუფალი თეატრით“, სა-



მოქალაქე თმის წლებში რევოლუციური სპექტაკლების დადგმით—მთელი ეს გზა მიდიოდა სინთეტიკური თეატრისაკენ, რომელსაც ყველაზე უკეთესად შეეძლო არსებობა მხოლოდ იმ სინამდვილეში, სადაც რევოლუციის მაცოცხლებელმა ძალამ თვითულ ჭეშმარიტ შემომქმედს სრულთავისუფლება მისცა გაეშალა თავისი ნიჭისა და უნარის ყველა მონაცემი. ამ თეატრში ადგილი აღარ ჰქონდა ფილისტერს, მის ნაცვლად ახალი, ჯანსაღი ადამიანი მოდიოდა ახალი აზრით, ახალი ნებისყოფით, ახალი გრძნობით. თუ რევოლუციამდელ თეატრში დამკვიდრებული იყო ფარსი, ვოდველი, უშინაარსო ოპერეტა, თუ იქ დიდი გასაყალი ჰქონდა ადიულტერის ოინებს, „ქალს ღამით“, ხვევბაკოცნის დაუსრულებელ გრეხილებს, თუ პორნოგრაფია და დამპალი ბურჟუაზიული ყოფის ნამსხვრევები ხშირად საღდებოდა ხელოვნებამდე, — რევოლუციამ თეატრი გასწმინდა ამ დაცემულობისა და არარაობისაგან, მისცა მას ნამდვილად ლიტერატურული ღირებულების რეპერტუარი, ნამდვილად კლასიკური მიმართულება და ჯანსაღი რეალისტურ-ქრიმანტიკული ხედვა. ოქტომბრის რევოლუციამ თეატრი აიყვანა დიდ სახელმწიფოებრივ ასპარეზზე, ჭეშმარიტად დიდ ხელოვნებამდე მაღალი იდეურობითა და თვალისმომხრელი მხატვრული ოსტატობით. მან ძველი თეატრის მოწინავე ძალები ახალი გზით წარმართა და ახალი შემოქმედებითი ასპარეზი უჩვენა. საკმარისია ითქვას, რომ ძველი ქართული თეატრის ისეთი უდიდესი წარმომადგენლები, როგორიც იყვნენ ვ. აბაშიძე, ვ. გუნია, ელ. ჩერქეზიშვილი, შ. დადიანი, ნ. გოცირიძე, ნ. ჩხეიძე, ალ. იმედაშვილი, ი. ზარდალიშვილი არა მარტო მოესწრენ საბ-

ჭოთა ხელისუფლების დღეებს, არამედ მათ არა ერთი დღეც არა ერთი სცენიური სახე შექმნეს და ამით სახელი შექმატეს ქართულ საბჭოთა თეატრს.

რას წარმოადგენდა ქართული თეატრი ძველ დროს, თუნდაც მენშევიკური ბატონობის დღეებში?

ძველი თეატრი ემყარებოდა ერთეულ გაბედულ ადამიანთა გასაოცარ ენერჯიასა და ნიჭს. ამ ადამიანებს თავისი თავი პირდაპირ მსხვერპლად მიჰქონდათ თეატრალური ხელოვნებისათვის და მათი ცხოვრება არსებითად იყო ხანმოკლე შემოქმედებითი ოდისეა. ბევრი ზოგანი ახალგაზრდობაშივე იღუპებოდა, ვერც კი ასწრებდა თავისი ღამაზე სიტყვის თქმას დახვეწილი აქტიორული ენით. საკმარისია მოვიხსენიოთ ქართული სცენის ედმონდ კინი — გიორგი არადელი-იმხნელი. მხოლოდ მცირე გამონაკლისი ახერხებდა ცხოვრების სასტიკ ქარიშხალში ბოლომდე მიეტანა თავისი მხატვრული შთავონების დროშა და თაობებისათვის ეანდერძებინა სახალხო იდეალებისადმი სიყვარული. ძველი თეატრის ეს მკაცრი სკოლა განვლო ბევრმა სახელოვანმა აქტიორმა, რომელთა გზას კიდევ ბევრი გაჰყვა, მიუხედავად დევნისა და შევიწროვებისა. გაიხსენეთ თუნდაც ის დამცირება, რაც ქართული ეირონდის უდიდესი ბატონობის ხანამ მას არგუნა.

თავისი არსებობის 70 წლის მანძილზე, მოყოლებული 1850 წლიდან, გიორგი ერისთავმა მტკიცედ ჩაჰყარა ახალი ქართული რეალისტური თეატრის საფუძვლები, შემდეგ კოტე ჯესხის მიერ მომხდარი რეფორმის დროიდან მოღვაწეობა ისეთი უდიდესი კარიფეებისა, როგორიც იყვნენ ვასო აბაშიძე, ლადო მესხიშვილი, ვალერიან

გუნია, კოტე ყიფიანი, შალვა დადიანი, ამ ხნის მანძილზე ქართული თეატრი არ იცნობს ისეთ დამცირებასა და ცინიზმს, რაც მენშევიკურმა „სამოთხეზე“ მას მიაყენა. ვახსენეთ ლადო მესხიშვილიც და ვასო აბაშიძის ცნობილი აუდიენცია მენშევიკური მთავრობის განათლების მინისტრის მოადგილე ვინმე ცინცაძესთან, როცა ამ უკანასკნელმა ქართული თეატრის ორ უდიდეს სიამაყეს, უკვე ქალარით მოსილებს, თხოვნაზე—სათანადო ყურადღება მიექციათ თეატრისათვის— თავხედურად უპასუხა: „მთელ ქართულ თეატრს ვამჯობინებ ერთ საბალეტო ნომერსო“. მენშევიკურმა მთავრობამ ქართული თეატრი სრულ გაჩანაგებამდე მიიყვანა, რამაც თვით თეატრის ცნობილი ხელმძღვანელებიც აიძულა დაეყენებიათ ქართული თეატრის ლიკვიდაციის საკითხი. სხვა გამოსავალი თითქოს ზართლაც არ სჩანდა. მაგრამ ოქტომბრის რევოლუციით შობილმა საბჭოთა ხელისუფლებამ არა თუ დახურა ქართული თეატრი, ყველაფერი გააკეთა მისი შემოქმედებითი განახლებისა და წინსვლისათვის მთელ საზოგადოებრივ ცხოვრებასთან ერთად. როგორც ცნობილია, „არტისტული საზოგადოების თეატრს“ 1921 წლის 25 ნოემბერს ეწოდა გენიალური ქართველი მწერლის შოთა რუსთაველის სახელი. 1922 წელს, როცა ძველი თეატრის ზოგიერთი წარმომადგენელიც კი, მაგალითად წუწუნავა და ფალავა, მოითხოვდნენ დახურულიყო ქართული თეატრი სათანადო კადრების უყოლობის გამო, მაშინ უკვე სახელმძღვანელო რეჟისორმა კოტე მარჯანიშვილმა გაილაშქრა ამ პესიმისტური შეხედულების წინააღმდეგ და ნაცვლად სტუდიური მუშაობისა, დრამატული კურსების მოწყო-

ბისა, გაბედულად წამოაყენა ახალი ქართული თეატრის შექმნის საკუთარი ვარიანტი. ეს იყო არსებითად ახალი ქართული საბჭოთა თეატრის შექმნის გზა. როგორც ცნობილია, იმავე წლის 25 ნოემბერს მარჯანიშვილმა რუსთაველის თეატრის იგივე შემოქმედებითი ძალებით, რომლებზედაც თქვენთვის უკვე ცნობილი პესიმისტური შეხედულება არსებობდა, დასდგა ესპანელი მწერლის ლოპე დე ვეგას პიესა „ცხვრის წყარო“ (ფუნტე ოვენუნა), რომელშიაც ლაურენსიას როლში უდიდესი ოსტატობით გამოვიდა მაშინვე კიდევ ახალგაზრდა თამარ ჭავჭავაძე. ეს თარიღი მიჩნეულ უნდა იქნას ოქტომბრის რევოლუციის შთამავანებელი ძალით შექმნილი ქართული საბჭოთა თეატრის პირველ ბრწყინვალე გამარჯვებად. აქედან იშლება ახალი ქართული საბჭოთა თეატრის პირველი ფურცელი და როგორც სამართლიანად სთქვა აკაკი ვასაძემ, ეს დღე „დაუფიქყარი იქნება ქართული თეატრის ისტორიაში“. სპექტაკლი „ცხვრის წყარო“ იყო გამარჯვება ახალი მხატვრული ახალგაზრდობისა, რომელსაც კოტე მარჯანიშვილი ჩაუდგა სათავეში; ეს იყო გამარჯვება თეატრალური კულტურის ფრონტზე საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკისა, რომელიც მიზნად ისახავდა ხელოვნების აყვავებისათვის ყოველმხრივ ხელშეწყობას და ახალი ქართული საბჭოთა თეატრის შექმნას.

მარჯანიშვილმა აღზარდა ახალგაზრდა აქტიორული კადრების ბრწყინვალე კოლექტივი, რომელშიაც შედიოდნენ: უშანგი ჩხეიძე, აკაკი ხორავა, აკაკი ვასაძე, ვერიკო ანჯაფარიძე, თამარ ჭავჭავაძე, გიორგი დავითაშვილი, შალვა ღამბაშიძე, დოდო ანთაძე, დიმიტრი მკაფია, ვასო გოძიაშვილი, მიხეილ ლორთქიფანიძე, ემანუელ აფხაიძე, ვერე ჯიქია და სხვები. ეს კო-

დეკლარაციის მუშაობდა ძველი თეატრის ნანგრევებზე და მის სახელოვან წარმომადგენლებთან ერთად ჰქმნიდა ახალ ქართულ საბჭოთა თეატრს. ქართული თეატრის მანიფესტი № 1, რომელიც 1924 წლის 18 იანვრით არის დათარიღებული, მიუხედავად მისი უაღრესად მემარცხენე ხასიათისა და ფორმალისტური ეტიკეტებისა, მაინც ვგანისწიებ, რომ საჭიროა ძველი თეატრის ნანგრევებიდან დაიბადოს ახალი თეატრი, ამოსული შლამიანი ქაობიდან, ახალი ცეცხლის არტახებიდან, თეატრი, რომელსაც შეეძლება საზეიმო ყვილი და დასამარება მწუხარებისა კეთროვან ბალახინზე. კორპორაცია „დურუჯი“, მიუხედავად მისი პოლიტიკური და იდეოლოგიური დატვირთვისა, საკმარისია თუნდაც ინდივიდუალიზმისა და კასტურობის მოხსენიება, თავის დროზე პროგრესიულ ელემენტებსაც შეიცავდა. ჩვენ მხედველობაში გვაქვს 1924 წლის ეურნალ „ხელოვნების დროშას“ მეორე ნომერში მოთავსებული კოტე მარჯანიშვილის დეკლარაცია „მსახიობთ, მწერლებს, პოეტებს, მხატვრებს, მოქანდაკეთ და მუსიკოსთ“, სადაც პირდაპირ წამოყენებულია თეზისი, რომ საჭიროა გადაისინჯოს, გადაფასდეს ძველი შეხედულება თითქოს აქტიორი და თეატრი პოლიტიკური ბრძოლის გარეშე დგანან. ამ დეკლარაციაში არის ცდა მოძებნილ იქნას ის გეზი, რომელიც შექმნის პირობას „საკაცობრიო ხელოვნების საღაროში შეტანილ იქნას ახალი განძეულობანი. წინააღმდეგ შემთხვევაში მოგველის გაყინვა, სიკვდილი, ცხოვრების მოთხოვნილებებისადმი პასიური წინააღმდეგობის გამო მრავალ ღირებულებათა დაკარგვა და შესაძლოა, ხელოვნებაში ეროვნული სახის საბედისწერო დაღუპვა.

ეს დეკლარაცია ქართული თეატრის

ისტორიაში უდიდესი მნიშვნელობის დოკუმენტს წარმოადგენს. რამდენადაც ის ნათელს ჰფენს ახალი თეატრის მიერ აღებული გეზის სიმართლეს და მის ორგანიზულ კავშირს საბჭოთა ხელისუფლებასთან, ახალ პოლიტიკასთან, ხალხთან. ამიტომ ზედმეტად არ მიგვაჩნია გავიხსენოთ მარჯანიშვილის მიერ პირდაპირი დაყენება საკითხისა—გამორკვეული ყოფილიყო ხელოვნების თვითეული მუშაკის დამოკიდებულება სინამდვილისადმი და ვიდრე გვიან არ არის ისინი ჩამდგარიყვნენ იმათ რიგებში, რომლებიც ახალ ცხოვრებას აშენებდნენ. მე ჩემს თავს უფლებას მივცემ მთლიანად მოვიყვანო ამ დეკლარაციის მეორე ნახევარი, ვინაიდან მასში საგსებით ნათლად არის გამორკვეული რა ამოცანა ეკისრებოდა ქართულ საბჭოთა თეატრს, როგორი გზით უნდა ევლო მას, თუ სურდა ეთქვა ახალი სიტყვა, თუ სურდა დაეპყრო შემოქმედებითი ოსტატობის მწვერვალები და ემსახურნა მშრომელი ხალხისათვის. დეკლარაცია პირდაპირ საჭეყნოდ ჰქადაგებდა: „ახალმა და დიადმა იდეებმა შეარყიეს მთელი სამყარო. ამ დროს მოკალათება თავის ვიწრო და პატარა ქერქში და სინამდვილისადმი პასიური წინააღმდეგობა დიდი შეცოდებაა საკაცობრიო კულტურისა და ეროვნული შემოქმედების წინაშე.

მოვეწოდებ ყველა ახალგაზრდას, ჯანსაღს, ცხოველყოფელს, რათა მან გასწყვიტოს კავშირი დრომოქმულ მემჩანობასთან, არ არსებული და განუხორციელებელი ოცნებისათვის ოხერასთან, მედგრად მოჰკიდოს ხელი, პოლიტიკურ აღმშენებლობასთან ერთად ახალი ხელოვნების ორგანიზაციულ საქმეს, განამტკიცოს საკაცობრიო ახალი კულტურა ეროვნული თავისებურების ნიადაგზე.

ორგანიზაციისაკენ! დეე, იმათ, ვისაც

ეს ერთი რება, მალული ოხერა-კენესით მიეცნენ თავიანთ ოცნებებს, ჩვენ კი ხელობელ ჩაიდებულნი ჩაეებათ მუშაობაში—მომავლისა და ჩვენი მშობლიური ხელოვნებისათვის. ერთხელ და საშუალოდ ვუთხრათ მათ, ვინც ხანგადასულ გასათხოვარ ქალთა მსგავსად ოხერავს, რომ მათ ჩვენთან საერთო არა აქვთ რა.

ვინც ჩვენთან არ არის, იგი ჩვენი წინააღმდეგია!


ეს სიტყვები მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ დაიწერა და გამოქვეყნდა სწორედ 1924 წლის მენშევიკური ავანტიურის წინ. ქართულ საბჭოთა თეატრს შეუძლია სიამაყით სთქვას, რომ იგი, თავისი ყველაზე დიდი წარმომადგენლის სახით, მაშინდელი განსაცდელის ეპს ხალხის მხარეზე იყო და არა ხალხის მოღალატეებთან.

მთავარი პრინციპები, რომლებიც ქართულმა საბჭოთა თეატრმა კოტე მარჯანიშვილის დროს წამოაყენა, იყო აქცენტი მაყურებელზე, ხალხურობა, უარისთქმა ძველ, დრომოკმულ ესთეტიკურ ნორმებზე, დაცვა შემდეგი თეზისისა: „თეატრის დედაარსი გარეგნულ მხარეში კი არ არის, არამედ მის შინაარსში“. ეს თვით მარჯანიშვილის სიტყვებია. ამ თეზისით განსახიერდა რუსთაველის თეატრში შექსპირის „ჰამლეტი“, მოლიერის „გაზნაურებული მდაბიო“, ბენავენტეს „ინტერესთა თამაში“, სინგს „გმირი“, ტოლერის „კაცი-მასა“, ზურაბ ანტონოვის „მზის დაბნელება“, გიორგი ერისთავის „გაყრა“ და ოდრანის ოპერეტაც „მასკოტა“. ყველა პიესას მარჯანიშვილი მიუღდა თავისი პრინციპით — თეატრი პირველყოვლისა დღესასწაულია და თეატრალობა სხვა არაფერია, თუ არა საზეიმო განწყობილების აღძვრა მაყურებელში, მისი სულიერი ქვეყნის სამხიარულო ამოძრავება, ძალისა და ენერჯის მომატება. ასეთი სპექტაკლი

იყო ანტონოვის „მზის დაბნელება“, რომელსაც დროის ექსტრემის მიზნით ჩვენ აქ ვეღარ განვიხილავთ.

რუსთაველის თეატრში მარჯანიშვილის ყველაზე რადიკალური დადგმა იყო შექსპირის „ჰამლეტი“. მასში კლასიკური რეპერტუარის კრიტიკული ათვისებისა და თანამედროვეობის თვლით დანახვის დრმა ტენდენცია სჩანდა. ჩვენს წინაშე წარმოსდგა არა ჰამლეტის ფრესკა, არამედ მებრძოლი ადამიანი, არა რენესანსის სიმბოლო, არამედ ზოაზროვნე ადამიანი, არა მხოლოდ დუალისტი, არამედ მატერიალისტიც, არა მხოლოდ პესიმისტი, არამედ ნებისყოფის ადამიანი; და ჰამლეტში თანამედროვეობის ბევრი მოტივი აედერდა. ასეთი იყო პირველყოვლისა ახალგაზრდა, უდაოდ გენიალური აქტიორის უშანგი ჩხეიძის ჰამლეტი. სპექტაკლის წარმატება ისე დიდი იყო, რომ არა გვეგონია მანამდე რომელიმე სხვას ჰქონოდა მსგავსი საზოგადოებრივი რეზონანსი. სავსებით დამთავრებულ დიდ აქტიორებად წარმოსდგნენ მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა მსახიობები აკაკი ვასაძე — კლავდიუსი, აკაკი ხორავა — ლაერტი, ვერვიკ ანჯაფარიძე — ოფელია.

რუსთაველის თეატრის შემოქმედებითი გამარჯვება შემდეგ წლებში, როცა მარჯანიშვილის ავადმყოფობა პირადმა ზტრებმა მის წინააღმდეგ გამოიყენეს და თეატრი ერთგვარად მოექცა ფორმალიზმის არტახეზში, უზრუნველყოფილ იქნა პარტიისა და მთავრობის, პირადად ამხანაგ ლავრენტი ბერიას დახმარებითა და მზრუნველობით. ქართული საბჭოთა თეატრის ორი უდიდესი წარმომადგენლის აკაკი ხორავასა და აკაკი ვასაძის ბრწყინვალე ნიჭის, უნარისა და დაუცხრომელი ენერჯის წყალობით რუსთაველის თეატრმა დასძლია ფორმალიზმისა და ნაციონალიზმის რუდიგენტები, იგი გამოვიდა ახა-



ლი დიდი შემოქმედებითი ოსტატობის ფართო გზაზე. ამ გზაზე განსაზღვრდა სანდრო შანშიაშვილის „არსენა“, შექსპირის „ოტელო“, დადიანის „ნაპერწყლიდან“ — ეს პირველი რევოლუციური-რომანტიკული პიესა, შთაგონებული ამხანაგ ლავრენტი ბერიას შესანიშნავი წიგნით — „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“, და რომელშიაც სცენაზე პირველად ვიხილეთ ლენინისა და სტალინის მონუმენტური სახეები; დაიდგა აგრეთვე პოგოდინის „თოფიანი კაცი“, დარასელის „კიკვიძე“, შანშიაშვილის „ხევისბერი გოჩა“ ალექსანდრე ყაზბეგის შესანიშნავი რომანის მიხედვით და სოლოვიევის „დიდი ხელმწიფე“. რუსთაველის თეატრის შემოქმედებითი წინსვლის გზაზე ბევრი ოსტატური სცენიური სახე გამოიკვეთა. ეს პირველყოფლისა უნდა ითქვას ისეთ აქტიორებზე, როგორიც არიან აკაკი ხორავე, აკაკი ვასაძე, გიორგი დავითაშვილი, დიმიტრი მყავია და ემანუელ აფხაძე. აკაკი ხორავეს მიერ ამ წლების მანძილზე შექმნილ ოსტატურ სახეთა გალერეაში ჩვენ ცალკე უნდა გამოვყოთ კარლ მოორი შილერის „ნტიანოსში“, არსენა, ოტელო, ივანე მრისხანე, რომლებმაც ხორავეს აქტიორული შესაძლებლობანი სრული ფორმით დაგვანახეს. მისი მემბოხე კარლ მოორი, ვერაგობით დაღუპული ოტელო, კეთილშობილად დაბადებული არსენა და ტრაგიკული სახის ივანე მრისხანე არამარტო ნაციონალურ, არამარტო საკავშირო, მსოფლიო თეატრალური კულტურის განძს წარმოადგენენ. ამ უზადო სცენიური სახეების დეტალური ანალიზი სხვა დროისათვის გადაგვიდვია, აქ მხოლოდ ის უნდა შევნიშნოთ, რომ ისინი ჰქმნიან იმ ბრწყინვალე პალატოს, სადაც ადამიანი, თავს ისე გრძნობს, როგორც ტრეტიაკოვის ვალერიის ყველაზე დიდებულ სტენდ-

თან. შორს წავიდა აკაკი ვასაძე. მისი კლავდიუსი, იაგო, კიკვიძე, ლომიკ ზოორი განუმეორებელი ოსტატობის მწვერვალებია, სადაც მხოლოდ ღირსეულთ შესწევთ უნარი წამოიშართონ ადამიანური შთაგონების მთელი სიღამაზით.

თელსაჩინო შემოქმედებითი ნაბიჯი გადასდგა მარჯანიშვილის თეატრმა. მისი ხელმძღვანელის გარდაცვალების შემდეგ განსაკუთრებით ისეთი დადგენები, როგორიცაა „ნინოშვილის გურია“, „ნაპერწყლიდან“, „სოლომონ ისაიჩი“, „კრემლის კურანტები“, „კირვეულის მორჯულება“, „რუსეთის საკითხი“, სულ ახლო ხანში დადგმული მიხეილ ჭიაურელისა და ლევან ასათიანის პიესა „დიდი ვანთიანი“ გვაფიქრებინებს, რომ მარჯანიშვილის თეატრი შესანიშნავი აქტიორული ძალებით მიჰყვება თავისი დიდი მასწავლებლის გზას. ამ გზაზე მთელი რიგი დაუფიქსარი სახეები შექმნეს უდაოდ პირველი კლასის ბრწყინვალე აქტიორმა შალვა ღამბაშიძემ, შთამაგონებელმა ვერიკო ანჯაფარიძემ, მრავალმხრივმა ვასო გოძიაშვილმა, სერგო ზაქარიაძემ, პიერ კობახიძემ, ალექსანდრე ფორგოლიანმა, აკაკი კვანტალიანმა და ელისაბედ ჩერქეზიშვილმა, მიუხედავად მისი ესოდენი ხანდაზმულობისა. მარჯანიშვილის თეატრს ბევრი რამ შესძინეს რეჟისორებმა ვახტანგ ტაბლიაშვილმა და ვასო ქუშიტაშვილმა. სამწუხაროდ, ჩვენ დაწერილებით ვეღარ შევჩერდებით ერთერთ შესანიშნავ თეატრზე — გრიბოედოვის სახელობის რუსულ თეატრზე, რომელიც თბილისის, და არა მარტო თბილისის, მაყურებლის უდიდესი პატივისცემით სარგებლობს. საქართველოში რუსული თეატრის არსებობის ერთი საუკუნე, რაც ამას წინად ჩვენმა რესპუბლიკამ ზემოთ აღნიშნა, საუკეთესოდ მოწმობს რუსი და ქართველი ხალხის მკვიდრო

მეგობრობას; გრიბოდროვის თეატრიც სწორედ ამ შესანიშნავი მეგობრული ტრადიციის მედროშეა ქართულ თეატრალურ ხელოვნებაში. ვერ შეეჩერდებით ჩვენს მოზარდ-მაყურებელთა თეატრებზე, მუსიკალური კომედიისა და სანიტარული კულტურის თეატრებზე, ვერც ჩვენი მოძმე სომეხი ხალხის თეატრზე. მათ დადგმებს კარგად იცნობენ საქართველოს მაყურებლები. ცხადია, ვერ შევსძლებ განვიხილო თოჯინების თეატრის ნაყოფიერი მუშაობა. ასეთი შესანიშნავი თეატრების მართოდ არსებობაც კი ცხადად მოწმობს ქართული საბჭოთა ხელოვნების დიდ შესაძლებლობას, ერთხელ კიდევ ნათლად გვიჩვენებს იმ უდიდეს მზრუნველობას, რასაც საქართველოს კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა იჩენენ თეატრალური ხელოვნებისადმი.

შემოქმედებითი წინსვლის თუ რა დიდი გზები გადაუშალა ოქტომბრის რევოლუციამ თეატრალურ ხელოვნებას, შეიძლება ნათლად დავინახოთ პერიფერიული თეატრების მაგალითზეც. ქუთაისის თეატრის განვითარება უკანასკნელ ათეულ წლებში მკაფიოდ გვიჩვენებს რევოლუციის უდიდეს კულტურულ მნიშვნელობას. ეს ძველი „თეატრალური ქალაქი“, სადაც სცენაზე პირველად აიდგეს ფეხი კოტე მესხმა, ვასო აბაშიძემ, ეფემია მესხმა, შალვა დადიანმა, ნუცა ჩხეიძემ, სადაც თავიანთი შემოქმედებითი ნიჭი გაშალეს ოტელოს პირველმა დიდმა შემსრულებელმა ალექსანდრე იმედავილმა და ფართო დიაპაზონის აქტიორმა იუზა ზარდალიშვილმა, სადაც კოტე მარჯანიშვილმა პირველად შეალო შემოქმედებითი სამყაროს კარები, სადაც მოღვაწეობდა სცენის შვეელება ლადო მესხიშვილი, ქართული სცენის ეს ტოლუბოვარი აპოლონი, საბჭოთა ხელისუფლების წლებში გა-

დაიქცა დიდი თეატრალური მანანახობის ასპარეზად. ქუთაისის სცენაზე დადგმული რუსული თეატრის წარმოდგენები მოდიოდნენ და თან მოჰქონდათ დიდი რუსი ხალხის მეგობრული გრძნობები მოძმე ქართველი ხალხისადმი, თან მოჰქონდათ დიდი რუსული თეატრალური კულტურის ნიმუშები, რომლებსაც ქართველი ხალხი ეზიარებოდა და ღრმისიყვარულით ღებულობდა, მოწმე იყო კომისარევესკაიას, საფინას, ვარლამოვის, არლენიევიების, პეტიაას, ადელგეიმების ჰეშმარიტი ხელოვნებისა. მარტო ის რადა ღირს, რომ სწორედ ქუთაისის სცენაზე ჩაეყარა საფუძველი იმ შესანიშნავ თეატრს, რომელიც დღეს ქართული სცენის დიდი რეფორმატორის კოტე მარჯანიშვილის სახელს ატარებს. ამ სცენაზე პირველად განსახიერდა ტოლერის „ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ!“ — სინთეტიკური თეატრის ეს შესანიშნავი რეალისტური რომანტიკული სპექტაკლი, გუცკოვის კლასიკური ტრაგედია „ურიელ აკოსტა“, ბერნარდ შოუს „წმინდა ქალწული“, დადიანის „კაკალ გულში“ და კაკაბაძის კომედია „ყვარყვარე თუთაბერი“. მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით არსებულმა მაშინდელმა ქუთაისის თეატრმა 1930 წელს გასტროლები მოაწყო ჯერ თბილისში, შემდეგ მოსკოვსა და ხარკოვში.

თქვენ ალბად ყველას გახსოვთ ის უდიდესი წარმატება, რომელიც მას წილად ხედა. გასტროლები მოეწყო მოსკოვის ყოფილ კორშის თეატრში, იმ ქალაქში, სადაც ძველთაგანვე „ჯერ კიდევ იმ დროს, როცა ყველას ლაგამი ჰქონდათ ადებულო, რუსული თეატრი მაღალ საფეხურზე იდგა. თეატრალურ სამყაროს ის მაშინვე უკარნახებდა თავის კანონებს და წესებს“, როგორც ამას კოტე მარჯანიშვილი შენიშნავს თავის ერთ ერთ გამოსვლაში. ასეთ თეატრალურ ქალაქში, მსოფლიო



თეატრალური კულტურის ქალაქში, ხსეთი პატარა ქვეყნის, როგორც საქართველოა, და ისიც მისი მეორეხარისხოვანი ქალაქის თეატრის გასტროლები, ამავე დროს, გასტროლების არაჩვეულებრივი წარმატება შესაძლებელი იყო მხოლოდ იმის შედეგად, რომ ოპტიკის რევოლუციამ ჰქმნა რიტად დიდი შემოქმედება მისცა ყველა ერსა და ხალხს, რომლებიც თავიანთი არსებობის ახალ გზაზე — საბჭოთა გზაზე გამოვიდნენ. ეს იყო პირდაპირ კარნავალი, ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის გამარჯვების ერთერთი ბრწყინვალე დემონსტრაცია, ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურის ერთერთი შესანიშნავი ტრიუმფი. «ეს თეატრი, — წერდა მოსკოვის „ტრუდი“, — ბრწყინვალე ოსტატობის თეატრია. თავისი განვითარების აუცილებელი პირობები მას მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ შეუქმნა და იგი მხოლოდ როგორც ნაციონალური მოვლენა კი არ არის, — საკავშირო მასშტაბით არის საინტერესო. ეს თეატრი ახალგაზრდაა, გამბედავი და იცის თავისი გზა. ამ გზით იგი მივიდა შესანიშნავი თეატრალობის შექმნაზე და რაც მთავარია, მან სოციალისტური ფრონტის წინაპოზიციები უკვე დაიპყრო“. მაშინდელი ქუთაისის თეატრის ასეთი მაღალი შეფასება მრავალისმეტყველია.

ამ ქალაქში დღეს მუშაობს ჩვენი რესპუბლიკის უდაოდ ერთერთი საუკეთესო თეატრი, რომელსაც კოტე მარჯანიშვილის მოწაფე დოდო ანთაძე ხელმძღვანელობს და რომელიც ღირსეულად ატარებს ქართული სცენის კორიფეის ლადო მესხიშვილის საამაყო სახელს.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ უზრუნველყო ისეთი შესანიშნავი პერიფერიული თეატრების არსებობა, როგორცაა გორის სახელმწიფო თე-

ატრი პავლე ფრანგიშვილის ხელმძღვანელობით, ფოთისკე ჯუჯუაშვილის ბათუმის თეატრები. გვერდს ვერსაფუძვლით ბათუმის თეატრის წარმატებას ნიჭიერი რეჟისორის არჩილ ჩხარტიშვილის ხელმძღვანელობით. რესპუბლიკაში სულ 45 თეატრი გვაქვს, და ბუნებრივია, ყველას მართო ჩამოთვლაც კი გაგვიჭირდებოდა.

ჩვენ ცალკე გვინდა გამოვეყოთ ქართული საბჭოთა საოპერო ხელოვნება. მებრძოლი ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანმა მუსიკალურმა კულტურამ არნახულ აყვავებას მიადგინა სწორედ საბჭოთა ხელისუფლების წლებში, როცა ესოდენ ნაყოფიერი მუშაობა გაშალა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრმა, რომლის შემოქმედებითი განვითარების გზა 1921 წლიდან მოყოლებული თავით ბოლომდე იმის მიჩვენებულია, რომ თუ საბჭოთა ხელისუფლება არ იქნებოდა, ჩვენს ხალხს არავითარი ასეთი ნაციონალური საოპერო თეატრი არ ექნებოდა. რთულია საოპერო ხელოვნება, იგი კიდევ უფრო მეტ კომპონენტს შეიცავს, ვიდრე დრამის თეატრი. მისი მართოდ მატერიალური საშუალებების მოხსენიებაც კი საკმარისია ამ სირთულის გამოსახატავად. მაგრამ აბა ნახეთ რა გიგანტური ნაბიჯი გადასდგა ჩვენმა საოპერო ხელოვნებამ საბჭოთა ხელისუფლების წლებში. რეგლამენტით შეზღუდული ადამიანთათვის ძნელია სრულად დაახასიათოს ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ლენინის ორდენის თბილისის სახელმწიფო ოპერის თეატრის უდიდესი გამარჯვებანი. მისი კოლექტივის ოსტატური თამაში კლასიკურ ოპერებში, მთელი რიგი ახალი ოპერებისა და ბალეტების შექმნა ნათლად მოწმობენ ქართული საოპერო ხელოვნების ბრწყინვალე წარმატებას 1921 წლიდან დღემდე. საკმარისია ითქვას, რომ ზაქარია ფალიაშვილის გენიალური შედეგ-

რები „დაისი“, „აბესალომ და ეთერი“, მელიტონ ბალანჩივაძის „დარეჯან ცბიერი“, დიმიტრი არაყიშვილის „თქმულება შოთა რუსთაველზე“, ვიქტორ დოლიძის „ქეთო და კოტე“ საბჭოთა ხელისუფლების დროს განსაზიერდნენ უბადლო ზხატვრული ოსტატობით. განა შესაძლებელი იქნებოდა რომელიმე დროს ისეთი გრანდიოზული საოპერო სპექტაკლები, როგორცაა „შალვა შშველიძის „ტარიელი“ ან გრიგოლ კილაძის ბალეტი — „სინათლე“ — ვახტანგ ჭაბუკიანის ვირტუოზული ქორეოგრაფიული ხელოვნების ეს გვირგვინი? საბჭოთა წლებში, მსოფლიო კლასის მომღერლების სარაჯიშვილისა და ინაშვილის გვერდით აღიზარდნენ საოპერო სცენის ისეთი სახელოვანი წარმომადგენლები, როგორიც არიან: ნიკო ქუმსიაშვილი, დავით ანდლულაძე, ევატერიანე სოხაძე, დავით გამრეკელი, პეტრე ამირანაშვილი, გასტენინა, მერი ნაკაშიძე, ბათუ კრავეიშვილი, ნადია ცომაია და მთელი პლეადა შესანიშნავი ახალგაზრდა მომღერლებისა.

სოციალისტურმა რევოლუციამ არაჩვეულებრივად ააყვავა ხელოვნების ყველა დარგი და კერძოდ თეატრი. ეს რომ კარგად წარმოვიდგინოთ, ინტერეს მოკლებული არ იქნება გავიხსენოთ ზოგიერთი ციფრობრივი მონაცემი, რომლებიც ცხადად გვიჩვენებენ საბჭოთა თეატრის კოლოსალურ წინსვლას დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის დროშით. თუ 1920 წელს, მენშევიკურ საქართველოში სულ 568 წარმოდგენა გაიმართა, 1946 წელს, საბჭოთა საქართველოს თეატრებმა მყურებელს 7.264 სპექტაკლი უჩვენეს. განსხვავება ზგონი ისე ნათელია, რომ არავითარ კომენტარს არ საჭიროებს. თუ იმავე 1920 წელს საქართველოში 5 თეატრი არსებობდა, 1946 წელს 45 თეატრი მუშაობ-

და. აქაც განსხვავება მგონი ისე დიდია, რომ ჩვენი განმარტებანე, <sup>[1]</sup> ზედმეტად მიგვაჩნია. აღარაფერს ვერცხვით მიმდინარე წელს 30 მილიონ სახელმწიფო დოტაციაზე თეატრებისათვის, ვინაიდან ნამდვილი დოტაცია ძველ თეატრს, კაცმა რომ სთქვას, არასოდეს არა ჰქონია. ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ თეატრის უმაგალითო ზრდა შეეხო პირველყოცლისა მის კადრებს. ზედმეტი არ იქნება გავიხსენოთ შემდეგი ფაქტი: თუ 1920 წელს საქართველოში 390 თეატრალური მუშაკი იყო, ამჟამად ათჯერ მეტია და 3.859 კაცს შეადგენს. განა ეს თეატრალური კულტურის ესოდენ თავისებურ ქვეყანაში პირდაპირ ნახტომი არ არის?

ოქტომბრის რევოლუციის ერთერთ უდიდეს მონაპოვარს აგრეთვე ის წარმოდგენს, რომ ბოლო ელება დასავლეთევროპული, საზღვარგარეთული, ფეოდალურ-ბურჟუაზიული კულტურის წინაშე საუკუნეობრივი მონური ქედის მოხრის მავნე ტრადიციას. ოქტომბერი რომ არ ყოფილიყო, ჩვენი ქვეყანა უცხოეთის მონად გადაიქცეოდა არა მართო პოლიტიკურად და ეკონომიურად, არამედ, კულტურის მხრივაც. ახლა „საბჭოთა ადამიანები გამსჭვალული არიან ასეთი გადამწყვეტი მისწრაფებით, რაც შეიძლება მალე მოელონ ბოლო წარსულის ამ ნაშთებს, გააჩაღონ დასავლეთისა და მისი კაპიტალისტური კულტურის წინაშე ქედის მოხრისა და მონური მორჩილების ყველა და ყოველგვარ გამოვლინებათა უღმობელი კრიტიკა“. განა ჩვენ საამაყო ცოტა გვაქვს? მარტო ის რადა ღირს, რომ ჩვენს ქვეყანაში, ჩვენმა ხალხმა, ჩვენმა ბოლშევიკურმა პარტიამ შესძლეს ახალი ფურცელი გადაეშალათ კაცობრიობის ისტორიაში და დაეწყათ ახალი ერა, რომელმაც მსოფლიო ხალხებს იმედი შთაუწერა სრული რწმენით გაქანონ სოციალიზმისაკენ. და თუ ჩვენ

დღეს „ისეთ ხანაში ვცხოვრობთ, — როგორც ამხანაგი მოლოტოვი ამბობს, — როცა ყველა გზა კონუნინიზმისაკენ მიდის“, ეს ჩვენი სიამაყეა, ჩვენი ძალისა და ძლიერების ყველაზე საუკეთესო გამომხატველია. დიდი ლენინი, რომელმაც დიდ სტალინთან ერთად ჩვენი მრავალფეროვანი სოციალისტური სახელმწიფო შექმნა, ჯერ კიდევ ოქტომბრის რევოლუციის პირველ ხანებში ამბობდა: „ჩვენ უფლება გვაქვს ვიამაყოთ და თავი ბედნიერად ჩავთვალოთ იმით, რომ ჩვენ პირველებს მოგვიხბა დაგვემზო დედამიწის ერთ კუთხეში ის ველური მხეცი, კაპიტალიზმი, რომელმაც დედამიწა სისხლით მორწყო, კაცობრიობა შიმშილამდე და გველურებამდე მიიყვანა და რომელიც აუცილებლად და ზალე დაიღუპება, რა რიგ საზარელიც არ უნდა იყოს მისი სიკვდილისწინა სიმშავის გამოვლინება“. ჩვენი სიამაყეა, რომ ოქტომბრის რევოლუციამ არაარაობად აქცია ბურჟუაზიული იდეოლოგიების მტკიცება, თითქოს შემოქმედებითი ნიჭი და უნარი მხოლოდ „მაღალი“ კლასების „ჩვეულთა“ ხვედრია, მასები კი მოკლებული არიან ამ „ღვთიურ“ კურთხევას. რევოლუციამ უმაგალითო ძალით ისტორიაში პირველად გამოავლინა ხალხთა მასების დაფარული არაჩვეულებრივი შემოქმედებითი ინიციატივა, ნიჭი, ენერჯია წარმართა ეს ძალა ახალი საზოგადოებრივი ცხოვრების კეთილდღეობის მისაღწევად და სასწაულები მოახდინა როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიურ-კულტურული ცხოვრების ყველა დარგში. მან სამოქმედო ასპარეზზე გამოიყვანა ასეულ მილიონებით ადამიანები და პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ მშენებლობასთან ერთად, წარმატების ისეთი პირობები შეუქმნა კულტურული განვითარებისათვის, რომლის პრეცედენტიც ისტორიას მანამდე არასოდეს არა ჰქონია. ეს შეეხო კულ-

ტურის ყველა დარგს — ხელოვნებას, ლიტერატურას, მეცნიერებას, სახალხო განათლებას. და როცა თუნდაც რატუნა როსპექტულად წარმოვიდგინო ქართული ხელოვნების განვითარებას ოცდაათი წლის მანძილზე, ჩვენ ვხედავთ პირდაპირ ვასაოცარ ნაბიჯს მისი ყველა ფორმისა და ქანრის წინსვლაში. ყველასათვის ცნობილია, რომ დიდი ოქტომბრის რევოლუციამ შექმნა ჰემ-მარიტად მონუმენტური საბჭოთა თეატრი და მას ისეთი პორიზონტები დაანახა, რომლის წარმოდგენაც კი არ შეიძლებოდა ძველ დროში, მემამულურ-კაპიტალისტური ჩავერის პირობებში. მე არაფერს ვიტყვი მოსკოვის სამხატვრო თეატრზე ან კიდევ დიდ თეატრზე, რომელთა მსოფლიო კულტურული ღირებულება საყოველთაოდ აღიარებულია არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, საზღვარგარეთაც, მე მხოლოდ იმას მინდა გავუსვა ხაზი, რომ რევოლუციამ არაჩვეულებრივი ძალით წინ გასტყორცნა ქართული თეატრის შემეცნებითი დიპაზონი და პირდაპირ დაუყენა მსოფლიო თეატრალური კულტურის ყველაზე დიდ მწვერვალს. აბა რომელი ელმონდ კინი ან ირვიზგი შეედრებოდა უშანგი ჩხეიძის ჰამლეტს ან რომელი ოლრიჯი ამოუდგება გვერდით აკაკი ხორავას ოტელოს? განა ვერიკო ანჯაფარიძის ოფელია და იელითი მსოფლიო თეატრალური კულტურის საგანძურს არ წარმოადგენენ? და განა ასეთივე უდიდესი გამარჯვება არ არის აკაკი ვასაძის კლავდიუსი, იაგო, კიკვიძე, თავი რომ დავანებოთ მის მიერ ოსტატურად შესრულებულ სხვა მთელ რიგ როლებს, ან შალვა ღამბაშიძის მიერ შთამაგონებლად გამოკვეთილ სახეებს? ეს დიდი შემოქმედებითი გამარჯვება შესაძლებელი იყო მხოლოდ იმის შედეგად, რომ ჩვენს ქვეყანაში ნამდვილად შეიქმნა თავისუფალი შემოქმედებითი შრომის ყველა პირობა,

მე ვიტყვოდი, განვითარების ამ ეტაპზე იდეალური პირობა. ეს დიდი შემოქმედებითი ნახტომი შესაძლებელი იყო ზხოლოდ იმის შედეგად, რომ ჩვენს ქვეყანაში შრომის არც ერთი სახე არ არის ბორკილგაყრილი, იგი თავისუფალია, მთლიანად დამყარებულია ადამიანის ნიჭსა და ენერჯიაზე; ჩვენს ქვეყანაში არ არის ექსპლოატაცია, ერთის მიერ მეორის ჩაგვრა, არ არის ნამდვილად შემოქმედებითი უნარისათვის ხელოვნური დაბრკოლება, რაც ესოდენ დამახასიათებელია ძველი ანტიკურ-ნიორების თეატრისათვის. ჩვენი სიამაყეა, რომ „კაპიტალის ბორკილებიდან თავისუფალი უკანასკნელი საბჭოთა მოქალაქე, — როგორც ამხანაგი სტალინი აზრობს, — მთელი თავით მალა დგას ყოველ საზღვარგარეთელ მალალი თანამდებობის მოხელეზე, რომელსაც კაპიტალისტური მონობის უღელი ადგია“.

ეს დიდი გრძობა წინ უბიძგებს საბჭოთა მოქალაქის მხატვრულ შთაგონებასაც — შექმნას თავისი ეპოქის შესაფერი ხელოვნება, რომელიც თავისუფალია ყოველგვარი მისტიციზმისაგან, სამყაროს უცქერის მეცნიერული თვალთ და შემოქმედებითს მეთოდად იყენებს სოციალისტურ რეალიზმს რევოლუციური რომანტიზმით. ამ მეთოდით მოიპოვა საბჭოთა ხელოვნებამ თავისი ყველაზე უფრო სახელოვანი გამარჯვება, და საესებით ბუნებრივია, რომ ქართული საბჭოთა თეატრიც მტკიცედ მიდის წინ სოციალისტური რეალიზმისა და რევოლუციური რომანტიზმის შემოქმედებითი მეთოდის გამოყენებით. ქეშმარიტად დიდი ხელოვნება ყოველთვის იყო რეალიზმისა და რომანტიზმის ორგანიული შეერთება. მოიგონეთ გორკის თეზისი ბალზაის, ტურგენივისა და გოგოლის შესახებ. „დიდ მხატვრებში რეალიზმი და რომანტიზმი ყოველთვის თითქოსდა შეერთებუ-

ლია“, — წერდა სოციალისტური მხატვრული ლიტერატურის ქეშმედგეგმედებელი. „რომანტიზმი და რეალიზმი ეს შეერთება განსაკუთრებით დამახასიათებელია ჩვენი დიდი ლიტერატურისათვის, იგი აძლევს მას იმ ორიგინალობას, იმ ძალას, რომელიც თანდათან უფრო შესამჩნევი ხდება და ღრმა გავლენას ახდენს მთელი მსოფლიოს ლიტერატურაზე“. გორკის ამ სიტყვებში დიდი სიმართლეა და მთელი საბჭოთა ლიტერატურა, მასთან ერთად დრამატურგია და თეატრი, ამ სიმართლის გზით მიდის. საბჭოთა თეატრი იცავდა და იცავს ხალხურობის პრინციპს ხელოვნებაში, ვინაიდან, როგორც განმანათლებელი მატერიალისტი ბესარიონ ბელინსკი ამბობდა, „...ხალხურობა არის არა ღირსება, არამედ ქეშმარიტი მხატვრული ნაწარმოების აუცილებელი პირობა, თუ ხალხურობის ქეშმ ჩვენ ვიგულისხმებთ ამა თუ იმ ხალხის, ამა თუ იმ ქვეყნის ზნეობათა, ჩვეულებათა და ხასიათების გამოხატვის სისწორეს“.

სწორედ ამას მოითხოვს ჩვენგან სტალინური ეპოქის შესატყვისი დიდი ხელოვნების შექმნის ამოცანა და საბჭოთა ლიტერატურაც ერთგულად მიჰყვება ხალხის ინტერესების ფართო ვზას. ხომ ცნობილღა, რომ საკავშირო კ. ჰ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1946 წლის ისტორიული დადგენილებანი იდეოლოგიური მუშაობის შესახებ ჩვენგან მოითხოვენ სოციალისტური რეალიზმისა და რევოლუციური რომანტიზმის შემოქმედებითი მეთოდით სინამდვილის სწორად ჩვენებას მის განვითარებაში, დინამიურობაში, არამარტოთ წარსულის, არამედ აწმყოსა და მომავლის მართალი მხატვრული თვალთ დანახვას. ჩვენგან მოითხოვენ ხალხის ინტერესებისათვის უანგარო სამსახურს, ახალგაზრდობის აღზრდას ბოლშევიკური სულისკვეთებით. მსწე,

ძლიერი, თავის ძალებში მტკიცედ დარწმუნებული ახალგაზრდობის აღზრდას, რომელსაც შეეძლება გადალახოს ყველა და ყოველგვარი სიძნელე კომუნიზმის დიადი ღმერთობის ეპიურ გზაზე. და ჩვენ ეს უნდა გავაკეთოთ. ჩვენ უნდა ვუჩვენოთ ჩვენი გმირული დრო, მისი გმირი ადამიანები. ეს ამოცანები შესანიშნავად განსაზღვრა ამხანაგმა ლავრენტი ბერიამ თავის ისტორიულ წინასაარჩევნო სიტყვაში.

„პოეტებს, მწერლებს და მხატვრებს ჯერ კიდევ არ შეუქმნიათ დიდი ტილოები,—სთქვა ამხანაგ ბერიამ,—რომლებიც ღირსეულად ასახავდნენ სამამულო ომის დიად ეპოპეას. ჩვენს თეატრებს დღემდე არ შეუქმნიათ ისეთი სპექტაკლები, რომლებიც სცენაზე განასახიერებენ ჩვენი დიადი ეპოქის გმირებს.

ხალხი ნიჭიერი ქართველი ინტელიგენციისაგან მოელის სამეცნიერო და ლიტერატურულ შემოქმედებაში, აგრეთვე ხელოვნების დარგის შემოქმედებაში სტალინური ეპოქის დიადი საქმეების ასახვას“.

ეს დიდი საქმე ჩვენმა ნიჭიერმა ინტელიგენციამ მეოთხე სტალინურ ზეთწლედში უნდა შეასრულოს.

ამჟამად თეატრალური ხელოვნების წინაშე, ისე როგორც მთელი ჩვენი კულტურული ფრონტის წინაშე უდიდესი ამოცანები დგება საერთაშორისო მასშტაბითაც. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ანგლო-საქსური იმპერიალიზმის გააქტივება, ზოსყიდული უცხოელი მკლაბნელებისა და დამპალი ბურჟუაზიული კულტურის ძველი ლაქიების ცილისმწამებლური გამოლაშქრება სოციალიზმის ქვეყნის, მისი კულტურისა

და ხელოვნების წინააღმდეგ, ჩვენგან მოითხოვს ვამხილოთ ახალგაზრდობის ძალები და მკვეთრად დავუპირისპიროთ კომუნიზმის მტრებს ჩვენი იდეოლოგია, ჩვენი მსოფლიო-ისტორიული მიღწევები კულტურის დარგში. დღეს ყველასათვის ცნობილია, რომ ბურჟუაზიული კულტურა, მისი ხელოვნება მარაზმისა და გახრწნის მდგომარეობაშია. „გარეგნულად რა ლამაზ ფორმაშიც უნდა გაჰხვიონ დასავლეთ ევროპისა და ამერიკის თანამედროვე ბურჟუაზიულ ლიტერატორთა, აგრეთვე კინორეჟისორთა და თეატრალურ რეჟისორთა შემოქმედება,—ამბობს ამხანაგი ედნაოვი თავის მოხსენებაში ეურნალების „ზევზისა“ და „ლენინ-გრადის“ შესახებ,—სულ ერთია ისინი მაინც ვერ იხსნიან და ვერ აამაღლებენ თავიანთ ბურჟუაზიულ კულტურას, ვინაიდან მისი მორალური საფუძველი დამპალი და გახრწნილია, ვინაიდან ეს კულტურა ემსახურება კერძო-კაპიტალისტურ საკუთრებას, საზოგადოების ბურჟუაზიული ზედაფენის ეგოისტურ, ანგარებითს ინტერესებს. ბურჟუაზიულ ლიტერატორთა, კინორეჟისორთა, თეატრალურ რეჟისორთა მთელი გუნდი ცდილობს ჩამოაშოროს საზოგადოების მოწინავე ფენების ყურადღება პოლიტიკური და სოციალური ბრძოლის მწვავე საკითხებს და ყურადღება მიაპყრობინოს უხამს, უიდეო ლიტერატურასა და ხელოვნებაზე, რომელიც აღსავსეა განგსტერებით, ვარიეტეს ქალებით, ადიულტერის შექებით და ყოველნაირ ავანტურისტთა და ვიგინდართა თავგადასავალით“. რა კონტრასტია დღევანდელ ბურჟუაზიულ და საბჭოთა ხელოვნებას შორის! საბჭოთა

ხელოვნება, იდეურად და მხატვრულად ჯანსაღი, ჰქადაგებს ახალ საერთო-საკაცობრიო მორალს, იგი ჰეგელიანური იდეოლოგიის, ჰეგელიანური მონუმენტური ასტრონომიის სიმალღებებიდან გზას უნათებს მთელი მსოფლიოს დემოკრატიულ ხელოვნებას და ამხელს დაცემული, მარაზმით დაავადებული ბურჟუაზიული ხელოვნებისა და კულტურის შინაგან სიღამპლეს, ყველა სარტრების ედავო ეჭვისტენსიალიზმს და ყველა ენეს მხეცურ პორნოგრაფიას, აღსავსეს სრული მორალური გახრწნილებით. ჩვენ წინ მივდივართ და სულ ასე

ვივლით წინ დიდი შემოქმედების გზაზე, რომ შევქმნათ ისეთი მონუმენტური თეატრალური ხელოვნება, რომელიც არც ერთ ხალხს, არც ერთ ებოქას, არც ერთ საუკუნეს არა ჰქონიათ; რომ შევქმნათ ისეთი თეატრალური ხელოვნება, რომელიც შესძლებს გამოხატოს ჩვენი დიდებული წარსული, გმირული აწყობა და ბრწყინვალე მომავალი; შესძლოს ადამიანური ნიჭის მთელი სილამაზით უჩვენოს დიდი სტალინური ებოქის ესოდენ მართალი და ჰეგელიანური აღმაფრთოვანებელი სინამდვილე.

ბუნებრივ მკაცრად

## ქართული საბჭოთა ლიტერატურა დიდი მოვრობის ოსტატი ნოსტოვაჟი



ქართულ საბჭოთა მწერლობას ერთ-ერთი მოწინავე ადგილი უჭირავს ჩვენი დიდი საბჭოთა კავშირის ლიტერატურაში. ჯერ კიდევ ათი წლის წინად, 1937 წლის მაისში საქართველოს ბოლშევიკების მე-10 ყრილობაზე გაკეთებულ მოხსენებაში ქართველი ხალხის საამაყო შეიღმა ანხანავმა ლ. პ. ბერიაძემ სთქვა: „უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე ქართულმა საბჭოთა ლიტერატურამ ერთ-ერთი პირველი ადგილი დაიკავა საბჭოთა კავშირის მოწინავე მოძვე ლიტერატურათა რიგში“.

გარდა იმ საერთო ფაქტორებისა, რომლებმაც განსაზღვრეს საბჭოთა ეპოქაში ჩვენი საშობლოს ყოველი ხალხის ნაციონალური ლიტერატურის განვითარება, ქართულ საბჭოთა მწერლობას აქვს თავისი შეშოქმედებითი წარმატებების განსაკუთრებული წინაპირობაც—ეს არის ქართული ლიტერატურის იშვიათად მდიდარი და მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია, რომლის უპირველესი დამაზასიათებელი თვისება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მოწინავე ქართული ლიტერატურა, თვით უძველესი ეპოქიდან, ყოველთვის განუყრელად იყო დაკავშირებული ქართველი ხალხის გმირულ ბრძოლასთან საშობლოს სიცოცხლისა და თავისუფლებისათვის, ყოველთვის შთაგონებული იყო ეპოქის მოწინავე სოციალური იდე-

ალებით. ბუნებრივია, რომ ჩვენი ნაციონალური ლიტერატურის ამ ბრწყინვალე ტრადიციას ახალი ჯგერძინება და ახალი ძალით განვითარება უნდა ეპოვნა სოციალისტური რევოლუციის ეპოქის ქართულ მწერლობაში.

მაგრამ ასეთი მდგომარეობისათვის ქართულ საბჭოთა მწერლობას ერთბაშად როდი მიუღწევია. ცნობილია, რომ საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარების წინა პერიოდში, — თვითმპყრობელურ რეაქციისა და მენშევიკური კონტრრევოლუციის დიქტატურის წლებში ქართულ ლიტერატურაში გაბატონებული მდგომარეობა ზოიოვეს ევროპული ბურჟუაზიულ-დეკადენტური კულტურის გავლენით წარმოშობილმა საშწერლო მიმდინარეობებმა. ამ გარემოებამ თავისი უარყოფითი ზემოქმედება იქონია ქართული საბჭოთა მწერლობის განვითარების პირველ პერიოდში. ეს პერიოდი ლიტერატურულ ფრონტზე მწვავე იდეოლოგიურ ბრძოლებით, რევოლუციის მიერ დამარცხებული რეაქციული კლასების სულისკვეთების გამომხატველი მწერლობის აქტივობით ხასიათდებოდა. მაგრამ ამავე დროს დაიწყო ერთის მხრივ ძველი საშწერლო ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენელთა გადმოსვლა გამარჯვებული საბჭოთა ხალხის პოზიციებზე, ხოლო ზეორეს მხრივ პროლეტარია-

ტის კლასობრივი მწერლობის რიგების სწრაფი შეცვლა და გამდიდრება ხალხის წიაღიდან დაწინაურებული ახალი შემოქმედებითი ძალებით.

ამ პროცესებთან დაკავშირებული დიფერენციაცია ლიტერატურული ცხოვრებისა გამოიხატა საბჭოთა საქართველოს არსებობის პირველი წლების მანძილზე ქართულ მწერლობაში ჩამოყალიბებული სხვადასხვა მიმდინარეობებისა და გაერთიანებების სახით, რომელთა ურთიერთ ბრძოლა შეადგენდა ამ პერიოდის ლიტერატურული პროცესის ძირითად შინაარსს. ეს გაერთიანებანი იყვნენ „აკადემიური მწერლობის კავშირი“, „ციხფერი ყანწები“ სკოლა, „არიფიონი“, „მემარცხენეობა“ და საქ. პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია.

თავის მოხსენებაში საქართველოს ბოლშევიკების მეათე ყრილობაზე ამხანაგმა ლ. პ. ბერიამ მოგვცა ამ ლიტერატურულ გაერთიანებათა ზუსტი და პირუთენელი დახასიათება. ქართული საბჭოთა მწერლობის ფორმირების ამ პირველ პერიოდისათვის უღირსად მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა ეჟრნალ „მნათობის“ დაარსება. ეს პირველი სქელტანიანი საბჭოთა სალიტერატურო ეჟრნალი თავიდანვე დაუპირისპირდა ანტიპროლეტარულ სამწერლო გაერთიანებათა ბეჭდვითი ორგანოებს და თანდათანობით იკრებდა თავის გარშემო საბჭოთა ლიტერატურის საიმედო შემოქმედებითი ძალებს.

ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის პერიოდში მოპოებულმა წარმატებებმა ახალი ძვრები გამოიწვიეს ქართული საბჭოთა ლიტერატურის ცხოვრებაში. რევოლუციამდელი სამწერლო ინტელიგენციის საუკეთესო ძალები გადაჭრით დაადგნენ იდეურ-შემოქმედებითი გადახალისების გზას, მწერლობაში მოვიდნენ სოციალისტური რევოლუციის

გარემოცვაში წარმოშობილ ახალი შემოქმედებითი კადრებზე, ჩვენს საუკუნის ოცდაათიანი წლებში დასაწყისში ქართული საბჭოთა ლიტერატურის სასიცოცხლო ძალები უკვე ძირითადად გაერთიანებული და ერთსულოვნად შემოკრებილი იყვნენ საბჭოთა სახელმწიფოს პოზიციებისა და სოციალისტური აღმშენებლობის ამოცანების გარშემო. ამიტომაც განცალკევებულ სამწერლო ორგანიზაციების არსებობა უკვე ანაქრონიზმად, საბჭოთა ლიტერატურის შემდგომი განვითარების შემაფერხებელ საშიშროებად იქცა. საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1932 წლის 23 აპრილის ისტორიულმა დადგენილებამ გასწმინდა ჩვენი ლიტერატურის განვითარების გზა ამ შემაფერხებელი დაბრკოლებისაგან. მან მძლავრი იმპულსი მისცა საბჭოთა მწერლობას ახალს შემოქმედებითი აღმავლობას. სწორედ ამ პერიოდში შესდგა მ. გორკის ბინაზე ამხანაგი სტალინის ისტორიული საუბარი საბჭოთა მწერლებთან. ამ საუბარში ჩვენი გენიალური ბელადის მიერ გამოთქმულმა სახელმძღვანელო შეხედულებებმა განუზომელი მნიშვნელობის როლი შეასრულეს საბჭოთა ლიტერატურის შემდგომი განვითარების საქმეში. ამ განვითარების თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე ს. ს. რ. კავშირის საბჭოთა მწერლების პირველ ყრილობას. ამ ყრილობაზე ამხ. ა. ჟღანტის მიერ წარმოთქმული სიტყვა და მ. გორკის მოხსენება, რომლებშიც მოცემული იყო საბჭოთა ლიტერატურის სტალინური შემოქმედებითი ზეთოდის ძირითადი პრინციპების ფართო განმარტება და დასაბუთება, შემდგომი აღმავლობის სწორ ორიენტაციას აძლევდნენ მრავალეროვან საბჭოთა ლიტერატურას.

საბჭოთა ლიტერატურის ისტორიი-



სათვის ამ უღარესად მნიშვნელოვან მოვლენებს დამთხვა საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციების სათავეში აზნაზი ლავრენტი ბერიას ჩადგომა, რამაც წარუშლელი კვალი დააჩინა ქართული საბჭოთა კულტურის ყოველი დარგისა და კერძოთ ლიტერატურის განვითარებას.

სწორედ ჩვენი საუკუნის ოცდაათიანი წლების მანძილზე, დიადი სტალინური ხუთწლედებისათვის ბრძოლის გარემოცვაში დაიწერა ქართული საბჭოთა ლიტერატურის ყოველი ენარის მრავალი საუკეთესო ნაწარმოები. ამ შემოქმედებითი წარმატებებით აღჭურვილი შეხვდა ქართული საბჭოთა მწერლობა დიადი სამაშულო ომის ეპოპეს. ჩვენი სამშობლოს ამ უდიდესი ისტორიული გამოცდის წლებში ქართული მწერლობა თავისი მაღალი პატრიოტული მოწოდების სიმადლეზე აღმოჩნდა. სამამულო ომის დღეებში „ქართველი მწერლები და პოეტები თავიანთი მგზნებარე პატრიოტული ნაწარმოებებით ადაფრთოვანებდნენ მებრძოლებს გმირობისათვის, მათს წინაშე აცოცხლებდნენ ქართველი ხალხის სახელოვან ისტორიულ წარსულს“ (ლ. პ. ბერია)

სამამულო ომის ქარცეცხლში მიღებული ახალი საბრძოლო გამოცდილებით შეიარაღებული ქართული საბჭოთა ლიტერატურა ეხლა შთაგონებულად იღწვის იმ ახალი ამოცანების განხორციელებისათვის, რომლებიც ჩვენი იდეოლოგიური ფრონტისა და კერძოდ ლიტერატურის წინაშე წაშოაყენა ომის შემდეგმა პერიოდმა.

ასეთია მოკლედ ის გზა, რომელიც განვლო ქართულმა საბჭოთა ლიტერატურამ, ვიდრე იგი თავის დღევანდელს იდეურ-შემოქმედებითი დონეს მიაღწევდა. ქართული საბჭოთა მწერლობის

შემოქმედებითი ცხოვრების უფრო კონკრეტულად გათვალისწინებულობაში უნდა განხორციელდეს იგი თავისი ძირითად ენარების მიხედვით.

II

ქართული საბჭოთა პოეზიის საუკეთესო შემოქმედებითი ტრადიციების გამომწვევებისა და დამკვიდრების საქმეში უდიდესი ღვაწლი მიუძღვის ჩვენი საუკუნის დიდ ლირიკოსს ვალაკტიონ ტაბიძეს. მისი შემოქმედებითი ბიოგრაფია საუკეთესო გამოხატულებაა იმ დიდი გარდაქმნისა და განახლებისა, რომელიც სოციალისტური რევოლუციის ეპოპეში განიცადა მთელმა ჩვენმა მწერლობამ და კერძოდ პოეტურმა კულტურამ.

რევოლუციამდელ ქართველ მწერალთა შორის ვალაკტიონ ტაბიძემ პირველმა გაბედულად და უყუყუმანოდ უყუაგდო რევოლუციის წინა პერიოდის ჩვენს ლიტერატურაში გაბატონებული დეკადენტური პოეზიის პოზიციები და შთაგონებულად უმღერა ეპოპის დიად სოციალურ ძვრებს, ოქტომბრის ძღვევამოსილ დროშას, ამ დროშის გარშემო დარახმული რევოლუციური მასების საბრძოლო და შრომითი გმირობას.

ვალაკტიონ ტაბიძემ პირადათ განიცადა ოქტომბრის დიადი დღეების ეპოპე პეტროგრადში და საკაცობრიო ისტორიის ამ უდიდესი მოვლენის უშუალო განცდამ ცხოველი გამოძახილი და გამოხატულება ჰპოვა მის პოეზიაში. ეს იყო პოეტის ახალი შემოქმედებითი ცხოვრების დასაწყისი, რომელიც პოეზით „ჯონ რიდი“ და ოქტომბრის ქარიშხლიანი დღეების ამსახველი მრავალი ლირიკული ლექსით აღინიშნა. შემდეგ მთელ რიგ ახალ პოეტურ ქმნილებებში ვალაკტიონ ტაბიძე ასახავს და უმღერის ოქტომბერს, რო-

გორც ძველი სამყაროს ნგრევას, მსოფლიოს გათიშვას ორ მოპირდაპირე ბანაკად, კაცობრიობის ცხოვრების დიად განახლებას, მისი ნამდვილი ისტორიის დასაწყისს. მის პოემებსა თუ ვრცელ ლირიკულ ციკლებში: „ეპოქა“, „პაციფიზმი“, „მსოფლიო ორკესტრი“ და სხვ. შთამაგონებლად არის განსახიერებული საბჭოთა ხალხის ურყევი რწმენა ოქტომბრის დღეებში შობილი ახალი სამყაროს ძლევაშისილობისა, მისი 'ასულდგმულგებელი იდეების გარდაუვალი გამარჯვებისა. პოეტის ყოველი ლექსი ეღერს „ახალი გრავლებისადმი“ თავგანწირული ერთგულების, ეპოქის ქარიშხალთან ურყევად დგომის მგზნებარე მოწოდებად. შემდეგ პოეტი უფრო ორგანიულად ეუფლება სოციალისტური სინამდვილის თემატიკას, უფრო კონკრეტულ გრძობად-სახეობრივ ფორმებში ასახავს ჩვენს სამშობლოში დამკვიდრებულ ახალი ცხოვრების მოვლენებს. მისი „რევოლუციური საქართველო“ უკვე პოეტური მატანეა ქართველი ხალხის განახლებული და აღორძინებული ცხოვრებისა, მისი ყველა ძირითადი მიღწევისა და წარმატებისა სოციალისტური მშენებლობის დიად გზაზე.

მას შემდეგ არ ყოფილა ჩვენი ხალხის ცხოვრებაში ისეთი ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელსაც თავისი გამოძახილი და გამოხატულება არ ეპოვოს გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში.

ჩვენი სოციალისტური სამშობლოს სამხედრო-თავდაცვითი ძლევაშისილობის იდეა, მომავლადეი კაპიტალისტური სამყაროს განწირულების რწმენა, საბჭოთა პატრიოტიზმის უწმინდესი გრძობა — ასეთ საფუძველზე ჩამოყალიბდა გალაკტიონ ტაბიძის ახალი პოეტური მსოფლშეგრძობა, მისი შე-

მოქმედებითი იდეებისა თუ თემების სამყარო. შეიძლება ვთქვათ, რომ ითქვას, რომ ჩვენი დროის ქართველ პოეტთა შორის გალაკტიონ ტაბიძემ ყველაზე მეტი სისასვით და მრავალმხრივობით ასახა ჩვენი თანამედროვეობა, საბჭოთა ადამიანის სულიერ მისწრაფებათა სამყარო.

მართალია თავის იშვიათად უხვსა და ნაყოფიერს პოეტურ მოღვაწეობაში გალაკტიონ ტაბიძე ყოველთვის როდი ინარჩუნებს მისი პოეტური რეპუტაციისათვის შესაფერს ოსტატობრივ დონეს. მართალია ჩვენი თანამედროვეობის თემებისათვის ორგანიულად შესაფერი მანგებისა და საღებავების ძიებაში პოეტს არაიშვიათად მარცხიც განუცდია, მაგრამ არა ასეთი შემთხვევები განსაზღვრავენ და ახასიათებენ გალაკტიონ ტაბიძის როლსა და ადვილს საბჭოთა ეპოქის ქართულ პოეზიაში. მთავარი ის არის, რომ თავისი მრავალი საუკეთესო ქმნილებით, რომლებიც, არა მარტო უახლოესი ქართული პოეზიის, არამედ საერთოდ სოციალისტური ლირიკის იშვიათ ნიმუშებად გვევლინებიან, გალაკტიონ ტაბიძემ ღრმად გამანაყოფიერებელი ზეგავლენა მოახდინა საბჭოთა ეპოქის ქართული პოეზიის მთელს განვითარებაზე.

უფრო გვიან, მაგრამ უაღრესი თანმიმდევრობით და გულწრფელობით გადმოვიდნენ სოციალისტური ლიტერატურის პოზიციებზე რევოლუციამდელი ქართული პოეზიის სხვა უმნიშვნელოვანესი ოსტატებიც: იოსებ გრიშაშვილი, ალექსანდრე აბაშელი, სანდრო შანშიაშვილი, კონსტანტინე ჭიჭინაძე, გიორგი ქუჩიშვილი და სხვ.

იოსებ გრიშაშვილმა უკვე ჩვენი საუკუნის ოციანი წლების მიწურულში გამოსათხოვარი საგალობელი უმღერა საკუთარი პოეტური წარსულისათვის. დამახასიათებელი ეპოტიური, ვიწ-



როდ პარადიული, ინტიმიური-კამერული თემებისა და განწყობილებათა სამყაროს და თავისი შეზღვრვი შემოქმედებითი ცხოვრება განუყოფლად დაუკავშირა ჩვენი ქვეყნის აღორძინებისა და სოციალისტური აღმავლობის დიად ეპოპეას. ჯერ ახალი თბილისის პოეტურ პეიზაჟებში გამოხატა მან მშობელი ქვეყნის განახლებისა და ბედნიერების აღფრთოვანებული განცდა, შემდეგ ქართული საბჭოთა პოეზიის სხვა მოწინავე ოსტატებთან ერთად ი. გრიშაშვილმა წრფელი და შთაგონებული სიმღერებით გამოთქვა საბჭოთა ხალხის განუზომელი ერთგულება და სიყვარული თავისი ბრძენი და უსაყვარლესი ბელადის დიდი სტალინისადმი. ამ დიად თემაზე დაწერილ ლექსებში ი. გრიშაშვილმა მიიღწია საბჭოთა ადამიანის უწყმინდეს გრძობათა და მისწრაფებათა გამოხატვის ძალას. მის პოეზიაში დამკვიდრებულმა საბჭოთა პატრიოტიზმის გრძობამ განსაკუთრებული მგზნებარება მოიპოვა დიადი სანამულო ომის დღეებში. გულის სიღრმემდე ჩამწვდენი ღრმა ზემოქმედების ძალის ლექსებით მღეროდა გრიშაშვილი ამ უმაგალითოდ გამირული ბრძოლის დღეებში ჩვენი სამშობლოს უკვდავებისა და უძლეველობის საგალობელს, ადიდებდა სამშობლოსათვის თავდადებულ ვაჟაკთა ზედავსა და გულს, ხატავდა სამამულო ომის ფრონტისა თუ ზურვის საბრძოლო გამირული ცხოვრების ამსახველ სურათებს. ღრმად თავისებური ოსტატობით, მუსიკალობით, ფერადოვნებით. მგრძნობელობით აღბეჭდილმა მისმა პოეზიამ დიდი მოქალაქეობრივი აქტუალობა და იდეურობა შეიძინა. თავისი პრავალმხრივი მოღვაწეობით პოეტური შემოქმედებისა, მხატვრული თარგმანისა, საბავშვო ლი-

ტერატურისა და ლიტერატურული მემკვიდრეობის კვლევა-ძიების, ინტერესიოსებ გრიშაშვილი დამსახურებულად სარგებლობს ფართო პოპულარობით და სახალხო აღიარებით.

საბჭოთა პოეზიის მოწინავე ოსტატთა რიგში სდგას ახლა რევოლუციამდელი პოეტური თაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი ალექსანდრე აბაშელი. თუ ძველად მისი პოეზია აბსტრაქტულ პოეტურ სახეებში გამოხატავდა ქვეყნად ნათელისა და ბნელის კიდილს და გამოთქვამდა „შავი აჩრდილის“ მძეინვარებით დამფრთხალი და სასომიზილი ადამიანის სულისკვეთებას, ეხლა ალექსანდრე აბაშელი შთაგონებული მეხოტბეა და მომღერალი ჩვენს ქვეყანაში საპულამოდ და განუყოფლად დამკვიდრებული დიადი ნათელისა და მზიური ცხოვრებისა. „ფოლადური“ იყო ალ. აბაშელის ახალი პოეტური ცხოვრების დასაწყისის ზომასწავებელი პირველი ნაწარმოებთაგანი. დიდი სტალინის სადიდებლად ამღერებელი ლექსებით შემოვიდა პოეტი ჩვენი თანამედროვეობის თემებისა და იდეების განუსაზღვრელად მდიდარ სამყაროში და აქ იპოვა მან დაუშრეტელი წყარო ჭეშმარიტი პოეტური შთაგონებისა. მისი პოეზია ცხოვრების ცოცხალი სინამდვილის გრძობით განაყოფიერდა, მას ჩვენი გამირული სინამდვილის მღელვარე პათოსი დაეფულა. სამამულო ომის წლებში ალ. აბაშელის პოეზია მტერთშემმუსკრელი სახალხო მრისხანების საყვარად, საგმირო საქმეებისათვის ხალხის აღმავზნებელ ყიენად გადაიქცა. ამ დიადი გამოცდის წლებში ალ. აბაშელი პოლიტიკური ლირიკის პირველხარისხოვან ოსტატად მოგვევლინა. ეხლა, ომის შემდგომი მშენებლობის მგზნებარე დღეებში პოეტი ისეთივე

საბრძოლო აღფრთოვანებით უმღერის და შეხარის ახალ მწვერვალებს, რომელთა სიმბოლისაკენაც ყოველდღიურად მიიწევს ჩვენი უძლეველი ხალხის ცხოვრება.

მიუხედავად იმისა, რომ სანდრო შანშიაშვილმა თავისი შემოქმედებითი მოღვაწეობის მთავარ სარბიელად საბჭოთა წყობილების წლებში დრამატურგია აირჩია, მან მაინც ფრიად თვალსაჩინო წვლილი შეიტანა თანამედროვე ქართული პოეტური კულტურის განვითარებაში. მისი ბალადები „დედის ერთა ლენინთან“, „სნაიპერი“ და სხვა საბჭოთა პოეზიის ჰუმანიტი ხალხურობის განმამტკიცებელი შესანიშნავი ნაწარმოებებია. მისი ლექსები „იოსებ სტალინს“ და „შენ გულმართალო, ხელმართალო ადამიანო“ ქართველი პოეტების მიერ დიდი სტალინისადმი მიძღვნილ საუკეთესო ნაწარმოებთა რიცხვს ეკუთვნიან. სანდრო შანშიაშვილის ეხლანდელ პოეტურ შემოქმედებაში ნატამალიც აღარ იგრძნობა ოდესღაც მისთვის დამახასიათებელი გატაცებისა მითიურ-ლეგენდარული სიუჟეტებით, მისტიკური მოტივებით, ჰარბი ინდივიდუალიზმით, ყოველივე ეს მის პოეზიაში ხალხის ყოფა-ცხოვრების კოლორიტულმა სურათებმა, მშობლიური ბუნების მეტყველმა პეიზაჟებმა, ხალხის უფმინდესი იდეალების ამსახველმა სიმღერებმა შესცვალეს.

ჩვენი თანამედროვეობის იდეებისა და უფლებების პოეტური განსახიერებისათვის გიორგი ქუჩიშვილმა გასული საუკუნის ქართული რეალისტური ლირიკის ტრადიციებს მიმართა. ამ გზით მიიღწია მან პოეტური შემოქმედების სისადავისა და ხალხურობის იმ ძალას, რომლის მეოხებითაც მისი ყოველი ლექსი ადვილად აღწევს ხალხის გულამდე და გამოძახილს პოულობს მკითხველთა

ფართო ფენებში.

სოციალისტური სინამდვილის შექმედებით ჩვენს პოეტურ კულტურის ღრმად გარდაქმნისა და განახლების მკაფიო მაგალითს წარმოადგენს ვალერიან გაფრინდაშვილის შემოქმედებითი ცხოვრება. რევოლუციის წინა პერიოდში ქართულ პოეზიაში იგი ყველაზე მეტი თანმიმდევრობით განასახიერებდა სიმბოლისტურ-დეკადენტური მიმდინარეობის შემოქმედებითი მრწამსს და თავისი პოეტური შთაბრძნების სარბიელს მისტური წარმოდგენების, მირაჟებისა და ფანტომების საწყაროთი განსაზღვრავდა. საბჭოთა ეპოქაში მისი პოეზია არა მარტო რეალური ცხოვრების თემატიკას დაეუფლა, არამედ ზხატვრული მეტყველების რეალისტურ ხერხებსა და საშუალებებსაც. დიდი ლენინის ხსოვნისადმი მიძღვნილი მისი ლექსი, მისი „ოქტომბრის სტრაიკნები“, „ჩემო ქვეყანავ“, „ოცნება ბელადზე“, „ისეთი ლექსი დავწერო მინდა“ და სხვ. საბჭოთა ეპოქის ქართული პოეზიის პირველხარისხოვან ნაწარმოებთა რიცხვს მიეკუთვნებიან.

სწორედ საბჭოთა წყობილების წლებში შექმნილ ნაწარმოებთა მეოხებით ზოიკოვა თავისი ადგილი უახლოეს ქართულ პოეზიაში კონსტანტინე ჭიჭინაძემ, იგი თავისებური მსოფლშეგრძნობისა და პოეტური კონცეპციის მატარებელი პოეტია. მას უფრო მშვიდი პოეტური ხილვა ახასიათებს, უფრო განყენებული თემები და პრობლემები იტაცებს, თუმცა სოციალისტური თანამედროვეობის მოვლენებსაც მან არა ერთი, ოსტატობით აღბეჭდილი პოეტური ნაწარმოები მიუძღვნა, როგორც, მაგალითად, „საქართველოში ციხეა ორი“, „ჭიჭის ასწევს ვარცოხ“, „გმირი“, პოემა „შუა აზია“ და სხვა. დიდი ადამიანური უშუალობის,



წარფული განცდის, დახვეწილი გემოვნების ორგანიული ერთიანობა ახასიათებს რაჟღენ გვეტაძის პოეტურ შემოქმედებას. მისი ყოველი ლექსი ნათელი სახეების მეშვეობით გადმოგვცემს პოეტის მიერ ღრმად განცდილსა და ნაგრძნობს; მათში ყოველთვის ცოცხალი სინამდვილის სუნთქვაა განსაზიერებული. ამიტომ უფერს მისი პოეზია მომხიბლავი ბუნებრივობით. ამასთანავე იგი პრინციპულად გაურბის კლიშეებად ქცეულ საშუალებებს პოეტური მეტყველებისა, ყოველთვის საკუთარი ხმით მღერის, საკუთარი საღებავებით ხატავს. მრავალი მისი ნაწარმოები: „მერკვილაძის დები“ „უნიკ მზესავით ანათებს“, „სტალინის სურათს“, „ომში დაღუპულ შალამბერიძეს“ და სხვ. ფართო პოპულარობით სარგებლობენ როგორც ხალხის უწრფელეს მისწრაფებათა გამომხატველი მნიშვნელებანი. ლირიკული მღელვარებით და ემოციური დაძაბულობით ხასიათდებიან შალვა აფხაიძის ლექსები, რომლებშიც ცხოვლად მოისმის საბჭოთა პატრიოტის მგზნებარე გულისძგერა. ხან ნაზი ზგრძნობელობით, ხან ხალხის საბრძოლო-პატრიოტულ აღფრთოვანების გადმომცემი პათოსით და სამშობლოს მტრებისადმი მრისხანებით გამსქვალული მისი პოეზია ფხიზელი აზრისა და წრფელი განცდის ორგანიულ მთლიანობაზეა დამყარებული.

თანამედროვე ქართული პოეზიის ერთერთი მაღალნიჭიერი ოსტატი კოლაუ ნადირაძე თავისი შემოქმედებითი პოტენციას უფრო ადამიანის პირად ინტიმურ განცდათა და განწყობილებათა განსახიერებაში გამოავლენს, ვიდრე დიდი სოციალური იდეებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენათა ასახვაში. მაგრამ მანაც არა ერთი ქეშმარიტი შთაგონებით აღბეჭდილი ნაწარმოები შესძინა ქართულ

საბჭოთა პოეზიას, მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩევიან სტალინისადმი მიძღვნილი ლექსები, ახალი კოლხიდის პოეტური პეიზაჟები, საქართველოს დედა ქალაქის თბილისის განახლებული ცხოვრების ამსახველი ლირიკული ქმნილებანი.

ქართული საბჭოთა პოეზიის განვითარებაში თვალსაჩინო ლეწული მიუძღვის აგრეთვე რევოლუციამდელი პოეტური თაობის ისეთ წარმომადგენლებს, როგორც არიან ხარიტონ ვარდოშვილი, ვასო გორგაძე, სოლომონ თავაძე, დომენტი თომაშვილი, პოეტი ქალი მაროჯანი, გრიგოლ ცეცხლაძე.

სოციალისტური რევოლუციის წინა პერიოდში დაიწყო პოეტური მოღვაწეობა გიორგი ლეონიძემ, მაგრამ მხოლოდ საბჭოთა ეპოქაში ჰპოვა ზან თავისი იშვიათად მდიდარი და ღრმად თავისებური შემოქმედებითი ინდივიდუალობის სრული გამოვლინების შესაძლებლობა. ეხლა გიორგი ლეონიძე არა მარტო ქართულ პოეზიის, არამედ მთელი მრავალეროვანი საბჭოთა პოეტური კულტურის ერთ-ერთი პირველხარისხოვანი ოსტატია. იგი დიდი შინაგანი ლირიკული პათოსის, მგზნებარე ტემპერამენტის, დაუცხრომელი პოტენციის ზელოვანია. ქართული ხალხური ზეპირსიტყვიანობის მდიდარი საგანძური, ჩვენი კლასიკური პოეზიის საუკეთესო ტრადიციები და თანაშემდეგ მოწინავე საკაცობრიო პოეტური კულტურის უმაღლესი მიღწევები შეაღვენენ იმ საფუძველს, რომლის ნიადაგზეც გიორგი ლეონიძემ გამოიმუშავა საკუთარი პოეტური ხმა, თანაბარის ძალით გამომხატველი თანამედროვეობის დიდი სოციალური მოვლენებისა და საბჭოთა ადამიანის სულიერი ცხოვრების უაღრესად ინტიმური მხარეებისა.

განუზომელი პატრიოტული შთაგონ-

ნებით ხატავს გიორგი ლეონიძე თავისი მშობელი ქვეყნის დიდი ბუნების ფერადოვან პეიზაჟებს, ჩვენი საბჭოთა სამშობლოს აღორძინებული და განახლებული ცხოვრების დამახასიათებელ სურათებს, ჩვენი სახელოვანი გმირულა წარსულის აღმაფართოვებელ ეპიზოდებს. ღრმად ნაციონალური ელემენტის, მისი ფრთაახშმული პოეტური სიტყვა სწევდება ჩვენი ხალხის დღევანდელი თუ წარსული გმირული ცხოვრების ზთელს უსაზღვრო მრავალფეროვნებას, მაგრამ გ. ლეონიძის პოეტური შთაგონების უპირველეს წყაროს ახალი კაცობრიობის გენიოსის, დიდი სტალინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის სწორუპოვარი ეპოპეა შეადგენს.

ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ დიდი სტალინის პოეტური სახის დახატვის, მისდამი საბჭოთა ხალხის ერთგულებისა და სიყვარულის უწმინდესი გრძნობის პოეტურად გამოხატვის საქმეში გიორგი ლეონიძეს უდიდესი ღვაწლი მიუძღვის მთელ თანამედროვე პოეზიაში. მრავალი შთაგონებით დაწერილი ლირიკული ლექსის გარდა ამ დიად თემას მიუძღვნა გ. ლეონიძემ ეპოპეა „სტალინი“, რომლის პირველმა წიგნმა „ბავშვობა და ყრმობა“ ფართო პოპულარობა და საყოველთაო აღიარება მოიპოვა მთელს საბჭოეთში.

სამამულო ომის დღეებში გიორგი ლეონიძე დაუცხრომელი მგზნებარებით უმღეროდა დევგმირი საბჭოთა ხალხის დიად საბრძოლო პატრიოტულ აღფრთოვანებას. მისი „ჰეი, არწივნი“, „სტალინი“, „არ დაიდარლო დედაო“ და მრავალი სხვა ლექსი საბამულო ომის პერიოდის პოეზიის დაუეიწყარი ნიმუშებია.

ომის შემდეგ პერიოდში ჩვენს სამშობლოში შეუღარებელი ძალით გამ-

ლილმა შრომითმა გმირობამ პოეტის შთაგონა მონუმენტური მშენებლის ნაწარმოებთა დასაწყისში დაიწყო პოემა „სამგორი“, სადაც შორეული ისტორიული წარსულის თემა ორგანიულად არის დაკავშირებული საბჭოთა ხალხის ყველაზე აქტუალურ სადღეისო გრძნობებთან და მისწრაფებებთან.

საბჭოთა წყობილების წლებში, განსაკუთრებით კი დიდი სტალინური ხუთწლეულებისათვის ბრძოლის წლებში დაიშკვიდრა ილო მოსაშვილმა საბჭოთა პოეზიის მოწინავე ოსტატის რეპუტაცია. სამშობლოსა და ბელადის თემა განსაზღვრავს აგრეთვე მისი პოეტური შთაგონებისა და შემოქმედებითი ცხოვრების ძირითად შინაარსს. მის ლექსებში ცხოვლად სახიერდება საბჭოთა ხალხის ვაჟკაციური სულისკვეთება, მისი ნათელი ოპტიმისტური რწმენა, ურყევი ნებისყოფა. აქედან წარმოდგება ილო მოსაშვილის პოეტური პალიტრის შემადგენელი ნათელი, უჩრდილო საღებავები, მისი ლექსის მუსიკის გამსაზღვრელი ვაჟკაციური, მაკორული, აღმაფრთოვანებელი ჰანგი. მის პოეტურ ბუნებაში გაერთიანებულია მახვილი თვალის მხატვარი და გაწრთენილი სმენის მომღერალი. მის მიერ დახატული კახეთის პეიზაჟები, ახალი თბილისისა, თუ კოლხეთის პოეტური სურათები, საბჭოთა ხალხის შრომითი თუ საბრძოლო გმირობის განმასახიერებელ ადამიანთა პორტრეტები ამდიდრებენ და ამრავალფეროვანებენ თანამედროვე პოეზიას. ილო მოსაშვილის დიდ შემოქმედებითი მიღწევად უნდა ჩაითვალოს ქართველი ხალხის სახელოვანი შეილის ლ. პ. ბერიას შესანიშნავი პოეტური სახე, რომელიც დახატულია აღორძინებული საქართველოს მომხიბლველი პანორამის ფონზე. მისი

„ჩემი ოცნება ბელადზე“ ქართული პოეზიის საუკეთესო ნაწარმოებთაგანია დიდი სტალინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის თემაზე.

ასეთი ახალი შემოქმედებითი ცხოვრება მისცა სოციალისტური რევოლუციის ეპოქამ რევოლუციის წინა პერიოდის პოეტურ თაობათა საუკეთესო წარმომადგენლებს. მაგრამ ქართული საბჭოთა პოეზიის განვითარების გზების გაკაფვისათვის, ჩვენი პოეტური კულტურის ახალი, სოციალისტური თვისებების ჩამოყალიბებისა და დამკვიდრებისათვის შემოქმედებითი ბრძოლის მთავარი სიმძიმე პოეტების იმ ახალ პლუადას დაეკისრა, რომელიც თავისი წარმოშობით და მთელი შემოქმედებითი ცხოვრებით მთლიანად და უშუალოდ არის დაკავშირებული ჩვენს სოციალისტურ თანამედროვეობასთან. საბჭოთა ეპოქაში წარმოშობილი და აღზრდილი პოეტური პლუადის საუკეთესო წარმომადგენლებიც ერთნაირი შემოქმედებითი ბიოგრაფიით როდი ხასიათდებიან. ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან არა მარტო პოეტური ხმის, მხატვრული ინდივიდუალობის თავისებურებითა, პოეტური ნიჭიერების და პოეტუციის სხვადასხვაობის თვალსაზრისით, არამედ შემოქმედებითი ფორმირების გზების მხრივაც.

თავისებური გზით მივიდა მავალითად, სოციალისტური ლირიკის შემოქმედებითი პოზიციებამდე საბჭოთა პოეზიის ისეთი გამოჩენილი ოსტატი, როგორიც არის სიმონ ჩიქოვანი. საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების პირველ წლებთან არის დაკავშირებული მისი შემოქმედებითი ცხოვრების დასაწყისი. მაგრამ თავის პოეტური მოღვაწეობის პირველ ეტაპზე იგი ფორმალისტური ნოვატრობით, ე. წ. „სიტყვათქმედო-

ბის“ მისწრაფებებით უფრო იყო გატაცებული, ვიდრე რეალისტური თანამედროვეობის იდეებისა და თქმუბის პოეტური განსახიერებისათვის აუცილებელ ახალ რეალისტურ საშუალებების ძიების ამოცანით. შემდეგ მისი პოეტური ზრდა და დაეკავება სწორედ სოციალისტური სინამდვილის მოვლენებთან შემოქმედებითი დაკავშირების გზით წარიმართა და სწორედ ამ გზაზე მიადწია მან დიდი დიამაზონის შემოქმედებითს წარმატებებს. უკვე ოცდაათიანი წლების დამლევისათვის სიმონ ჩიქოვანი ავტორი იყო მთელი რიგი შესანიშნავი ლექსებისა, რომლებშიც ასახულია ჩვენს სამშობლოში დამკვიდრებულ ხალხთა დიდი სტალინური მეგობრობის იდეა („კაეკასიიდან ტაგანროგამდე“) ჩვენს ქვეყანაში ძველი პატრიარქალური ცხოვრების ყველა ჯგუფების შეუჩერებელი რღვევა („უშგულის კომკავშირი“), ჩვენი სინამდვილის გარემოცვაში ადამიანის სულიერი სამყაროს ძირფესვიანი გარდაქმნა და განახლება („შემოღამება ხახმატში“).

თანამედროვეობის კონკრეტული თემების განსახიერებისას იჩინა თავი სიმონ ჩიქოვანის პოეტური ბუნების საუკეთესო თვისებებმა: სიახლის გრძნობამ, პოეტური აზრის სიძაფრემ და აქტუალობამ, პოეტური მონაფიქრის ღრმა იდეურობამ, მოვლენათა პლასტიური გამოხატვის ძალამ, პოეტური ფერწერის სიმკვეთრემ და კოლორიტულობამ, მხატვრული მეტყველების ახალ საშუალებათა ძიებაში, იშვიათმა გაბედულობამ და გონება-მახვილობამ.

მის პოეზიაში ვრცლად და მრავალფეროვანად არის გამოხატული საბჭოთა საქართველოს ზრდისა და აღმაშენების ეპოქა: კოლხეთის ველის

ციტრუსოვან ბაღნარად ქცევისათვის ბრძოლა, სამეგრელოს საკოლმეურნეო მინდვრებზე გაჩაღებული შრომის ზეიმი, კახეთის შემოდგომის სილამაზე და ბარაქიანობა, თბილისის განახლებული სახე. ჩვენი სინამდვილის ყოველი მოვლენა სიმონ ჩიქოვანის პოეზიაში განსახიერებელია საბჭოთა ადამიანის სულიერ ცხოვრებისათვის დამახასიათებელ ახალ თვისებათა მკაფიოდ გადმომცემი საშუალებებით და სწორედ საბჭოთა ადამიანის ღრმად სადღეისო მისწრაფებათა ნათელით მოსაეს პოეტი. ჩვენი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის სარბიელსაც, რომლის მრავალი უმნიშვნელოვანესი ეპიზოდი და ისტორიული პერსონაჟიც გაცოცხლებულია მის მთელ რიგ საუკეთესო ნაწარმოებებში. ამ მხრივ პოეტის უმნიშვნელოვანეს მიღწევას წარმოადგენს „სიმღერა დავით გურამიშვილზე“, რომელმაც დამსახურებულად მოიპოვა ფართო გამოხმაურება არა მარტო საქართველოში, არამედ მთელს ჩვენს სოციალისტურ სამშობლოში. სიმონ ჩიქოვანის კალამს ეკუთვნის დიდი სტალინის გენიით შთაგონებული ისეთი პოეტური ქმნილებანი, როგორიც არის „გორის ციხე“, „ბელადის მოძმე“, „ქართლის საღამოები“ და სხვ. სამამულო ომის წლებში სიმონ ჩიქოვანის პოეზიამ მეტი ბუნებრივი ქდერა, სახეთა სიცხადე, საღებავთა სინათლე შეიმატა. თავისი რთული პოეტური ბუნების ამალღებას სოციალისტური პოეზიის ხალხურობის ამოცანის დონემდე მიღწია ს. ჩიქოვანმა ლექსში „ვინა სთქვა“, რომელიც საბჭოთა ნაციონალური სიამაყის წმინდა გრძნობის შესანიშნავ პოეტურ განსახიერებას წარმოადგენს.

სხვა გვარი შემოქმედებითი გზა განვლო სოციალისტური რევოლუციის

ეპოქაში აღზრდილი პოეტური თაობის ისეთმა თვალსაჩინოეზ, ~~წიქოვანმა~~ ვენელმა, როგორიც არის ~~მანძილზე~~ მანძილზე ლავა (მამაშვილი). იგი საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარებისთანავე იწყებს პოეტურ მოღვაწობას და თავიდანვე თავის შემოქმედებით ცხოვრებას გამარჯვებული პროლეტარიატის საბრძოლო მიზნებთან და მისწრაფებებთან აკავშირებს. ზართალია, თავისი მეოთხედსაუკუნოვანი შემოქმედებითი გზის მანძილზე მას არა ერთხელ განუცდია სხვადასხვა უცხო ლიტერატურულ მიმდინარებათა ზეგავლენა, მაგრამ ეს ყოველთვის მოასწავებდა ხოლმე პოეტის ღრობითს გადაბევევას იმ ძირითადი შემოქმედებითი პოზიციიდან, რომელიც სოციალისტური პოეზიის ჯანსაღი რეალისტური გზით განისაზღვრება.

ცნობილია, რომ პროლეტარიატის რევოლუციურ ბრძოლასთან უშუალოდ დაკავშირებული მიმდინარეობა ქართულ ლიტერატურაში ჯერ კიდევ საბჭოთა წყობილების დამყარებამდე ჩაისახა და წარმოიშვა. მაშინ ეს მიმდინარეობა სანდრო ეულის, იონა ეაკელის, იაკინთე ლისაშვილის და სხვ. მწერლების შემოქმედებაში გამოიხატა. საბჭოთა საქართველოს არსებობის პირველსავე პერიოდში პროლეტარულ მწერალთა ამ თაობამ ეურნალი „ქურას“ გამოცემით საფუძველი ჩაუყარა პროლეტარულ ლიტერატურულ მოძრაობას ჩვენში. მაგრამ პროლეტარული პოეზიის ამ პირველი თაობის შემოქმედებითი ბუნებისათვის დამახასიათებელი აბსტრაქტული თემატიკა, ე. წ. „კომიზმი“ და ახალი პოეტური ფორმის პრობლემისადმი უზრუნველი დამოკიდებულება შეუძლებელს ხდიდა ამ მიმდინარეობის მიერ ლიტერატურულ ფრონტზე ავანგარდული როლის მოპოებას და დამკ-

ვიდრებას. და თუმცა შემდეგ ამ თაობის ზოგიერთი წარმომადგენელი და კერძოთ პოეტი სანდრო ეული მნიშვნელოვანად ამდიდრებს თავის შემოქმედებას სოციალისტური სინამდვილის კონკრეტული თემებით და ისწრაფვის ნაბიჯი გაუსწოროს საბჭოთა ლიტერატურის შემდგომი აღზავლობის პროცესს, მაინც პროლეტარული პოეზიის მიერ ქართულ ლიტერატურაში წამყვანად და მოწინავე მდგომარეობის მოპოვება შესაძლებელი გახდა მწერლობის სარბიელზე იმ ახალი პლედის გაღოსვლის მეოხებით, რომლის უძლიერესი და საუკეთესო წარმომადგენელი ალიო მირცხულავა (მაშაშვილი) იყო.

თავიდანვე ალიო მირცხულავა გარკვევით და მძაფრად დაუბრისპირდა ბურჟუაზიულ-დეკადენტური ლიტერატურული სკოლების ინერციას. მის ლექსებში პირველად პოვა მკვეთრი პოეტური გამოხატულება კომკავშირული ანაღგაზრდობის სულიერმა ზრახვებმა და მისწრაფებებმა. დიდი ლენინის გარდაცვალებასთან დაკავშირებით დაწერილი ლექსებით და ისეთი ნაწარმოებებით, როგორც იყო მისი „ლაითურის კომკავშირი“, „ძველი მაზარა“, „რიქმა“, და სხვ. ახალგაზრდა პოეტმა ერთბაშად მოიხვეჭა პოლიტიკური ლირიკის გამოჩენილი ოსტატის რეპუტაცია, ამასთანავე იგი სწერს საბჭოთა ხალხის ყოფაცხოვრებაში ჩარჩენილი წარსულის კომმარის ნაშთების წინააღმდეგ მიმართული მძაფრ სატირულ ნაწარმოებებს, შეზღვე მუშაობას იწყებს საბჭოთა სინამდვილის ამსახველ ფართო პლანის ეპიური ეპარის ნაწარმოებებზე, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია პოემა „ენგური“.

ალიო მირცხულავას პოეტურმა ნიჭიერებამ თავის მკვეთრ გამოხატულ-

ბას მიაღწია საბჭოთა პატრიოტიზმის გრძობით შთაგონებულ ექვეყნაწარმოებებში, როგორცაა „მეგობრული ბელადისა“ და „კომნი სამშობლოს“. ამ ლექსებმა ნამდვილი ხალხურობა, იშვიათი პოპულარიზმა მოიხვეჭეს. ქართველი საბჭოთა პოეტების მიერ დისტალინისადმი მიძღვნილ საუკეთესო ნაწარმოებთა შორის თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ალიო მირცხულავას ლექსს „დაბადება“.

სამაშულო ომის დღეებში პოეტმა შექმნა - საბჭოთა ხალხის გმირული სულისკვეთებით გამსჭვალული, ჩვენი სამშობლოს უძლეველობის რწმენით შთაგონებული მრავალი ღირსშესანიშნავი ლექსი, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია „მყინვარი“, „ძმები“, „სეკესტროპოლი“, „სდგას ორი ქალაქი ორი ძმადნაფიცი“ და სხვ.

ამავე პოეტურ თაობას ეკუთვნის თანამედროვე ქართული პოეტური კულტურის ფრად თავისებური და საინტერესო ოსტატი კარლო კალაქ. იგი თავიდანვე პოეტური შეტყველების ახალი და ორიგინალური საშუალებების ძიებით იყო გატაცებული და მისი ყოველი ლექსი მართლაც ორიგინალურ პოეტურ მონაფიქრსა და სიტყვის ხელოვნების უაღრესად ინდივიდუალურ თვისებებს შეიცავს. მის ლექსებს სუფეტური კომპოზიციები ახასიათებს. იგი აფართოებს საკუთარი ლირიკული შემოქმედების ფარგლებს და ხშირად მიმართავს ეპიური ეპარის, პოეტური აღწერილობისა და მომთხრობელობის ფორმებს. მას ეხერხება მშობლიური ბუნებისა და განახლებული ყოფაცხოვრების ცხოველი სურათების ხატვა. მისი ვრცელი ლირიკული ციკლები და ბალადები „ხერთვისის განთიადები“, „მთების ეპოსი“, „ზღვის პირად“ მკაფიოდ გამოავლენენ პოეტის შემოქმედებითი

ინდივიდუალობის დასახელებულ თვისებებს. კარლო კალაძის პოეტური ინტერესების სფეროში ერთმანეთს ერთიან ჩვენი თანამედროვეობისა და ჩვენი სამშობლოს ისტორიული ცხოვრების თემები.

სამამულო ომის ვითარებაში კარლო კალაძის პოეზიამ ზეტი უშუალობა და ემოციური ძალა მოიპოვა, მისი ლექსი უფრო დაუახლოვდა ხალხის სულიერ მისწრაფებათა სამყაროს. მისი „საარტილერიო დუელი“ ფრონტის საბრძოლო ცხოვრების ამსახველი ერთ-ერთი უძლიერესი ნაწარმოებია ქართულ საბჭოთა პოეზიაში. ამ წლებში კარლო კალაძის მიერ დაწერილი ზოგიერთი ლექსი ხალხმა გაიხეპირა და იმღერა კიდევ.


ჩვენი საუკუნის ოციანი და ოცდაათიანი წლების მიჯნაზე ქართულ საბჭოთა მწერლობაში მოვიდა პოეტების ახალი თაობა, რომელმაც თავისი შემოქმედებითი მოღვაწეობით საგრძნობლად გააღრმავა და განაფართოვა ჩვენი პოეზიის კავშირი სოციალისტური სინამდვილის მოვლენებთან, ხალხის ბრძოლისა და შრომის ყოველდღიურობასთან, საბჭოთა ადამიანის სულიერ სამყაროსთან.

თავისი პირველივე ლექსებით ირაკლი აბაშიძემ გამოიჩინა იშვიათი ნიჭიერება და ძალა საზოგადოებრივი ცხოვრების აქტუალური პრობლემების პოეტურად გააზრებისა, მათი ორგანიულად დაკავშირებისა პოეტის უაღრესად ინტიმურ განცდათა სამყაროსთან, მათი ნამდვილად ლირიკული განსახიერებისა. მან შესწლო ესთეტიურ ხარისხში აევანა და პოეტური ამღერების საგნად ექცია სოციალისტური ცხოვრების ყოველდღიურობის „წერილობანი“ მოვლენებიც კი. ირაკლი აბაშიძის საუკეთესო პოეტურ ნაწარმოებებში მართალი და წრფელი განსა-

ხიერება ჰპოვა საბჭოთა ახალგაზრდობის სულიერმა ბიოგრაფიამ („სადაჩინის ბალადა“), ოქტომბრის რევოლუციის თაობის ხალისიანმა და ნათელმა განწყობილებებმა, მისმა ლაღმა, უჩრდილო, აღფრთოვანებულმა განცდებმა („პირველი თოვლის სიმღერა“, „ყვავილები ქალაქში“, „დიდი გაზაფხული“).

ამ ლექსებში ირაკლი აბაშიძე გამოჩნდა მახვილი პოეტური სმენის, მძაფრი მგრძნობელობის, გულის სიღრმემდე ჩამწვდენი ლირიკული ხმის პოეტად. ათი წლის წინად დაწერილი მისი ლექსი „საოქტომბრო სიმღერა ამხანაგ ლაერენტი ბერიას“ დღემდე რჩება თანამედროვე ქართული პოლიტიკური ლირიკის ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშად. თანამედროვე ქართული პოეზიის უმნიშვნელოვანეს ნაწარმოებთა რიცხვს ეკუთვნის ირაკლი აბაშიძის პოემა „წულუკიძის სიკვდილი“. მასში ცხოვლად არის განსახიერებული გმირულ-რომანტიკული განცდა იმ დიადი რევოლუციური ბრძოლისა, რომელიც გააჩალა საქართველოსა და ამიერ-კავკასიაში ჩვენი საუკუნის დამდეგს ახალგაზრდა სტალინმა თავის უახლოეს თანამებრძოლებთან ლადო კეცხოველთან და ალექსანდრე წულუკიძესთან ერთად. ღრმა ექსპრესიით აღბეჭდილ სურათს ხატავს პოეტი იმ ისტორიული ეპიზოდის გადმოსაცემად, როგორც იყო ამხანაგი სტალინის მიერ სიტყვის წარმოთქმა ალ. წულუკიძის დაკრძალვის დღეს.

ირაკლი აბაშიძის პოეტური ინდივიდუალობის თავისებურებამ განსაკუთრებული სიცხადით იჩინა თავი სამამულო ომის პერიოდში. ომის წლებში დაწერილმა მისმა არა ერთმა ნაწარმოებმა ღრმა გამოძახილი პოეზიის ხალხის გულში, ხოლო ლექსმა „კაპი-



ტანი ბუხაიძე“, ისეთი ხალხურობა და პოპულარობა მოიპოვა, როგორც მხოლოდ ჩვენი კლასიკური რეალისტური ლირიკის საუკეთესო ნიმუშებს ხვდომიან ხოლმე წილად. ასეთივე ძალით გამოეხმაურა ჩვენი ხალხის მაღალ პატრიოტულ მისწრაფებებს ირაკლი აბაშიძის ლექსი „ქართველო, სანამ გქვიან ქართველო“.

პოეტმა ალექსანდრე გომიაშვილმა ლიტერატურულ სარბიელზე გამოსვლისთანავე ყურადღება მიიპყრო, როგორც თავისებური თემატიკით, ისე დამოუკიდებელ, სპეციფიკური პოეტური ხმით. თავდაპირველად მან განახლებული მთის ყოფა-ცხოვრების ამსახველი სურათები შემოიტანა პოეზიაში და ამასთანავე მთის პოეტური ფოლკლორის, ხოლო განსაკუთრებით ვაჟა-ფშაველას შემოქმედებითი მემკვიდრეობის ტრადიციებში პოვა სათავე თავისი მხატვრული ინდივიდუალობისა. ყოველივე ამან თავისებური ელფერი მისცა მისი პოეზიის როგორც ლექსიკას, ისე მუსიკალურ ელერას. უფრო გვიან, მან თავისი დიამაზონი გააფართოვა სამხედრო-თავდაცვითი თემატიკის, საბჭოთა არმიის საბრძოლო წრთენისა და ყოფის ასახვით. პოეტის შემოქმედებითი დავაყვაცება გამოიხატა მისი ბალადების ციკლში, რომელიც მრავალფეროვანი თემატიკით ხასიათდება და პოეტურ მომთხრობელობაზეა დამყარებული. მათში ჩვენ ვხვდებით ჩვენი ხალხისა და ბოლშევიკური პარტიის სახელოვანი საბრძოლო ტრადიციების ასახვას („უკანასკნელი დღე კეცხოველის“), სამოქალაქო ომის მგზნებარე სურათებს („ბალადა გამოსალმებისა“), ანარქელს ქართული ხალხის შთაგონებული ოცნებისა მის წილში ხალხთა თავისუფლების დიადი მედროშის დაბადებაზე („ბაზალეთის ტბა“), სამამულე ომის სურათებს, რომელთა

ფონზეც გამოხატულია დიდი სტალინის შთაბეჭებითი სახე („საფეხურეფეხურე საწყისი განთიადისა“). უნდა აღინიშნოს

ლირიკული მგრძნობელობით და ლექსის მომხიბლავი სისადავით ხასიათდება გიორგი კაჭახიძის შემოქმედება, რომელიც საბჭოთა ხალხის ახალი სოციალისტური ყოფაცხოვრების დამახასიათებელ მოვლენებს, ხოლო უპირატესად სოფლად სოციალისტური სამეურნეო და ყოფითი ურთიერთობის დამკვიდრების განმსახიერებელ სურათებს ხატავს. იგი პოეტური ნახატის დაკვირვებულ და გულმოდგინე ოსტატია. მისი ლექსი ყოველთვის განცდის სიწრფელით და მხატვრული სიმართლით იზიდავს მკითხველის ყურადღებას.

თანამედროვე ქართული პოეზიის მოწინავე ოსტატების რიცხვს ეკუთვნიან დავით გაჩეჩილაძე და ვიქტორ გაბესკირია. დავით გაჩეჩილაძე მდიდარი ფანტაზიისა და გამახვილებული გემოვნების ზელოვანია. იგი ლექსს აშენებს რთული ასოციაციებისა და ახალი, მოულოდნელი პოეტური სახეების ნიადაგზე. დავით გაჩეჩილაძის კალამს ეკუთვნის სამამულე ომის პერიოდის ქართული პოეზიის ერთ-ერთი საუკეთესო ლექსი „ძახილი უკვდავებისა“, რომელშიც მაღალპოეტური განსახიერება მპოვა საბჭოთა პატრიოტიზმის წმინდა გრძნობამ, გმირი საბჭოთა ხალხის ვაჟაკურმა სულისკვეთებამ, ოპტიმისტურმა რწმენამ.

ვიქტორ გაბესკირია თანამედროვე ცხოვრებისა, თუ—ისტორიული წარსულის სურათებს პოეტური მინიატიურების ფორმით განასახიერებს. მან გამოიმუშავა მხატვრული მეტყველების საკუთარ საშუალებათა სისტემა, რომელიც მის ლექსს მკვეთრად გამოყოფს და განასხვავებს თანამედროვე პოეზიის მთელს მრავალფეროვანება-

ში. ღრმა შთაგონებით არის დახატული მის ლექსებში დასაუღლეთ საქართველოს ბუნების, კერძოდ კოლხეთის ველის პეიზაჟები.

ოცდაათიანი წლების დასაწყისში შემოემატა ქართულ საბჭოთა პოეზიას ისეთი მრავალმხრივად მნიშვნელოვანი შემოქმედებითი ძალა, როგორიც არის გრიგოლ აბაშიძე. თანამედროვეობის გრძნობით და მახვილი პოეტური აზრით აღბეჭდილი მრავალი ლირიკული ლექსის გარდა, გრიგოლ აბაშიძემ დასწერა რამოდენიმე პოემა, რომლებიც თანამედროვე შფერლობაში ქართული კლასიკური პოეზიის დიდი ეპიური ტრადიციების აღორძინებას მოასწავებენ.

ჯერ კიდევ თავისი შემოქმედებითი ცხოვრების პირველ წლებში დასწერა მან პოემა „შავი ქალაქის გაზაფხული“, რომელშიც დიდი მხატვრული ძალით არის ასახული ამხანაგი სტალინის შესანიშნავი რევოლუციური მოღვაწეობის ერთ-ერთი მკაფიო ეპიზოდი, როდესაც საქართველოსა და ამიერ-კავკასიის მუშათა კლასის ახალგაზრდა ბელადი ბოლშევიზმის პოზიციების გარშემო რაზმავდა ქართველ მშრომელ ხალხს. გრიგოლ აბაშიძის პოემა „გიორგი მეექვსე“ ისტორიულ სიუჟეტზე აგებული ეპიური ქმნილებაა, რომელიც მაღალი პოეტური ოსტატობით არის აღბეჭდილი. ამ პოემას ავტორი სამამულო ომის დღეებში სწერდა და ნაწარმოები გამსჭვალულია იმ გმირული პატრიოტული აღფრთოვანების სულით, რომლითაც მოცული იყო მთელი საბჭოთა ხალხი იმ დიდი ბრძოლების ვითარებაში. სამაზღულო ომის პერიოდის ქართული პოეზიის ერთ-ერთი პირველხარისხოვანი ნაწარმოებია გრ. აბაშიძის პოემა „ძღვევის ქედი“, რომელშიც დიდი შთაგონებით არის ასახული კავკა-

სიის დაცვის გმირული ეპოპეა და ის ისტორიული როლი, რომელიც შეასრულა დიდი სტალინის უერთგულესმა მოწაფემ და თანამებრძოლმა ამხანაგმა ლ. პ. ბერიამ.

სამამულო ომის ფრონტისა და ზურგის საუკეთესო ადამიანთა ტიპური სახეებია დახატული გრიგოლ აბაშიძის პოემაში „ზარზის ზმანება“. მთელი ნაწარმოები საბჭოთა პატრიოტიზმის, საბჭოთა ადამიანის მაღალი და კეთილშობილური მორალური შეგნებით, საბჭოთა ჰუმანიზმის გრძნობით არის გაასკვალული.

ამ პოემაში გრიგოლ აბაშიძე პოეტური აღწერილობისა და მომთხრობელობის იშვიათ ოსტატად გვევლინება. მას ეხერხება სიუჟეტის მწყობრად ჩამოყალიბება და მისი კომპოზიციურად შეკვრა, სურათების ცხოვლად წარმოსახვა, გმირის სულიერი სამყაროს სიღრმეში ჩაწვდომა, პოეტური დიალოგის ბუნებრივი განვითარება. ყველა ეს თვისება პოეტის ნიჭიერებისა გვარწმუნებს, რომ გრიგოლ აბაშიძის სახით საბჭოთა პოეზიას ყავს პოეტური ეპოსის ჟანრის ერთ-ერთი საუკეთესო ოსტატი.

ქართული საბჭოთა პოეზიის აქტიურ შემოქმედებითი ძალეზად გვევლინებიან აგრეთვე გიორგი შატბერაშვილი, მაყვალა მრეველიშვილი, კალე ბოზოხიძე, ვარლამ ფურული, ნიკოლოზ ჩაჩავა, მარიკა მიქელაძე, გიორგი გიასელი, მარიკა ბარათაშვილი.

თავიანთი ხანმოკლე, მაგრამ ფრიად შინაარსიანი შემოქმედებითი ცხოვრებით მკაფიო კვალი დასტოვეს უახლესი ქართული პოეზიის განვითარებაში ჩვენგან უღროოდ წასულმა უახლესად ნიჭიერმა ახალგაზრდა პოეტებმა: სევერიან ისიანმა, ლაღო ასათიანმა და ალექსანდრე საჯიამ.

სამამულო ომის წლებში თვალსაჩინო ხედვრითი წონა მოიპოვეს ქართულ საბჭოთა პოეზიაში ახალგაზრდა პოეტმა იოსებ ნონეშვილმა, რევაზ შარვაშიამ, ხუტა ბერულავამ, ალექო შენგელიამ, ანდრო თევზაძემ, გიორგი სალუქვაძემ.

ცხოველ გამოძახილს პოულობენ მკითხველთა ფართო ფენებში იოსებ ნონეშვილის ლექსები, რომლებიც უმეტესი ნიჭიერებით და ნამდვილი შთაგონებით არიან აღბეჭდილნი. რევაზ შარვაშიანის წიგნი „მუში მუხასა“ სამამულო ომის მონაწილე საბჭოთა მებრძოლის მდიდარი და კეთილშობილური სულთერი სამყაროს გამომხატველი ერთ-ერთი საუკეთესო წიგნია თანამედროვე ქართულ პოეზიაში. სამამულო ომის ფრონტებზე განცილდ შთაბეჭდილებათა უშუალო და წრფელი პოეტური განსახიერების ძალა შეადგენს შალვა ამისულაშვილის ლექსების მთავარ ღირსებას.

უკანასკნელი ორი-სამი წლის განმავლობაში ქართული პოეზიის სარბიელზე გამოჩნდა მთელი რიგი ახალგაზრდა პოეტებისა, რომელთა შორისაც საიმედო შემოქმედებითი მონაცემებით გამოირჩევიან მ. ლებანიძე, ვ. გორგანელი, ო. ჰელიძე, ა. კალანდაძე, თ. ჯანგულაშვილი, ვლ. სულაბერიძე, მ. ქელიძე და სხვ.

ასეთია ქართული პოეზიის უმთავრესი შემოქმედებითი მიღწევები და წარმატებანი სოციალისტური რევოლუციის ეპოქაში.

### III

ანატოლ ფრანსი ჯერ კიდევ გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში ამგვარად ახასიათებდა ევროპის ლიტერატურის მდგომარეობას: „ჩვენი თანამედროვე ლიტერატურა ქანაობს პირუტყვულად უხეშ ნატურალიზმსა

და ეგზალტირებულ მისტიციზმს შორის... ჩვენ ან ტალახში ვეძებთ ვეფხვს ან ღრუბლებში“.

ამ უღარესად მართებულ და მოხდენილ დახასიათების შემდეგ ნახევარ საუკუნეზე მეტმა დრომ განვლო და ამ ხნის განმავლობაში ბურჟუაზიული სამყაროს მწერლობა და განსაკუთრებით მისი მხატვრული პროზა სულ უფრო და უფრო მეტად მიექანება ტალახსავე, უფრო და უფრო ღრმად ეფლობა ამორალიზმის, უიმედობისა და პესიმიზმის, გაშიშვლებული სექსუალიზმის წუმვეში. თუ ლუი სელინმა თავის დროზე მეტყველად გამოხატა სასიკედილოთ განწირული სამყაროს ლიტერატურის ბუნება, როდესაც თავის წიგნს „ლამის ნაპირზე მოგზაურობა“ უწოდა ასევე დამახასიათებელია თანამედროვე რეაქციული ბურჟუაზიის ლიტერატურული მოღვაწეობის შინაარსისათვის ფრანგ ეკზისტენსიალისტ ეან ენეს წიგნის სათაური „ქურდის დღიური“. ეს მეტად მოღუერი მწერალი თანამედროვე კაპიტალისტური სამყაროსი ცინიკური გულახდილობით ჰპირდება თავის მკითხველებს, რომ მისი შემდეგი რომანების გმირები მხოლოდ ქურდები და ჰომოსექსუალისტები იქნებიან. ასეთ „გმირს“ დასტრიალებს თავს მომაკვდავი კაპიტალიზმის მწერლობა. თანამედროვე ამერიკული ბელეტრისტი გენრი მილერი პორნოგრაფიას და სექსუალურ უხამსობას აღიარებს თავისი შემოქმედების მთავარ თემად. მან ამას წინად ფრანგულ რეაქციულ ლიტერატურულ ფურნალში გამოქვეყნებულ დეკლარაციაში განაცხადა: უხამსობა ისევე აუცილებელია მოზრდილთათვის, როგორც ბავშვებისათვის ზღაპარი ფერებიან შესახებ“.

„ადამიანები მომაკვდავი ძირიან“, „უკანასკნელი მოდგმა“, და სხვა ამგვარი სათაურებით თავიანთი ახალი

რომანებისა და მოთხრობებისა, თანამედროვე ბურჟუაზიის ყველაზე მოდური მწერლები მკაფიოდ გამოხატავენ იმ მარაზმსა და დაცემულობას, რომლის სულისკვეთებითაც გამსჭვალულია თანამედროვე ბურჟუაზიულ-დეკადენტური „კულტურა“. რეალიზმისა და ხალხურობის პრინციპებთან ერთად დასავლეთისა და ამერიკის თანამედროვე რეაქციულ მწერლობას იერიში მოაქვს ჰუმანიზმის და ადამიანობის მაღალ იდეალებზე. ყოველი დიუამელმა ამას წინაღობა დიდი გულისტკივილი გამოსთქვა იმის გამო, რომ თუ არსებობდნენ მოღალატეები, რომლებიც დალატობდნენ ერებს, ქვეყნებს, რელიგიებს, ჯერ არ გამოზრდილან მოღალატენი, რომელთაც ადამიანთა მოდგმისთვის ედალატოსო. სწორედ ასეთი მოღალატენი გვესაქიროება ჩვენ ახლათ — დასქენს ფრანგი „მწერალი“.

აი რა სიმდაბლემდე და გახრწინებამდე დაეშვა თანამედროვე კაპიტალისტური სამყაროს მწერლობა.

და სწორედ მაშინ, როდესაც დასავლეთის ბურჟუაზიული ლიტერატურა ამ მოლიტულ გზაზე დაქანებას იწყებდა, ჩვენს სამშობლოში ახალის ძალით იკაფავდა გზას ჰუმანიზმისა და პატრიოტიზმის იდეებით შთაგონებული დიდი რეალისტური მხატვრული პროზა. რომლის საუკეთესო ტრადიციებიც ორგანიულად შეეზარდა სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურას.

ასე იყო რუსეთში, ასე იყო საქართველოშიც.

საიდანაც წარმოიშვა ყოვლად უზარო და უსაფუძვლო „თეორია“ იმის შესახებ, თითქოს ქართულ კლასიკურ მწერლობაში მხატვრულ პროზას შედარებით ღარიბი შემოქმედებითი ტრადიციები ჰქონოდა, თითქოს მეცხრამეტე საუკუნეში დაქვეი-

თებულებს ქართული მხატვრული პროზა და ქართველ საზოგადოებრივ-ლიტერატურულ დასქირვებულ მწერლებს დასქირვებულ მწერლებს კანონზომიერების აღსადგენად უშუალოდ მიემართათ უძველესი ლიტერატურული ძეგლებისათვის — მერჩულიდან საბასულხან ორბელიანამდე.

ეს თვალსაზრისი, რომელიც არაერთხელ გამოთქმულა ჩვენს სალიტერატურო პრესაში, ქართული ლიტერატურის ახლობელი წარსულის უცოდინარობის, ან განზრახ უგულვებელყოფის შედეგია.

სწორედ გასული საუკუნის მეორე ნახევარში იწყო თანმიმდევრული შემოქმედებითი აღმავლობა რეალისტური მიმართულების ქართულმა მხატვრულმა პროზამ. რომ არაფერი ვთქვათ ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას ბელეტრისტულ ქმნილებებზე, საკმარისია დავასახელოთ ალექსანდრე ყაზბეგი და გიორგი წერეთელი, ხოლო 90-იან წლებში ქართული კრიტიკული რეალიზმის ლიტერატურამ სწორედ ბელეტრისტულ თანრებში კოვია თავისი განსაკუთრებით მეტყველი და მრავალფეროვანი გამოხატულება: ე. ნინოშვილის, დ. კლდიაშვილის, ვ. ბარნოვის, შ. არაგვისპირელის, ანასტასია ერისთავ-ხოშტარის და სხვათა რომანებისა და მოთხრობების სახით.

იყო ერთი პერიოდი უახლოესი ქართული ლიტერატურის ისტორიაში, როდესაც ქართულმა მხატვრულმა პროზამ მართლაც ნამდვილი დაკნინება და დაქვეითება განიცადა: ეს იყო 1905 წლის რევოლუციის მომდევნო ხანა, თვითმპყრობელური რეაქციისა და კონტრრევოლუციური მენშევიზმის დიქტატურის წლები, როდესაც ქართულ ლიტერატურაშიც, სავსებით გარკვეული საზოგადოებრივი პირობების ვითარებაში გაბატონე-

ბული მდგომარეობა მოიპოვეს ევროპის ბურჟუაზიულ დეკადენტური მწერლობის ზეგავლენით აღმოცენებულმა ანტირეალისტურმა სკოლებმა.

უნდა ითქვას „რომ ამ პერიოდშიც ქართულ ლიტერატურაში საესეებით როდი ჩამქრალა რეალისტური მხატვრული პროზის ჯანსაღი ტრადიცია. სწორედ ამ წლებში დასწერა თავისი მრავალი დამახასიათებელი ნაწარმოები მეოცე საუკუნის ქართული მხატვრული პროზის ერთ-ერთმა საუკეთესო ისტატმა ნიკო ლორთქიფანიძემ და ამავე წლებში შექმნა ლეო ქიჩილმაც თავისი „ტარიელ გოლუა“ — ეპოქის მაღალი სოციალური აზრით შთაგონებული ეს საუკეთესო, ჰემზარიტად რეალისტური ქმნილება რევოლუციის წინა პერიოდის მთელ ქართულ ლიტერატურაში.

მაგრამ რა თქმა უნდა ეს რამდენიმე გამონაკლისი ვერ სცვლიდა საერთო მდგომარეობას. ლიტერატურის დეკადანსის პერიოდი ჩვენს მწერლობაში ყველაზე მკაფიოდ, სწორედ ეპოქური ფანრების, ფართო მხატვრული ტილოების გადაგვარებაში გამოიხატა. ქართული მხატვრული პროზის საუკეთესო ტრადიციები ამ პერიოდში დეკადენტური მინიატურებისა და ნოველების პრაქტიკამ შესცვალა და საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ქართულ სალიტერატურო პრესაში დისკუსიაც კი მიმდინარეობდა იმ საკითხზე — შეიძლება თუ არა დაიწეროს ქართული რომანიო. რა თქმა უნდა ეხლა უაზრობა იქნებოდა მსჯელობის საგნად გაგვეხადა ეს უბადრუკი „თეორიები“, მაგრამ თავისთავად საკითხის ამგვარი დაყენებაც საესებით დამახასიათებელი იყო მხატვრული პროზის მდგომარეობისათვის რევოლუციის წინაპერიოდის ქართულ ლიტერატურაში.

სოციალისტური რევოლუციის ეპოქაში

ქაში ქართული მწერლობის ნაწილი ალორძინებისა და განხრეცილი ალმავლობის ერთ-ერთი, ენდროსი ენებელი ისიც არის, რომ დღეს ჩვენთვის უკვე პრობლემას როდღია წარმოადგენს ქართული რომანის დაწერის შესაძლებლობა. ჩვენ ახლა გვეყავს მხატვრული პროზის შესანიშნავ ისტატთა მთელი პლეადა, რომელთა რომანებში, მოთხრობებში, ნოველათა წიგნებში მართალსა და მკვეთრ გამოხატულებას პოულობს ჩვენი ხალხის თანამედროვე ცხოვრება და ბრძოლა, ჩვენი ქვეყნის მრავალსაუკუნოვანი გმირული ისტორია. საბჭოთა ეპოქის ქართული მხატვრული პროზა უპირველეს ყოვლისა ჩვენი რევოლუციური სინამდვილის, ჩვენი თანამედროვეობის დიდი სოციალური ძვრების ანარეკლს წარმოადგენს, იმ დიადი განმაახლებელი და აბლორძინებელი ძალის გამოხატულებას, რომლითაც ოპტიკურის ძღვევამოსილი ქარიშხალი შეიჭრა ჩვენი ხალხის ცხოვრებისა, მოღვაწეობისა და სულიერი სამყაროს ყოველ სფეროში.

საბჭოთა პერიოდის ქართული მხატვრული პროზის განვითარებას თუ დავეუკირდებით, დაეინახავთ, რომ მისი შემოქმედებითი ზრდისა და ალმავლობის გზა სწორედ სოციალისტური თანამედროვეობის ცოცხალ სინამდვილესთან უფრო და უფრო მეტის ორგანიულობით დაკავშირებისაკენ მიემართებოდა. ამ მიმართულებით განვითარების გეზს აძლევდა ჩვენს ლიტერატურას და კერძოთ მხატვრულ პროზას როგორც სოციალისტური კულტურის ბუნებისაგან გამომდინარე ამოცანები და მოთხოვნები, ისე ჩვენი ნაციონალური კულტურისა და კერძოთ ლიტერატურის საუკეთესო ტრადიციები.

ამ ტრადიციებისადმი ერთგულებისაკენ მომწოდებელ ანდერძად გაისმა საბჭოთა საქართველოს არსებობის

პირველ წლებში, ქართველ საბჭოთა მწერლების პირველ ყრილობაზე მხოვანი ბელეტრისტის ვასილ ბარნოვის მიერ წარმოთქმული სიტყვები: „დიდმა რევოლუციამ ხალხის გულში შეიტანა დიდი გარდაქმნა, და მისცა მას ახალი საფიქრებელი და ახალი გზა ცხოვრებისა, ახალი სახეები მომავლისა. და ყველა ეს ხალხისათვის დიდი საიმედოა. შეუძლებელია მხატვრისათვის შეუგრძნობელი დარჩეს ეს, რადგან მხატვრული სიტყვა ცხოვრებას ახსიათებს, მის სახეებს ჩამოასხამს. როგორ შეიძლება არ შეიგრძნოს მხატვარმა—მწერალმა როგორი დიდი გარდატეხა შეიტანა ამ ისტორიულმა დიდმა ამბავმა ხალხის გულში, ხალხის სულისკვეთებაში, ხალხის ცხოვრებაში?.. ეს არც იქნება! საქართველოს ლიტერატურა ყოველთვის სასოებით მოელოდა ამ დიდებულ ხანას, ის თვითონ იღწვოდა ამ ხანის დამყარებისათვის“...

აღსანიშნავია, რომ არა მარტო ამ მრავლისმეტყველო დეკლარაციით, არამედ საქმიანაც, შემოქმედებითაც დავით კლდიაშვილმა და ვასილ ბარნოვმა მისცეს ჩვენს სამწერლო ინტელიგენციას გამარჯვებული საბჭოთა ხალხისადმი სამსახურის, საბჭოთა სახელმწიფოსთან გულწრფელი თანამშრომლობის მაგალითი.

ამ დროისათვის მათ უკვე განვლილი ჰქონდათ შემოქმედებითი ცხოვრების მთავარი გზა, მაგრამ თავისი სახეობის და შემოქმედებითი ენერჯის უკანასკნელი მარაგი მათ დაუზარებლად მოახმარეს საბჭოთა საქართველოს კულტურული აღმავლობის საქმეს და დასწერეს არა ერთი ნაწარმოები, რომლებიც ღირსეულად ამდიდრებენ ამ დიდ ხელოვანთა ბიოგრაფიას, იგივე უნდა ითქვას მათი თაობის მწერალი ქალის ანასტასია ერისთავ-ხოშტარის შესახებაც.

თუ ნიკო ლორთქიფანიძე რევოლუციამდელს შემოქმედებულ შემოქმედებულ ეპოქაში და ბრძოლაში და მოდერნისტულ-იმპრესიონისტული ტენდენცია და რეალისტური ხელოვნების პრინციპი, საბჭოთა პერიოდში მისმა შემოქმედებამ მეტი სოციალური სიმძაფრე და აქტუალობა მოიპოვა. თავის ახალ მოთხოვნებსა და ნოველებში იგი უკვე გულსტიკივით და თანაგრძნობით კი აღარ მოგვიტოვებდა „დანგრეული ბუდეების“ შესახებ, არამედ მწვავე და უღმობელი სიმართლით გვიხატავდა ფეოდალური სამყაროს, საერთოდ ძველი ცხოვრების აღსასრულის მომსწავებელ სურათებს. ვრცელ მოთხოვნაში „ბილიკებიდან ლიანდაგზე“ მწერალმა ასახა ქართველი მშრომელი ხალხის თავდადებული ბრძოლა თვითმპყრობელური წყობილების დასამხობად, ხოლო ნოველებში „მოქანდაკე“ გვიჩვენა, თუ როგორ აამბოდა და შემოქმედებითი სიხარულით შემოსა ჩვენმა დროებამ ხალხის უღარიბესი ფენებიდან გამოსული ახალგაზრდა ადამიანი.

თავისი ცხოვრების უკანასკნელ პერიოდში დაწერილი მოთხოვნებით „ქედუბრეონი“, „ტყვედყოფილის დაბრუნება“ და სხვა, ნიკო ლორთქიფანიძე ცხოვლად გამოეხმაურა ჩვენი ხალხის უმაგალითო პატრიოტულ აღფრთოვანებას დიდი სამამულო ომის წლებში.

ახალი შემოქმედებითი ცხოვრება მოიპოვა სოციალისტური რევოლუციის ეპოქაში თანამედროვე მხატვრული პროზის დიდმა ხელოვანმა ლეო ქიაჩელიმ. რომანში „სისხლი“ და მთელ რიგ ნოველებსა და მოთხოვნებში მან განაერთა და განავითარა თავისი რევოლუციამდელი შემოქმედების უმთავრესი თემა — თემა 1905 წლის რევოლუციისა და ამ დიდ



სახალხო მოძრაობის ჩახშობით ჩვენი ხალხის ცხოვრებაში გამოწვეული ძალთა ახალი გადაჯგუფებისა, წინააღმდეგობათა ახალი გამოწვევებისა. თავისი ნაწარმოებებით „პაკი ამბა“, „თავადის ქალი მაია“, „ალმაზგირ კიბულან“ და სხვა ლეო ქიაჩელმა პირველხარისხოვანი თანამედროვე ნოველისტის რეპუტაცია დაიმკვიდრა. „პაკი ამბაში“ მწერალმა დახატა სიმბოლიური განზოგადოებითი ძალის სურათი, რომელმაც გვიჩვენა მოდუნებული და დამახუნებული მტნშევიკური წყობილების წიაღში ფრთაშემდგარი რევოლუციური ქარიშხლის შემოჭრის ძალა. ეს ქარიშხალი—გვითხრა მწერალმა თავისი ამ შესანიშნავი ნაწარმოებით, — ვაანადგურებს არა მარტო რეაქციული კლასების იმ ბურჟებს, რომლებიც აშკარად მტრულ ხელს აღმართავენ ახალი ცხოვრებისათვის მებრძოლთა წინააღმდეგ, არამედ იმათაც, ვინც მონური სიბრძავით და გაუსწორებელი სიჯიუტით ჩაებლაუქება ძველი სამყაროს დახვეწებულ ადათ-წესებს. ნოველაში „თავადის ქალი მაია“, ღრმად დამარწმუნებელი ძალით არის ნაჩვენები სოციალისტური რევოლუციის მიერ დამარცხებული რეაქციული კლასების სრული ზნეობრივი და ფიზიკური დეგრადაცია, მათი აუცილებელი სასიკვდილო განწირულება.

აქ მწერალმა ინტიმურ ყოფაცხოვრებითი ურთიერთობის სფეროში შეაჯახა-ერთმანეთს ყოფილი თავადი და მშრომელი გლეხობის შვილი და გვიჩვენა თუ როგორი განწირულებით კარგავენ ყველა თავშესაფარსა და საყრდენს ძველი სამყაროს უბადრუკი ნაშეიერები. „ალმაზგირ კიბულანი“, უკვე საბჭოთა ადამიანების შრომითი გმირობის მასალაზე აგებული ნაწარმოებია. აქ მწერალმა მთელი სისრულთით გვიჩვენა თავისი იშვიათი

ძალა როგორც ბუნების მეტად მკაცრიონთან ძლიერი ადამიანის შერბილლების ექსპრესიული გამოწვევების ისე დიდი განსაცდელით გულის სიღრმემდე შერყეული მძლავრი ადამიანური ბუნების დრამა.

ასე თანამედვერულად დაუახლოვდა ლეო ქიაჩელი ჩვენი სოციალისტური სინამდვილის თემატიკას, რომელსაც მიუძღვნა მან თავისი საუკეთესო ქნილება, რომანი „გვადი ბიკვა“. ეს ერთერთი საუკეთესო ნაწარმოებია მთელ საბჭოთა ლიტერატურაში საკოლმეურნეო სოფლის ცხოვრების თემაზე. დიდი სიმართლით და შთამოგონებელი ძალით არის ნაჩვენები მასში, თუ როგორ აღადგენს და ააბაღლებს ჩვენი დიადი თანამედროვეობა ძველი ცხოვრების კოშმარით გატეხილსა და დამახუნებულ ადამიანს. ამ რომანში ლეო ქიაჩელმა მკაფიო ინდივიდუალურ ადამიანურ ხასიათთა ხატვისა და სიტუეტური კომპოზიციის მაღალი ოსტატობა გვიჩვენა.

სამამულო ომის ეპოპეას ლეო ქიაჩელი გამოეხმაურა მეტად საყურადღებო ნოველით „მამა და შვილი“, ხოლო ამ დიად თემაზე დაწერილი მისი ახალი რომანის „მთის კაცის“ უკვე გამოქვეყნებული ფრაგმენტები სრულ საფუძველს გვაძლევენ ვიფიქროთ, რომ უახლოეს ხანში ჩვენი მხატვრული პროზა კიდევ ერთი ღრმად მნიშვნელოვანი ნაწარმოებით გაამდიდრდება.

ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში ისტორიული რომანის ეანრის აღორძინება შალვა დადიანის შემოქმედებითი მოღვაწეობასთან არის დაკავშირებული. ჩვენმა ამ მრავალმხრივ ღვაწლმოსილმა მწერალმა და ღრამატურგმა ქართული საბჭოთა მხატვრული პროზის განვითარებაშიც შეიტანა თავისი ფრიად თვალსაჩინო წვლილი. მის კალამს ეკუთვნის პირველი ქარ-

თული საბჭოთა ისტორიული რომანი „ვიორჯი რუსი“, რომელშიც ისტორიული მასალის ცოდნით და პოეტური განცდით ასახულია ძველი საქართველოს „ოქროს ხანა“, თამარ მეფისა და რუსთაველის ეპოქა. ეს იყო ერთი პირველი ისტორიული რომანთაგანი საერთოდ მთელს საბჭოთა ლიტერატურაში. ამიტომ მწერალს დამოუკიდებლად უხდებოდა ძიება იმ შემოქმედებითი პრინციპებისა, რომლებიც შემდეგ მკაფიოდ ჩამოყალიბდნენ მთელ რიგ საუკეთესო საბჭოთა ისტორიული რომანების — პირველ რიგში ალექსეი ტოლსტოის „პეტრე პირველის“ გამოქვეყნებასთან დაკავშირებით... შალვა დანიანის „ვიორჯი რუსში“ უკვე ვხვდებით მთელ რიგ ისეთს სპეციფიურ ელემენტს, რომლებიც დამახასიათებელია ისტორიული მასალისადმი საბჭოთა მწერლის შემოქმედებითი დამოკიდებულებისათვის. ჩვენ ვხედავლობაში გვაქვს ისტორიული სიმართლისადმი პრინციპული ერთგულება, ფართო ისტორიზმი, ამ ცნების უკეთესი გაგებით, ეპოქის სოციალური შინაარსის გახსნა და განსაკუთრებული ყურადღება ისტორიულ მოვლენებში ხალხის მონაწილეობის საკითხისადმი.

იშვიათი შემოქმედებითი ენერგიით და ნაყოფიერებით მუშაობს ისტორიული რომანის დარგში კონსტანტინე გამსახურდია.

მართალია, ისტორიულ თემებზე გადასვლამდე მას საკმაოდ ვრცელი შემოქმედებითი გზა ჰქონდა განვლილი, ამ დროისათვის იგი უკვე ავტორი იყო ჩვენი თანამედროვეობის ღრმა სოციალური ძვრებისადმი მიძღვნილი სამტომიანი რომანისა „მთვარის მოტაცება“, მაგრამ თავისი მხატვრული ინდივიდუალობის ყველაზე მკაფიოდ გამოვლენას მწერალმა სწორედ ისტორიულ რომანებში „დიდოსტატის კონსტანტი-

ნეს მარჯვენაში“ და ჯერ დაუძმთავრებელ ტრილოგიაში „დღეგრძელობა მცნებელში“ მიიღწია. კ. გამსახურდიას შემოქმედებითი აქვს თანამედროვე ისტორიული რომანის თავისებური კონცეპცია. ეს შეეხება, როგორც მის თვალსაზრისს ისტორიულ ფაქტოლოგიისა და პოეტური ფანტაზიის ურთიერთობის, ისე ისტორიული რომანის ენისა და სტილის საკითხებზე.

განსაკუთრებულ ძალას კი კ. გამსახურდია მხატვრულ აღწერილობითს სფეროში იჩენს. ამასთანავე იგი ფართო ისტორიულ ერუდიციას ფლობს და დიდი მხატვრული პოტენციით ხასიათდება.

საბჭოთა ეპოქის ქართული მხატვრული პროზის განვითარებაში განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის დემნა შენგელაიას. „სანაევარდოს“ წერის დროს დ. შენგელაია ჯერ კიდევ არ იყო დაუფლებული რეალისტური ხელოვნების ოსტატობას. მაშინ ახალგაზრდა ბელეტრისტი საგრძნობლად განიცდიდა სიმბოლიზმისა და ფორმალიზმის გავლენას. ამის მიუხედავად „სანაევარდოში“ ავტორმა მკვეთრად გამოხატა რწმენა ძველი სამყაროს გადანაშთების კატასტროფისა, ცხოვრების გარდაქმნისა და განახლებისა. უკვე მაშინვე დ. შენგელაია საკუთარი მსოფლმეგრძობისა და ღრმად ინდივიდუალური სტილის მხატვრად მოგვევლინა. სიტყვის პოეტური განცდა, ლირიზმით გამსჭვალული, ემოციურად გამძაფრებული თხრობა, მხატვრული ზომიერების გრძნობა და დახვეწილი გემოვნება ახასიათებს მის ბელეტრისტულ შემოქმედებას. მოთხრობების მთელ ციკლში „გურამ ბარამანდია“, „თებერვალი“, „პორტში“ და სხვა. მწერალმა ასახა სამოქალაქო ომის მრისხანე დღეები და ქართველი ხალხის ისტორიის ისეთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა, როგორც იყო საქარ-



თველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება, საბჭოთა წყობილების დამყარება.

რომანში „ბათა ქექია“ დემნა შენგელიამ ყოფაცხოვრებითი მასალია და ადამიანურ ხასიათთა კოლორიტული ხატვის ნაწრთობი ოსტატობით ასახა სამეგრელოს გლეხკაცობის ცხოვრება ბატონყმური ინსტიტუტის „გაუქმების“ დროიდან — ვიდრე 1905 წლის რევოლუციამდე. ღრმა მგზნებარებით არის გადმოცემული ამ რომანის უკანასკნელ თავებში ქართველი გლეხობის თავდადებული ბრძოლა რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში. დ. შენგელიას კალამს ეკუთვნის აგრეთვე რომანები „ცისკარი“ და „შემომქმედი“. პირველში გასული საუკუნის მეორე ნახევრის თბილისის ხელოსანთა ცხოვრებისა და შრომის ფრიად სპეციფიური სამყაროა გამოხატული, რევოლუციური მოძრაობის აღმავლობის ვითარებაში, ხოლო მეორე რომანი „შემომქმედი“ შიიცავს მრავალ დამახასიათებელ ეპიზოდს როგორც ჩვენი ხალხის ახლო რევოლუციურ წარსულიდან, აგრეთვე საბჭოთა ინტელიგენციის შემოქმედებითი შრომისა და ჩვენს ქვეყანაში დამკვიდრებული ახალი ყოფაცხოვრებითი ურთიერთობის სინამდვილიდან.

დ. შენგელიას მრავალრიცხოვანი მოთხრობებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია „ფიც“, სადაც პირველად მიეცა ბელეტრისტული განსახიერება დიდი სტალინის მიერ უკვდავი ლენინისადმი მიძღვნილ ოსტორიულ სიტყვას — ფიცის წარმოთქმის ფაქტს. ოსტორიულ თემებზე დაწერილ მოთხრობებს შორის შემოქმედებითი ფანტაზიის სიცოცხლით გამოირჩევა „შემომქმედი“, ხოლო მისი „მერხეულა“ ერთერთი საუკეთესო ნოველათაგანია სამამულო ომისა და კერძოთ ამიერ-

კავკასიის დაცვის თემაზე ქართულ ნატურულ პროზაში.

თანამედროვე ქართულ პროზის პირველხარისხოვან ოსტატთა რიცხვს ეკუთვნის სერგო კლდიაშვილი. მხატვრული სიმართლე, თხრობისა და აღწერილობის მომხიბლავი ბუნებრიობა და ლაკონიზმი ახასიათებს მის საუკეთესო ნოველებსა და მოთხრობებს. სერგო კლდიაშვილის „ფერფლი“ საუკეთესო ნაწარმოებია მთელ ქართულ ლიტერატურაში პირველი იმპერიალისტური ომის თემაზე. განსაკუთრებული ცხოველყოფილებით არის ასახული ამ რომანში იმერეთის სოფლის, საერთოდ ქართველი გლეხკაცობის დუხჭირი ყოფნა იმ საზარელი მტაცებლური ომის წლებში.

სერგო კლდიაშვილის „პროვინციის მთვარე“ გვიხატავს, თუ როგორი გარდამქმნელი ძალით შეიჭრა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებით შექმნილი ახალი ცხოვრება ჩვენი ქვეყნის ყოველ კუთხეში, როგორი განანადგურებელი ძალით დაარტყა ამ ახალი ცხოვრების ძლიერამოსილმა ტალღამ რეაქციულ, პარაზიტულ კლასებს. ფართოა და მრავალფეროვანი ს. კლდიაშვილის თემატიკა. „სვანური ნოველების“ ციკლში მწერალმა ღრმა შემოქმედებითი გზებით გადაშალა ჩვენს თვალწინ სრულიად თავისებური სამყარო ყოფაცხოვრებითი ურთიერთობათა, სოციალურ კონფლიქტებისა, ადამ-ტრადიციებისა. აღსანიშნავია, რომ ეს ნოველები თავისუფალია ყოველგვარი ეკზოტიკრობისაგან და მწერლის მახვილ რეალისტურ ხილვას ემყარებიან.

მთელ რიგ მოთხრობებში: „ზეიმი“, „მტრები“, „თქვენი გამარჯვებისა“ და სხვ. მწერალმა მოგვცა ჩვენს ქვეყანაში ახალი, სოციალისტური ყოფის დამკვიდრების ამსახველი სურათები, ხო-

ლო უკანასკნელ წლებში მან არა ერთი ნოველა უძღვნა დიდი საბამულო ომის თემას და ჩვენი ხალხის ეხლანდელს, ომისშემდეგი პერიოდის ცხოვრებასა და შრომას.

ჩვენს ლიტერატურაში ახალი ადამიანის სახის გამოხატვისა და კერძოთ საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვებისათვის ბრძოლის ასახვის თვალსაზრისით განსაკუთრებული ადგილი მოიპოვა კონსტანტინე ლორთქიფანიძის რომანმა „იმერეთი“.

ეს იყო ქართული საბჭოთა მწერლობის ერთი პირველი ნაწარმოებთაგანი, რომელშიც მართალი გამოხატულება პპოვა სოფლის სოციალისტურ რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით გამწვავებულმა კლასობრივმა ბრძოლამ.

ამ რომანის მთავარი გმირი ზეკი, რომელიც საბჭოთა სოფელში გაჩაღებულმა ახალმა ცხოვრებამ დაბეჩავებული მოჯამაგირის მდგომარეობიდან—საკოლმეურნეო წყობილების მოწინავე ადამიანის მდგომარეობამდე აამალა, თავის დროზე მოასწავებდა ქართულ საბჭოთა მწერლობაში დადებითი გმირის, ახალი ფორმაციის ადამიანის ტიპური სახის დამკვიდრებას.


კ. ლორთქიფანიძემ მრავალი ლირს-შესანიშნავი მოთხრობა და მხატვრული ნარკვევი, დასწერა ჩვენი სინამდვილის აქტუალურ თემაზე,

სამამულო ომის წლებში მან რამოდენიმე მკაფიო მოთხრობა და ნოველა შექმნა, ხოლო ამჟამად ნაწილ-ნაწილ ქვეყნდება პრესაში ამ დიდი ეპოპეისადმი მიძღვნილი მისი ახალი რომანი „გულისაშვილების ოჯახი“. განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ჩვენს ლიტერატურაში კ. ლორთქიფანიძის წიგნს „უკვდავება“. იგი ასახავს მოძმე ბელორუსი ხალხის გმირულ ბრძოლას სოციალისტური რე-

ვოლუციის საქმისათვის. ეს ნაწარმოებები რაჟღერ გვეტაცებენ მკაცრულ ნოველების ციკლთან ერთად მასწავლებს ქართული მწერლობის შემოქმედებითი სარბიელის გაფართოვებას, ჩვენს ლიტერატურაში მოძმე ხალხთა ცხოვრებისა და ბრძოლის თემატიკის შემოსვლას.

რაჟღერ გვეტაცებ, რომელიც პოეტურ მოღაწეობასთან ერთად ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას ეწევა მხატვრული პროზის დარგშიც, თავის რომანებში „თეო“, „ქიაკოკონა“, და „ლაშაური საღამოები“ ცხოვლად ასახა ის მწვეავე სოციალური კონფლიქტები, რომელთაც განსაზღვრეს ქართული ხალხის ცხოვრების მთავარი შინაარსი ჩვენს საუკუნეში და რომელთა ლოლიკამაც სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამდე, სოციალისტური საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების საბოლოო დამკვიდრებამდე მიგვიყვანა.

მან დახატა ამ სოციალურ წინააღმდეგობათა და კლასობრივ ბრძოლათა ქარცეცხლში გამოწრთობილი, ახალი ცხოვრების ზედაპირზე დაწინაურებულ ახალ ადამიანთა მთელი გალერეა: მირზა, როინ ზაუტაშვილი, ბონი გეიტაძე, ზეინაბი და სხვ. რომელთა ცხოვრების თავგადასავალშიც ტიპური ძალით არის განსახიერებული ჩვენი ქვეყნის მშრომელი ხალხის განთავისუფლების დიადი ეპოპეა. რ. გვეტაძის „მართალი ნოველიზი“ გვიძლივს სამამულო ომის ფრონტისა და ზურგის საგმირო საქმეთა წრფელ და მართალ გამოხატულებას. ის წიგნი დღემდე რჩება ქართული მწერლობის მიერ ამ დიადი თემისათვის მიძღვნილ ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ნაწარმოებად, ისევე როგორც გიორგი ნატროშვილის ნოველებისა და მხატვრული ნარკვევების ციკლი, სადაც ცოცხლად, შთამავონებლად, გულის



სიღრმეში ჩამწვდომი სიწრფელით არის მოთხრობილი ჩვენი სამშობლოს სიცოცხლისა და თავისუფლებისათვის მებრძოლ ვაჟკაცთა სწორუბოვარი გამარობისა და კეთილშობილური სულიერი სამყაროს დამახასიათებელი ეპიზოდები.

ბოლშევიკური პარტიის მეთაურობით ქართველი მშრომელი ხალხის თავდადებულმა ბრძოლამ კონტრრევოლუციური მენშევიზმის დიქტატურის დამხობისათვის და საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარებისათვის მტკიცე მხატვრული განსახიერება ჰყოვა ალექსანდრე ქუთათელის მრავალტომიან რომანში „პირისპირ“.

ეს მართლაც ფართო ჰლანის მხატვრული ტილოა, რომელიც ასახავს ჩვენი ცხოვრების ხანმოკლე, მაგრამ ფრიალ რთულსა და მზარდ პერიოდს. პირუთენელი სიმართლით, ისტორიული პერსპექტივის ფიზიკური გრძნობით გვიხატავს მწერალი სოციალურ გარემოს, გვიჩვენებს ქალაქად და სოფლად დაპირისპირებულ სოციალურ ფენათა შეუჩივებელ წინააღმდეგობებს, გვიხატავს ამ ფენების ტიპურ ადამიანთა სახეებს. თანაბარი წარმომსახელობითი ძალით გადაშლის ავტორი ჩვენს თვალწინ ხალხის რევოლუციური ამხედრების, შეიარაღებული აჯანყების ეპიზოდებს, თუ მოცემული პერიოდის სხვადასხვა სოციალური წრის ადამიანთა ყოფაცხოვრების კოლორიტულ სურათებს.

სოციალური გარემოს ფართოდ მოცვის დიაბაზონით, რთული სიუჟეტური აღნაგობით, პერსონაჟთა სიმრავლით და მოქმედების სარბიელის სიფართოვით, იდეური სიმძაფრით და აქტუალობით ეს რომანი უაღრესად თვალსაჩინო მოვლენაა საბჭოთა ეპოქის მხატვრულ პროზაში. უკანასკნელად ალექსანდრე ქუთათელმა დას-

წერა ომის შემდგომი ქართული სოფლის ცხოვრების ამსახველ ნაწარმოებში, რომელთაც მაღალი შეფასება ჰპოვეს ჩვენს პრესაში და სალიტერატურო კრიტიკაში.

ნოველებსა და მოთხრობების რამოდენიმე წიგნი გამოაქვეყნა ნიკოერმა ბელეტრისტმა აკაკი ბელიაშვილმა. იგი ფლობს დამაინტერესებელი ფაბულის შეთხზვის, სიუჟეტის დინამიურად გაშლის, მიმზიდველ მომთხრობელობის ძალას. მისი მხატვრული ინდივიდუალობის თავისებურებას პიუზორის გრძნობა შეადგენს. მრავალფეროვნულად არის გამოხატული მის ნოველებსა და მოთხრობებში ახალი ყოფაცხოვრების დამკვიდრება ჩვენს სამშობლოში, ძველი ყოფის, ოჯახურ და საზოგადოებრივ ურთიერთობათა ძველ დროშოქმულ თაობების გადაწმობა კვდომი ჩვენს რევოლუციურ ეპოქაში.

აკაკი ბელიაშვილის „თავგადასავალი ბესიკა გაბაშვილისა“ საბჭოთა ლიტერატურაში ისტორიული რომანის ეანრის დამკვიდრების მომასწავებელი ერთ-ერთი მკაფიო ნაწარმოებია.

საკოლმეურნეო სოფლის აღმავლობის, სოფლად სოციალისტორ საყოფაცხოვრებო და საზოგადოებრივ ურთიერთობათა დამკვიდრების განმასახიერებელი სურათები დახატა ალექსანდრე ქეიშივილმა რომანში „ლელო“. განსაკუთრებით აღსანიშნავია მწერლის მიერ ცოცხლად დახატული სახეები საკოლმეურნეო გლეხობის ახალგაზრდა თაობისა. დაკვირვებული მხატვრის გამჭრიახი თვალი, ახლის გრძნობა ახასიათებს ამ წიგნის ავტორს. ნაწარმოები ჩვენი დროის დიდი განმასახლებელი პათოსით არის გამსჭვალული. იგი ახალი ცხოვრების ხალისით, ახალი ადამიანის გამარჯვების ნათელი რწმენით არის შთაგონებული.

თანამედროვე ქართული მხატვრული პროზის თემატიკური და ეპიკური მრავალფეროვნების ერთ-ერთ ნაკადო გამოხატულებას წარმოადგენს დაეით სულიაშვილის შემოქმედება. მისი ძირითადი ნაწარმოებები ავტობიოგრაფიულ ხასიათს ატარებენ. მწერალი მოგვითხრობს მის მიერ განვლილ მდიდარ და მრავალმხრივად საყურადღებო ცხოვრების გზაზე ნახულისა და განცდილის შესახებ; მის ნაამბობში თქვენს თვალწინ ცოცხლებიან ჩვენი ხალხის რევოლუციური წარსულის ამალელებელი ეპიზოდები. რევოლუციური რომანტიკის კეთილშობილური გრძნობით არის აღბეჭდილი დაეით სულიაშვილის შემოქმედება. ამასთანავე მწერალმა მოგვცა მთელი რიგი ნოველები და მოთხრობები, როგორც ისტორიულ თემაზე, ისე საბჭოთა ხალხის თანამედროვე ცხოვრებისა და ბრძოლის შესახებ. ცხოვრების ცოდნა, სიმართლე და დამაჯერებლობა, თხრობის სადა და მშვიდი მანერა დაეით სულიაშვილის შემოქმედების უდავო ღირსებებს შეადგენენ.

რამოდენიმე რომანი და მოთხრობა დასწერა რევოლუციური თანამედროვეობის თემაზე იაკინთე ლისაშვილმა. მაგრამ მის შემოქმედებაში განსაკუთრებით საყურადღებოა ისტორიულ-რევოლუციური, ბიოგრაფიული ეპიკის რომანი „კეცხოველი“, რომელიც მიძღვნილია დიდი სტალინის თანამებრძოლის, მგზნებარე რევოლუციონერის, ლადო კეცხოველის შესანიშნავი ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი.

პოეტისა და ბელეტრისტის სოლომონ თაყაძის ნაწარმოებთა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს სამამულო ომის წლებში დაწერილი რომანი „კავკასიონის კარიბჭესთან“. იგი ავტორია აგრეთვე მთე-

ლი რიგი რომანებისა ჩვენს სამშობლოში გაშლილი სოციალისტური აღმშენებლობით თემებზე.

ბორის ჩხეიძემ, რომელმაც პირველადვე მიიპყრო ყურადღება თავისი ნიჟერი ნაწარმოებით „დღეები“, სამამულო ომის წლებში დასწერა მთელი რიგი მოთხრობები, რომელთა შორის განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია მოთხრობამ „ომგადახდილი“. უკანასკნელად ბ. ჩხეიძემ გამოაქვეყნა რომანი „ლიახეის პირას“, რომელიც საქართველოში აღმავალი რევოლუციური მოძრაობის სურათებს წატავს ვასელი საუკუნის მიწურულში. ეს ნაწარმოები ჯერ კიდევ მოელის თავის ღირსეულ შეფასებას ჩვენი სალიტერატურო კრიტიკის მხრივ.

საბჭოთა ეპოქის ქართული მხატვრული პროზის განვითარების სრულ სურათის გათვალისწინებისათვის აუცილებელია აღვნიშნოთ აგრეთვე პანტელეიმონ ჩხიკვაძის, როდიონ ქორქიას, ელიზბარ ზედგინიძის (პოლემორდენინოვის), მარიამ გარიყელის, იოსებ ტატიშვილის, არჩილ ჩაჩიბაიას რომანები, მოთხრობები და ნოველები რევოლუციური თანამედროვეობისა თუ ისტორიული წარსულის თემებზე.

ცალკე მიმოხილვის თემას შეადგენს ბელეტრისტთა იმ ახალი თაობის შემოქმედება, რომელიც უკანასკნელი წლების განმავლობაში გამოვიდა ქართული ლიტერატურის სარბიელზე. ახალგაზრდა ბელეტრისტების ოთარ ჩხეიძის, თინა დონეაშვილის, გრიგოლ ჩიქოვანის, ანდრო ლომიძის, ლადო ავალიანის ზოგიერთმა ნაწარმოებმა ჩვენი საზოგადოებრივობის ყურადღება და მოწონება დაიმსახურა.

IV

ქართული კულტურის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის არცერთ ეპოქაში დრამატურგიას არ ჰქონია ისეთი ზეღვრითი წონა ლიტერატურისა და თეატრის საერთო განვითარებაში, როგორც მოიპოვა და დაიმკვიდრა ქართულმა დრამატიულმა მწერლობამ სოციალისტური რევოლუციის ეპოქაში.

თუ კლასიკურ ქართულ ლიტერატურაში დრამატურგია საგრძნობლად ჩამორჩებოდა პოეზიისა და მხატვრული პროზის განვითარების დონეს, თუ რევოლუციამდელი ქართული თეატრი უპირატესად თარგმნილ ან გადმოკეთებული პიესებით საზრდოობდა, ახლა ქართველი საბჭოთა დრამატურგები თავიანთი შემოქმედებითი წარმატებებით საეხსებით ღირსეულად გვერდში უდგანან ჩვენი ლიტერატურის სხვა ენარების მოწინავე ოსტატებს და თანამედროვეობისა თუ ისტორიული წარსულის თემებზე დაწერილი ორიგინალური პიესებით ძირითადად განსაზღვრავენ ქართული საბჭოთა თეატრის რეპერტუარს.

მათ შორის, უპირველეს ყოვლისა, უნდა მოვიხსენიოთ შალვა დადიანი, რომელმაც სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების პირველსავე პერიოდში თავისი მდიდარი შემოქმედებითი გამოცდილება და ნაცადი დრამატურგიული ოსტატობა უყოყმანოდ მიუძღვნა ქართული საბჭოთა ლიტერატურისა და თეატრის აღმავლობის საქმეს. მისი „კაკალ გულში“ პირველი სერიოზული და ფრიალ საყურადღებო ნაბიჯი იყო ქართული საბჭოთა კომედიის შექმნის სფეროში.

ეს მკვეთრი მამხილებელი ძალის ნაწარმოებია, რომლის მახვილიც დაუნდობელი სიმწვავეით არის მიმარ-

თული საბჭოთა სინამდვილეში ჩირჩინილი წარსულის რეაქციულ ძალებს წინააღმდეგ. მწერალმა მხატვარმა სინათლეზე გამოიყვანა რევოლუციის პირველ წლებში საბჭოთა სახელმწიფოს აპარატში მოკალათებული ბიუროკრატების, მიტმანნილი ელემენტების, მოლაყბეების, ფუტსაეატი ყოყონა ადამიანების ზროვა, გვიჩვენა ეს ხალხი დაწესებულებაშიც, ოჯახურ ყოფა-ცხოვრებითს გარემოცვაშიც და ჰკაცრად, მომაკვდინებლად დასცინა მათ.

ამ ნაწარმოებში მკაფიოდ თავი იჩინა შალვა დადიანისათვის დამახასიათებელმა ხალისიანმა და მგზნებარე ტემპერამენტმა, სცენიური დიალოგის შესანიშნავმა ოსტატობამ და, რაც მთავარია, — ტიპაჟის, მკაფიოდ ინდივიდუალური ადამიანური ხასიათების გამოკვეთის იშვიათმა ძალამ და უნარმა.

ტრაგედიაში „თეთნულ“ შალვა დადიანმა განასახიერა ძველი რეაქციული სამყაროს სასიკვდილო განწირულების იდეა, ასახა ახალი სოციალისტური ცხოვრების ღრმად გარდაქმნელი და განმაახლებელი შემოქმედება ხალხის შეგნებაზე, ყოფა-ცხოვრებაზე. ეს პიესა საყურადღებო ცდაა კლასიკური ტრაგედიის ფორმის გაცოცხლებისა და გამოყენებისა ჩვენი ეპოქის დიადი სოციალური ძვრების მხატვრულად ასახვის საქმეში.

შალვა დადიანის უმნიშვნელოვანეს მიღწევას დრამატურგიული შემოქმედების დარგში წარმოადგენს ისტორიულ-რევოლუციური დრამა „ნაპერწყლიდან“. ეს იყო ერთერთი პირველი და მკაფიო შედეგი იმ დიდი შემოქმედებითი გამოძახილისა, რომელიც ჰპოვა ქართულ მწერლობასა და ხელოვნებაში ამხანაგ ლ. პ. ბერიას ისტორიულმა მოხსენებამ „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“.

„ნაპერწყლიდან“ ღრმა შემეცნებითი ღირებულების ნაწარმოებია დიდი სტალინის რევოლუციური მოღვაწეობის თემაზე, ბოლშევიკური პარტიის გმირული ისტორიის თემაზე. ამ პიესით შალვა დადიანმა პირველად მთელ საბჭოთა დრამატურგიაში სცადა კაცობრიობის უდიდესი გენიოსების ლენინისა და სტალინის სცენიურ სახეთა დახატვა. იმ დროისათვის, როდესაც „ნაპერწყლიდან“ დაიწერა, საბჭოთა დრამატურგიას ჯერ კიდევ არ გააჩნდა ამ მხრივ არავითარი ტრადიცია და შემოქმედებითი გამოცდილება. საჭირო იყო დიდი შემოქმედებითი გამბედაობა, ინიციატივა და ზუსტი აზროვნება ამ უაღრესად წარმატებული და კეთილშობილური, მაგრამ ამდენადვე რთული და საპასუხისმგებლო ამოცანის წარმატებით განხორციელებისათვის და, მწერლის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მის პიესაში იშვიათი ტაქტით და ზომიერების გრძნობით, დიდი სიყვარულით და შთაგონებით არის დახატული მშრომელი კაცობრიობის უსაყვარლესი ბელადების ლენინისა და სტალინის სახეები და ამასთანავე მოცემულია მრავალფეროვანი გალერეა ცოცხლად შესრულებული ტიპებისა, რომელთა მეშვეობითაც მწერალმა თვალწინ გადაგვიშალა ჩვენი საუკუნის გარიჟრაჟის სოციალური ვითარების ფართოდ მოხაზული სურათი.

შალვა დადიანის დრამატურგიულ შემოქმედების მრავალმხრივობის სრულად გათვალისწინებისათვის საჭიროა დავასახელოთ პიესები „ნინოშვილის გურია“ და „ჩატეხილი ხიდი“, რომლებშიც თავისებური სცენიური განსახიერება ჰპოვა ევნატე ნინოშვილისა და ილია ქავეჯაძის შემოქმედებითმა მემკვიდრეობამ.

ჭარბული საბჭოთა თეატრის განვითარების მთელი ისტორია და კერ-

ძოდ საუკეთესო თანამედროვე ქართული თეატრის, რუსთაველის თეატრის მთელი შემოქმედებითი მანერა-ფრაგანტი განუყოფელად არის დაკავშირებული სანდრო შანშიაშვილის სახელთან. სოციალური ტირანიის წინააღმდეგ თავისუფლებისმოყვარე ჭართველი მშრომელი ხალხის მიერ წარსულში გადახდილ გმირულ ბრძოლათა თემაზე დაწერილი პიესა „ჭერეთის გმირები“ („მათრახის პანაშვილი“) იყო ის პირველი ნაწარმოები, რომლითაც სანდრო შანშიაშვილმა გადაჭრით უკუაგდო საკუთარი რევოლუციამდელი შემოქმედებისათვის დამახასიათებელი ანტირეალისტური ერა და მტკიცედ შემოაბიჯა საბჭოთა მწერლობისა და ხელოვნების სარბიელზე. უკვე ამ პიესაში მკაფიოდ გამოიხატა ის გმირულ-რომანტიკული სტილი, რომელიც შემდეგ მისი შემოქმედებითი ინდივიდუალობის ძირითად ნიშნად იქცა.

თავის ხანგრძლივსა და უაღრესად ნაყოფიერ დრამატურგიულ შემოქმედებაში ს. შანშიაშვილი არაერთხელ შეეხო სოციალისტური თანამედროვეობის აქტუალურ თემებს („სამნი“, „ფოლადაური“ და სხვ.) მაგრამ მძის შემოქმედებითი სტიქია მთელის ძალით სწორედ ისეთ დრამატურგიულ ნაწარმოებებში გამოვლინდა, რომლებშიც ჩვენი ხალხის გმირული ძატიორია, ახლობელ თუ შორეულ წარსულში ხალხის მიერ თავისი სოციალისტური და ნაციონალური თავისუფლებისათვის გადახდილ ბრძოლათა სურათებია ასახული.

ეს. ივანოვის პიესის მიხედვით დაწერილმა მისმა დრამამ „ანზორ“ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართული საბჭოთა თეატრის ისტორიაში. ყველაზე მძლავრად და დასრულებულად სანდრო შანშიაშვილის დრამატურგიული სტილის თავისებუ-

რებანი გამოვლინდა პიესაში „არსენ“, რომელშიც ხალხური ეპოსის ნახევრად ლეგენდარული გმირის გადაშეშეების საფუძველზე მწერალმა დახატა ფეოდალური ტირანის წინააღმდეგ თავგანწირულად ამხედრებული გლეხობის საბრძოლო აღფრთოვანებისა, გულისწყრომისა და მრისხანების განმასახიერებელი მონუმენტური სახე.

ქართული ხალხის სახელოვანი ისტორიის უმნიშვნელოვანეს გმირთა სახეები დახატა ს. შანშიაშვილმა თავის ისტორიულ დრამებში: „გიორგი სააკაძე“ და „ქრწანისის გმირები“.

დიდი ქართველი სახელმწიფო მოღვაწისა და მხედართმთავრის ერეკლე მეორეს საბრძოლო ცხოვრების ერთ-ერთი უმთავრესი ეპიზოდის ამსახველი დრამა „ქრწანისის გმირები“ დაიწერა და სცენაზე განსახიერდა სამამულლო ომის მრისხანე დღეებში. პიესა ღრმად არის გამსჭვალული პატრიოტული თავგანწირულების გრძნობით, გმირობისა და ვაჟკაცობის სულიწვეთებით.

დიდი წარმატება ხვდა წილად სანდრო შანშიაშვილის მიერ პიესად გარდაქმნილს ალექსანდრე ყაზბეგის უკვდავ ნაწარმოებს „ხევისბერი გოჩა“.

სანდრო შანშიაშვილის დრამატურგიული შემოქმედება მგზნებარე პათოსით, ხალხის უძლეველობის რწმენაზე დამყარებული სალი სოციალური ოპტიმიზმით არის აღბეჭდილი. მის დრამებში პირველ ყოვლისა ყურადღებას იპყრობს ხალხის დიდი საბრძოლო ამოძრავების ამსახველი მასობრივი სურათები, ისტორიული სუფეტების დამუშავებისას მწერალი მძაფრი სოციალური კონფლიქტების ასახვით არის გატაცებული. მას ნაკლებად იზიდავს ყოფაცხოვრებითი სურათები, გმირის შინაგან ბუნებაში აღძრული სულიერი დრამა, ადამიანური ხასია-

თისა თუ ყოფითი გარემოცვის დეტალები და ნიუანსები. იგი ყოველთვის ისწრაფვის შექმნას ხალხმზრუნველად სულისა და გმირობის გამომხატველი მონუმენტური სახეები, ხოლო დრამატურგიული კოლიზის საფუძველს იგი მოწინააღმდეგე სოციალური ძალების ტიდილსა და შეჯახებაში ეძიებს.

ქართული საბჭოთა დრამატურგიის პირველხარისხოვან ქმნილებებს წარმოადგენენ მაღალნიჭიერი კომედიოგრაფის პოლიკარპე კაკაბაძის პიესები „ყვარყვარე თუთაბერი“ და „კოლმეურნის ქორწინება“.

„ყვარყვარე თუთაბერი“ ფრიად ორიგინალური, ღრმა სოციალური აზრისა და მაღალი ესთეტიკური ღირსებების შემცველი ნაწარმოებია. ქართული ფოლკლორის საგანძურიდან აღებული ნაცარქექიას ნიღაბის შემოქმედებითად გარდაქმნის საფუძველზე მწერალმა შექმნა ცხოვრების ზედაპირზე შემთხვევით წამოტივტივებული წვრილფეხა ავანტიურისტის ტიპური სახე — ყვარყვარე თუთაბერი. მხოლოდ სულთმობრძაღი თვითმპყრობე-ლური რეჟიმისა და უბადრუკი მენშევიკური წყობილების ვითარებაში შეიძლებოდა ასეთი ფართო სარზიელი მისცემოდა თუთაბერის ფუჭ პატივმოყვარეობას და კარიერისტულ მისწრაფებას. სოციალისტური რევილუციის გამარჯვებით გაჯანსაღებულ სოციალურ გარემოცვაში კი ყოველგვარი ნიადაგი გამოეცალა სახელმწიფო მოღვაწის ნიღაბში გახვეულ ამ უბადრუკი ნაცარქექიას თავაშეებულ თარეშს. როგორც კი ქვეყნის მართვა-გამგეობის სადაეეები ხალხის ხელში გადავიდა, ნაცარქექიებმა დაკარგეს ყოველგვარი გავლენა და მნიშვნელობა. ამ აზრის დამარწმუნებელ მხატვრულ დასაბუთებას გვაძლევს „ყვარყვარე თუთაბერი“.

ეს პიესა ქართული საბჭოთა დრამატურგიის დიდი შემოქმედებითი ზრდის მომასწავებელ ნაწარმოებად იქნა აღიარებული სცენაზე მისი პირველად განსახიერებისთანავე. მართლაც აქ პირველად იყო მიღწეული მძაფრი კომედიური სიტუაციებისა, დიალოგის მაღალი მხატვრული ხარისხისა და ხასიათების მკვეთრი, რელიეფური ხატვის ორგანიული ერთიანობა მტკიცე კომპოზიციურ ყალიბში.

სწორედ ამ ღირსებათა გამო, ეს კომედია არ კარგავს ინტერესს და მიმზიდველობას. თითქმის ოცი წლის განმავლობაში იგი არ ჩამოდის ქართული თეატრის სცენიდან, ხოლო მისი მთავარი გმირის სახელი გადავიდა ხალხში, როგორც ფუჭი ქედმაღლობის, გაიძევრობისა და ფუჭსავე პატივმოყვარეობის გამოხატველი საზოგადო სახელი. ასეთი წარმატება იშვიათად თუ ხედომია წილად საბჭოთა დრამატურგიის სხვა რომელიმე ნაწარმოებს. პოლიკარპე კაკაბაძის კომედია „კოლმეურნის ქორწინება“ საკოლმეურნეო წყობილების ნიადაგზე სოფლად დამკვიდრებული ახალი ცხოვრების ამსახველი საუკეთესო ნაწარმოებია ქართულ დრამატურგიაში. ამ პიესის უმთავრესი ღირსება და მისი წარმატების საფუძველი ის არის, რომ მოქმედების ცენტრში აქ დაყენებულია დადებითი გმირი — ახალგაზრდა გლეხი ქალი, გვირისტინე, რომელიც საკოლმეურნეო წყობილებას საბოლოოდ გამოუყვანია სიღარიბისა და უმეცრების წყვედიადიდან და ახალი საზოგადოებრივი ცხოვრების მოწინავე ადამიანის მდგომარეობამდე აღმადგინა. ეს გარემოება — კომედიურ სიტუაციათა ცენტრში დადებითი გმირის მოქცევა — ახლებურ გაშუქებას აძლევს საბჭოთა კომედიის პრობლემას და დიდად აფართოებს ამ ქანრის შემოქმედებითს დიაპაზონს.

კომედიის ქანრში დიდიწყო დრამატურგიული მოღვაწეობა თამამედროვე ქართული დრამატურგიაში მწიგნობრს ერთერთმა თვალსაჩინო ოსტატმა იონა ვაკელმა, მისი პირველი პიესა „აპრაქუნე ღიმილი“ მწვავე სოციალური სატირის პლანში მოფიქრებული ნაწარმოები იყო. შემდეგ იონა ვაკელმა დასწერა საბჭოთა ხალხური ინტელიგენციის იდეურ-მორალური ზრდისა და რევოლუციური წრთობის ამსახველი პიესა „შური“. ამ დრამაში ავტორმა დახატა ტიპური სახეები თავდადებული საბჭოთა პატრიოტებისა, რომლებიც მრავალი ბრძოლებისა და წინააღმდეგობის გადალახვით აღწევენ სამაგალითო წარმატებებს ჩვენი ქვეყნის დიდებისა და ძლევის მოსილებსათვის ბრძოლასა და შრომაში.

პარალელურად იონა ვაკელი ამუშავებს ისტორიული წარსულის სუფეტებას. მისი „შამილი“ ერთერთი პირველი ისტორიული დრამა იყო ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში. აქ მწერალმა გვიჩვენა მძაფრად დრამატული სუფეტის მწყობრად ჩამოყალიბების უნარი, დიდ ადამიანურ ბუნებათა გამოხატვის ნიჭი.

გაცილებით მნიშვნელოვან შემოქმედებით წარმატებას მიღწია იონა ვაკელმა თავის მეორე ისტორიულ დრამაში „გიორგი სააკაძე“. ისტორიული პროცესების სწორად გაგებასა, ღრმად გააზრებასა და საბრძოლო გამოხატებათან ერთად ამ პიესაში ავტორმა გამოიჩინა ისტორიული ქანრის მწერლისათვის ერთი მეტად მნიშვნელოვანი და აუცილებელი თვისება: იგი მიდის არა იმ ჩვეულებრივი იოლი გზით, რომელსაც შეიძლება ისტორიული მოვლენათა მხატვრული ილუსტრაცია, ან ისტორიული ეპიზოდების ინსცენირება ვუწოდოთ, არამედ გარკვეული იდეური თვალსაზრისით, გარ-

კვეთილი ისტორიული კონცეფციის ნათელით აშუქებს აღებულ ისტორიულ მასალას და ისტორიული პერსონაჟიკმას აკყავს განზოგადებითი ძალისთვისებათა განმასახიერებელი მხატვრული სახის ხარისხში.

ქართულ საბჭოთა დრამატურგიის განვითარებაში თვალსაჩინო წვლილი მიუძღვის პოეტ კარლო კალაძეს. მისი „როგორ“ პირველი ისტორიულ-რევოლუციური დრამა იყო უახლოეს ქართულ მწერლობაში. ეს პიესა გამსჭვალულია 1905 წლის რევოლუციის რომანტიკული განცდით და მიუხედავად იმისა, რომ პიესას პრეტენზია არა აქვს ამ დიდი რევოლუციური მოძრაობის დრამად და ყოველმხრივად ასახვისა, მაინც ეს ნაწარმოები მომხიბლველი სისადავით და უშუალოდ იქცევს ყურადღებას და მას თავის დროზე გარკვეული წარმატებაც ხვდა წილად ქართულ სცენაზე. კარლო კალაძის მეორე პიესა „ხატოვე“ უკვე საბჭოთა სინამდვილის თემაზეა დაწერილი და მასში ნაჩვენებია ის დიდი გარდაქმნა და განახლება, რომელიც შეიტანა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ ჩვენი ქვეყნის უკიდურესად ჩამორჩენილ კუთხეებშიც კი. კარლო კალაძის კალაშ ეკუთვნის აგრეთვე კომედია „სახლი მტკვრის პირას“, რომელიც საბჭოთა ყოფაცხოვრების თემაზეა დაწერილი.

ქართული საბჭოთა დრამატურგიის განვითარების სხვადასხვა საფეხურებზე გარკვეული როლი შეასრულეს ნატალია აზიანისა და ნიკო შიუკაშვილის კომედიებმა, დემნა შენგელაის „თეთრებმა“, ალიო მირცხულავას (მაშაშვილის) „განგაშმა“, ალ. ქუთათელის პიესამ „შუალამემ გადაიარა“ და სხვ.

ჩვენს დრამატურგიაში საბჭოთა სინამდვილის თემატიკის დამკვიდრებისა და მოწინავე საბჭოთა ადამიანის, ეპოქის დადებითი გმირის სახის უფრო

დრამა გამოახვის მომასწავებელ მკვლელო ნაწარმოებად მოგვეჩვენა „როგორ“ დროზე სერგო კლდიაშვილის „გმირთა თაობა“. იგი საბჭოთა პატრიოტიზმის გრძობით, რევოლუციური სიფხიზლის იდეით შთაგონებული ნაწარმოებია. პიესა ასახავს კოლხეთის ველზე გაჩაღებულ გმირულ შრომას, როგორც საბჭოთა ხალხის შემოქმედებით ძლევამოსილების ერთერთ მკაფიო გამოხატულებას. პიესის მთავარი გმირის, ნამდვილი საბჭოთა პატრიოტის, დიმიტრი გეგელიას ხასიათი იწრთობა და იბრძმდება რეაქციული კლასების ნამსხვრევების გაცოფებულ წინააღმდეგობის დაძლევისა და გადალახვისათვის წარმოებულ ძლევამოსილ ბრძოლაში. ამ პიესამ თავისი მკვეთრი სუფეკით, წრფელი დრამატიზმით და იდეური აქტუალობით ცხოველი გამოძახილი ჰპოვა მაყურებელთა ფართო წრეებში და საყოველთაო მოწონება დაიმსახურა. შემდეგ სერგო კლდიაშვილმა რამდენიმე გონებასახილურად მოფიქრებულ სუფეტზე აგებული კომედია დასწერა, ხოლო სამამულო ომის წლებში მოგვცა ამიერკავკასიის გმირული დაცვის ეპოპეიადმი მიძღვნილი დრამა „ირმის ხევი“.

პოეტ ვიქტორ გაბესკირიას დრამატურგიულ ნაწარმოებთა შორის განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს პიესა „მათი ამბავი“, რომელიც საბჭოთა ინტელიგენციის ცხოვრებას ასახავს და გვიჩვენებს იმ მძაფრ კონფლიქტებსა და წინააღმდეგობებს, ძველისა და ახალის იმ შეურთებულ ჭიდილს, რომლის ვითარებაშიც გამომუშავდა მოწინავე საბჭოთა ინტელიგენციის ბუნების დამახასიათებელი საუკეთესო თვისებანი. ვიქტორ გაბესკირიას პიესები ლირიზმით არიან გამსჭვალული და სიტყვიერი მასალის პოეტური დახვეწილობით ხასიათდებიან.

ქართული საბჭოთა თეატრის სცენაზე სხვადასხვა დროს დაიდგა დრამატურგ გიორგი მდიანის რამდენიმე პიესა: „ალკაზარი“, „სამშობლო“, „ბატალიონი მიდის დასავლეთით“, „პარტიზანები“, „მოსკოვის ცის ქვეშ“. მის შემოქმედებას თემატიური აქტუალობა ახასიათებს. იგი იშვიათი სისწრაფით ეხმარება ჩვენი ქვეყნის ცხოვრების ყოველ ახალ, უმნიშვნელოვანეს მოვლენას. ქართულ სცენაზე დადგმულ მის პიესებს შორის განსაკუთრებული წარმატება ხვდა დრამას „ალკაზარ“, რომელშიც მგზნებარე გამოხატულება პოვა დემოკრატიული ესპანეთის ბრძოლამ ფაშისტური რეაქციის ბნელი ძალების წინააღმდეგ.

საბჭოთა ეპოქის ქართული დრამატურგიის მნიშვნელოვან ნაწარმოებთა შორის უნდა მოვიხსენიოთ აგრეთვე ვ. დარასელის „იკივიძე“, ს. მთვარაძის, გ. ნახუცრიშვილის და გ. ბერძენიშვილის მთელი რიგი პიესები.

სამამულო ომის პერიოდში ქართულ სცენაზე წარმატებით იქნა განსახიერებული ისტორიული წარსულის თემაზე დაწერილი ორი პიესა: ალ. სამსონიას „ბაგრატიონი“ და მ. ჯაფარიძის „ქამთაბერის ასული“. ეს ნაწარმოებნი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან როგორც მათში გამოსახული ისტორიული ეპოქებისა და მოვლენების, ისე ეარისა და მეტყველებს საშუალებათა მხრივაც. მაგრამ ორივე ამ პიესის ავტორებმა დრამატურგიული ნიჭიერების საყურადღებო თვისებანი გამოიჩინეს.

ქართული საბჭოთა დრამატურგიის ამ ნაწარმოებთა შორის, რომლებიც სამამულო ომის სწორუპოვარი ეპოპეისადმი არიან მიძღვნილნი, თემის სწორი დედური გააზრებით, სუფეტის სრულადრით და მთავარ გმირთა ხასიათების მკვეთრად გამართვით გამოირ-

ჩევიან გიორგი შატერაშვილის „ფიჭვის გორა“ და ილირ მსხმსეშვილის „სადგურის უფროსი“.

განსაკუთრებით ცხოველი გამოძახილი მოიპოვა მაყურებელთა შორის ილო მოსაშვილის პიესამ „სადგურის უფროსმა“. პოეტის ეს პირველი დრამატურგიული ნაწარმოები ამაღლვებულ სურათებში გვიხატავს იმ რაინდულ თავგანწირულებას და უბადლო სულიერ კეთილშობილებას, რომელიც გამოიჩინეს საბჭოთა აღამიანებმა ჩვენს სამშობლოში შემოჭრილი ფაშისტური ურდოების განდევნისა და განადგურებისათვის ბრძოლაში.



სოციალისტური რევოლუციის ეპოქაში ქართული საბჭოთა ლიტერატურის ყოველმა დარგმა თანაბარი აღორძინება და განუწყვეტელი შემოქმედებითი აღმაელობა განიცადა.

განსაკუთრებული მზრუნველობისა და ყურადღების საგნად იქცა საბავშვო ლიტერატურის ტანვითარება. მხოლოდ საბჭოთა წყობილებია წლებში მოხდა შესაძლებელი საბავშვო ლიტერატურის სპეციალური გამოცემლობის დაარსება, რაც უადრესად მნიშვნელოვანი ფაქტორია ლიტერატურის ამ დარგის შეუფერხებელი განვითარებისათვის. თითქმის ყოველი მნიშვნელოვანი ძალა თანამედროვე ქართული ლიტერატურისა მოდებოვებს საბავშვო მწერლობის დარგში. მაგრამ ქართულ საბავშვო მწერლობას ყავს ისეთი ძალებიც, რომელთაც თავისი შემოქმედებით ცხოვრების ერთადერთ, ან უმთავრეს სარბიელად საბჭოთა ლიტერატურის ეს ფრიალ მნიშვნელოვანი დარგი აურჩევიათ. ფართო პოპულარობა აქვთ მოხვეჭილი მოზარდ მკითხველთა შორის გამოჩენილ თანამედროვე

ქართველ საბავშვო მწერლებს: ნინო ნაკაშიძეს, ანა ხახუტაშვილს, მარი-ჯანს, ლილია მეგრელიძეს, ილია სიხარულიძეს და სხვ.

უმაგალითოდ განვითარდა საბჭოთა წყობილების წლებში მხატვრული თარგმანის ხელოვნება. ჩვენ მივალ-წიეთ არა მარტო ქართულ ენაზე მომ-მე ხალხთა და უცხოეთის კლასიკური, თუ თანამედროვე მწერლობის ნიმუშ-თა გამოცემის რაოდენობრივ მაჩვენებელთა ისეთ ზრდას, როგორც ყო-ვლად წარმოდგენელი და მიუღწევე-ლი იყო ძველად, არამედ მხატვრულ თარგმანის ოსტატობას დიდს ხარის-ხობრივ ამაღლებას.

დიდი ნაყოფიერებით და ნამდვილი შემოქმედებითი გზებით მოდგაწეო-ბენ მხატვრული თარგმანის დარგში: გერონტი ქიქოძე, კონსტანტინე ჭიჭი-ნაძე, კონსტანტინე გამსახურდია, იოსებ გრიშაშვილი, ილია აგლაძე, კო-ლაუ ნადირაძე, არისტო ჭუმბაძე, და-ვით გაჩეჩილაძე, ვახტანგ ჭელიძე, გრიგოლ ცეცხლაძე, მიქელ პატარიძე, გივი გაჩეჩილაძე, იროდიონ ქავეარაძე და სხვ.

მათ მსოფლიოს სხვადასხვა ხალხის კლასიკური თუ თანამედროვე მწერ-ლობის მრავალი ძვირფასი ნაწარმოე-ბით გაამდიდრეს მშობლიური ლიტე-რატურა. ზედმეტია ლაპარაკი ამ მუ-შაობის უდიდეს მნიშვნელობაზე ჩვე-ნი ნაციონალური კულტურის განვი-თარების თვალსაზრისით.

მხოლოდ საბჭოთა წყობილების წლებში ჩამოყალიბდა ერთიან მსოფ-ლმხედველობრივ საფუძველზე დამ-ყარებულ მეცნიერულ დისციპლინად ქართული ლიტერატურათმცოდნეობა. ფართო მასშტაბით გაიშალა უმდიდ-რესი ტრადიციების ქართული კლასი-კური მწერლობის გამოცემისა, შეს-წავლისა და პოპულარიზაციის საქმე.

ქართულ ლიტერატურის ისტორიის

სხვადასხვა პერიოდთა მეცნიერულ-მეცნიერული და გაშუქების საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღვნა მწერლებს კეკელიძეს, პაველ ინგოროყვას, გე-რონტი ქიქოძეს, ალექსანდრე ბარამი-ძეს, სიმონ ხუნდაძეს, კონსტანტინე კაპანელს, შალვა რადიანს, ლევან ასა-თიანს, სერგო ჭილაიას, გიორგი აბ-ზიანიძეს და სხვ.

ქართულ საბჭოთა მწერლობის იდეურ-შემოქმედებითი აღმავლობის საქმეში უაღრესი მნიშვნელობის როლს ასრულებდა და ასრულებს პარქისიტულ-ლენინური სალიტერა-ტურო კრიტიკა და ლიტერატუ-რულ-თეორიული აზროვნება. სალი-ტერატურო კრიტიკისა, ლიტერატუ-რის თეორიისა და პოეტიკის დარგში საბჭოთა ქართულ მწერლობის ისტო-რიის მთელ მანძილზე მოდგაწეობენ: შალვა რადიანი, გიორგი ჯიბლაძე, გიორგი ნატროშვილი, მამია დუდუჩა-ვა, აკაკი გაწერელია, დიმიტრი ბენა-შვილი, ივანე წულუკიძე, ერემია ას-ტვაცატუროვი. მათს ლიტერატუ-რულ-კრიტიკულსა და თეორიულ ნაწერებში შეფასება ეძლევა ქართუ-ლი საბჭოთა ლიტერატურის მიღწე-ვებსა და შექმდება ლიტერატურული ცხოვრების ძირითადი პრობლემები.



ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარებისა და აღდგენილი მდგომარეობის ეს კონსპექტური მი-მოხილვა მხოლოდ იმ მიზანს ისახავს, რომ მკითხველს თვალწინ გადაუშა-ლოს ზოგადი სურათი იმ შემოქმედ-ებითი მიღწევებისა და წარმატებებისა, რომლებიც ქართულმა მწერლობამ მოიპოვა სოციალისტური რევოლუ-ციის ეპოქაში, ლენინ-სტალინის პარ-ტიის ძლევამოსილი იდეების ზეგავ-ლენით, ჩვენს სამშობლოში სოცია-

ლიზმის მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის გააზრებათა ნიადაგზე.

ასეთი მიზანდასახულება გასაზრდევრავს ამ ნარკვევის ხასიათს და გააზრდევრავს აქ მოხსენებული მწერლებისა და აღნუსხული დიდძალი ლიტერატურული მასალის დაწვრილებითსა და ყოველმხრივს კრიტიკულ ანალიზს. თითოეული მწერლისა თუ მხატვრული ნაწარმოების აღნიშვნისას ამ მიმოხილვაში ჩვენ მხოლოდ იმ თვალსაზრისით ვხელმძღვანელობდით, თუ როგორი წვლილი შეიტანა ამათუნიმ მწერალმა, ან თისმა ამათიმა ხაწარმოებმა საბჭოთა ლიტერატურის საუკეთესო შემოქმედებითი ტრადიციების გამოთქმეებასა და გამტკიცებაში.

ამიტომ მიმოხილვაში ან სრულიად უგულვებელყოფილია, ან მკრთალად არის გაშუქებული ის ხარვეზები და ხაკლოვანებანი, რომლებიც ჩვენს მიერ აღნიშნულ დამსახურებებთან ერთად მეტი თუ ნაკლები ძალით ახასიათებს აქ მოხსენებულ თითქმის ყოველ მწერალს თავისი შემოქმედებითი ბიოგრაფიის ამათუნიმ საფეხურზე.

ამ გარემოებამ მკითხველი არ უნდა მიიყვანოს ისეთ უმართებულო დასკვნამდე თითქოს ქართული საბჭოთა მწერლობის განვითარებასა და მის დღევანდელ ვითარებას მხოლოდ მიღწევები და წარმატებანი ახასიათებდნენ. გარდა იმისა, რომ ქართული საბჭოთა ლიტერატურის აღმავლობის მთელი პროცესი სხვადასხვაგვარი ილუზორ შემოქმედებითი სიძნელეთა და წინააღმდეგობათა გადალახვის გზით მიემართებოდა, დღესაც, როგორც მთელს საბჭოთა მწერლობაში, ისე

ქართულ ლიტერატურაშიც საეჭვოა აღმოჩენილი როდია მწერლობის ნაკლოვანებანი, რომლებიც აღნიშნულია საკ. კ. პ. (ბ) ცხებრალური კომიტეტის უკანასკნელ დადგეილებებში ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე და ანხანაგ ა. ჟდანოვის მოხსენებაში ჟურნალების „ხევიდისა“ და „ლენინბრადის“ შესახებ.

ახლა ქართული საბჭოთა ლიტერატურის ძირითად ნაკლოვანებას წარმოადგენს სტალინური ეპოქის დიად საგმირო საქმეთა სრულფასოვანი ასახვის ამოცანისაგან ის საგრძნობი ჩამორჩენილობა, რომელზეც პირუთენელი სიმართლით მიგვითითა ქართველი ხალხის სახელოვანმა შეილმა ანხანაგმა ლ. პ. ბერიამ მის მიერ თბილისში 1946 წლის 5 თებერვალს წარმოთქმულ სიტყვაში.

ჩვენი ლიტერატურული ცხოვრების ეს მოკლე მიმოხილვაე დამარწმუნებლად გვიჩვენებს, რომ ქართულ საბჭოთა მწერლობას მოეპოება საკმაო შემოქმედებითი პოტენცია ამ ჩამორჩენილობის დაძლევისათვის, თავისი დიდი ისტორიული მოწოდების დონემდე ამაღლებისათვის. აქეთვენ უნდა იყოს და არის კიდეც მიმართული ახლა ქართული მწერლობის მთელი სასიცოცხლო და შემოქმედებითი ენერგია. ამ გზაზე მისი ახალი დიდი წარმატებების საწინდარს წარმოადგემს განვითარებისა და განუხრელი აღმავლობის ის განუსაზღვრელი შესაძლებლობანი, რომლებიც შეუქმნაკულტურის ყოველ დარგს და კერძოდ საბჭოთა ლიტერატურას სოციალისტური რევოლუციის დიადმა ეპოქამ.

აკად. ნ. ბარკინიძე

## აკადემიკოსი სიმონ ჯანაშია

★

მიმდინარე წლის 15 ნოემბერს გარდაიცვალა გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე აკადემიკოსი სიმონ ნიკოლოზის ძე ჯანაშია.

სიმონ ჯანაშიას მოღვაწეობა, თუმცა ხანმოკლე, ისეთი მრავალმხრივი, ნაყოფიერი და დიდმნიშვნელოვანი იყო, რომ ამ მოღვაწეობის რამოდენადმე სრული და შესაფერიანი შესწავლა-შეფასებისათვის ხანგრძლივი მუშაობაა საჭირო.

თავის დროზე ქართული საზოგადოებათმეცნიერების მუშაკთა კოლექტივი ასეთ შრომას უსათუოდ შეასრულებს. ამას მოითხოვს ქართული საბჭოთა კულტურის ინტერესები.

ამ იმედითაა, რომ დღეს ჩვენ ასე მცირე და ნაკლებ შენიშვნით ვკმაყოფილდებით.

სიმონ ჯანაშიას მამა ნიკო ჯანაშია სოხუმის რუსულ სკოლაში სწავლობდა. 1888 წელს ის გორის საოსტატო სემინარიაში შევიდა. ესეც რუსული სკოლა იყო, მაგრამ აქ, გორში, ქართული კულტურის კერა იქამდე ძლიერი აღმოჩნდა, რომ ახალგაზრდა ნიკიერმა მოსწავლემ გადალახა ხელოვნური დაბრკოლებანი, ცარიზმის მოხელე-მასწავლებელნი რომ უქმნიდნენ ქართული ენის შესწავლის მსურველს, დაეწყა მშობლიურ ქართულ კულტურას და მალე ნიკო ჯანაშია მგზნებარე ქართველი პატრიოტი

და თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწე დადგა. 90-იანი წლების გორის ქართველ საზოგადოებრივ მოღვაწეებთან (ნიკო ლომოური, თედო რაზიკაშვილი და სხვ.) მკიდრო ურთიერთობაში შემუშავდა ნიკო ჯანაშიას ეროვნულ-პოლიტიკური მსოფლმხედველობა.

ბრძოლა მშობელი ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, ბრძოლა ქართული კულტურის აღდგენა-გაძლიერებისათვის, ბრძოლა ცარიზმის მოხელე კოლონიზატორ-რუსიფიკატორთა წინააღმდეგ, — ეს იყო ნიკო ჯანაშიას და მისი თანამებრძოლთა სამოქმედო პროგრამა.

ამ ქართველი პატრიოტისა და საზოგადო მოღვაწის ოჯახში იშვა სიმონი 1900 წლის 18 ნოემბერს გურიაში (სოფ. მაკვანეთში), სადაც ამ დროს ნიკო ჯანაშია მასწავლებლობდა. დედა გურული ქალია.

ყრმობა სიმონ ჯანაშიამ ძველ სენაკში გაატარა. ნიკო ჯანაშია აქ სათავადაზნაურო სკოლაში მასწავლებლობდა 1901 — 1910 წლებში.

1910 — 1918 წლებში სიმონ ჯანაშია სოხუმშია. სწავლობს სოხუმის რეალურ სასწავლებელში. ამავე ხანებში მამამისი მასწავლებლობდა ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების სოხუმის ქართულ სკოლაში, რომელიც მანვე შექმნა თავდაუზოგველი შრომით.

— ეურნალ „მოამბეზე“ ვიზრდებო-

დიო — ხშირად უთქვამს ჩემთვის მას, მაგრამ, უძველესია, 1905 წელმა, რომელსაც მისი ყრმობა დაემთხვა, აგრეთვე ძლიერი გავლენა იქონია მომავალი მოლვაწის მსოფლმხედველობის შემუშავებაზე (— უცნაურად და გაუგებრად მეჩვენებოდაო, იტყოდა ხოლმე იგი, როცა ჩემი ტოლი ვინმე მემარჯვენე მიმართულების პარტიაში შედიოდა სამოლვაწიოდ).

რეალურ სასწავლებელში სიმონ ჯანაშია მასწავლებელთა განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდა. ის სამაგალითო მოწაფედ ითვლებოდა და არაერთი მასწავლებელი მას ბრწყინვალე მომავალს უქადავდა. *Per aspera ad astra* — სწერს ვინმე მასწავლებელი, აღტაცებული სიმონის ერთი სასკოლო წერითი ნამუშევრით.

1918 წელს სიმონმა საშუალო სასწავლებელი დაამთავრა. ამავე წელს მას მამა გარდაეცვალა (45 წლის პასაჟში) და მომავალი მოლვაწე დედასთან ერთად თბილისში გადმოვიდა, სადაც იმავე წელს ახლად გახსნილ ქართულ უნივერსიტეტში სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე ჩაერთო.

უნივერსიტეტში სწავლა სიმონმა 1922 წელს დაამთავრა, 22 წლის ახალგაზრდად, და იმავე წელს ი. ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ს მიერ იგი დატოვებულ იქნა საქართველოს ისტორიაში საპროფესოროდ მოსაზრადებლად.

1924 წელს ს. ჯანაშიას სულ ერთიანად გაუცდა მძიმე ფიზიკური ავადმყოფობის გამო. 1925 წელს მან შესძლო მეცადინეობის განახლება და 1926 წელს სადოქტორო ზეპირი გამოცდები ჩააბარა.

1926 წლიდანვე ს. ჯანაშია მოწვეულ იქნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აფხაზური ენის ლექტორად და ამავე დროს მას დაევალა საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობის კურსის წაკითხვა.

პირველი სამეცნიერო შრომა ახალგაზრდა მეცლევარმა *ქართული უნივერსიტეტის წიგნი* წელს დაბეჭდა.

ასე დაიწყო ს. ჯანაშიას სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობა.

ამხ. ს. ჯანაშია პირველი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა, კერძოდ, — მისი სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის პირველი. ეს ფაკულტეტი კი იმ დროს, ახალგაზრდა უნივერსიტეტში, უკეთ იყო მომარაგებული სამეცნიერო ძალებით, ვიდრე სხვა რომელიმე. და ეს გარემოება არც ძნელი ასახსნელია. უძველესი და მდიდარი ტრადიციების მქონე ქართული ისტორიულ-ფილოლოგიური მეცნიერება ცარიზმის დუხჭირ პირობებშიაც კი არ მოშვედარა. 70—90-ანი წლების ეროვნულ-დემოკრატიულმა მოძრაობამ მისი გამოცოცხლება გამოიწვია, ხოლო 905 წლის რევოლუციამ ახალი იდეების ცხოველმყოფელი ძალა შემატა ქართულ ისტორიულ-ფილოლოგიურ მეცნიერებას და მას ფართე სამოქმედო პოზიციონტიც გადაუშალა. XIX — XX საუკუნეში თანდათან წარმოიშვა და წაიზარდა ქართული ენათმეცნიერება, ქართული ლიტერატურათმცოდნეობა, ახალი ქართული ისტორიოგრაფია, ქართული ეთნოგრაფია, ქართული არქეოლოგია.

ასე რომ 1918 წელს თბილისის უნივერსიტეტის დაარსება ამ მხრით იყო ქართველთმცოდნეობის ხსენებული დარგების უფრო მაღალ საფეხურზე აყვანა. ახლადგახსნილ უნივერსიტეტში ქართულ ისტორიულ-ფილოლოგიურ მეცნიერებას სათავეში ჩაუდგინენ პეტერბურგის მაღალ ისტორიულ-ფილოლოგიურ სკოლა-გავლილი, მკაცრად დახვეწილი ქართველი მეცნიერები პროფ. ივ. ჯავახიშვილის მეთაურობით. მოსულთა და დამხდურთ შექმნეს თავდადებულ მეცნიერ-მასწავლებელთა ძლიერი კოლექტივი და ქართული

სიბრძნისმეტყველება დაჯერებული ნაბიჯით შეუდგა მეცნიერების აღმართს.

ი. ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ი. ყ ი ფ შ ი ძ ე, კ. კ ე ქ ე ლ ი ძ ე, ა. კ. შ ა ნ ი ძ ე, გ. ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი შეადგენდნენ ქართული ისტორიულ-ფილოლოგიური მეცნიერების ძირითად ბირთვს. ამათ უსმენდა სტუდენტი სიმონ ჯანაშია, ამათგანვე მიიღო მან მეცნიერული წრობა.

ს. ჯანაშიამ სანიმუშო მეცნიერულ-ტექნიკური შეიარაღება შეიძინა. ჯერ ისევ სტუდენტობა-ასპირანტობისას ის ჩინებულად დაეუფლა პეტერბურგის (აწ თ ბ ი ლ ი ს ი ს) ისტორიულ-ფილოლოგიური სკოლის მაღალ ტექნიკურ ხერხებს, რაც მან თავის პირველსავე ნაშრომებში გამოამჟღავნა.

მაგრამ ახალგაზრდა მეცნიერი ამას როდი დაკმაყოფილდა. მან გაბედულად იტვირთა სხვა შიკად საბატიო და პასუხისაგები საქმე. საკითხი შეეხება მ ა რ ქ ს ი ს ტ უ ლ ი შ ე თ ო დ ი ს დანერგვას საქართველოს ძველი ისტორიის კვლევის საქმეში.

საქმე ის გახლავთ, რომ XIX საუკუნის რუსიანსკრელ მისამოდში და XX საუკუნის დამდეგს შემოქმედებული ახალი დროის ქართული ისტორიოგრაფია ეხლა, სოციალიზმის გამარჯვების პირობებში, მცირედაც კი არ შეესაბამებოდა მარქსისტული მეცნიერების მოთხოვნილებას და ერთობ ჩამორჩენილად გამოიყურებოდა. ქართული ისტორიოგრაფია ძირითად გადახალისებას მოითხოვდა.

თუ რამდენად დიდი იყო საამისო მოთხოვნილება, იქიდანაც ჩანდა, რომ ამ ხანებში (საუბარი შეეხება ოცი-ოცდაათიანი წლების მიჯნას) არაერთმა ავტორმა სცადა საქართველოს ისტორიის მარქსისტულად გაშუქება. სიმწუხაროდ, თითქმის ყველა ასეთი ცდა მარცხით დასრულდა. ზოგი ავტორი საქართველოს ისტორიის სპეციალისტი არ

იყო, ზოგს კიდევ კვლევის მარქსისტული მეთოდის სწორი გამოყენება არ ეხერხებოდა. ცხადი იყო, რომ საქმის ღირსეულად წარმართვას ის შესძლებდა, ვინც თანაბრად კარგად დაეუფლებოდა როგორც ტექნიკურ ხერხებს, ისე სამეცნიერო კვლევის მარქსისტულ მეთოდს.

საქართველოს ისტორიის უბანზე მოუშვეთა შორის ს. ჯანაშია ერთი პირველთაგანი იყო, რომელიც თანაბრად აკმაყოფილებდა ზემოაღნიშნულ ორივე პირობას.

1932 წლიდან განსვენებული მეცნიერი აქვეყნებს მთელ რიგს ერთი მეორეზე უფრო საინტერესო, უაღრესად ორიგინალურ ნაშრომებს საქართველოს ისტორიიდან, მისი უძველესი პერიოდიდან. ამ ნაშრომებში ახალგაზრდა მეცნიერი, მის დრომდე არსებულ შეზღუდულობათაგან განსხვავებით (ივ. ჯავახიშვილი, ს. კაკაბაძე, გ. ნათაძე), სრულიად ახლებურად სვამს საქართველოს ისტორიის არაერთ საკვანძო საკითხს და ფაქტების ზარქსისტოლი ანალიზით და სანაქებო გონება-მაზგილობით გაბედულად აშუქებს მათ ახალ სინათლეზე.

ვამბობთ „გაბედულად“ მეთქი და აქ როდი ვაზარბებთ...

ს. ჯანაშიას მიერ მიღებულ დასკვნებში იმდენი იყო ახალი და მოულოდნელი, რომ აქამდე გაბატონებულ მეცნიერულ შეზიდულებებზე მიჩვეულ თელსა და გონებას ყველაფერი ეს დაუჯერებლად ეჩვენებოდა. ს. ჯანაშია ნიჭიერად, დინჯად და დიდის ცოდნით იცავდა მის მიერ წამოყენებულ დებულებათა სისწორეს.

დიდხანს გრძელდებოდა აზრთა სხვადასხვაობა (საბოლოოდ ის დღესაც არაა ამოწურული).

ამ კამათმა უდიდესი სარგებლობა მოუტანა ქართულ ისტორიოგრაფიას. მან უკიდურესად გაამახვილა მკვლევართა ყურადღება ისტორიის თეორი-

ულსა თუ ტექნიკურ საკითხებზე და დიდად წინ წასწია საქართველოს ისტორიის ამ ხანის შესწავლა, ამ საქმეში სიმონ ჯანაშიას უდავოდ წამყვანი როლი ეკუთვნის.

ხოლო ის გარემოება, რომ შემდგომში არქეოლოგიურმა გათხრებმა ამ მეცნიერის არაერთი მიხედვრა დაადასტურა, უცილობელი მოწმობაა მისი ბრწყინვალე ნიჭისა.

ჩვენ ამჯერად არა გვაქვს შესაძლებლობა თითოეულ ამ შრომას ცალკე შევეხთ (ასეთი ამოცანის შესრულება ჩვენ სხვა დროისათვის გვაქვს განზრახული). აქ კი ამ ნაშრომების მხოლოდ მარტივი აღნიშვნით დავეკმაყოფილებით. საქართველოს ისტორიის ამ უძველესი ხანის გაშუქებას უძღვნა ამხ. ს. ჯანაშიამ: „გვაროვნული წყობილება ქართველ ტომებში“, „საზოგადოებრივ კლასებისა და სახელმწიფოს წარმოშობა ქართველ ტომებში“, „ადრეული ფეოდალიზმი“, „საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე“, „ფეოდალური რევოლუცია საქართველოში“ და სხვ.

არსებული წყაროების სრულად გათვალისწინებით, ახალი მასალის (უპირატესად ენობრივი და ეთნოგრაფიული მასალის) უხვად მოპოვებით, ყველა ამის ისტორიულ მარქსისტული ანალიზით ს. ჯანაშიამ დიდად გაამდიდრა ჩვენი მეცნიერული ცოდნა ქართველ ტომებში საგვარეულო წყობილებაზე, ხოლო პირველმა აღნიშნა და უხვი მასალით დაამტკიცა, რომ ფეოდალური ურთიერთობა ქართველ ტომებში გაცილებით უფრო ადრე ჩასახულა და გაბატონებულა, ვიდრე ეს აქამდე წარმოდგენილი იყო ქართულ ისტორიოგრაფიაში.


სულ სხვა სახით, ვიდრე აქამდე იყო,

წარმოდგა ჩვენს თვალწინ არაერთი საკვანძო საკითხი საქართველოში ძველი ისტორიისა: ქრისტიანობის გავრცელება საქართველოში და მისი სახელმწიფო სარწმუნოებად გამოცხადება, ამ ფაქტის მკიდრო კავშირი ქართული საზოგადოების შიგნით არსებულ კლასობრივს თუ შინაკლასობრივ ბრძოლასთან, ქრისტიანობის გაბატონების დაკავშირება აღმავალი ფეოდალური კლასის ინტერესებთან, სპარსელთა მიერ მეფობის გაუქმება იბერიაში, როგორც აზნაურთა უცილობელი ბატონობის დამყარება, როგორც ფეოდალური ურთიერთობის საბოლოო გამარჯვების ნიშანი. ყოველივე ეს სრულიად ახალი სიტყვა იყო საქართველოს ისტორიის ამ უბანზე, სიტყვა არა დეკლარაციული, არამედ მეცნიერულ-მარქსისტული, უხვი ფაქტებით შემტკიცებული.

მაგრამ ს. ჯანაშიას მეცნიერული ინტერესები საქართველოს ისტორიაში ამით არ შემოფარგლულა.

საკითხი ქართველ ტომთა „პირველ-საცხოვრისის“ შესახებ, საკითხი ქართველ ტომთა ზოძრაობის შესახებ, საკითხი ქართველების წინაპართა შესახებ მახლობელ აღმოსავლეთში, იბერია-კოლხეთის ეთნიკურ-პოლიტიკური საზღვრების საკითხი ანტიკურ ხანაში, საკითხი კოლხეთ-იბერიის სახელმწიფოთა წარმოქმნის დროის შესახებ, — ამასა და სხვა ამ რიგის საკითხებს მიუძღვნა ამხ. ს. ჯანაშიამ არაერთი გამოკვლევა, სადაც მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის ღრმა შესწავლის საფუძველზე, ეროვნულ თუ უცხოურ ცნობათა კრიტიკული შეჯერებით და ენობრივ მონაცემთა ბრწყინვალე გამოყენებით სრულიად ახლებურად, მეცნიერული საბუთიანობით არის არაერთი პრობლემა დასმულ-გადაჭრილი.

აღნიშნული საკითხების შესწავლას ს. ჯანაშიამ მიუძღვნა გამოკვლევები:



„თუბალ-თაბალი, ტიბარე-  
ნო, იბერი“, „უძველესი  
ეროვნული ცნობა ქართ-  
ველთა პირველ-საცხოვრო-  
სის შესახებ მახლობელ აღ-  
მოსავლეთის ისტორიის სი-  
ნათლესე“, „მესხთა ტო-  
მის ისტორიიდან“, „კავკა-  
სიძელეთნარქეოლოგიების  
ანტიკური სქემა“.

მოპოვებული მასალის შესწავლის სა-  
ფუძველზე ს. ჯანაშიას შესაძლებლობა  
პრობა კატეგორიულად აღენიშნა, რომ  
„ხეობები და სუბარები ქართველების  
წინაპრები არიან“ (საქ. ისტორია  
1946 წ. გვ. 20), რომ „ხალდების ეთნი-  
კური ვინაობა სრულიად უმკვლეია:  
ისინი ქართველი ხალხის ერთ ნაწილს  
შეადგენდნენ“ (იქვე, გვ. 41).

ენათმეცნიერული ხასიათის გამოკე-  
ლევებში: „სვანურ ადიღურ  
(ჩერქეზული) ენობრივი  
შეხვედრები“, „ჩერქეზუ-  
ლი ელემენტი სპარტვე-  
ლოს ტოპონიმიკაში“ და  
„სპარტველოს ისტორიის  
უძველესი ქრონოლოგი-  
იდან ენობრივი მასალის  
მიხედვით“ ს. ჯანაშია შეეხება  
არა მარტო ლინგვისტიკურ საკითხს  
ქართველური და ადიღური ენების ნა-  
თესაობის შესახებ, არამედ შეისწავ-  
ლის ამ ენების მტარებელ ხალხთა გან-  
სახლებასა და ურთიერთ გავლენას.

აკად. ს. ჯანაშიამ რიგი გამოკვლევები  
მიუძღვნა იბერია-კოლხეთის ძატორი-  
ულ გეოგრაფიას. მათ საკითხებს ეხება  
მისი წერილები: „იბერიის (ქარ-  
თლის) სამეფოს პოლიტი-  
კური გეოგრაფიისათვის  
უძველეს პერიოდში“, „პა-  
რიადრი, სკიდისი, მოსხუ-  
რი მთები“ და სხვ.

აქ დასახელებულიდან პირველ წე-

რილში, ბერძნულ-ლათინური ცნობების  
ურთიერთ შეპირისპირების შედეგად  
ზე აღდგენილია ქართლის უძველესი  
პოლიტიკური საზღვრები, კერძოდ,  
ს. ჯანაშიას აზრით, ჩვენი წელთაღ-  
რიცხვის დამდეგს ქართლის ჩრდილოე-  
თი საზღვარი კავკასიონის მთავარ ქედ-  
ზე გადიოდა (დარილის კარი ამ დროს  
ქართველების ხელშია და მათ მიერაა  
გამაგრებული), აღმოსავლეთის საზღვა-  
რი ალაზნის ველზე, დასავლეთით სკან-  
და-შორაპნის ხაზზე, ხოლო სამხრეთით  
წყალგამყოფ ხაზზე მტკვარსა და  
არაქს შორის.

ამ წერილით ჩვენმა მეცნიერმა ბო-  
ლო ჩოულო ხსენებული საკითხის გარ-  
შემო აქამდე არსებულ შეუწყნარებელ  
მდგომარეობას. იყვენენ მეცნიერნი  
(დღესაც არიან), რომელნიც წყაროების  
ისეთ ინტერპრეტაციას გვაწვდიდნენ,  
რომ, სიმონ ჯანაშიასვე მოსწრებული  
ენით რომ ვთქვათ, „თუ იბერიის პოლი-  
ტიკური საზღვრების ამგვარ განმარ-  
ტებას დავეთანხმებოდით, მივიღებდით  
ორიგინალურს, — უთუოდ უნიკალურს  
მსოფლიო ისტორიაში, — ვითარებას,  
როცა ერთი სახელმწიფოს (ამ შემთხვე-  
ვაში იბერიის) დედაქალაქის (მცხეთის!)  
უდიდესი ნაწილი ორი უცხო სახელ-  
მწიფოს ფარგლებში მდებარეობს: ერ-  
თი მესამედი-სამეფო რეზიდენციის  
(არმაზი) შემცველი არმენიაში, მეორე  
მესამედი კი — (არაგვის მარცხენა ნა-  
პირი) — ალბანიაში“.

ზემოდასახელებულ მეორე წერილ-  
ში — „პარიადრი, სკიდისი,  
მოსხური მთები“ აკად. ს. ჯა-  
ნაშია უკუაგდებს ამ გეოგრაფიულ  
პუნქტების აქამდე მიღებულ ლოკალი-  
ზაციას და წყაროების (ქართულ-  
ბერძნულ-სომხური ჩვენებანი) კრიტი-  
კული შესწავლით ცდილობს დაადგი-  
ნოს რომ „სკიდისი ის მთებია, რომლე-  
ბიც გირესუნ-კერასუნტისა და ტრაბ-

ზონ-ტრაპეზუნტის ხაზზე გასდევს შავი ზღვის სანაპიროს, მოსხური მთები სკი-დისის გაგრძელებაა აღმოსავლეთისაკენ, გადაჭიმული ტრაპეზუნტ-ბაიბურდის ხაზიდან, ვიდრე ჭოროხის ქვემოწელამდე, პარიადრი კიდევ—ყველაზედ დასავლეთით მდებარე ნაწილი“.

დასახლებული მთების ასეთ ლოკალიზაციას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რამდენადაც ამ ოროგრაფიული ობიექტების ზიხედვითაა განსაზღვრული არაერთი სარწმუნო მითითება ქართველთა განსახლებისა და მათი სამოქალაქო ცხოვრების ისტორიიდან.

ქართველთა უძველეს განსახლებისა და პოლიტიკური ცენტრის საკითხს შეეხო აკად. ს. ჯანაშია აგრეთვე სპეციალურ ნარკვევში: „აღმოსავლურ ქართული სახელმწიფოს უძველესი კულტურული პოლიტიკური ცენტრები სსკითხისათვის“. ავტორი არკვევს, რომ ძველი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნის დამდეგისათვის იბერიის (ქართლის) სამეფო სწვდება სამხრეთისაკენ ჭოროხის ხეობის ქვემო წელსა და ჭანეთის (მოსხურ) მთებს, ე. ი. უკვე შეიცავს საშუალო საუკუნეების „ზემოქართლსაც“, რომლის პოლიტიკური ცენტრი მცხეთა იყო.

აკად. ს. ჯანაშიას ინტენსიური ყურადღების საგანი იყო აგრეთვე კოლხეთის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები. ამ პრობლემას მიუძღვნა მან ნაშრომი „კოლხეთის ისტორიული გეოგრაფიიდან“, რომლის მხოლოდ ერთი თავის—„ფასილი“ — გამოქვეყნება-და დასცალდა ავტორს. ისტორიული გეოგრაფიის საკითხებისადმი მიძღვნილი გამოკვლევებით ს. ჯანაშია ცდილობს დაადგინოს ქართველ ტომთა გეოგრაფიული განსახლების უწყვეტი სურათი; ახსნას ქართველ ტომთა მოჩვენე-

ბითი გადმოსახლება ქვემოტრაპეზუნტის პოლიტიკურ ცენტრების განსახლება დადგინება და გადალახოს ის დაბრკოლებანი, რომელნიც ხელს უშლიდნენ ქართველ ტომთა გეოგრაფიული განსახლების საკითხის სწორ გაგებას.

საქართველოს ისტორიის ძველი და უძველესი ხანის გვერდით ს. ჯანაშია უყურადღებოდ არც მის შუა ხანას სტოვებს. საქართველოს შუა საუკუნეების ისტორიის შეეხება მისი საუკუნადღებო, მონოგრაფია „არაბთა საქართველოში“. მსოფლიო ისტორიულ ლიტერატურაში არსებული მასალების ორიგინალურ ქართულ ცნობებთან შეჯერების საფუძველზე ს. ჯანაშიამ ზედმიწევნით შეისწავლა და სრულიად ახლებურად გააშუქა რიგი მნიშვნელოვანი საკითხები არაბთა მფლობელობიდან (საქართველოში არაბთა ბატონობის დამყარების თარიღი, არაბთა მფლობელობის რაობა, საადგილზემყოფი ურთიერთობის საკითხი არაბთა მფლობელობის პირობებში, პოლიტიკური და სოციალური ურთიერთობის საკითხები არაბობის დროს და სხვ.).

შუა საუკუნეებსავე შეეხება აკად. ს. ჯანაშიას გამოკვლევა „ქართული პატრონყმობის წარმოშობისა და ბუნების საკითხისათვის“. (ამ გამოკვლევების მხოლოდ თეზისები დაიბეჭდა) და „ბარათაშვილების გენეალოგიისათვის“. ამ უკანასკნელ ნაშრომში ავტორი მასალის ლინგვისტური ანალიზის მოშველიებით ცდილობს დაადგინოს შინაკოლონიზაციის საინტერესო ისტორიული სურათი შუასაუკუნეების საქართველოში.

ჩვენ იძულებული ვართ გვერდი ავუაროთ ავტორის არაერთ ისტორიულ წერილს. ოღონდ ზოგიერთის მოუხსენებლობა აქაც არ ეგების.



თავისი მრავალი წლის საკვლევო-სა-  
 ზეცნიერო მუშაობის შედეგები აკად.  
 ს. ჯანაშიამ ისტორიის სისტემატური  
 კურსის სახით მოგვცა შრომაში: „სა-  
 ქართველოს ისტორია უძ-  
 ველესი დროიდან X საუ-  
 კუნემდე“ (ეს შრომა დაიწერა  
 მრავალტომიან „საბჭოთა კავშირის ის-  
 ტორიისათვის“).

სიმონ ჯანაშია თანავტორია სა-  
 ქართველოს ისტორიის სახელ-  
 მძღვეანელოსი. მაგრამ ის  
 ამავე დროს ამ სახელმძღვეანელოს რე-  
 დაქტორია, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ  
 წიგნის შექმნის მთავარი სიმძიმე ს. ჯა-  
 ნაშიას აწვა მხრებზე.

აკად. ს. ჯანაშიას ისტორიული ხასია-  
 თის შრომებიდან ცალკე უნდა აღინიშ-  
 ნოს გამოკვლევა: „ქართველი  
 ერის წარმოშობა სტალინი-  
 ის მოძღვრების სინათ-  
 ლეზე ნაცის შესახებ“. ეს  
 გამოკვლევა საჯარო მოხსენებების სა-  
 ხით ფართოდ გავრცელდა ჩვენს საზო-  
 გადოებაში და მისი ძირითადი დასკვნე-  
 ბი „საქართველოს ისტორიის სახელ-  
 მძღვეანელოში“ შევიდა. აკად. ს. ჯანა-  
 შიამ ამ მეტად მნიშვნელოვან გამოკვ-  
 ლევაში მოგვცა ქართველი ერის წარ-  
 მოშობის სტალინური გაგება. დიდი  
 ფაქტიური მასალის ზომველიებით ავ-  
 ტორმა გვიჩვენა, „რომ არავითარი სა-  
 ფუძველი არ არსებობს, როგორც ამას  
 ზოგიერთი ავტორი ჩადის, თითქოს  
 ერის წარმოქმნის პროცესი საქართვე-  
 ლოში, ან საერთოდ კავკასიაში, უჩვეუ-  
 ლოს რასმე წარმოადგენდა და XIX  
 საუკუნის ფარგლებში მიმდინარეობდა.  
 ამ ავტორებს უთუოდ ავიწყდებათ, რომ  
 „ერი ყალიბდება მხოლოდ ხანგრძლი-  
 ვი და რეგულარული ურთიერთკავში-  
 რის შედეგად, ადამიანთა ერთად ცხოვ-  
 რების შედეგად თაობიდან თაობამდე“  
 (სტალინი), — (საქ. ისტორია, გვ. 12).

აკად. ს. ჯანაშია მეცნიერების არა  
 მარტო ერთგული მსახური მყოფი მრავალწი-  
 ის იყო ამავე დროს მისი ზრუნველობა  
 სიწმინდის ერთგული დარაჯიც. მას  
 უკიდურესად სძაგდა ზედამირულობა  
 მეცნიერებაში, ყოვლად დაუნდობელი  
 იყო მეცნიერების გამყალბებელთა მი-  
 მართ და დაურიდებლად ამბოხებდა  
 ყალბისმკნელთ. ასეთია მისი რეცენ-  
 ზიები სსრკ ხალხთა ისტორიის სახელ-  
 მძღვეანელოზე უმაღლესი სკოლებისათ-  
 ვის და ტოკარსკის ნაშრომზე  
 „Архитектура древней Армении“.

აკად. ს. ჯანაშიას მეცნიერული  
 ცხოვრება საკუთრივ ისტორიის საკით-  
 ხებით არ ამოიწურებოდა. სიმონი გან-  
 საკუთრებით ახლო იდგა არქეოლო-  
 გიასთან. საქართველოს ახალგაზრდა  
 არქეოლოგიის ზრდის საქმეში სიმონ  
 ჯანაშიას საპატიო ღვაწლი მიუძღვის.  
 ხოლო მცხეთა-არმაზის დიდი არქეო-  
 ლოგიური აღმოჩენები, ახალ ეპოქას  
 რომ ქმნიან ქართველი ხალხის ისტო-  
 რიაში, მის სახელთან განუყრელადაა  
 დაკავშირებული.

აკად. ს. ჯანაშიას მნიშვნელობა ქარ-  
 თული საბჭოთა მეცნიერებისათვის სხვა  
 მხრივაც დიდი იყო. ს. ჯანაშია დიდი  
 საქმის ორგანიზაციის განსაკუთრებული  
 ნიჭით იყო დაჯილდოვებული. არავის  
 ჩვენს წრეში ისე, როგორც მას, არ  
 შეეძლო თავი გაერთო ურთულესი  
 ორგანიზაციული საქმისათვის, არავის  
 ისე, როგორც მას არ შეეძლო მოეზიდნა  
 და ამეშუაებინა მეცნიერული ძალები  
 რაიმე ამოცანის გადაწყვეტისათვის.  
 ამით იყო, რომ სიმონ ჯანაშიამ აგრე  
 გამართლა ნდობა — ამხანაგ ლ. პ. ბე-  
 რიასი, რომელმაც ეს მეცნიერი შეარ-  
 ჩია მისივე ინიციატივითა და უშუალო  
 მითითებებით შექმნილი მსხვილი სა-  
 მეცნიერო დაწესებულების — აკად. ნ.  
 მარის სახელობის ენის, ისტორიისა და  
 პატერიალური კულტურის ინსტიტუ-  
 ტის ხელმძღვეანელად.

განსაკუთრებით აღსანიშნავია აკად. ს. ჯანაშიას რედაქტორული მუშაობა. ინსტიტუტის სამეცნიერო პროდუქციის მრავალი ტომი ს. ჯანაშიას უშუალო მეთვალყურეობის ქვეშ დაიბეჭდა. ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა ნაშრომებს ს. ჯანაშია დიდი მოთმინებით, ენერგიის დაუზოგავად და დიდის გულსყურით ხშირად არსებითად ასწორებდა, ხეწავდა, აშალაშინებდა. განსვენებული მეცნიერ-რედაქტორის ხელში ნაკლულ-გაუმართავი ნაშრომი სწორდებოდა, ხოლო მისი ავტორი, ახალგაზრდა მეცნიერი მუშაკი სწავლობდა და იზრდებოდა.

მაგრამ ს. ჯანაშიას რედაქტორულ დახმარებას არა მარტო ახალგაზრდანი საქიროებდნენ. არაერთი ცნობილი ავტორის შრომის, დღეს დასახლებმა შეიძლება, რომელთა ღირსებაში ს. ჯანაშიას არსებითი წილი უდევს.

დიდ საორგანიზაციო და ინტენსიურ მეცნიერულ მუშაობასთან სიმონ ჯანაშია მნიშვნელოვან პედაგოგიურ მუშაობას ათავსებდა. 1926 წლიდან მოკიდებული სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე ის საქართველოს ისტორიის კათედრის მუშაკი იყო, აქედან ათი წლის განმავლობაში — კათედრის გამგე. ასე რომ თბილისის სახ. უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის მშენებლობაში ს. ჯანაშიას ღვაწლი ფრიად საბატიოა. ასეთივეა მისი ღვაწლი კათედრის მეცნიერულსა თუ პედაგოგიურ მიღწევებში.

დიდია სიმონ ჯანაშიას ღვაწლი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ორგანიზაციის საქმეში. აკადემიის დაარსების დღიდან სიმონ ჯანაშია მისი

ნამდვილი წევრი და ვიცე-პრეზიდენტი იყო. ამ პასუხსაგებ დაწინაურებული ნაყოფიერად მუშაობდა უკანასკნელ დღემდე და მუდამ არსებით გავლენას ახდენდა ქართული მეცნიერების ამ შტაბის მთელ საქმიანობაზე.

ბრწყინვალე მეცნიერი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე სიმონ ჯანაშია უანგარო სამჭოთა პატრიოტი — მოქალაქე იყო. ომისას თუ მშვიდობიანი მშენებლობისას ის მთელი სულით და გულით სამჭოთა ხალხთან, პარტიასა და ხელისუფლებასთან იყო.

შთამგონებელი ზეპირი სიტყვით თუ ბასრი კლმით ის თავდაუზოგველად იბრძოდა სამჭოთა საშრობლოს სამხედრო თუ სამეურნეო გამარჯვებებისათვის.

უსაზღვრო იყო ს. ჯანაშიას სიხარული, როდესაც მას, საქართველოს ისტორიკოსს, ბედნიერება მიეცა ანგარიში მოეთხოვა ჩვენი საშრობლოს გამაოხრებელი თურქეთისათვის. კარგად ზედავდა ჩვენი მეცნიერი, რომ საქართველო ეხლა, სოციალისტურ რესპუბლიკათა ძმურ კავშირში, გრძნობს რეალურ ძალას იმისათვის, რათა თავისი კუთვნილი მიწაწყალი მოკეთხოს მიმტაცებელთ.

ყველა ამასთან სიმონ ჯანაშია განსაკუთრებული მიზნიდგელი პირადი თვისებებით უხვად იყო დაჯილდოვებული: გულისხმიერი ხელმძღვანელი, ყველასთან თავზიანი და მორიდებული ადამიანი, მოყვარული მეგობარი, ძვირფასი ამხანაგი, პრინციპიანი მოქალაქე, მეცნიერი ბოლშევიკი.

პარტიამ და ხელისუფლებამ ღირსეულად შეუფასა შრომა ერთგულსა და მაღალნიჭიერ მეცნიერსა და მოქალაქეს:

1941 წელს ს. ჯანაშია ლენინის ორდენით დააჯილდოვეს;

1944 წელს ის კვლავ დააჯილდოვეს ლენინის ორდენით;

ხოლო 1945 წელს — შრომის წითელი დროშის ორდენით და მედლით: „კავკასიის დაცვისათვის“;

1946 წელს საქ. სსრ უზღვევის საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით აკად. ს. ჯანაშიას მიენიჭა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება;

1947 წელს მას მეორეჯერ მიენიჭა სტალინური პრემია.

1939 წელს თბილისის მშრომელებმა

ის აირჩიეს ქალაქის საბჭოს დეპუტატად. ხოლო 1946 წელს სსრკ-ის საარჩევნო რაიონის მშრომელებმა ამა ს. ჯანაშიას საკავშირო უმაღლეს საბჭოს დეპუტატად აირჩიეს.

მეტად ხანმოკლე, თუმცა ბრწყინვალე და განსაკუთრებით შინაარსიანი, იყო სიმონ ჯანაშიას ცხოვრება. მეტისმეტად ადრე შეწყდა ამ შესანიშნავი მეცნიერის და მოქალაქის მრჭეფარესი-ცოცხლე, მაგრამ ამ მცირე დროშიც მან იმდენი გააკეთა, რომ პირნათელი წარს-დგა სამშობლოს კეთილდღეობისათვის მებრძოლ და დამაშვრალ გმირთა წინა-შე, მოაწმინდას რომ განისვენებენ.

როსტომ ბელოძე

## ზაქარია ფალიაშვილი—ქართული საოპერო ხელოვნების უმკაცრესი

★

ჩვენი ხალხი ზეიმით აღნიშნავს დიდი ქართველი კომპოზიტორის ზაქარია ფალიაშვილის დაბადებიდან 75 წლისთავს, რაც მიმდინარე წლის დეკემბერში შესრულდა.

რაც დრო გადის, სულ უფრო დაუფრო ნათელი ხდება ამ გენიალური შემოქმედის უდიდესი როლი და მნიშვნელობა ქართული მუსიკალური კულტურის განვითარების საქმეში.

მრავალსაუკუნოვანმა ქართულმა მუსიკალურმა კულტურამ ზაქარია ფალიაშვილის შემოქმედებაში პირველად პოეზია თავისი პროფესიული გამოსახულება.

ზაქარია ფალიაშვილი არის ქართული ნაციონალური მუსიკალური ენის დამამკვიდრებელი, ქართული საოპერო ხელოვნების ფუძემდებელი და მისი ღირსშესანიშნავი წარმომადგენელი.

ფალიაშვილის განსაკუთრებული ოსტატობის მეშვეობით ჩვენი მუსიკალური კულტურა შორს გასცილდა ეროვნულ ჩარჩოებს და საბჭოთა კავშირის ხალხთა კულტურულ საგანძურში უდიდეს განძს წარმოადგენს. მეტიც, ზაქარია ფალიაშვილის შემოქმედება, კერძოდ—მისი უკვდავი ოპერა „აბესალომ და ეთერს“ გვევლინება როგორც მსოფლიო მუსიკალური კულტურის ერთერთი უმაღლესი მწვერვალი.

მწელია დაასახელო XX საუკუნის რომელიმე სხვა კომპოზიტორის საოპერო ნაწარმოები, რომელიც „აბესალომ და ეთერს“ გვერდში ამოუდგებოდეს.

ზაქარია ფალიაშვილმა შექმნა არა მარტო ჰემმარიტად ქართული მუსიკალური ხელოვნება, რომელიც აამეტყველა ყველა ერისათვის გასაგებ ენაზე; მან ჩამოაყალიბა გარკვეული მუსიკალური სკოლა, მკვიდრი საძირკველი ჩაუყარა საბჭოთა ქართულ მუსიკალურ ხელოვნებას. ამიტომაც რომ ზაქარია ფალიაშვილი ჩვენი ხალხის ეროვნულ სიამაყეს წარმოადგენს.

ზაქარია პეტრეს-ძე ფალიაშვილი დაიბადა ქალაქ ქუთაისში 1872 წლის 4 აგვისტოს. თავის ჩვიდმეტ დამბათა შორის ზაქარია გამოირჩეოდა განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭით. მისი შემოქმედებითი უნარის გამოვლენა-განვითარებას, გარდა ოჯახური გარემოებისა, ხელს უწყობდა ხალხურ მუსიკასთან სიახლოვე. იგი ხშირად ესწრებოდა იმ გუნდის რეპეტიციებსა და კონცერტებს, რომლებსაც ხელმძღვანელობდა იმ დროს ცნობილი მომღერალი ფილიმონ ქორიძე.

ცნობისმოყვარე ბუნება ფალიაშვილისა ყოველთვის მიიღტვოდა მისთვის ჯერ კიდევ საიდუმლოებით მოცული რთული მუსიკალური ხელოვნების შეცნობისაკენ.

ქეთისში ორკლასიანი სკოლის დამთავრების შემდეგ ზაქარია ფალიაშვილი გადმოჰყავთ თბილისში. 1891 წელს იგი იწყებს სწავლას მუსიკალური სასწავლებლის საკომპოზიციო კლასში. პარალელურად მუშაობს ორლანოზე დამკვრელადც.

მოწაფეობის წლებში ზაქარია ფალიაშვილი სდგამს თავის პირველ ნაბიჯებს კომპოზიციის დარგში. აქ იგი თხზავს თავის საფორტეპიანო სონატის პირველ ორ ნაწილს, მთელ რიგ საგუნდო ნაწარმოებებს და რომანსებს. ასევე გულმოდგინედ მუშაობს ქართული და რუსული ხალხური სიმღერების დამუშავებისათვის.

1900 წელს ფალიაშვილი ამთავრებს მუსიკალურ სასწავლებელს. ამ დროისათვის გუნდის ჩამოყალიბების საქმეში მას უკვე საკმაო გამოცდილება აქვს. სულ მალე ის აწყობს ქართული მუსიკის მთელ რიგ კონცერტებს და შეგროვილი ფულით მიემგზავრება მოსკოვს მუსიკალური ცოდნის გასაღრმავებლად.

მოსკოვის კონსერვატორიაში ზაქარია ფალიაშვილი სამი წლის მანძილზე სწავლობდა პოლიფონიური მუსიკის ცნობილი ოსტატის, კომპოზიტორ ტანეევის ხელმძღვანელობით. ფალიაშვილმა ტანეევის წყალობით შეითვისა რუსული და დასავლეთ ევროპული მუსიკალური ხელოვნების საუკეთესო ტრადიციები. მაგრამ იგი არ დაკმაყოფილდა მოსკოვის კონსერვატორიაში მიღებული უმაღლესი მუსიკალური განათლებით. სამშობლოში დაბრუნებული გატაცებით დაეწაფა მსოფლიო მუსიკალური კულტურის საუკეთესო ნიმუშებს.

თბილისში დაბრუნებისთანავე ზაქარია გულმოდგინედ შეუდგა შემოქმედებითსა და პედაგოგიურ მუშაობას. აქედან მოყოლებული თავისი სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე ფალიაშვი-

ლი ეწეოდა ენერგიულ პედაგოგიურ მუშაობას თბილისის სხვადასხვა მუსიკალურ სასწავლებლებში და კონსერვატორიაში, რომლის ტანეევის კლასში იგი იყო მთელი რიგი წლების მანძილზე.

აღსანიშნავია ფალიაშვილის მეტად ნაყოფიერი საზოგადოებრივი მოღვაწეობა საქართველოში მუსიკალური განათლების გასაერცლებლად. მისი უშუალო და აქტიური მონაწილეობით 1905 წელს თბილისში ჩამოყალიბდა ქართული ფილარმონიული საზოგადოება, რომელსაც წლების განმავლობაში თვითონვე ხელმძღვანელობდა.

ხალხური მუსიკალური კულტურის შესწავლის, აღდგენისა და განვითარების მიზნით ფალიაშვილმა შემოიარა თითქმის მთელი საქართველო. დაუღალავად აგროვებდა ფოლკლორულ მასალებს, რომლებიც შემდეგში მისი შემოქმედებითი შთაგონების პირველ წყაროდ იქცა.

ჩვენმა მთავრობამ ღირსეულად შეაფასა ზაქარია ფალიაშვილის უდიდესი ღვაწლი ქართული მუსიკის განვითარების საქმეში და მას 1925 წელს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო არტისტის მაღალი წოდება მიანიჭა.

ზ. ფალიაშვილი გარდაიცვალა 1933 წელს 16 ოქტომბერს 61 წლისა.

აი ასეთი დამაბული შემოქმედებითი ცხოვრების გზა განვლო დიდმა ქართველმა კომპოზიტორმა ზაქარია ფალიაშვილმა.

ინტერესმოკლებული არ იქნება მოკლედ გავეცნოთ იმ საზოგადოებრივი გარემოცვის ფონს, რომელშიაც მიმდინარეობდა კომპოზიტორის ცხოვრება და შემოქმედება.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან მოყოლებული, ნაციონალური გათვითცნობიერება და თვითგამორკვევა ქართული ეროვნული კულტურის განვითარების ერთერთ მამოძრავებელ და

მასაზრდოვებელ წყაროს წარმოადგენდა. ამ პერიოდს ეკუთვნის ქართული თეატრის აღორძინება, რაც ცნობილი დრამატურგისა და რეჟისორის გიორგი ერისთავის სახელთან არის დაკავშირებული.

ახალმა სულისკვეთებამ თავი იჩინა ხელოვნების ყველა დარგში. დიდი ილიას თაოსნობით ლიტერატურა ხდება უძლიერესი იარაღი მომავალი თაობის სულისკვეთებისა და მისწრაფებების გამოსახატავად, ცხოვრების გაუმჯობესებისათვის საბრძოლველად. ამ ახალმა იდეურმა ტალღამ, რომელმაც ამოძრავა იმდროინდელი მოწინავე ინტელიგენცია, წინ წამოსწია მთელი რიგი მოღვაწეები მუსიკის სფეროშიც.

პირველი თაობა ქართველი კომპოზიტორებისა—მელიტონ ბალანჩივაძე, ია კარგარეთელი, ნიკო სულხანიშვილი, დიმიტრი არაყიშვილი, ზაქარია ფალიაშვილი წარმოადგენდა იმ მოწინავე ჯგუფს, რომელიც იბრძოდა ეროვნულობისა და ხალხურობისათვის ხელოვნებაში.

მელიტონ ბალანჩივაძისა და ია კარგარეთელის მთელი შემოქმედება მიეკუთვნება ქართული აკადემიური მუსიკის წინა პერიოდს, ქართული მუსიკალური ენის ძიების პერიოდს. ქართული მუსიკის დიდი მოამაგის თვით დიმიტრი არაყიშვილის შემოქმედებაშიც კი ჯერ კიდევ საბოლოოდ არ იყო ჩამოყალიბებული ქართული საოპერო მუსიკალური ენა.

რაც შეეხება ზაქარია ფალიაშვილის, მის შემოქმედებაში ქართული მუსიკალური კულტურა პირველად ამეტყველდა სრულყოფილი, პროფესიული, ქვეყნობრივად ქართული ენით.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ზაქარია ფალიაშვილმა ქართული მუსიკალური კულტურა გამოიყვანა საერთაშორისო მუსიკის ფართო ასპარეზზე, რასაც ჩვენ უნდა ეკმადალოდეთ

როგორც მის შემოქმედებით გენიას, ისევე ქართული ხალხური შემოქმედების დაუშრეტელ წყაროსთან.

სწორედ ამ ხალხურობაშია ის ძირითადი საფუძველი, რომლის ნიადაგზე აღმოცენდა და გაიღვა ღრმა ფესვები, აყვავდა და გაიფურჩქნა დიდი კომპოზიტორის ფალიაშვილის მთელი შემოქმედება.

ზაქარია ფალიაშვილი იყო ღრმა მოაზროვნე, დიდი მცოდნე ხალხის ფსიქოლოგიისა და სულისკვეთებისა, ხალხური მუსიკალური ენისა და მისი ინტონაციისა.

ზაქარია ფალიაშვილი სავსებით სამართლიანად აღნიშნავდა, რომ ყოველმა ქვეყნობრივად ხელოვანმა უნდა გარდაქმნას, შეასწოროს და დაავიზგინოს ის მხატვრული სახე, რომელიც ხალხურმა შემოქმედებთმა ფანტაზიამ შექმნა.

ქართველ კომპოზიტორებს შორის ის იყო პირველი, რომელმაც გენიოსის უდიდესი გამბედაობით ესოდენ ფართოდ დაუკავშირა ინდივიდუალური შემოქმედება ქართული სიმღერის პოლიფონიის ღირსშესანიშნავ თვისებებს.

თავისი გამჭრიახი გონებითა და საოცარი ინტუიციით ფალიაშვილმა ხალხურ სიმღერებს დაუბრუნა ის ბრწყინვალეობა, რომელიც ყველა მსმენელს ყოველთვის ხიბლავს, როგორც ჩვენი ერის გულის სიღრმიდან მონადენი ჰანგთა ეღერა. კომპოზიტორის ესოდენ მჭიდრო ურთიერთობა მშობლიურ ხალხურ შემოქმედებასთან შედეგია მისი შეგნებული რწმენისა. ფალიაშვილს სწამდა, რომ ერი, რომელსაც მუსიკალური კულტურა გააჩნია, შესძლებს ასევე უდიდესი მუსიკალური ნაწარმოებების შექმნას. მაგრამ თუ ხალხს არ გააჩნია საკუთარი შემოქმედება, მაშინ იქ არ არის ნიადაგი აკადემიური მუსიკალური ხელოვნების აღმოსაყენებლად. ზაქარია ფალია-

შვილი ამ დებულებას საკმაოდ დამაჯერებელი ფაქტებით ამტკიცებს. ინგლისური, ამერიკული და იაპონური მუსიკალური ხელოვნების შესახებ იგი სწერს, რომ „ამ ქვეყნების ხალხური მუსიკა უმნიშვნელოდ არის განვითარებული და, რაც კი შეუქმნიათ მათ, დაბალი გემოვნებით ხასიათდება. თუ კი როდისმე მოისმენთ ამ ქვეყნების კარგი კომპოზიტორების ნაწარმოებებს, ან გამოჩენილი არტისტების შესრულებას, ისინი უმეტეს შემთხვევაში უცხოელები არიან“.

მაგრამ ფალიაშვილს ხალხური მუსიკა მხოლოდ პრაქტიკული გამოყენების ობიექტად არა ჰქონდა მიჩნეული. ის სთვლიდა, რომ ხალხური მუსიკის თეორიული შესწავლითა და დამუშავებით შეიძლება ძვირფასი საგანძური შეემატოს მსოფლიო მუსიკალურ კულტურას.

ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების ღრმა და ყოველმხრივ შესწავლასთან ერთად, ფალიაშვილმა ასევე საფუძვლიანად აითვისა რუსული და დასავლეთ ევროპული მუსიკალური კულტურის ყველა მიღწევა, მაგრამ მისი შემოქმედების განმასხვავებელი თვისება იმაში მდგომარეობს, რომ მან კი არ გადმოიღო ზოგად-ევროპული მუსიკალური ტრადიციები, არამედ საკუთარი მძლავრი შემოქმედებით მშობლიური კულტურა აიყვანა იმდროინდელი ევროპული მუსიკის დონეზე ეროვნულ თავისებურებათა სრული შენარჩუნებით.

აი რას სწერს თვით ფალიაშვილი ამ საკითხზე ავტობიოგრაფიაში:

„ჩემი თავი და თავი მიზანი და მისწრაფება ყოველ ჩემს მუშაობაში ყოფილა და მუდამაც იქნება, რომ ქართული ჰანგების ჰარმონიზატორმა თუ შემთხვევლმა არას გზით არ უნდა უღალატოს იმ პრინციპს, რომელიც თავდაპირველთაგანს წარმოადგენს

ხალხური ჰანგების დამუშავებაში ჩუქურთმის მეთოდს. ეს პრინციპი განსაკუთრებით მთლიანად დაკვირვებას ითვალისწინებს ქართული კოლორიტისა, რაც თვით ხალხის გულიდანაა აღმონადენი, რასაკვირველია ყველაფერი ეს ევროპულ ანუ უკეთ რომ ესთქვათ, მსოფლიო მუსიკალურ ფორმებში ჩაშოყალიბებული მისივე კანონზე დამყარებული და ტექნიკურად შემუშავებული უნდა იყოს“.

ზაქარია ფალიაშვილის ისტორიული დამსახურება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მან ამ გზით ქართული მუსიკალური კულტურა დააყენა პროფესიონალიზმის მყარ ნიადაგზე.

ჯერ კიდევ სიცოცხლეშივე ზაქარია ფალიაშვილი აღიარებული იყო როგორც კლასიკოსი კომპოზიტორი; მას ქართველი გლინკაც უწოდეს.

ეს ძირითადში მართებული აზრი საჭიროებს ერთგვარ შესწორებას.

გლინკას, როგორც რუსული ჩაიონალური აკადემიური მუსიკის ფუძემდებელს, ჰყავდა თავისი წინამორბედების მთელი პლეადა (ბორტნიანსკი, გურილოვი, ვერსტოვსკი, კავოსი და სხვანი); ისინი ადრევე ცდილობდნენ რუსული მუსიკალური ხელოვნება გაეთავისუფლებინათ უცხო გავლენისაგან. თვით ოპერა „ივან სუსანინის“ შექმნის ცდები კომპოზიტორ კავოსის მიერ ადრევე იყო ჩატარებული; ოპერაში თავანკარა რუსული ხალხური სიმღერებიც იყო გამოყენებული. გლინკას ამ მხრივ ნიადაგი თითქმის ყოველმხრივ მომზადებული ჰქონდა. რუსი ხალხი უცდიდა გაბედულ რეფორმატორს და ნიჭიერ მუსიკოსს— იგი გლინკას სახით მოეცლინა მას.

ქართული პროფესიული მუსიკა კი ფალიაშვილის შემოქმედებით პირდაპირ კლასიკური პერიოდიდან იწყება. გავიწყებას იწვევს ის გარემოება, რომ

ზაქარია ფალიაშვილმა ყოველგვარი წინაპრების გარეშე შესძლო თავისი პირველივე დიდი ფორმის ნაწარმოებით წარმომდგარიყო ჩვენს წინაშე, როგორც დასრულებული, კლასიკური საოპერო ნაწარმოების ავტორი და თავისი „აბესალომ და ეთერი“ განესაზღვრა ქართული მუსიკალური კულტურის განვითარების გზა.

ზაქარია ფალიაშვილის ნიჭის სიდიდე მარტო ამით არ განისაზღვრება. მან გაასუფთავა ქართული მუსიკალური ენა უცხო ნაღებებისა და ქანგისაგან.

მან პირველმა სცადა და დიდებულად დაავიწროვინა ქართული მუსიკის მრავალგვარი და მრავალფეროვანი დიალექტების გაერთიანება ერთ მთლიან სტილში. შემდეგ ამ გზით წარიმართა ქართული მუსიკა ერთიანი „ცენტრალიზებული“ ენის შესაქმნელად. არსებითად ეს იყო ბრძოლა ქართული მუსიკალური ენის განთავისუფლები-სათვის ყოველგვარი კუთხური, კერძობითი ელემენტებისაგან მისი ზოგადი მნიშვნელობის დამკვიდრებისათვის. ზაქარია ფალიაშვილის სიდიადეც ის არის, რომ იგი ქართულ მუსიკაში ამკვიდრებს თავისებურ და ნამდვილ პროფესიულ მუსიკალურ ენას, რომელიც ამავე დროს წარმოადგენს ერთგვარ ზოგად-საკაცობრიო ენასაც. „აბესალომ და ეთერის“ ყველაზე მნიშვნელოვანი და ყველაზე განმასხვავებელი ნიშანი ის არის, რომ ამ ოპერის მუსიკა ყველაზე მეტად ქართულია და იმავე დროს ყველაზე უფრო ზოგად-კაცობრიული.

არ შეიძლება არ აღინიშნოს კიდევ ერთი მეტად მნიშვნელოვანი გარემოება, რომელიც ზაქარია ფალიაშვილს მსოფლიო მნიშვნელობის კომპოზიტორთა შორის აყენებს. ეს არის მუსიკალური შთანაფქრის გადმოცემის მეტად რეალისტურ-დემოკრატიული

ფორმა. ფალიაშვილი თავის შემოქმედებაში რა გინდ რთულ და განზოგადოებულ მუსიკალურ ინტენსივობას არ უნდა უკავშირდებოდეს, მას უდიდესი ოსტატობით ყველასათვის შესაძლებლობა მხატვრულ და ემოციურ ასპექტში გადმოსცემს.

თვით „აბესალომი“, რომლის იდეური და მუსიკალური ემოციური მხარე უკიდურესად განზოგადოებული ტიპისაა, უკვე ხალხს დაუბრუნდა, როგორც მისი საკუთარი ქმნილება. სრულიად გამოუცდელი მსმენელიც კი თავისი უშუალო განცდებით ყოველთვის განუყრელად თანა სდევს ოპერის ყოველ პერსონაჟს. სწორედ ეს არის ნიშანდობლივი თვისება ტექნიკურად თანამედროვე საბჭოთა მუსიკისა.

ამასწინათ, ცნობილმა საბჭოთა მუსიკათმცოდნემ აკადემიკოსმა ასაფიეევმა გამოაქვეყნა მთელი რიგი წერილებისა, რომლებშიაც მშვენივრად არის გაშუქებული საბჭოთა მუსიკალური ხელოვნების თვისობრივი მხარეები. ავტორი თავის ერთერთ წერილში, სადაც საბჭოთა სიმფონიზმის საკითხს განიხილავს, საბჭოთა კომპოზიტორებს სამართლიანად მოუწოდებს იმისაკენ, რომ მუსიკალური სახეების შექმნისას ანგარიში გაუწიონ მრავალფეროვან მსმენელთა ფართო მასებს, მათ მიერ ამ მხატვრული სახეების ათვისებისა და შეგროვების უნარს.

ასაფიევს მაგალითისათვის უდიდესი რუსი კომპოზიტორის პეტრე ჩაიკოვსკის მთელი შემოქმედება მოჰყავს და ასკვნის, რომ ჩაიკოვსკის უკიდურესად განზოგადოებული ღრმა ფილოსოფიური კონცეპციებიც კი თავის სიმფონიებში იმგვარად აქვს გადმოცემული, რომ ვასაგები ხდება მუსიკის სრულიად მოუმზადებელი მსმენელისთვისაც.

ამ მხრივ „აბესალომისა“ და „დაი-

სის“ სახელოვანი ავტორი არაფრით არ ჩამორჩება მსოფლიოს ყველა უდიდეს მუსიკოსს.

მუსიკის პოპულარობა, ნამდვილი, ხანგრძლივი, და უფრო სწორად რომ ვთქვათ, მარადიული პოპულარობა— ეს განუყრელი თვისებაა ჭეშმარიტად გენიალური ქმნილებისა. ასეთია „ქარმენი“ — ბიზესი, „ევგენი ონეგინი“ — ჩაიკოვსკის, „აიდა“ — ვერდის, „აბესალომი“ — ფალიაშვილისა.

ზაქარია ფალიაშვილის მთელმა შემოქმედებამ პოპულარობა მოიპოვა არა მარტო ჩვენში, სადაც დიდმა და პატარამ ზეპირად იცის მთელი რიგი არიები და სცენები, არამედ იგი დიდი სიყვარულით სარგებლობს საქართველოს გარეთაც.

ზაქარია ფალიაშვილის „აბესალომა“ და „დაისმა“ შემოიარეს საბჭოთა კავშირის ყველა მოწინავე საოპერო სცენები: მოსკოვი, ლენინგრადი, ხარკოვი, სვერდლოვსკი, ოდესა, ალმა-ატაბაქო, ერევანი. უკანასკნელი წლის მანძილზე ლონდონის, თეირანისა და ზოგიერთი სხვა უცხო ქვეყნების რადიოსადგურებით რამდენჯერმე იყო გადმოცემული ოპერა „დაისი“ ცალკეულ ნაწილებად და მთლიანადაც.

თუ რა დიდი სიყვარულით სარგებლობს ზაქარია ფალიაშვილის შემოქმედება საბჭოთა ქვეყანაში, მოწმობს ის აღფრთოვანებული გამოძახილები, რომლებიც წილად ხვდა ზაქარია ფალიაშვილის ოპერებს ქართული მუსიკის დეკადაზე ქ. მოსკოვში 1937 წელს.

აი რას ეკითხულობთ 1937 წლის გაზეთ „იზვესტიის“ მეცხრე ნომერში: „აბესალომ და ეთერი“ უდაოდ აღემატება ყოველგვარ მშვენიერებას, რაც კი აქამდე იყო ნაჩვენები ქართული კულტურის დეკადაზე.

ამ სპექტაკლში შერწყმულია დაძაბული დრამატული მოქმედება, ღრმა შინაარსი, სცენიური სახეების სიძლი-

ერე, მუსიკის მონუმენტალობა, დასახე სილამაზით, დადგმის ბრწყინვალეობა — მსახიობების მეტად მოტივირებული თამაში და მათი ვოკალური ხელოვნების მაღალი დონე.

ოპერამ თითქოს შემოიერთა თავიანთ გარშემო კლასიკურობის ყველა ის ელემენტები, რომლებიც ჰქმნიან ნამდვილ ხელოვნებას.

თავისი ხალხურობით ის ნამდვილი მონუმენტალური ნაწარმოებია, ოპერამ შემოინახა ეპიკური წარმოშობის მიმზიდველობა, რომელიც გამსჭვალულია დიდი გმირული გრძნობებით და არსად არ არის იგი შებღალული მდარე მელოდრამატული ელემენტებით“.

საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი ნემიროვიჩ-დანჩენკო ოპერა „დაისის“ ნახვის შემდეგ სწერდა, რომ ასეთი სპექტაკლები არა მარტო დიდ ესთეტიკურ სიამოვნებას ჰგვრიან ადამიანს, არამედ კიდევ უფრო აღრმავებენ მუსიკალურ ხელოვნებას საერთოდ. ოპერა „დაისში“ განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ კომპოზიტორმა შესწლო დაეცვა მშობლიური მუსიკის სიღრმე და ორიგინალობა იმგვარად, რომ მასში შერწყმულია ზოგადევრობული მუსიკალური კულტურის თვისობრივი მხარეები.

ზაქარია ფალიაშვილის მთელი შემოქმედება ჭეშმარიტად ხალხის კუთვნილებაა. მთელი მისი შემოქმედება, განსაკუთრებით უკვდავი „აბესალომ და ეთერი“ შორდება ვიწრო ნაციონალურ დანიშნულებას და იგი საკაცობრიო კულტურის განმსწარმოადგენს.

ზაქარია ფალიაშვილის ეს მონუმენტალური ნაწარმოები აღმოცენებულია სიყვარულისა და თავგანწირვის უკვდავ თემაზე. აქ ავტორის მიერ სიყვარული გაგებულია არა როგორც ავხორცობა, შმაგი, ვენებიანი მგრძნობელობა, არა-

მედ როგორც ამაღლებელი კეთილ-შობილური წმინდა გრძნობა. მთელს ოპერაში ყოველი გმირი ღრმა ეთიკური საწყისის მატარებელი რჩება. თვით მურმანიც კი, როგორც ბოროტების განსაბიერება, სრულიად განსხვავდება ტრადიციულ დემონურ მხატვრულ სახეთაგან. მურმანისათვის სიყვარული ისევე ფატალურ ძალად იქცა, როგორც აბესალომისა და ეთერისათვის.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმყრობს და გაოცებას იწვევს ის, რომ უბადლო „აბესალომ და ეთერის“ ავტორი თავის, მომდევნო საოპერო თხზულებებში აზროვნების იშვიათ ნაირსახეობას იჩენს. ამ მხრივ ყველა ქვეყნისა და ყველა დროის ცნობილ მუსიკოსთა შორის ზაქარია ფალიაშვილის ფიგურა რელიეფურად გამოირჩევა.

„აბესალომი“, „დაისი“, „ლატაერა“—აი ის სამი სრულიად დამოუკიდებელი და განცალკევებული მუსიკალური ქმნილებანი, რითაც ფალიაშვილმა ჩვენში სათავე დაუდო, ერთი მხრივ, ეპიკური, მეორეს მხრივ, ლირიკული, ხოლო, მესამე მხრივ, ქალაქის ფოლკლორულ მასალაზე აღმოცენებული თავისებური ფორმის მუსიკალურ ენას.

თუ ჭეშმარიტად გენიალური ოპერით „აბესალომ და ეთერი“ ზაქარია ფალიაშვილმა შექმნა პირველი ნიმუში ეპიკური სტილი კლასიკური ქართული ოპერისა, „დაისის“ სახით იგი წარმოსდგა, როგორც ავტორი ასავე ძლიერი ქართული ლირიკული ოპერისა.

„დაისი“ მსწენელს ზიბლავს თავისი სათუთი პოეტური სულით, კომპოზიციის იშვიათი მოქნილობით, წარმტაცი კონტრასტებით და ფაქიზი ოსტატობით.

ოპერა გაშლილია ქართული საყოფაცხოვრებო საეპანრო სცენების მშვენიერ კოლორიტულ ფონზე. რომანტიული თემა სიყვარულისა, ისევე, რო-

გორც „აბესალომში“, „დაისშიც“ დრამატული კოლიზიის ძველმოდურ ტორს წარმოადგენს. მაგრამ „აბესალომში“ სიყვარულის თემა უაღრესად განზოგადოებულ ფორაგაშია მოცემული, იგივე სიყვარულის თემა „დაისში“ რომანტიულ-ლირიკული სახეებითაა წარმოდგენილი. ამ წმინდა რომანტიულმა თემამ „დაისში“ ბრწყინვალე გასახიერება ჰპოვა. აქ უკვე ზაქარია ფალიაშვილი გვევლინება, როგორც უდიდესი ოსტატი თავისი გმირების რომანტიულ-სუბიექტურ განცდათა გადმოცემაში.

ზაქარია ფალიაშვილის მუსიკალური აზროვნების ეს თავისებურება უფრო პედავნიდება ოპერა „ლატაერას“ სტილისტურ ნიშნებშიც, სადაც ავტორი მუსიკალური მეტყველების საშუალებებით, მხატვრული სახეებით და თვით ფორმით დაკავშირებულია ქალაქის ფოლკლორთან.

ამ ოპერის მუსიკალურ მეტყველებაში ამოიცნობა ის ნიშანდობლივი თვისებანი ფალიაშვილის სტილისა, რომელმაც ესოდენ დიდი როლი შეასრულა მშობლიური კულტურის განვითარების საქმეში.

ამ სამი ოპერით ფალიაშვილი გვევლინება, როგორც დიდი პატრიოტი ქართული კულტურისა, როგორც დიდი ქართველი.

კომპოზიტორი ზაქარია ფალიაშვილი იყო დიდი მოქალაქეც. იგია პირველი კომპოზიტორი, რომელმაც საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველსავე წლებში ოპერა „დაისის“ სახით შექმნა ისეთი ტილო, რომლის ბადალი ამ უკანასკნელ 30 წლის განმავლობაში ნაკლებად მოიპოვება. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის X წლისათვის ზაქარია ფალიაშვილმა მიუძღვნა კანტატა, რომელშიაც ქართული მუსიკალური ენით გამოხატა საბჭოთა ქვეყნის საზეიმო განწყობილება.

ზაქარია ფალიაშვილი სანიმუშო და მისაბაძი მაგალითია ქართველი საბჭოთა კომპოზიტორებისათვის.

ზაქარია ფალიაშვილი გაღრმავებულ შემოქმედებითს მუშაობას მხოლოდ მაშინ შეუდგებოდა, როცა ყოველმხრივ შეისწავლიდა და განსაზღვრავდა მიზანდასახულობას. თამამად შეიძლება ითქვას, რომ იგი უმეტეს დროს თემატიკის არჩევას, მის ყოველმხრივ თეორიულ და პრაქტიკულ შესწავლას, მასალის შეკრებას ანდომებდა. როდესაც მიზანი და ამოცანა მისთვის სრულიად დაზუსტდებოდა, მხოლოდ მაშინ იწყებდა უშუალოდ ნაწარმოების წერას.

ცხადია, მუშაობის ეს ბრძნული ხერხი სერიოზულ პროფესიულ ნიადაგზე აყენებდა მის შემოქმედებას. მაგრამ კომპოზიტორის ნაწარმოებთა სიმცირე აიხსნება არა იმით, რომ ზაქარია ფალიაშვილის მუშაობის ეს მეთოდი ბორკავდა შემოქმედებითს ნაყოფიერებას, არამედ იმით, რომ მას უხდებოდა საკმაოდ ბევრი ენერჯისა და დროს დახარჯვა შესაფერი ლიბრეტოს მოძიებაში.

ზაქარია ფალიაშვილს კარგად ჰქონდა შეგნებული ლიტერატურული წყაროს მნიშვნელობა. მან იცოდა, რომ კარგად შედგენილი ლიბრეტო ეხმარება და სწორი გზით წარმართავს თვით კომპოზიტორის შემოქმედებითს მუშაობას.

ლიბრეტოს საკითხი ყოველთვის ერთ-ერთ ვიწრო ადგილს წარმოადგენდა მუსიკალურ ხელოვნებაში. დასავლეთ ევროპის კომპოზიტორებიც კი, მიუხედავად საკმაოდ დიდი ტრადიციებისა, განიცდიდნენ ერთგვარ გაჭირვებას. მაგალითად, მეტასტაზიოს მხოლოდ ორი ლიბრეტოს საფუძველზე ევროპულ კომპოზიტორთა მიერ დაწერილია 70 ოპერა, მოცარტის ოპერა „ჯადოსნური ფლეიტის“ ლიბრეტო კი იმდენად მდარე ხარისხისაა, რომ მისი შინაარსის გადმოცემა თათქმის შეუძლებელია.

ზაქარია ფალიაშვილმა თავისი უკუდავი ქმნილებით „აბესალომის ცეცხლი“ კიდევ ერთხელ გეიჩვენა გენიოსი კომპოზიტორისათვის დამახასიათებელი მუსიკალური აზროვნების უდიდესი ძალა. ფალიაშვილმა დაკვირვებული მუშაობის შედეგად ზონახა ფორმით სრულქმნილი ნაწარმოების გამოკვეთის საშუალება. ამ შემთხვევაშიაც არ შეიძლება არ აღინიშნოს კომპოზიტორის დრამატურგიული აზროვნების ის დიდი უნარი, რომელიც მან ოპერა „აბესალომ და ეთერში“ გამოიჩინა.

ასე მრავალმხრივი და დიდმნიშვნელოვანია ფალიაშვილის ისტორიული როლი ქართული მუსიკალური კულტურის ისტორიაში. მას როგორც შემოქმედებითს მუშაობაში, ისე საზოგადოებრივ მოღვაწეობაშიც ყოველთვის მაღალი მიზნები ამოძრავებდა.

ზაქარია ფალიაშვილს საზოგადოებრივი მოღვაწეობა მკიდროდ აკავშირებდა ახალგაზრდა დამწყებ ქართველ კომპოზიტორთა თაობასთან. იგი დიდი ყურადღებითა და გულისხმიერებით ეხმარებოდა მათ ყოველ ახლად გადაღვამულ ნაბიჯში: უზიარებდა მათ თავის ღრმა ცოდნას და დიდ გამოცდილებას. მის ნაწარმოებებზე იზრდება და ვაჟკაცდება მოწინავე საბჭოთა ქართული მუსიკის სკოლა.

ზაქარია ფალიაშვილის მემკვიდრეობა უდიდესი განძია საბჭოთა მუსიკალურ კულტურაში. თანამედროვე კომპოზიტორები მის ნაწარმოებებზე სწავლობენ თუ როგორ უნდა შეახამონ შემოქმედებაში ხალხურობა მაღალ ოსტატობასთან და ფორმის სრულყოფასთან.

საბჭოთა თაობის კომპოზიტორები მიჰყვებიან რა ფალიაშვილის შემოქმედებითს მემკვიდრეობას, დაუღალავად და ღრმად სწავლობენ ჩვენი ერის მრავალსაუქუნოვან კულტურას.

ფალიაშვილის ოპერების შემდეგ მრავალი ქართული საოპერო ნაწარმოები შეემატა ჩვენს მუსიკალურ ხელოვნებას. მათში ნათლად იგრძნობა ზაქარია ფალიაშვილის შემოქმედების ნიშნები. ჩვენი კომპოზიტორები სწავლობენ მის შემოქმედებას, როგორც ქართულ კლასიკურ მემკვიდრეობას. ამ რთული, მაგრამ საიმედო გზით მიდიოდა შალვა შველიძე, როდესაც იგი კქმნიდა ოპერას „ამბავი ტარიელისა“.

ზაქარია ფალიაშვილის საოპერო შემოქმედების ისტორიული როლი მით უფრო ფართოვდება, რომ იგი საფუძვლად დაედო არა მარტო ჩვენს საოპერო ხელოვნებას, არამედ ქართული საბჭოთა მუსიკალური კულტურის ერთ-ერთ წამყვან დარგს—სიმფონიურ მუსიკას.

ქართული სიმფონიზმის პირველი გამოვლინება ზაქარია ფალიაშვილმა მოგვცა ოპერაში „აბესალომ და ეთერი“. მან თავისი ლოგიკური და მეტად ინტენსიური განვითარება ჩვენი თაობის ნიჭიერ კომპოზიტორთა შემოქმედებაში ჰპოვა. ფალიაშვილის ხაზს სიმფონიზმში ბრწყინვალე ნაწარმოებებით აგრძელებენ ანდრია ბალანჩივაძე — პირველ სიმფონიაში, შალვა შველიძე — „ზვიადურში“, გრიგოლ კილაძე — „ვანდეგლიში“ და მრავალი სხვა კომპოზიტორი.

ქართველი კომპოზიტორების ეს მიღწევები მეტყველებენ იმაზე, რომ მათ სწორად შეიგნეს კლასიკური მემკვიდრეობის ათვისების მეთოდი და ამ მემკვიდრეობის სოციალისტური რეალიზმით განგრძობის გზები. შემდგარი იქნებოდა ის შეხედულება, თითქოს მუსიკის ეროვნული ხასიათი ნიშნავდეს მის შემოფარგვლას ნაციონალური ჩარჩოებით; კლასიკოსთა მიერ მიღწეული დონით და დამუშავებული ნაირსახეობით თუ ფერებით, ეროვნული მუსიკის შემოფარგვლა, იქნებოდა უარის თქმა მის

განვითარებაზე, იქნებოდა ნაბიჯი უკან. ჩვენდასაბედნიეროდ ქართველი კომპოზიტორების შემოქმედება ინტენსიურად ვითარდება მუსიკისათვის ბუნებრივი გზით. რასაც საბჭოთა მაღალი დეურის და მხატვრულად სრულქმნილი შემოქმედება მიჰყავს მსოფლიო ასპარეზზე პროგრესიული კაცობრიობის საკეთილდღეოდ.

ეს არის სწორედ ის გზა, რომლითაც ზაქარია ფალიაშვილის შემოქმედებამ ქართული მუსიკა საკაცობრიო მნიშვნელობის მუსიკად აქცია და ამით ფრთები შეასხა შემდეგი თაობის კომპოზიტორებს.

მთელი პლეადა მოწინავე საბჭოთა კომპოზიტორებისა იონა ტუსკია, ვანო გოკიელი, შალვა თაქთაქიშვილი, აკაკი ანდრიაშვილი, ალექსი მაჭავარიანი, ნიკოლოზ გუდიაშვილი, რევაზ გაბიჩვაძე, დავით თორაძე და სხვანი მიეკუთვნებიან ზაქარია ფალიაშვილის მუსიკალურ სკოლას.

მაგრამ, თუ ზაქარია ფალიაშვილის შემოქმედებაში ჩვენ ვერა ვხვდებით მისი თანამედროვე ცხოვრების ფართოდ ამსახველ მხატვრულ ნაწარმოებებს, ამის მიზეზი უპირატესად იმაში უნდა ვეძიოთ, რომ კომპოზიტორს ხელთ არ გააჩნდა შესაფერისი ლიტერატურული წყარო საოპერო ნაწარმოების შესაქმნელად. მიუხედავად ამისა, ზაქარია ფალიაშვილის მთელი შემოქმედება ჩვენთვის იქნება საინფორმაციო მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა აღბეჭდოს საბჭოთა კომპოზიტორმა საკუთარ შემოქმედებაში მშობლიური კულტურის დამახასიათებელი თვისებები.

როგორც ზაქარია ფალიაშვილმა ღრმა აზროვნებით შესძლო თავის ხელოვნებაში განეზოგადოებინა უძველესი მშობლიური კულტურის დამახასიათებელი მხარეები, ასევე საბჭოთა თაობის ქართველმა კომპოზიტორებმა უნდა შესძლონ საკუთარ შემოქმედება-

ში განზოგადოებული საბით ფართოდ აღბეჭდონ ჩვენი დიადი ეპოქის ნიშანდობლივი თვისებები.

ამას გვასწავლის ჩვენი კლასიკური მემკვიდრეობა, აქეთკენ მოგვიწოდებს ჩვენი პარტია და საბჭოთა მთავრობა.

ის ხელოვნება, რომელიც უარპყოფს სინამდვილის რეალისტურ-რომანტიულ შეცნობას, რომელიც გაურბის თანამედროვეობას, ყოველთვის იყო მკვდარი, ზერელე და გამოფიტული.

ამხანაგმა ედანოვმა თავის ცნობილ მოხსენებაში ეურნალ „ზევზდისა“ და „ლენინგრადის“ შესახებ სამართლიანად აღნიშნა, რომ საბჭოთა ხელოვნების მოვალეობაა არ ჩამორჩეს ცხოვრებას. „ჩვენ გამოვიცვალეთ და გავიზარდეთ იმ უდიდეს გარდაქმნასთან ერთად, რომლებმაც ძირფესვიანად შესცვალეს ჩვენი ქვეყნის სახე“.

თანამედროვე საბჭოთა შემოქმედმა უნდა აღბეჭდოს მხატვრულ ფორმებში „საბჭოთა ადამიანის ახალი მაღალი თვისებანი, არა მარტო დღევანდელი დღის მიხედვით“, არამედ „მის ხვალისდელ დღეშიაც ჩაიხედოს“.

საბჭოთა მწერლის ამოცანაა ფართო მასებს დაეხმაროს—პროექტორით გაუნათოს წინსვლის გზა. მწერალი არ შეიძლება უკან მისჩანჩალებდეს მოვლენებს, იგი ვალდებულია ხალხის მოწინავე რიგებში იყოს და უჩვენებდეს ხალხს მისი განვითარების გზას. მწერალი უნდა ხელმძღვანელობდეს სოციალისტური რეალიზმის მეთოდით, კეთილსინდისიერად და ყურადღებით სწავლობდეს ჩვენს სინამდვილეს, ცდილობდეს უფრო ღრმად ჩასწვდეს ჩვენი განვითარების პროცესების არსს,

ზრდიდეს ხალხს და იდეურად აღაზრდეს მას“.

ეს მაღალი ამოცანები უნდა ამოძრავებდეს ყოველ საბჭოთა შემოქმედს და იგი მით უფრო მაღე, სრულყოფილად შესძლებს ამ მეტად რთული საკითხის გადაწყვეტას, თუ სათანადოდ აითვისებს და მარჯვედ გამოიყენებს მარქსისტულ-ლენინურ თეორიას. ეს თეორიული საფუძველი საბჭოთა ხელოვნებისა ყოველ შემოქმედს გზას გაუკაფავს თანამედროვე თემატიკის სრულქმნილი, მაღალი ღირსების მხატვრული ნაწარმოების შესაქმნელად.

ღრმა იდეურობა ყოველთვის განმასხვავებული თვისება იყო საბჭოთა ხელოვნებისა და ამიტომ ჩვენ მოწოდებულნი ვართ შევებრძოლოთ არა მარტო ჩვენთვის უცხო იდეების გამოვლინებას, არამედ ფორმალიზმის იმ რეციდივებს, რომლებიც ჩვენს მუსიკაში აქაიქ იჩენს ზოლმე თავს.

თავის ცნობილ დადგენილებაში ცენტრალურმა კომიტეტმა განსაკუთრებული ხაზგასმით აღნიშნა პრინციპული და ობიექტური კრიტიკის ყოველმხრივ გაჩაღების მნიშვნელობა, რის გარეშეც შეუძლებელია საბჭოთა ლიტერატურის და საბჭოთა ხელოვნების შემდგომი განვითარება.

როცა ვლაპარაკობთ ქართული პროფესიული მუსიკის დამკვიდრებაზე და განვითარებაზე, არ შეიძლება გვერდი აუუაროთ მუსიკისმცოდნეობის მდგომარეობის საკითხს. უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი მუსიკალური კულტურის დამკვიდრება, მისი ინტენსიური ზრდა და ღირსშესანიშნავე მიღწევები დღემდე

არ არის საფუძვლიანად შესწავლილი. მუსიკათმცოდნეობა ჩამორჩება მუსიკის განვითარებას.

ამ დღეებში საბჭოთა ქვეყანამ და ზოგჯერ პროლეტარულმა კაცობრიობამ იღვწასწავლა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 30 წლისთავე. სხვა მრავალ გრანდიოზულ მიღწევათა შორის აღნიშნული იყო მუსიკალური ხელოვნების წარმატებანიც.

ის, რაც შექმნეს საბჭოთა კომპოზიტორებმა, წარმოადგენს XX საუკუნის მსოფლიო მუსიკალური კულტურის

მონაპოვარს. ეს შედეგია იმ დიდი ზრუნვისა და ყოველდღიური მუშაობისა, რასაც ხელოვნების მუშაკების მიმართ იჩენს ჩვენი პარტია და საბჭოთა ხელისუფლება.

საბჭოთა საქართველოს კომპოზიტორები, აღზრდილნი დიდი ქართველი კომპოზიტორის ზაქარია ფალიაშვილის შემოქმედებითს ტრადიციებზე, შესძლებენ ისეთი მუსიკალური ტილოების შექმნას, რომლებიც ღირსეულად გამოხატავენ სტალინური ეპოქის უკვდავ გამარჯვებებს.

## ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა

★

„საისტორიო მოამბე“, ტ. II.

საქართველოს სსრ შსს საბარძიშო სამმართველო, 1946 წ.  
ჩემდებტორი მ. ბაბრინიძე.

„საისტორიო მოამბის“ სარეცენზიო ტომში მოთავსებული მასალა ქართველთმცოდნეობისა და კავკასიათმცოდნეობის მეტად მრავალმხრივ და აბტუალურ ისტორიულ მოვლენებს შეეხება. მასში მკითხველი იპოვნის მავალითად: მეცნიერულად დამუშავებულ თითქმის ამომწურავ ცნობებს 1800—1830 წ. მანძილზე კავკასიაში და საქართველოში ვერძელ მოგზაურთა ვინაობისა, მიზნებისა, ლიტერატურულ ნაშრომებისა საერთოდ და კერძოდ სავანგებო განხილვის მოგზაურთა ამ შრომებისას, რომლებიც შეეხებიან საქართველოსა და კავკასიის აღწერას ამა თუ იმ თვალსაზრისით.

ამავე ტომში ჩვენ ვხვდებით დოკუმენტებს სსრ ხალხთა ისტორიიდან, რუსეთ-საქართველოს დიპლომატიურ ურთიერთობის ისტორიიდან მე-18 ს. 1-ლ ნახევარში და მეტად სავურადღებო საბუთებს ქართველი მგონის და საზოგადო მოღვაწის ილ. ჭავჭავაძის ბიოგრაფიისათვის. შევიჩრდეთ თვითებულზე მოქალაქეებს.

„საისტორიო მოამბე“ იხსნება აწგანსვენებული მეცნიერის პროფ. მ. პოლივექტოვის ფრიად სავურადღებო შრომით: „ვეროპელი მოგზაურები კავკასიაში 1800—1830 წ.წ.“ აღნიშნული შრომა ამოღებულია პროფ. პოლივექტოვის პირად არქივიდან, რომელიც დაცულია საქ. სსრ სახელმწიფო ცენტრალურ საისტორიო არქივში. პროფ. პოლივექტოვის ეს ნაშრომი ქრონოლოგიურად ვაგრძელებთ მის მიერ 1935 წ-ს გამოცემულ ნაშრომისა: „Европейские путешественники XIII—XVIII в. в. по Кавказу“<sup>1</sup>. ამრიგად ცნობები კავკასიაში ვერძელ მოგზაურთა შესახებ

ჩვენ ამიერიდან ვაბმით მოვეუბოება მე-13 საუკუნიდან მოცილებული ვიღრე მე-19 ს. 30-იან წლებამდე. ავტორს ვანზარება ჰქონია ამ კეთილ და სასარგებლო საქმის ვაგრძელებისა თანამედროვეობამდე. ამ უკანასკნელში ვვარწმუნებს ვანსვენებულ პროფესორის პირად არქივში დაცული საამისო მასალები, შავად დამწერილი.

სარეცენზიო ნაშრომი (ისე როგორც 1935 წ. გამოცემული 1-ლი ნაწილი ამ შრომისა) შესრულებულია პროფ. მ. პოლივექტოვისათვის დამახასიათებელი დიდი ერუდიციით და ზუსტი უოველმზრებობით. პროფ. მ. პოლივექტოვის ნაშრომს „საისტორიო მოამბის“ 150 გვერდი უქირავს.

თვითებლი მოგზაური — ავტორი, რომელთა ცნობების ვანხილვაც კრებულში საქიროდ უცენია პროფ. პოლივექტოვის, ვარკვეულ ინტერესის გამოწვევა კრებულში წარმოდგენილ ავტორთა უმრავლესობა ან უშელოდ მხოლოდ საქართველოს ეხება, ან კიდევ ვანიხილვენ მას (საქართველოს) კავკასიის საერთო ვითარების ფონზე, ამდენად მათ ცნობებს საქართველოს მე-19 ს. პირველ მესამედში ისტორიის შესასწავლად დანი მნიშვნელობა ენიჭება.

მოგზაურ-ავტორთა ცნობები მეტად მრავალფეროვანია, ნაწილი აღწერილობითი ხასიათისა, ზოგიც მეშუარული, ან დავალებათა ან ვარიში, — სამხედრო ტოპოგრაფიული, სამედიცინო, გეოლოგიური, გეოგრაფიული, სოციალ-ეკონომიური, ეთნოგრაფიული, პოლიტიკური, იშვიათად ლიტერატურული და უმეტესად სამხედრო ეკონომიური დამხვრებით ხასიათისანი. მოგზაური ავტორების უმრავლესობა ცარიზმის მოხელეებია (მეტწილად ვანათლებულნი) ასევე ინგლისის, საფრანგეთის

<sup>1</sup> გამოსცა ს. ს. რ. კ. მეცნ. აკად. ნ. შარის სახ. კავკასიათმცოდნეობის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტმა. თბილისი, 1935 წ.

და სხვ. ემისრები, კავკასიაში გარკვეულ და-  
გალელებით გამოგზავნილი.

ნაშრომის პირველ ნაწილში წარმოდგენილია  
რუსი მოგზაური ავტორები, ხოლო მეორე  
ნაწილში — საქართველოსა და კავკასიაში ევ-  
როპელი მოგზაურთა ცნობები დაწერილია  
უპირატესად ვერძულ ენებზე. ამასთანავე  
ყურადღებას იპყრობს ის ფაქტიც, რომ ამ  
„ევროპელ“ მოგზაურთა თითქმის უმრავლესობა  
გარკვეულ დამოკიდებულებაში იმყოფე-  
ბა რუსეთთან: ისინი ან მოწვეული არიან ცა-  
რისთან მიერ, ან მსახურობენ რუსეთის იმ-  
პერიაში შემავალ რომელიმე დაწესებულებაში  
და ამდენად ითვლებიან ცარისმის მოხელე-  
ებად. ზოგი მათგანი დაკავშირებული არიან  
რუსეთის მეცნიერებათა აკადემიასთან და სხვ.

ამდენად, წარმოდგენილი დასათარებია ნა-  
შრომისა „ევროპელი მოგზაურები კავკასიაში  
1800—1830 წ. წ.“ ნაკლებად შეუფარდება კრუ-  
პელში წარმოდგენილ მასალებს.

თეთათუღი მოგზაურის შესახებ ავტორი  
ცალკე ჩერდება. გვაწვდის ამ მოგზაურთა მოკ-  
ლე ბიოგრაფიულ ცნობებს და იძლევა ნაშ-  
რომის მოკლე ანოტაციურ დახასიათებას. და-  
სასრულ წარმოდგენილია მოგზაურის ნაშრო-  
მის ზუსტი დასახელება, გამოცემის თარიღით  
და სხვ. ამ წესით აქვს პროფ. პოლივექტოვს  
განხილული ხველა მოგზაური ავტორი. მხო-  
ლოდ რუსი მოგზაური ავტორები ცალკე და  
ევროპელები ცალკეა წარმოდგენილი კრებულ-  
ში, — არა მათი ცხოვრების და მოღვაწეობის  
ჭრონოლოგიის დაცვით, არამედ გვარების აღ-  
ფხვრის მიხედვით.

ნაშრომში გამოტოვებულია მრავალი ღირს-  
შესანიშნავი ავტორი, რომელთა ცნობებს პირ-  
ველბარისისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება. მაგა-  
ლითისათვის ჩვენ შევიხებთ ლტვინიოვის  
ძვარტას ცნობებს იმერეთის შესახებ 1805-ის  
წლებში. ეს ცნობები: „Описание Имеретии  
и Мингрелии“ (იხ. „Акты“, ტ. 2, გვ. 407—  
411), ჩატომდაც საეცებით არ არის მოხსენე-  
ბულიც კი, მაშინ როცა „Акты“-ს ფურც-  
ლებზე გამოქვეყნებულ მეორე და უფრო ნა-  
ღებბარისხოვან მოგზაურ-მოხელეთა ცნობებს  
სახელებს როგორც წყაროს. მაგ. გორდევს  
(იხ. ნაშრ. 15 — 16 გვ.), გურევს (იხ. ნაშრ.  
18 — 19 გვ.) და სხვ. ამგვარი გვერდის ავლა  
დასახელებულ და მსგავს კომპეტენტურ ავტო-  
რებისადმი, რომელთაც დიდი მნიშვნელობა ენი-  
ჭებათ დასახელებულ პერიოდისათვის. კიდევ  
უფრო უენართად გვაჩვენება ჩვენ ისეთ შემ-  
თხვევებში, როცა ავტორს კრებულში შემოაქვს  
ზოგჯერ ინტერესსმოკლებული ავანტიურისტთა-

გან სასამართლოში წარდგენილი უმარტულო  
ჩვენებაც კი. მაგ. მედოუსი (იხ. 37 — 38 გვ.)  
რომლის შესახებაც თვით ვინმე ვერძულ პრო-  
ფესორი გვაუწყებს: „Эта выписка не дает  
почти ничего; как оправдательный до-  
кумент автобиографического характера,  
требует строго критического к себе от-  
ношения“ (იხ. „საისტორიო მოამბე“, გვ. 311).  
თუმცა ასეთი შემთხვევა ნაშრომში იშვიათია.  
ავტორი თვითონაც აცხადებს და ფაქტებითაც  
დასტურდება, რომ ნაშრომი არა საეცებით  
ამომწურავია და ამდენად არასრულყოფილია.  
ანუ რომ არსებობს პერსპექტივეები კავკასია-  
ში უცხოელ მოგზაურთა ახალი ცნობების ძი-  
ებისათვის.

მიუხედავად ამ ერთეულ ნაკლოვანებებისა  
სარეცენზიო ნაშრომი პროფ. პოლივექტოვისა  
ფრიდ საყურადღებო შენაჩენია საერთოდ კავ-  
კასიათმცოდნეობის და კერძოდ საქართველოს  
ისტორიის უცხოური წყაროების ჩაობის, ევ-  
როპელობისა და შედგენილობის გასათვალის-  
წინებლად, იმათი, როგორც წყაროდ გამოყენე-  
ბის მიზნით.

ს. მ ა ლ ლ ა კ ე ლ ი ძ ე ს თითქმის ამომწუ-  
რავად ძვირფასა და მეტად საყურადღებო მას-  
სალები აქვს წარმოდგენილი „საისტორიო მო-  
ამბეში“ ილიქსანდრე ჭავჭავაძის მეცნიერულ  
ბიოგრაფიისათვის.

ჩვენ ჭავჭავაძის დღემდე უფრო გიცნობდით  
როგორც პოეტს და ნაკლებ როგორც სახელ-  
მწიფო მოღვაწეს და ნიჟერ სარდალს. დღე  
მეშობა, რომელიც ალ. ჭავჭავაძის ლიტერა-  
ტურული შემკვიდრებისა და ბიოგრაფიის შე-  
სასწავლად პოეტმა, აკადემიკოსმა ი. გრიშა-  
შვილმა ჩაატარა, შემდგომ გაღრმავებას მოით-  
ხოვდა. ს. მალაქელიძის მიზნად დაუსახებ  
ალ. ჭავჭავაძის მეცნიერული ბიოგრაფიის აღ-  
სადგენად საარტიკო სხვადასხვა ფონდებში და-  
ცულ, ძირითადად დღემდე უცნობ, დოკუმენ-  
ტების გამოვლინება და მისი მეცნიერული პუბ-  
ლიკაცია ამხ. ს. მალაქელიძის სასახელოდ  
უნდა ითქვას, რომ მან წარმატებით მოახერხა  
დასახული ამოცანის გადაწყვეტა — ალ. ჭავჭავა-  
ძის ბიოგრაფიისათვის მასალებს „მოამბის“  
167 — 360 გვერდი უქირავს, შოტიანილია 91  
დოკუმენტი, რომელია ტრონოლოგიური ჩარჩო  
ძირითადად 1804 — 1847 წ. წ. იფარგლება პუბ-  
ლიკაციას თან ერთვის შესავალი წერილი (იხ.  
154 — 165 გვ.) აქ საშუალება არა გვაქვს შევ-  
ჩერდეთ დოკუმენტების შინაარსობრივ ანა-  
ლიზზე, მით უმეტეს, რომ ეს დოკუმენტები შე-  
ტად მრავალფეროვანია. ისინი მთლიანად აღე-  
ბუნის ცხოველყოფელი სრულყოფილ გვიხა-

ტავენ ალ. ჭავჭავაძის როგორც მე-19 ს. 1-ლი ნახევრის მეტად ნაყოფიერ მოღვაწეს და დიდ პატრიოტს.

ეს დოკუმენტები შექმნეს არა მარტო ალ. ჭავჭავაძის ჭაღრუსად მრავალმხრივ ცხოვრებას და მოღვაწეობას, არამედ ნაწილობრივ მისი მამის, გარსევან ჭავჭავაძის საქმიანობასაც. საბოლოოდ ამ საბუთებს არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს ისტორიის მე-19 ს. 1-ლი ნახევრის ისტორიის მეცნიერულად შესასწავლად.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს საბუთების რიცხი, რომლებიდანაც ვეცუობილობით პოეტის, როგორც სახელოვან სარდლისა და გამჭრიახი სახელმწიფო მოღვაწის დამახასიათებელ დეტალებს.

პროფ. შ. ჩხეტიას მიერ „მოამბეში“ წარმოდგენილია ძვირფასი მასალები საბჭოთა კავშირის ხალხთა ისტორიიდან. მოტანილ დოკუმენტებში ასახულია აგლებთა აჯანყება დაღესტანში 1871 წელს (იხ. გვ. 367—385). აგტორი საბუთებზე (რაოდენობით 8) დაყრდნობით სავსებით სამართლიანად ხსნის დაღესტნის გლეხთა აჯანყების ნამდვილ მიზეზებს, როგორც შედეგს ცარიზმის კოლონიური ველურ ჩაგვრისა და საბატონო ბევარ-ვაღდებულებათა გზის დასაწყისში წინააღმდეგ მიმართულ ამბოხებას. პროფ. შ. ჩხეტიას მიერ აქ წარმოდგენილი დოკუმენტებში პირველად გვხვებით ჩვენ დამახრებელ ცნობებს დაღესტანში 1871 წ. მომხდარ გლეხთა აჯანყების შესახებ.

დოკ. ავთ. იოსელიანი მოამბეში ათავსებს დოკუმენტებს რუსეთ-საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობის ისტორიიდან მე-18 საუკუნის პირველ ნახევარში. აქ წარმოდგენილი დოკუმენტები შეეხება კახეთის სამეფოდან მეფე თეიმურაზ II-ის მიერ რუსეთში 1835—1736 წ. ელჩობის მოქმედება არსებითად იქითკენ ყოფილა მიმართული, რომ შესაძლებელი გამხდარიყო ირანის მკერობების შამ-ნადირის ამოხრებელ შემოსევების წინააღმდეგ კავკასია-

სა და საქართველოში, რუსეთ-საქართველოს შეერთებული ძალებით ემოქმედებოდა რუსეთის გამოსარბლებოდა ქართველთა მოსახლეობის, ეს დოკუმენტები მრავალმხრივ იყარობს ჩვენს ყურადღებას მით უმეტეს, რომ ეს ელჩობა ქართულ და რუსულ საისტორიო წყაროებში დღემდე სავსებით უცნობი იყო. საბუთები მიეკუთვნება მისოკვის არქივაციაში (რაოდენობით 8, იხ. „საისტორიო მოამბე“, გვ. 387—403) და მათი მნიშვნელობა მარტო რუსეთ-საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობის ისტორიის გასათვალისწინებლად როდი ამოიწერება, ასევე დიდი მნიშვნელოვანია ეს დოკუმენტები საქართველოსადმი ირანის ვერპული აგრესიის ისტორიულად შესწავლის თვალსაზრისითაც, აღებული პერიოდი. წარმოდგენილი დოკუმენტებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ელჩობის შეთაურის იოსებ იავორის-ის მოხსენებით ბარათი (იხ. გვ. 396—402). ქართული დიპლომატიის ისტორია თუ ოდესმე დაიწერება, უმეგობარ დასახელებული ელჩობის პატრიოტული მოღვაწეობა საბატო აღვილს დაიჭერს. არა ნაკლებია მისი მნიშვნელობა როგორც დიდი რუსი ხალხისა და ქართველი ხალხის — ისტორიულ უწყვეტ მშობა-მეგობრობის ერთ-ერთი დამადასტურებელი დოკუმენტისა ამით მთავრდება „საისტორიო მოამბის“ სარეცენზიო ტომი.

წიენი გაფორმებულია და გამოცემული კარგად, მხოლოდ სამწუხაროდ მეტად მცირე ტირაჟით (მისი ტირაჟი არ აღემატება 500 ცალს), რაც იოტის ოდენადაც კი ვერ დაეკმაყოფილებს მკითხველი საზოგადოების მოთხოვნილებას. ამასთანავე უნდა შევნიშნოთ, რომ ტომი დაგვიანებით გამოვიდა. დასასრულ გარკვევით შეიძლება დავასკვნათ, რომ „საისტორიო მოამბის“ სარეცენზიო ტომი ძვირფასი შენაძენა ჩვენი საისტორიო და ასევე სალიტერატურო მეცნიერებისათვის, როგორც მათი დოკუმენტალური მეცნიერული დასაყრდენითაცა.

ა. ი.

შინაარსი

აკაკი ბელიაშვილი — თავდასავალი ზესე ვიბაშვილისა, რომანი, მეორე წიგნის დასასრული . . . . .	38
ბიორბი ქაჭახიძე — ორი ლექსი . . . . .	3
კონსტანტინე ბაშაბაშვილი — დავით აღმაშენებელი, ტრილოგია, კარი მეორე, გაგრძელება . . . . .	24
ვარლამ შურაშიძე — ფერიდეს ლიმონები, ლექსი . . . . .	26
ლადო ავალიანი — მერგოლური, ნოველა . . . . .	70
ბრიგოლ ცაცხლაძე — პორტრეტები, ლექსები . . . . .	71
	76
—	
ბიორბი ჯიბლაძე — ოქტომბრის რევოლუცია და ქართული თეატრი, წერილი . . . . .	77
ზინსარიონ შლიბტი — ქართული საბჭოთა ლიტერატურა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 30 წლისთავზე, წერილი . . . . .	93
აკად. ნ. ბერძენიშვილი — აკადემიკოსი სიმონ ჯანაშია, წერილი . . . . .	125
როსტომ შაფერძი — ზაქარია ფალაველი — ქართული საიბერო ხელოვნების ფუძემდებელი, წერილი . . . . .	134
—	
ა. ი. — „სისტორიით მოამბე“ ტ. II, ბიბლიოგრაფია . . . . .	145

პასუხისმგებელი რედაქტორი

ირაკლი აბაშიძე

სარედაქციო კოლეგია:

ალექსანდრე აბაშიძე, ნიკოლოზ აბიაშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), იოსებ ბრიშაშვილი, პავლე ინგოროშვილი, სერგო კლდიაშვილი, ალიო მირცხულავა (მასშავილი), ზესარიონ შლიბტი, გალაკტიონ ტაბიძე, სანდრო შანშიაშვილი, დემან შინგელიანი.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 9/1-48 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 9 ¼ ფ. შპ 00814. შვე. № 1828. ტირაჟი 5.300.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პოლიგრაფიისა და გამოცემლობის საქმეთა სამმართველოს ბეკდეთი სიტყვის კომინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5. რედაქციის მისამართი: მინაბლის ქ. № 13. ტელეფ. № 3-04-64.